# კვირის პალიტრა

№ 20 (481) ◆ 17 – 23 მაისი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




## „შეიქმნება ბიზნესის სხვადასხვა სფეროთა ახალი გადანაწილების მცდელობა“

გვ.3

„კარგის ფონზე კანონი მცირედაც არ უნდა დაირღვეს, თორემ იმ წუთიდანვე დაიწყებს ზრდას „ცუდი საქმეები“...

## „ამის თქმა მოვასწარი და დამესივნენ“

აუცილებელია წალკაში დაგროვილი იარაღის სასწრაფოდ ამოღება!..



„რა აზრი აქვს სოფლებში იარაღის ძებნას? ჯერ კიდევ თელავიდან არ ვიყავით გასულები, რომ ტელევიზიით ქვეყანას მოსდეს, შინაგანი ჯარის თელავის ბატალიონი სრული შემადგენლობით წალკაში მიემგზავრება ოპერატიული ღონისძიებების გასატარებლადო. ეჭვი არ გიჩნდებათ, რომ ტელევიზიამ ეს ინფორმაცია შეგნებულად, ვიღაცის დავალებით გაავრცელა?!“ გვ.6,13

**რეპორტაჟი ბათუმიდან:**



## „არ ვარგა ეს, ხალხი ყველაფერს ხედავს“



„ადგილობრივი კადრები ვერ ინაწილებენ სკამებს და არის ერთი გაწევ-გამოწევა“ გვ.5,12

სამართალდამცველები განსაკუთრებული სიამაყით აღნიშნავენ, რომ არეულობის პირობებში ქალაქში და მთლიანად აჭარაში, არ ყოფილა ფიზიკური ანგარიშსწორების, ძარცვის, ყაჩაღობისა და მით უმეტეს, მაროდიორობის მასობრივი შემთხვევები, რაც ნამდვილად მისასალმებელია.



## „გამსახურდიასთვის საქართველო სამშობლო იყო, სააკაშვილისთვის, უპირველესად სახელმწიფოა“

„ქვანია ისე გვიქნევდა თითს, თითქოს კლასის დამრიგებელი იყო და ჩვენ, „ბავშვებს“, მინის ჩამსხვრევის გამო გვეჩხუბებოდა“

ამ ორმა პრეზიდენტმა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი საქმეები გააკეთა... გვ.7,13

...თუკი ძველებურად გაგრძელდა უმრავლესობაში ყველაფერი, გარწმუნებთ, იქიდან ბევრი წამოვა.

**ექსკლუზივი** ***სამხედრო თემაზე:*** გვ.8,9



მიუხედავად მკაცრი გასაიდუმლოებისა (რაც ჩვენთვისაც გაუგებარი იყო), „კვირის პალიტრამ“ მაინც შეიტყო, რა ძვირად ღირებული სპეციარაღი ამოიღო უშიშროების სამინისტრომ ბათუმში, აბაშიძის არსენალიდან.

## აბაშიძის არსენალის „მარგალიტები“

***ამერიკული „ბარეტი“ და რუსული „გროზა“***

მისთვის სუპერიარაღი თურმე თავად ამერიკელებს მიუყიდიათ...

## „ქურმუხის წმინდა გიორგის შევავედრეთ საქართველო...“

გვ.18



„ქართული წიგნი საინგილოში კონტრაბანდაზე უარესია“(?!)

რომელი ინგილოს ოჯახშიც კი ვიყავით, ყველგან დასტებად უწყვიათ „კვირის პალიტრა“, რომელიც იქ ჩუმად შეაქვთ...

**რა ხდება ჰერეთში?!**

## თბილისის ჰაერი კატასტროფულად დაბინძურებულია

**„გადაბერებული“ მანქანები — მოსახლეობის დაავადებული ფილტვები**

საქართველოს დედაქალაქში ჰაერი სამჯერ უფრო დაბინძურებულია, ვიდრე ევროპის წამყვან ქალაქებში(!). ...როგორია გარემო პირობების გავლენა ონკოლოგიურ დაავადებათა სიხშირეზე?! რომელია საქართველოში სიმსივნის ყველაზე გავრცელებული ფორმა? ბენზოლი — ერთ-ერთი ყველაზე მავნე ნივთიერება. გვ.4

## გოდერძაულები

*გოდერძი ჩოხელმა ეს პატარა მოთხრობები სულ ახლახან მიიტანა ჯადოსნურ ხესთან და...*

ღვიის ბუჩქებში ჩიტები ბუდეებს იკეთებდნენ. დავდიოდით, შევიგულებდით ამ ბუდეებს, ჩვენთვის ვიმახსოვრებდით. მერე ბარტყების ძიძობასა ვწევდით. ჭიაყელას დავიჭერდით, ბარტყებს დავუწრუპუნებდით დედა ჩიტივით, ვაჭმევდით. მთელი დღე იმათ ჭამაში ვიყავით. ჩიტები ალბათ გაკვირვებულები იყვნენ, მოვიდოდნენ და იმათ შვილებს უკვე ჭამა აღარ უნდოდათ. გვ.16

## „ბავშვთა ოპერა მსოფლიოში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს“

გვ.7

„ასეთი ჩხუბი „ნიუკასლისა“ და „ფულემის“ შეხვედრის დროსაც ხდება ხოლმე“(?!)

გვყავს რამდენიმე სპორტსმენი, რომელთაც ოლიმპიური ოქროს მოპოვების რეალური შანსი აქვთ...

**გიორგი გაბაშვილი**

## „კვირის პალიტრის“ შემდეგ ნომერში საჩუქარია!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## რუმინეთი უახლოესი პარტნიორია

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუმინეთში ვიზიტი დაასრულა.

რუმინეთში პრეზიდენტის თანმხლებ ამალაში იმყოფებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველი, დროებითი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძეც (რომელიც 15 მაისს ბათუმში ძმის ქორწილს ვერ დაესწრო, თუმცა, ვარშალომიძეების ლხინის სუფრას საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა სიმცირე ნამდვილად არ ეტყობოდა, რასაც აჭარის დროებითი მმართველის საცხოვრებელ სახლთან მობილიზებული დაცვაც მოწმობდა). ქართულმა დელეგაციამ რუმინეთში ორი ქვეყნის ურთიერთობის სფეროში სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ევროპის ერთ-ერთ უდიდეს საპორტო ქალაქ კონსტანცაშიც ჩავიდა.

პრეზიდენტის რუმინეთში გამგზავრებამდე გახდა ცნობილი, რომ ქართულ-რუმინული მხარე კონსტანცა-ბათუმის საბორნე მიმოსვლის საკითხის გადაწყვეტაზე მუშაობს. ბუქარესტში პრეზიდენტ ილიესკუსთან შეხვედრის დროს სააკაშვილმა რუმინეთი ერთ-ერთ უახლოეს პარტნიორად დაასახელა, აღნიშნა, რომ ოფიციალური ბუქარესტი მხარს უჭერს ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრებას და იქვე დასძინა, რომ თუ საქართველოში მოხდება კიდევ ერთი რევოლუცია, ეს აფხაზეთთან იქნება დაკავშირებული.

## აბაშიძე გამოჩნდა

თითქმის ორკვირიანი პაუზის შემდეგ, აჭარის ყოფილი ლიდერი ასლან აბაშიძე გამოჩნდა... რა თქმა უნდა, მოსკოვში. ბათუმიდან გაქცევის შემდეგ იგი ფართო საზოგადოებას პირველად 16 მაისს წარუდგა რუსულ ტელეეთერში, ცნობილ წამყვან ვლადიმირ პოზნერის პროგრამაში. ასლან აბაშიძემ საკმაოდ ბუნდოვნად ისაუბრა საქართველოს ახალი ხელისუფლების, თავისი აჭარიდან წასვლის მიზეზებისა და ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ.

დასასრულ, ვლადიმირ პოზნერის კითხვაზე, რას აპირებს იგი მომავალში, აბაშიძემ უპასუხა, რომ საქართველოს დაეხმარება(?!). აბაშიძის თქმით, „მისმა წინაპრებმა დიდი პასუხისმგებლობა აიღეს აჭარის რეგიონზე და, საერთოდ, საქართველოზე. შესაბამისად, სამშობლოს არც მე მოვაკლებ ზრუნვას. იმავეს გააკეთებენ ჩემი შვილები და შვილიშვილებიც...“ აბაშიძე-პოზნერის დუეტით რუსებმა თითქოს მიანიშნეს, რომ აბაშიძე ახლა მათი „საკუთრებაა“ და როცა უნდათ, მაშინ გამოიყვანენ „ასპარეზზე“(!).

## ჯემალ გოგიტიძე თურქეთში გადავიდა?

16 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ბათუმის ყოფილი მერისა და საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის ყოფილი დირექტორის, ჯამბულ ნინიძისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების საკითხს განიხილავდა. ბრალდებული პროტესტის ნიშნად სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა. გამოძიება მას პორტში არსებული ფინანსური დარღვევების გამო 130.000 ლარს ედავება. შესაძლოა, ძიების პროცესში თანხა 2-3 მილიონამდე გაიზარდოს.

ასევე, 16 მაისს ამოიწურა საქართველოს პრეზიდენტის ულტიმატუმის ვადა, რომლის მიხედვით აბაშიძის მომხრეებს იარაღი უნდა ჩაებარებინათ. სამართალდამცავი ორგანოების განცხადებით, აბაშიძის რამდენიმე ათეული მომხრე განიარაღებაზე კვლავაც უარს აცხადებს. უშიშროების მინისტრის მოადგილის, გიგი უგულავას და აჭარის შს მინისტრის, დავით ღლონტის განცხადებით კი, ვინც პრეზიდენტის მითითებას არ დაემორჩილება, მათ დასაკავებლად სპეცოპერაცია ჩატარდება. აჭარაში გავრცელებული ინფორმაციით, აჭარის შს მინისტრის ყოფილი მოადგილე თავის 70-კაციან შეიარაღებულ რაზმთან ერთად ტყიდან გამოსვლასა და დანებებას არ აპირებს. არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვით, ბაკურიძემ აჭარა დატოვა და სარფის საბაჟოს გავლით თურქეთში გადავიდა. ასეთივე ხმა ვრცელდება რეგიონის ყოფილ შს მინისტრზე, ჯემალ გოგიტიძეზე. მან თითქოს რევოლუციის პირველივე დღეებში დატოვა აჭარა და თურქეთს შეაფარა თავი. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეუხებლობის გარანტია მისცეს, გოგიტიძე ხელისუფლებას არ ენდობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შს მინისტრი დავით ღლონტი კი უარყოფს რეგიონის ტერიტორიაზე შეიარაღებული ჯგუფების არსებობას და აცხადებს, რომ აჭარაში დღეს მხოლოდ შინაგანი ჯარები დგანან. ისინი რეგიონში სიტუაციას აკონტროლებენ და წესრიგს იცავენ.

## შვიმერი კომენტარს აკეთებს

ევროსაბჭოს გენერალური მდივანი, ვალტერ შვიმერი საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილის საპასუხოდ აცხადებს, რომ სააკაშვილმა რაღაც სწორად ვერ გაიგო და მისი მისამართით თქმული სიტყვები უსაფუძვლოა. შვიმერი არც საქართველოს ხელისუფლების ულტიმატუმის შესრულებას და ქვეყნიდან საკუთარი წარმომადგენლის გაწვევას აპირებს.

რუმინეთში მყოფი სააკაშვილი კი ვალტერ შვიმერის მიმართ კვლავ კატეგორიულია. ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ამ დღეებში ოფიციალური ვიზიტით უნდა სწვეოდა საქართველოს, მაგრამ მარშრუტი შეცვალა და მოსკოვს ეწვია. მისგან განსხვავებით, 8 ივნისისათვის საქართველოში ვიზიტს გეგმავს ევროსაბჭოს გენერალური მდივნობის კანდიდატი ტერი დევისი. საქართველოში მისი ჩამოსვლა წინასაარჩევნო ტურნეს ფარგლებში მოხდება. ცნობილი ხდება, რომ ევროსაბჭოში საქართველოს დელეგაცია სწორედ დევისის კანდიდატურას დაუჭერს მხარს. მისი კონკურენტი კი, ევროსაბჭოს ახლანდელი გენერალური მდივანი ვალტერ შვიმერი იქნება, რომელსაც, ცხადია, ქართველების მხარდაჭერის იმედი აღარ ექნება.

## პატრიარქს უმაღლესი ჯილდო გადასცეს

საბერძნეთში გრძელდება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის 13-კაციანი დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი, რომელსაც უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II ხელმძღვანელობს. უწმინდესი და უნეტარესი საბერძნეთის წმინდა სინოდის წარმომადგენლებს შეხვდა, რომლებმაც საქართველოს პატრიარქს უმაღლესი ჯილდო, წმინდა პავლე მოციქულის პანაღეა გადასცეს.

საბერძნეთის ჯანდაცვის სამინისტრომ კი ქართველ საეკლესიო პირებს საქართველოსთვის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ორი მანქანა გადასცა საჩუქრად. 16 მაისს პატრიარქი საბერძნეთში მცხოვრებ ქართველებს შეხვდა. დელეგაცია სამშობლოში 24 მაისს დაბრუნდება.

## აჭარულ არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენ

მემარჯვენე ოპოზიცია პრეზიდენტის მიერ აჭარაში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებს აპროტესტებს და აცხადებს, რომ არსებულ პირობებში აჭარის საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მათთვის მიუღებელია. როგორც მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, პარტია კონსულტაციებს გამართავს და გადაწყვეტილებას მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს.

„როცა რეგიონსა და ხელისუფლებას შორის უფლებამოსილებები ჯერ კიდევ გასამიჯნია და კანონი ამის შესახებ არ არსებობს, გაუგებარია, რა სახის არჩევნებს ატარებს ხელისუფლება, ამიტომ შესაძლოა ჩვენ ამ პროცესში მონაწილეობა არ მივიღოთ“, — აცხადებს გამყრელიძე (ვრცლად იხ. გვ. 11-12).

## წამგებიანი თამაში

ლეიბორისტები აჭარის ავტონომიური სტატუსის გაუქმებას ითხოვენ და ამ მიზნით უზენაეს სასამართლოში სარჩელი შეაქვთ. პარტია ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს, რომლის საფუძველზე ცესკომ პარტიის 6-კაციანი საინიციატივო ჯგუფი და სარეფერენდუმო შეკითხვა რეგისტრაციაში არ გაატარა.

საინიციატივო ჯგუფი აჭარის რეგიონისთვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის გაუქმების მიზნით რეფერენდუმის ჩასატარებლად ხელმოწერების შეგროვების უფლების მოპოვებას ცდილობდა. ცესკოში შეტანილ განცხადებაში სარეფერენდუმო კითხვა შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს განუყოფელ ნაწილს, აჭარას, არ გააჩნდეს ავტონომიური ან რაიმე სხვა სახის განსაკუთრებული სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში“. შალვა ნათელაშვილის განცხადებით, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სიტყვა „ავტონომია“ ეროვნული უმცირესობისათვის შექმნილ ტერიტორიულ ერთეულს ნიშნავს, აჭარლები კი ძირძველი ქართველები არიან და ამ ტერმინის გამოყენება მათი და მთელი საქართველოს შეურაცხყოფას ნიშნავს.

## გოგორიშვილი კატეგორიულია

პარლამენტარი ხათუნა გოგორიშვილი პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შესვლას გეგმავს. იგი პენსიონერი დეპუტატებისთვის პენსიების შემცირებით გამოთავისუფლებული თანხებით მაღალმთიან რეგიონებში პენსიის 50%-ით გაზრდას ითხოვს.

„პარლამენტმა მაღალმთიანი რეგიონების პენსიონერებისათვის პენსიების 50-პროცენტიანი ზრდა 2005 წლის 1-ელ იანვრამდე გადაავადა, თუმცა თუ დეპუტატთა პენსიები შემცირდება, შესაძლებელი გახდება კიდევ ერთი ცვლილება შევიდეს კანონში და 50-პროცენტიანი ზრდის ამოქმედება გადმოვადდეს“, — აღნიშნა გოგორიშვილმა.

გოგორიშვილი კატეგორიულია და მოითხოვს, რომ ყოფილ დეპუტატს სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხა — 255 ლარი ჩამოეჭრას, რადგან იგი პენსიაში გასვლის შემდეგ დეპუტატის მოვალეობას აღარ ასრულებს.

არსებული კანონმდებლობით, დეპუტატის ხელფასი ორი ნაწილისაგან შედგება — შრომის ანაზღაურება და ე. წ. სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხა, რაც დღეისათვის 255 ლარია. პენსია კი დეპუტატს სწორედ ხელფასის გათვალისწინებით ენიშნება და 750 ლარს შეადგენს.

## გილაური მაკონტროლებელს ემუქრება

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური მის უწყებას დაქვემდებარებულ მაკონტროლებელს რეორგანიზაციით ემუქრება. მისი თქმით, დაწყებულია საქვეუწყებო დაწესებულების — ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის რეორგანიზაცია.

„ეს უწყება თავის ძირითად ფუნქციას არ ასრულებდა, ორგანიზაციის წარმომადგენლებთან კორუფციულ გარიგებას დებდა და რეალური კონტროლი არ ხორციელდებოდა“.

გილაურის თქმით, სამინისტროში შეიქმნება კომისია, რომელიც ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტში კომპლექსურ შემოწმებას ჩაატარებს და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი მასალები პროკურატურას გადაეცემა.

„საწარმოებს, რომელთაც ენერგოზედამხედველობის ინსპექციები შეაწუხებენ, შეუძლიათ, სამინისტროს „ცხელი ხაზის“ მეშვეობით მიმართონ“, — განაცხადა მინისტრმა. გილაურის თქმით, საქართველოს ენერგოსექტორში მიმდინარე სტრუქტურული რეორგანიზაციის ფარგლებში გაზისა და ნავთობის საერთაშორისო კორპორაციების გაერთიანება და ენერგეტიკის სამინისტროსთვის დაქვემდებარება იგეგმება. „მუშავდება შესაბამისი კანონპროექტები, რომლებსაც ჯერ მთავრობაში შევიტანთ განსახილველად, ხოლო შემდეგ პარლამენტს წარვუდგენთ“, — განაცხადა მინისტრმა.

პრეზიდენტმა გაზის საერთაშორისო კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება აპრილის ბოლოს შეუზღუდა. გავრცელებული ინფორმაციით, იგივე იგეგმება ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართაც, რის შემდეგაც დაგეგმილია აღნიშნული ორი კორპორაციის ერთ სტრუქტურად ჩამოყალიბება და, სავარაუდოდ, ენერგეტიკის სამინისტროსთვის დაქვემდებარება.

## მირცხულავას ოპერაციას გაუკეთებენ

17 მაისს თბილისის 1-ელ კლინიკურ საავადმყოფოში ოპერაციას გაუკეთებენ სათბობ-ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს, დავით მირცხულავას. დაკავებულის ადვოკატის, ეკა ბესელიას განცხადებით, მირცხულავა ნაღვლის ბუშტის დაავადების გამო გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს. ბესელია კვლავ იმეორებს, რომ დაკავებულზე პოლიტიკური დევნა გრძელდება, რის გამოც ადვოკატი აპირებს დაარწმუნოს ევროპის სასამართლო, რომ მირცხულავას საქმე სტრასბურგში განიხილონ.

ბესელიას თქმით, მირცხულავას საავადმყოფოში გადაყვანის საკითხი შეთანხმებულია იუსტიციის სამინისტროსთან და ამ პროცესს სამინისტროს სამედიცინო ნაწილი და სასჯელთაღსრულების დეპარტამენტი უკეთებენ ორგანიზებას. 16 მაისს მირცხულავა პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ მოინახულა.

„ნებისმიერი ექსტრემალური მომენტი, გამოძიების პროცესი, დაკითხვა ან სასამართლოზე გაყვანა შესაძლებელია მძიმე შედეგით დამთავრდეს და მირცხულავას ჯანმრთელობა გაუარესდეს“, — აცხადებს ელენე თევდორაძე ყოფილი ჩინოსნის მონახულების შემდეგ.

## დანაშაული გახსნილია

ქალაქის პროკურორის, ვალერი გრიგალაშვილის განცხადებით, პარლამენტარ კახა გიუაშვილის მკვლელობის მცდელობის ფაქტი უკვე გახსნილია.

14 იანვარს, ღამით, კახა გიუაშვილს თავს დაესხნენ და მას 9 ტყვია ესროლეს. ხუთი ტყვია გიუაშვილს სხეულის სხვადასხვა ადგილას მოხვდა, თუმცა იგი გადარჩა. პროკურორის აზრით, დანაშაულის მოტივი პირადი ანგარიშსწორება იყო და არა — პოლიტიკური. მისი განმარტებით, დაკავებულია დანაშაულში ეჭვმიტანილი 27 წლის დავით მინდაძე და შემკვეთები — ძმები მიხეილ და ვოვა ნემსიწვერიძეები.

დაკავებულებმა აღიარეს დანაშაული და მათ სავარაუდოდ 10-დან 20 წლამდე ან სამუდამო პატიმრობა ემუქრება. ძმები ნემსიწვერიძეები მუშაობდნენ „ინტელექტ-ბანკის“ ბათუმის ფილიალში, ხოლო პარლამენტარი კახა გიუაშვილი ბანკის ცენტრალურ ფილიალში. გამოძიება საქმის დეტალებს არ აკონკრეტებს.

16 მაისს სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა და დაკავებულებს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

## კორუფცია მსოფლიო ბანკში?!



საქართველოს ძველი „მეგობრის“, მსოფლიო ბანკის შესახებ სენსაციური ცნობები ვრცელდება. მსოფლიო ბანკში კორუფციამ რეკორდულ ციფრს — 130 მილიარდ დოლარს მიაღწია. ეს ინფორმაცია ამერიკელმა სენატორმა, რიჩარდ ლუგარმა გაავრცელა, რომელიც ბანკის ფინანსურ საქმიანობას იძიებს.

ლუგარის თქმით, თავისი არსებობის განმავლობაში, ანუ 1946 წლიდან, მსოფლიო ბანკმა კორუფციის შედეგად ყველა სავალუტო სესხის თითქმის 25% არამიზნობრივად დახარჯა.

სენატორი ამტკიცებს, რომ ფულის გაფლანგვამ უპირველესად შეიძლება ღარიბი ქვეყნები დააზარალოს, რომლებიც ბანკის კრედიტებზე არიან დამოკიდებული. ალბათ მათ შორის საქართველოც იგულისხმება, სადაც დღემდე გუნდრუკს უკმევენ მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს.

## ალიევი საომრად მზად არის

ჰეიდარ ალიევის მემკვიდრე კავკასიის რეგიონისთვის ავისმომასწავებელ განცხადებას აკეთებს. „აზერბაიჯანის არმია მზად არის, მთიანი ყარაბაღისთვის სომხეთთან იომოს“, — განაცხადა ილჰამ ალიევმა ნახჭევანში ახალი სამხედრო ნაწილის გახსნის ცერემონიაზე გამოსვლისას. ის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას ცდილობს, მაგრამ თუ მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდება, „არმიას შეუძლია ნებისმიერ დროს აღადგინოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა“.

სომხეთის ხელისუფლება ამ განცხადებას, ჯერჯერობით, კომენტარს არ უკეთებს.

1994 წლის დაზავების პირობებით, მთიან ყარაბაღსა და მის მიმდებარე შვიდ რაიონზე კონტროლს სომხეთი ახორციელებს.

ყარაბაღის პრობლემა მოსკოვში უმაღლეს დონეზე განიხილეს რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა და სომხეთის სახელმწიფოს მეთაურმა, რობერტ ქოჩარიანმა, რომელიც რუსი კოლეგის მიწვევით რუსეთში სამდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა.

### მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „ცამეტი წელი საათს ეძებდა...“ — 93 ხმა
2. **ინგა ჯაყელი** — „გახეთქილი ქვევრი და მიწაში გაპარული ღვინო...“ — 55
3. **ლელა ჯიყაშვილი** — „აუხსნელი“ — 50

როგორც ვხედავთ, **ვაჟა გავაშელი** ზედიზედ უკვე მესამედ გახდა მკითხველის პრემიის მფლობელი.

**რედაქციაში შემოსული რამდენიმე ზარის ავტორი გაოცებულია იმის გამო, რომ მკითხველის პრემიას ძირითადად ორი გამოკვეთილი ლაურეატი ჰყავს — ვაჟა გავაშელი და უფრო იშვიათად — ზვიად ჩაკვეტაძე. ამ ზარების ავტორთა საყურადღებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ისევე, როგორც საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში, „მკითხველის პრემიაშიც“ მამაკაცი რესპონდენტები აქტიურობენ. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ ხდებიან მათთვის საინტერესო თემების ავტორები (ვაჟა გავაშელი — ვერსიას, ზვიად ჩაკვეტაძე კი ჟურნალისტურ გამოძიებას გთავაზობთ) მკითხველის პრემიის მფლობელებიც. ეს, თავისთავად, ქალი რესპონდენტების პასიურობის შედეგია.**

**ქალბატონებს ვთხოვთ, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ „მკითხველის პრემიის“ ლაურეატების გამოსავლენად.**

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 361-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# „შეიმჩნევა ბიზნესის სხვადასხვა სფეროთა ახალი გადანაწილების მცდელობა“



როგორც გითხარით, ძალიან კარგი და მისასალმებელია, რაც აჭარასთან მიმართებაში მოხდა, მაგრამ ისეც ნუ გავაკეთებთ, რომ ხელისუფლება იმ ბავშვის როლში გამოვიყვანოთ, რომელმაც ბორშჩი თავისი ხელით მიირთვა. მართალია, ასეთ ფუფუნებას გადავეჩვიეთ, მაგრამ ეს აზრი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამკვიდრდეს – ხელისუფლებამ თავისი საქმე უნდა აკეთოს... ყოველგვარი დითირამბების გარეშე. რადგან თუ ხელისუფლება თავის საქმეს ვერ აკეთებს, მას ქვეყნის მართვის ბერკეტებთან არაფერი ესაქმება.

**„კარგის ფონზე კანონი მცირედაც არ უნდა დაირღვეს, თორემ იმ წუთიდანვე დაიწყებს ზრდას „ცუდი საქმეები“...**

საქართველო რევოლუციებს შორის ცხოვრებით ცხოვრობს. მისასალმებელი და სასიხარულოა ის, რასაც დღემდე ახალმა ხელისუფლებამ ხალხთან თანამშრომლობით მიაღწია, მაგრამ ალბათ სახელმწიფოებრიობის განვითარებას — გაერთიანების პარალელურად, სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტებიც ესაჭიროება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ათიოდე წლის წინ ჩვენი სახელმწიფოებრიობის განვითარება არათუ შეჩერდა — უკან, მინუსებში წავიდა. როდესაც ლაპარაკია კორუფციასთან ბრძოლასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, სწორედ ამ მინუსების გამოსწორება და ნულთან მიახლოება იგულისხმება. მაგრამ ჩვენ ერთხელ უკვე ვიდექით ნულოვან საწყისზე. უპირველესი მიზეზი იმისა, რის გამოც წინ ვერ წავედით და, პირიქით, რაც გვქონდა, ისიც მოვსპეთ — სამოქალაქო პასუხისმგებლობის, სახელმწიფოებრიობის განცდის უქონლობა იყო. ერთი, კონკრეტულად დეკლარირებული მიზნისკენ სწრაფვისას მთავრობაც და ხალხიც ერთნაირად გაიჭირვებდა, დამაბრკოლებელი დამნაშავე — ხელისუფალიც და არახელისუფალიც, პარტიულიც და უპარტიოც ერთნაირად — კანონისა და კანონიერების დაცვით დაისჯებოდა.

ჯერ კიდევ ნოემბრის დღეებში ნათელი იყო, რომ სურვილისა და სათანადო რესურსების გამოძებნის შემთხვევაშიც კი, ახალი ხელისუფლება ვერ შეძლებდა იმ ეკონომიკური ეფექტების მიღწევას ქვეყანაში, რაც ხალხს სჭირდებოდა. ხალხს კი, მოგეხსენებათ, დაპირებებით ცხოვრება მაინცდამაინც არ უყვარს, ყოველ შემთხვევაში, თუ დემოკრატიულ საზოგადოებაზეა საუბარი, თორემ „აღთქმულ კომუნიზმს“ საქართველო სხვებთან ერთად ათწლეულობით ელოდებოდა. რევოლუციიდან რევოლუციამდე ცხოვრება, ხიბლის მიუხედავად, ალბათ, აღარ გაამართლებს — საქართველოს გაერთიანების გზაზე უკვე დადგა მომენტი, როდესაც განდგომილ ძმებს — აფხაზებსა თუ ოსებს — საქართველოში თანაცხოვრება, უწინარესად, ეკონომიკური კეთილდღეობით უნდა „შევახარბოთ“. ამისთვის კი, გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, საქართველოში მინიმუმ, რუსეთზე უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება უნდა იყოს. თუნდაც რუსეთ-ამერიკის კულუარული მოლაპარაკებისა და ლეგენდარული გამცილებლის, იგორ ივანოვის ფაქტორმა იმოქმედოს, ერთიანობის შესანარჩუნებლად ამის შემდეგ მაინც იქნება აუცილებელი ეკონომიკური კეთილდღეობისა და მიუკერძოებელი კანონიერების არსებობა სახელმწიფოში. ყველამ კარგად ვიცით — შენარჩუნება გაცილებით ძნელია, ვიდრე მოპოვება... გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეკონომიკური გაჯანსაღების გზაზე ხელისუფლებას ბევრი არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმაც მოუწევს. თუმცა ამ ეტაპზე ეკონომიკური რეფორმის ერთადერთ გამოხატულებად ჯიხურებთან და გარე მოვაჭრეებთან ბრძოლა რჩება. პრეზიდენტის დაპირებული ვადა, საგადასახადო კოდექსის თაობაზე, იწურება, მაგრამ თავად კოდექსი არსად ჩანს — იმედი ვიქონიოთ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებისა და ეროვნული ჰიმნის მსგავსად, ერთ მშვენიერ დღეს, პარლამენტს ამ დოკუმენტსაც ყოველგვარი დებატებისა და განხილვების გარეშე, დაფა-ზურნით არ დაამტკიცებინებენ...

გენერალური პროკურატურა ირწმუნებოდა, რომ გამოძიებას პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, კანონიერების დაცვის გზაზე არც შინაურს დაინდობდა და არც გარეულს. „გარეულისა“ რა მოგახსენოთ, „შინაური“ კი მართლაც, უცნაურია, რომ გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე არ გამოჩნდა — ჯერ ერთი, წარმოუდგენელია, დღეს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მყოფთაგან თავის დროზე, „მოქალაქეთა კავშირში“ მოღვაწეობისას არაფერი ჩაედინათ და მეორე — რამდენადაც ცნობილია, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ყველა დონის წარმომადგენლისთვის ხელფასი ჯერ იმდენად არ გაუზრდიათ, რომ ცხოვრება და მუშაობა კრისტალური პატიოსნებით შეძლონ. ალბათ არც ფარული ბერ-მონაზვნობა უნდა იყოს მთავრობაში გავრცელებული, რომ თვეობით მშიერ-მწყურვალებმა და ჯვალოს სამოსის ანაბარად გაძლონ. მაშინ რა ხდება? ნებისმიერ შემთხვევაში, ზღაპრებს — დანაზოგებისა და კეთილი ნათესავ-მეგობრების შესახებ არ მოვისმენთ — უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მათი მოსმენა მოგვბეზრდა და იმიტომ...

შევარდნაძის ხელისუფლების დროს ქვეყანაში ქრთამებისა და მაქინაციების უზარმაზარი, არალეგალური მანქანა მუშაობდა — მასში ჯაჭვურად იყო ჩაბმული თითქმის ყველა სამთავრობო სტრუქტურა და იატაკქვეშა საქართველოში მილიარდები ბრუნავდა. შეუძლებელია, ეს მანქანა ერთი ხელისმოსმით, ერთ დღეში გაჩერებულიყო და გამქრალიყო, მაშ, რა მოხდა?

ვესაუბრებით იურისპრუდენციის ექსპერტს, **დავით უსუფაშვილს.**

**— რევოლუციიდან მოყოლებული, ახალი ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიტიკური ნიშნით არ განხორციელდებოდა. არ ვიკამათებთ, ჰქონდა თუ არა პოლიტიკური სარჩული ამა თუ იმ პიროვნების დაკავებას. თუმცა ის კი ფაქტია, რომ პროკურატურას დღემდე, ხელისუფლებაში მყოფი, ან მასთან დაახლოებული პირი არ დაუკავებია — კრისტალურ პატიოსნებასთან გვაქვს საქმე თუ რევოლუციურ მიდგომებთან?**

— რევოლუციის შემდგომ პერიოდში ძველი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა სრულიად ლოგიკური იყო. ამის პარალელურად, ალბათ, მცირე დრო იყო გასული საიმისოდ, რომ ახალ ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს რაიმე დიდი დანაშაულის ჩადენა მოესწროთ. რაც შეეხება მათ წარსულ დანაშაულებს, აქ მოქმედებდა უამრავი ფაქტორი — ჯერ ერთი, არჩევნების წინ ხელისუფლებას არანაირად არ აძლევდა ხელს საკუთარ რიგებში არეულობის შეტანა და თუნდაც კარგი გაგებით, სამართლებრივი რეპრესიების განხორციელება. შემდეგ მოვლენათა ესკალაცია აჭარაში მოხდა — მმართველ პარტიას კვლავ მონოლითური განწყობა ესაჭიროებოდა. მაგრამ ეს პრობლემები მოგვარებულია და, ვფიქრობ, პოსტრევოლუციური განწყობების დრო აღარ არის — სახელმწიფოში სამართლებრივი ცხოვრება კანონის სრული და პრინციპული დაცვით უნდა წარიმართოს და სისხლის სამართლის წარმოება პოლიტიკისგან მკვეთრად გაიმიჯნოს — მნიშვნელობა არა აქვს, ვისი პარტიის წევრი იქნება ესა თუ ის ადამიანი...

ჯერ ერთი, არჩევნების წინ ხელისუფლებას არანაირად არ აძლევდა ხელს საკუთარ რიგებში არეულობის შეტანა და თუნდაც კარგი გაგებით, სამართლებრივი რეპრესიების განხორციელება. შემდეგ მოვლენათა ესკალაცია აჭარაში მოხდა – მმართველ პარტიას კვლავ მონოლითური განწყობა ესაჭიროებოდა. მაგრამ ეს პრობლემები მოგვარებულია და, ვფიქრობ, პოსტრევოლუციური განწყობების დრო აღარ არის – სახელმწიფოში სამართლებრივი ცხოვრება კანონის სრული და პრინციპული დაცვით უნდა წარიმართოს და სისხლის სამართლის წარმოება პოლიტიკისგან მკვეთრად გაიმიჯნოს – მნიშვნელობა არა აქვს, ვისი პარტიის წევრი იქნება ესა თუ ის ადამიანი...

ავიღოთ თუნდაც საგზაო პოლიცია, აქ კვლავაც გრძელდება დანაშაულებრივი ქმედებები. მაგრამ ეს მხოლოდ ის არის, რაც ზედაპირზე ჩანს და საგზაო პოლიციაზე ყურადღების გადატანით ბევრად უფრო სერიოზული დანაშაულობები, უფრო სერიოზული საფრთხე, რომელიც სახელმწიფოებრიობას ემუქრება, არ უნდა გამოგვრჩეს. სხვადასხვა მსხვილი, უკანონოდ გამდიდრებული ფინანსური დაჯგუფებები ხელისუფლებაში უკვე მფარველებს ეძებენ. შეიმჩნევა ბიზნესის სხვადასხვა სფეროთა ახალი გადანაწილების მცდელობაც. საბოლოოდ, ისე არ მოხდეს, რომ მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო განვითარებაზე მსჯელობისას ხელში შეცვლილი სახელები არ შეგვრჩეს. ყოველ შემთხვევაში, საამისო საფრთხე საკმაოდ დიდია. მით უმეტეს, რომ უკანასკნელ პერიოდში მოვლენათა განვითარების დროს ზოგიერთმა სახელმწიფო უწყებამ ახალი ხელისუფლებისადმი თავისი საჭიროება და საიმედოობა დააფიქსირა — და ეს სრულიად საკმარისად ჩათვალა, რათა ცხოვრება ძველებურად გაეგრძელებინა... მართალია, სამართალდამცველებმა ბევრი სფეროსთვის მოიცალეს, მაგრამ ვერაფერი გააკეთეს ე.წ. პოლიტიკური კორუფციის წინააღმდეგ. თუნდაც, არჩევნებთან მიმართებაში — არაფერია ცნობილი საარჩევნო სიებთან დაკავშირებით აღძრულ საქმეზე, რასაც, ფაქტობრივად, ნოემბრის ცნობილი მოვლენები მოჰყვა. რამდენადაც ვიცი, გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ, როგორც წესი, ხელისუფლება მისთვის სასურველ საქმეებს მარჯვედ უწევს ხოლმე აფიშირებას, ამ შემთხვევაში კი, კვლავაც უცნობი რჩება კონკრეტული მექანიზმები, დამკვეთები და შემსრულებლები. არადა, ეს აუცილებლად გასაკეთებელი იყო, რათა ხელისუფლებას ხალხისთვის დაემტკიცებინა, რომ ნამდვილად აპირებს ძველი სისტემის დანგრევას და ხელისუფლების შენარჩუნების არც ერთ ძველ და მავნე მეთოდს არ გამოიყენებს...

სხვადასხვა მსხვილი, უკანონოდ გამდიდრებული ფინანსური დაჯგუფებები ხელისუფლებაში უკვე მფარველებს ეძებენ. შეიმჩნევა ბიზნესის სხვადასხვა სფეროთა ახალი გადანაწილების მცდელობაც. საბოლოოდ, ისე არ მოხდეს, რომ მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო განვითარებაზე მსჯელობისას ხელში შეცვლილი სახელები არ შეგვრჩეს. ყოველ შემთხვევაში, საამისო საფრთხე საკმაოდ დიდია. მით უმეტეს, რომ უკანასკნელ პერიოდში მოვლენათა განვითარების დროს ზოგიერთმა სახელმწიფო უწყებამ ახალი ხელისუფლებისადმი თავისი საჭიროება და საიმედოობა დააფიქსირა – და ეს სრულიად საკმარისად ჩათვალა, რათა ცხოვრება ძველებურად გაეგრძელებინა...

**— რეალობიდან გამომდინარე, ჩნდება სურვილი ხელისუფლების კრიტიკისა, რადგან ბევრი რამ მაინც არასწორად კეთდება. ნოემბრის, შემდეგ აჭარის უაღრესად წარმატებული მოვლენები ერთგვარ ინდულგენციასავით მოქმედებს. ამასობაში კი, ჩნდება ახალი მიზანი — აფხაზეთი...**

— ჩვენ თუ ნორმალურ სახელმწიფოში გვსურს ვიცხოვროთ, უპირველესად, უნდა გავაცნობიეროთ ერთი ელემენტარული ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება, რომლის განცდასაც წარსულმა ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, გადაგვაჩვია. რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რომ აჭარაში მოვლენები უმტკივნეულოდ და მშვიდობიანად წარიმართა. ხელისუფლებას კარგი ნამდვილად არ უნდა დავუკარგოთ. მაგრამ აბა, დავფიქრდეთ — განა ნორმალურია, დედის შექება შვილის სიყვარულისთვის ან ექიმის დაჯილდოება მხოლოდ იმიტომ, რომ პაციენტი ქუჩაში არ გააგდო? ეს ხომ მათი მოვალეობა კი არა, დანიშნულებაა. ხელისუფლების დანიშნულება კი ხალხზე ზრუნვა გახლავთ. როგორც გითხარით, ძალიან კარგი და მისასალმებელია, რაც აჭარასთან მიმართებაში მოხდა, მაგრამ ისეც ნუ გავაკეთებთ, რომ ხელისუფლება იმ ბავშვის როლში გამოვიყვანოთ, რომელმაც ბორშჩი თავისი ხელით მიირთვა. მართალია, ასეთ ფუფუნებას გადავეჩვიეთ, მაგრამ ეს აზრი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამკვიდრდეს — ხელისუფლებამ თავისი საქმე უნდა აკეთოს... ყოველგვარი დითირამბების გარეშე. რადგან თუ ხელისუფლება თავის საქმეს ვერ აკეთებს, მას ქვეყნის მართვის ბერკეტებთან არაფერი ესაქმება. ჩვენ კმაყოფილებას გამოვთქვამთ, რომ „ხელისუფლება გამოგვადგა“, მაგრამ ეს კმაყოფილება არ უნდა ნიშნავდეს სხვა პრობლემაზე თვალის დახუჭვას და ვფიქრობ, ეს თავად ხელისუფლებამაც კარგად იცის. ერთ მაგალითს გეტყვით: — მკალავიშვილის დაჭერა თავისთავად, ბევრ ტექნიკურ ხარვეზს და კიდევ უფრო მეტ კანონდარღვევას შეიცავდა აღსრულების თვალსაზრისით. თუმცა ეს აუცილებელი და საჭირო იყო. მკალავიშვილის დაპატიმრება ჩემთვის მისაღებია, მაგრამ მიუღებელია მეთოდი.

ნოემბრის შემდეგ ხელისუფლება უამრავ კარგ საქმეს აკეთებს, მაგრამ ამის ფონზე კანონი მცირედაც არ უნდა დაირღვეს, რადგან როგორც კი ამ ფაქტის დეკლარირება მოხდება, იმ წუთიდანვე დაიწყებს ზრდას „ცუდი საქმეები“ და კარგსაც გადასწონის.

კარგად ფორმირებული ოპოზიციის არარსებობის პირობებში ჯანსაღი კრიტიკა სახელმწიფოებრიობას და, აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას, ჰაერივით სჭირდება. თუ არასამთავრობოებმა ამა თუ იმ საკითხზე არ გამართეს აქციები იმის გამო, რომ ხელისუფლებას ხელი არ შეეშალოს სახელმწიფოს შენებაში, თუ პარლამენტის ამა თუ იმ კომიტეტის თავმჯდომარის იდეას და წინადადებას ულაპარაკოდ ერთადერთ სიმართლედ მივიჩნევთ, თუ წარმატების ეიფორიით აღტაცებულ ხელისუფლების წარმომადგენლებს გააღიზიანებთ ჟურნალისტის შეკითხვა — როგორიც არ უნდა იყოს ის, მაშინ ქართულ სახელმწიფოებრიობას მომავალი არ ჰქონია...

**— ბოლო დღეებში ხშირად ლაპარაკობენ, აჭარას ავტონომია არ სჭირდებაო, იმასაც ამბობენ, თბილისი კრემლს გაურიგდა — ავტონომია აბაშიძეში გაუცვალაო. ამავე დროს, გააქტიურდა აფხაზეთის თემაც — თითქოსდა, მისი რევოლუციის გზით დაბრუნების თაობაზე. გასათვალისწინებელია სხვა, სომხებით დასახლებულ რეგიონში წარმოშობილი კონფლიქტიც... ისე არ მოხდეს, რომ აფხაზეთზე მეოცნებეებს სხვა პრობლემები დაგვემატოს...**

— იმისდა მიუხედავად, სჭირდება თუ არა აჭარას, როგორც ეთნიკური ქართველებით დასახლებულ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეს ავტონომია, მის გაუქმებაზე ლაპარაკიც კი, დღესდღეობით უადგილოა. უადგილოა ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თავის დროზე, სააკაშვილმა განაცხადა თუ დაჰპირდა აჭარის მოსახლეობას, ავტონომიას არ გავაუქმებო. მეორე იმიტომ, რომ ჩვენ გაცილებით უფრო სერიოზული და მასშტაბური პრობლემები გვაქვს მოსაგვარებელი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში და ასეთი ნაბიჯით იქაურ მოსახლეობასაც დავაფრთხობთ და მათ პოლიტიკოსებსაც დემაგოგიის საბაბს მივცემთ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ, მართალია, ყარსის ხელშეკრულება იურიდიულად ძალადაკარგულად მიმაჩნია, მაგრამ მას ჯერაც აქვს პოლიტიკური ძალა და ამ ძალას რუსეთი, სხვათა შორის, იმავე თურქეთის ტერიტორიაზე მუსლიმანთა საპროტესტო გამოსვლების პროვოცირებისთვის მარჯვედ გამოიყენებს, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთს, სახელმწიფო დონეზე, ეს საკითხი არ აინტერესებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, იყო ლაპარაკი პლებისციტზეც — აჭარის მოსახლეობას თავად უნდა გადაეწყვიტა ავტონომიის გაუქმების საკითხი. ასეთ შემთხვევაში, აფხაზებთანაც და ოსებთანაც პირნათელნი ვიქნებოდით, რადგან საკითხს თავად მოსახლეობა გადაწყვეტდა. მაგრამ ავტონომიის სტატუსის განსაზღვრა პლებისციტისა და რეფერენდუმის გზით ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის შეიძლება ცუდის მომტანი გახდეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოში სხვა ეროვნებებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიც გვაქვს და თუ დავუშვებთ პლებისციტს ავტონომიის გაუქმებაზე, ვეღარც მისი შემოღების მიზნით პლებისციტის გამართვაზე ვიტყვით უარს... ყოველივე ეს გახლავთ პასუხი კითხვაზე, იყო თუ არა გარიგება ავტონომიის სტატუსთან დაკავშირებით — „გარიგება“ — ორი მხარისთვის სარგებლის მოტანას ნიშნავს. რუსეთი კი პირიქით, ავტონომიის გაუქმებით უფრო უნდა იყოს დაინტერესებული. რაც შეეხება საფრთხეს სხვა რეგიონებში, აქ უკვე ყველაფერი ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკაზე, მის დიპლომატიურობაზეა დამოკიდებული. პროვოკაციების მცდელობა კი, რასაკვირველია, იქნება.

**— გასულ კვირაში პრეზიდენტმა სააკაშვილმა ვაგლახად მოიხსენია ევროსაბჭოს მაღალჩინოსანი წარმომადგენლები და ამით საზოგადოებას პრეზიდენტი გამსახურდია გაახსენა — იმ განსხვავებით, რომ მაშინ მან ამერიკის პრეზიდენტი გალანძღა...**

— როდესაც აჭარასთან დაკავშირებით ვალტერ შვიმერის მიერ გავრცელებული განცხადება წავიკითხე, არ დაგიმალავთ და, მიხეილ სააკაშვილზე მეტად აღვშფოთდი. თავმოყვარე სახელმწიფოზე ასეთი ტონით არ ლაპარაკობენ. უფრო აღმაშფოთა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ევროსაბჭოს მაღალი რანგის წარმომადგენლების უდიერად მოხსენიებამ. იმისდა მიუხედავად, იმსახურებს თუ არა ამას მავანი, პრეზიდენტი ამგვარი გამოთქმებისგან თავს უნდა იკავებდეს, არსებობს ფორმები და საშუალებები, არსებობს ეტიკეტი — ვიღაცისგან ეს ითქმის, ვიღაცისგან — არა. თუ მაინცდამაინც, შეიძლებოდა საქართველოს ოფიციალური პოზიცია მკაცრად, მაგრამ უფრო ღირსეულად დაფიქსირებულიყო და ამავე დროს არაოფიციალურად სხვა რამეც გახმიანებულიყო. რაც შეეხება შედარებას — ზვიად გამსახურდიასი რა მოგახსენოთ და, მისი გარემოცვა ნამდვილად გამახსენდა, როდესაც სააკაშვილის გამოსვლას მლიქვნელთა მაამებელი განცხადებები მოჰყვა — რა მაგრად მოიქცა პრეზიდენტი, მაგათ ჭკუა უნდა ვასწავლოთ, ჩვენ ხომ უკვე სრულყოფილი სახელმწიფო ვართო... ეს სასაცილო არ არის, ეს საშიში მოვლენაა. რადგან საკითხავია, ვართ თუ არა ჯერ სრულყოფილი სახელმწიფო და ისიც საკითხავია, სინამდვილეში, ვინ ვის ასწავლის ჭკუას — უფრო სწორად, ვინ ვის ჭკუაზე დადის... თუმცა, პრეზიდენტს ემოციური გამოსვლები უყვარს ხოლმე — მას ამ გზით ბევრჯერ მიუღწევია წარმატებისთვის. არა მგონია, ევროსაბჭოს ლანძღვა სინამდვილეში მისი მოწოდება იყოს.

***დაჩი გრძელიშვილი***

# თბილისის ჰაერი კატასტროფულად დაბინძურებულია

## „გადაბერებული“ მანქანები — მოსახლეობის დაავადებული ფილტვები



გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ექსპერტების დასკვნით, საქართველოს დედაქალაქში ჰაერი სამჯერ უფრო დაბინძურებულია, ვიდრე ევროპის წამყვან ქალაქებში. შესაბამისად, თბილისში გაცილებით მეტია დაავადებათა რაოდენობა, რასაც მოწამლული ჰაერის ჩასუნთქვა იწვევს.

ჩვენს ქალაქებში ჰაერის დაბინძურების მთავარ წყაროდ საგზაო ტრანსპორტი ითვლება. „საქართველოში მოძრავი მანქანების 90% დასაწნეხი და ჯართშია ჩასაბარებელი“, — დაასკვნეს ამას წინათ საქართველოში ჩამოსულმა ჰოლანდიელმა ეკოლოგებმა. როდის ჩააბარებენ ჯართში ამ მანქანებს, კაცმა არ იცის. არადა, პრობლემას დროზე თუ არ ეშველა, მალე თბილისში სიარული მხოლოდ აირწინაღებით იქნება დასაშვები. უვარგისი მანქანებისა და უვარგისი საწვავის რა შხამები ხვდება ჰაერში და როგორ შეიძლება პრობლემის მოგვარება, ამის გასარკვევად გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მივაკითხეთ.

— მთელ მსოფლიოში ჰაერის დაბინძურებაზე ტრანსპორტის წილი 60%-ს შეადგენს, — გვითხრა ატმოსფერული ჰაერის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **თამაზ ბუდაღაშვილმა**, — საქართველოში დაახლოებით 360 ათასი მანქანაა. სხვა ქვეყნებთან შედარებით, თითქოს ეს მაჩვენებელი საგანგაშო არ უნდა იყოს და მაინც, ჩვენთან ჰაერი უკიდურესად არის დაბინძურებული. ამის მიზეზი უვარგისი მანქანებია. ერთი მანქანა ნორმით გათვალისწინებულზე თხუთმეტჯერ მეტ მავნე ნივთიერებას აფრქვევს.

2002 წელს პირველად ჩატარდა ევროკავშირის ნორმების მიხედვით მონიტორინგი. ტექნიკურმა ანგარიშმა ცხადყო, რომ ვინაიდან ჩვენში მრეწველობა ფაქტობრივად აღარ არსებობს, ჰაერის მთავარი დამბინძურებელი ტრანსპორტია.

**— კონკრეტულად, რა ნივთიერებებით არის დაბინძურებული ჰაერი?**

— ძირითადად, ნახშიროჟანგით, რომელიც არასრული წვის შედეგად გამოიყოფა. ჩვენი მანქანები ამ ნივთიერების დაწვას ვერ ახერხებენ, რის გამოც ჰაერში დიდი რაოდენობით ხვდება. ინგლისელმა ეკოლოგებმა დაასკვნეს, რომ ჩვენთან შემოსული ბენზინი დიდი რაოდენობით შეიცავს ბენზოლს — ერთ-ერთ ყველაზე მავნე ნივთიერებას. თბილისი სამჯერ აღემატება ბენზოლით ჰაერის დანაგვიანების ევროკავშირით დაშვებულ ნორმებს. ეს საგანგაშო მონაცემია. ამიტომ ჩაგვიწერეს ინგლისელებმა რეკომენდაციებში, რომ აუცილებელია საწვავის მონიტორინგის განხორციელება. ისიც მიგვითითეს, რომ ავტომანქანების პარკი მოძველებულია და მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოში ტრანსპორტის „გაახალგაზრდავება“ იქნება საჭირო.

**— ეს ალბათ უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ბენზინის ხარისხის კონტროლი...**

— ძნელია, მაგრამ სხვა გზა არ არის. რუსეთსა და უკრაინაში უკვე შემოიღეს შვიდწლიანი ცენზი. უფრო ძველ მანქანას იქ ვეღარავინ შეიყვანს. ჩვენთან კი რომელ წელს გამოშვებული მანქანები შემოჰყავთ, ყველამ კარგად იცის. ყველაფერი ეს კი ჰაერის ხარისხის გაუარესებას იწვევს. მოსაწესრიგებელია ელექტროტრანსპორტის საკითხიც. რაც მეტი ტრამვაი-ტროლეიბუსი ივლის დედაქალაქში, მით უფრო სუფთა იქნება ჰაერი.

**— გამოდის, დღეს თბილისის ჰაერი კატასტროფულად დაბინძურებულია?**

— შეიძლება ასე ითქვას... უცხოელმა ექსპერტებმა თავიანთ დასკვნაში მიუთითეს, რომ ჩვენი მოსახლეობის 10-11% ამ მავნე ზემოქმედებას თავის თავზე განიცდის, რაც სხვადასხვა დაავადებით გამოიხატება...

როგორც უცხოელი, ასევე ქართველი ექსპერტები მეტად არასახარბიელო სიტუაციას გვიხატავენ. მდგომარეობის გამოსასწორებლად კი ბევრი კომპლექსური საკითხის გადაწყვეტა არის საჭირო.

ძველი მანქანების საქართველოში შემოყვანის ასაკრძალავად, კანონმდებლობაში სპეციალური მუხლის შეტანა იქნება საჭირო. სანამ ქართველი კანონმდებლები საამისოდ მოიცლიან, არ იქნება ურიგო, კომპეტენტურმა ორგანოებმა ტრანსპორტის ტექდათვალიერების საკითხი მოაგვარონ, რომელსაც საქართველოში მხოლოდ ერთადერთი დატვირთვა აქვს — ფულის კეთება და სინამდვილეში მანქანის ტექდათვალიერებასთან არაფერი აქვს საერთო.

ტექდათვალიერება ჩვენს მანქანებს წელიწადში ერთხელ უტარდება. მანქანის მფლობელებს ეს პროცესი საშუალოდ 40 ლარი უჯდებათ. „პროცესში“ ფულის გადახდა და საქარე მინაზე ტექდათვალიერების მოწმობის გაკვრა, წესით, უნდა გულისხმობდეს რამდენად გამართულია მანქანა. ამას ჩვენში დღეს, თითქმის, არავინ ამოწმებს. მეტიც, ტექდათვალიერების გასავლელად სულაც არ არის საჭირო ავტოინსპექციაში მანქანით მისვლა. სამაგიეროდ, თბილისში კატასტროფულად მომრავლდა მანქანები, რომლებიც ქუჩაში ისეთ შავ კვამლს აფრქვევენ, კაცი თითს ვერ მიიტანს თვალთან. თუმცა ამას ვინღა დაეძებს, რადგან მოწამლული ჰაერი უფრო სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენს ჯანმრთელობას.

„თუ ევროკავშირის ნორმების დაცვა გვინდა, მაშინ ტრანსპორტიც უნდა მოვაწესრიგოთ, — გვითხრა ავტოინსპექტორმა **გელა დავითაძემ**, — ევროპაში მანქანებს ჩამხშობში აქვთ ჩამონტაჟებული სპეციალური მოწყობილობა, ე. წ. კონვერტერი. იგი გამონაბოლქვის დამჭერ-გამწმენდი სისტემაა. კონვერტერის წყალობით დაახლოებით შვიდჯერ მცირდება მავნე ნივთიერებების გამოტყორცნა. ევროპაში, მძღოლს, რომელსაც მანქანაში ეს სისტემა არა აქვს, ჯარიმა ემუქრება. საერთოდ, იქ, რაც უფრო ძველია მანქანა, მით მეტად იზრდება ეკოლოგიური გადასახადი. ამიტომ ძველი მანქანის ყიდვა ევროპაში წამგებიანია. ასეთ მანქანებს ჩვენ თუ შემოგვაჩეჩებენ. ჩვენ კი მოგვყავს და სულაც არ ვფიქრობთ, სინამდვილეში, რამხელა დანაშაულს ჩავდივართ...“

ერთი სიტყვით, ავტომობილების მიერ მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვთან ერთად იზრდება სასუნთქი ორგანოების დაავადების რისკ-ფაქტორი. ამას „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას თბილისის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი მეცნიერების დარგში, პროფესორი **ლადო კუჭავაც** ადასტურებს: — გარემო პირობების გავლენა ონკოლოგიურ დაავადებათა სიხშირეზე, პრაქტიკულად, ცნობილია მას შემდეგ, რაც ონკოლოგია, როგორც მეცნიერება, არსებობს.

ერთ-ერთი ყველაზე კონტაქტური გარემო პირობა არის ჰაერი. შესაბამისად, ჩასუნთქული ჰაერით ადამიანის ორგანიზმში ხვდება ყველა ის ელემენტი, რომელიც ჰაერშია. ეს არის ის აირები, რომელიც აუცილებელია ჩვენი ორგანიზმისთვის: აზოტი, ჟანგბადი და ა.შ. აირებთან ერთად, სამწუხაროდ, შხამებიც ხვდება ორგანიზმში. ერთ-ერთი ნივთიერება, რომელიც კიბოს წარმოშობაში უმთავრეს როლს თამაშობს, ნავთობპროდუქტების წვის შედეგად გამოყოფილი ბეზპირენია. გარდა ამისა, ბენზინის გამონაბოლქვში კიდევ ბევრი ქიმიური კანცეროგენი აღმოჩნდა.

**— ეკოლოგიური ექსპერტების მტკიცებით, ჩვენი ჰაერი განსაკუთრებით არის დაბინძურებული. რამდენად ახდენს გავლენას ეს გარემოება ონკოლოგიურ დაავადებებზე?**

— საქართველოში სიმსივნის ყველაზე გავრცელებული ფორმა არის ფილტვის კიბო. არადა, რამდენიმე ათეული წლის წინ პირველ ადგილზე კუჭის კიბო იყო. მეტიც, როცა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს პირველად აღმოაჩინეს ფილტვის სიმსივნე, დიდხანს ფიქრობდნენ, კიბო იყო თუ არა, რადგან მაშინ უიშვიათესი დაავადების სახეს წარმოადგენდა. ერთ საუკუნეში კი უზარმაზარი ნახტომი გაკეთდა და, როგორც გითხარით, დღეს ამ დაავადებას პირველი ადგილი უკავია. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ფილტვის კიბო ქალაქის მკვიდრთ გაცილებით ხშირად უვითარდებათ, ვიდრე — სოფლელებს. ასე რომ, დასკვნის გაკეთებაც არ არის ძნელი — ფილტვის სიმსივნის განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ის ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავთ...

*P.S. ალბათ მძიმე წერილი გამოვიდა, მაგრამ რადგან საქმე ადამიანთა ჯანმრთელობას ეხება, თვალის დახუჭვაც არ ეგების. ონკოლოგიურ სამეცნიერო ცენტრში დაგვიდასტურეს, რომ ფილტვის კიბოთი დაავადებულთა რაოდენობა ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო იზრდება. ამაში მთავარი დამნაშავე თბილისის ქუჩებში მოძრავი „გადაბერებული“ მანქანები და უხარისხო საწვავია. მართალია, ამ პრობლემის მოგვარება საკმაოდ რთული იქნება, მაგრამ მაინც მოსაგვარებელია. ბოლოს და ბოლოს, ადამიანის სიცოცხლე ხომ მანქანებზე გაცილებით ძვირფასია. კარგი იქნება, ამ აქსიომას ისინიც თუ არ დაივიწყებენ, ვისაც საკითხის მოგვარება ევალება.*

**დავით დევიძე**

# „თბილისური ნოსტალგია“

თბილისელებს შეიძლება, ბევრი რამ ენატრებათ, მაგრამ ჩვენს დროში მათ ყველაზე მეტად მაინც ურთიერთობები დააკლდათ...

ფიროსმანი ჩაისთვის გაშლილ სუფრასთან ხელოვნებაზე საუბარზე ოცნებობდა... ვინ იცის, რამდენი ლურჯი სუფრა გაშლილა თბილისში, რამდენ ლხინს ჩაუვლია ლექსებისა და სიმღერების ფონზე — ის სულ სხვა იყოო — იტყვიან ხოლმე მხცოვანი თბილისელები და დაღლილი თვალებით წარსულს გასცქერიან.

მართლაც სხვა ხიბლი ჰქონდა ძველებურ შეხვედრებს. როგორც სოფიკო ჭიაურელმა გაიხსენა, მათ ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ სტუმრები: „არ მახსოვს ისე მოსაღამოვებულიყო, ვინმე არ გვწვეოდა. ომის დროს მოსკოვის სამხატვრო თეატრის მთელი დასი თბილისში იყო ევაკუირებული და ჩვენთან ცხოვრობდნენ. ღამეებს ათენებდნენ ხელოვნებაზე საუბარში, ლექსებით ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. აქ იყო მათი სულიერების ნავთსაყუდელი, შეიძლებოდა ვახშმად წყლისა და პურის მეტი არაფერი გვქონოდა, მაგრამ ამაზე არავინ წუწუნებდა“.

ვინ მოთვლის, რამდენი აღფრთოვანებული სტუმარი წასულა თბილისიდან ევროპაში და აქ ნანახი ისეთი ამბები წაუღია, თავის ქვეყანაში რომ ვერც წარმოიდგენდა. ელიზავეტა ირაკლის ასული ორბელიანის სალონი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო XX საუკუნის თბილისში. ქალბატონმა ელიზავეტამ ფრანგულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. იგი ხშირად აწყობდა ჩაის სუფრას თავის ოჯახში. ერთხელ მეზობელი — გურამ ლორთქიფანიძე მიიწვია თურმე სოსისსა და პიურეზე, — მსახურმა



შემოიტანა შავი პიურე, როგორც ჩანს, ნავთქურა აბოლდა და პიურე ჭვარტლით აავსო. არც ერთმა არ შევიმჩნიეთ, მეც გეახელით და მასპინძელმაც. არსებობს რაღაც, რაც ჭვარტლიან პიურესაც შეგაჭმევს სიამოვნებით... მთავარი იყო, რომ ჩვენ ხელოვნებაზე ვსაუბრობდით, — გატაცებით გაიხსენა ბატონმა გურამმა.

თბილისური ნოსტალგია ყველაზე მეტად ისეთ პირებსა და ოჯახებს ეხება, რომლებიც აღარ არსებობენ. ჭვარტლიანი პიურეს, შავი პურისა და უშაქრო ჩაის გემო, ეგრეთწოდებული ელიტარული ოჯახებისათვის დღეს ისევე უცხოა, როგორც იმ ადამიანების ნააზრევი რჩება შორეულად...

მარინა ბერიძის საავტორო პროექტი „თბილისური ნოსტალგია“ წმ. თამარ მეფის ხსენების დღეს გაგრძელდა და სწორედ ძველი თბილისური სალონებიდან „მონაბერი სიო“ მოიტანა ჩვენამდე. ამჯერად მშვენიერ ქართველ მანდილოსნებს (რომელთა ფოტოებიც დაისტამბა ქალბატონი დამანა მდივნიშვილის წიგნში „მშვენიერთა სავანე“), „თბილღვინომ“ საკადრისი სუფრა გაუშალა კლუბ „ემიგრანტში“. მოწვეული სტუმრები მართლაც მშვენივრად გამოიყურებოდნენ. ამდენი ლამაზი ქალი ერთად უკვე დღესასწაულია: ნელი ჭიჭინაძე, მანანა აბაზაძე, კირა ანდრონიკაშვილი, თათული დოლიძე, სოფიკო ჭიაურელი, მარინა საღარაძე, ირინა ონაშვილი... ლექსებიც წაიკითხეს, სიმღერებიც შესრულდა, მაგრამ... მაინც იგრძნობოდა, რომ ელიზავეტა ორბელიანისეული წვეულების ხიბლი უკვალოდ გამქრალა ჩვენი ცხოვრებიდან და მას ვერაფერი დააბრუნებს, — ასეთი საღამოები კარგად დავიწყებული ძველიაო, — გვითხრეს. თუმცა რაც მთავარი და მშვენიერი იყო ძველ შეხვედრებში, იმდენად „კარგად“ დავივიწყეთ, ვეღარც ვიხსენებთ!

საღამომაც ხალისიანად და იმპროვიზირებულად ჩაიარა. საჩუქრები და თაიგულებიც გადასცეს მშვენიერ ქართველ ქალებს. ქალბატონმა დამანა მდივნიშვილმა დასძინა: სალონებში იკრიბებოდნენ მწერლები, ხელოვნების თაყვანისმცემლები. ძალიან მინდა ეს ტრადიცია ისევ გაგრძელდეს და საბოლოოდ არ დაიკარგოს... ისევე შემორჩეს ჩვენს საზოგადოებას, როგორც ის უნიკალური ფოტოები ამშვენებს „მშვენიერთა სავანეს“ .

**ლელა ჯიყაშვილი**

# სკანდალი შეთანხმებით დასრულდა?!

## „განათლების სისტემაში ქრთამი წელიწადში 18.000.000 ლარს აღემატებოდა!“

დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი მოზარდთა სწავლა-განათლების ფორმების დახვეწა და მათი სულიერი სიჯანსაღის შენარჩუნებაა. ბოლო დროს გავრცელებულმა ინფორმაციამ, თითქოს განათლების მინისტრის ბრძანებით ჰაგიოგრაფიული ტექსტები უნდა ამოეღოთ სასკოლო პროგრამიდან და საქართველოს ისტორიის სწავლების კურსიც უნდა შემცირებულიყო, მშობელთა დიდ ნაწილში შეშფოთება გამოიწვია. ამის საფუძველს ისიც ქმნიდა, რომ ზოგიერთ სკოლაში დაიწყო უცხოური ფირმების პროდუქციის სარეკლამო ღონისძიებები — ქართული სკოლა უფსკრულისკენ მიექანება, განათლების სისტემის მესვეურნი კი ვერ ამჩნევენ, ან არ ამჩნევენ ამას — ამ მოტივით გაიმართა გასულ კვირას მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის აქცია. მათი მოთხოვნები იყო, არ დაეშვათ ჰაგიოგრაფიული ტექსტების ამოღება სასკოლო პროგრამიდან, არ ჩაეტარებინათ საუბრები სექსზე და ინტიმურ საკითხებზე სკოლებში, არ დაეშვათ მოსწავლეთათვის ინტიმური ნივთების საჩუქრად გადაცემა.

პარასკევს, განათლების მინისტრი კახა ლომაია შეხვდა და სამი საათის განმავლობაში ესაუბრა მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წარმომადგენლებს. ამ შეხვედრით მშობლები კმაყოფილნი დარჩნენ.

„კვირის პალიტრა“ ესაუბრა მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის თანათავმჯდომარეს — **ნიკოლოზ დარსაველიძეს:**

— აღშფოთებულები ვიყავით იმით, რომ სხვადასხვა ორგანიზაცია შედის სკოლებში და თავიანთი პროდუქციის რეკლამას ეწევიან. გოგონებს, ვაჟების თანდასწრებით „ასაჩუქრებენ“ ჰიგიენური საფენებით, ბავშვებს ურიგებენ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს. ხუთი წელია ვებრძვით ამ მახინჯ მოვლენას. სად არ ვიყავით... მინისტრმა აღგვითქვა, რომ მსგავსი ხელშეკრულებები აღარ გაფორმდება. ხოლო, რაც შეეხება ჰაგიოგრაფიის სწავლებას, პირიქით, გაზრდიან საპროგრამო თხზულებთა რიცხვს. იმედი გვაქვს, ასეც იქნება.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრია **მამა შიო მენაბდე,** წმინდა გიორგის ეკლესიიდან. ის სხვებთან ერთად განათლების სამინისტროს შენობასთან ელოდა შეხვედრის დასრულებას:

— მრავალშვილიანი მამა ვარ, თანაც ეკლესიის მსახური. როგორმე უნდა გადავარჩინოთ მომავალი თაობა სულიერი გარყვნილებისგან. იმედი მაქვს, განათლების სისტემის ხელმძღვანელობა დაფიქრდება და ანგარიშს გაუწევს თავისი გამონათქვამების კორექტულობას. თუ ჟურნალისტი დაუშვებს შეცდომას, პასუხი უნდა აგოს. თავიდანვე ასე რომ მოქცეულიყვნენ, დამშვიდებულნი ვიქნებოდით. მინისტრის ინტერვიუში ნათქვამი ფრაზები თურმე არასწორად იყო მოწოდებული. სამი საათი ესაუბრებოდა მინისტრი ჩვენს წარმომადგენლებს და ეჭვიც გაიფანტა. ღმერთმა ქნას, ყველაფერი ისე იყოს, როგორც მინისტრი შეგვპირდა და ჩვენი შვილები, ჩვენი ერი სულიერად გადარჩეს.

მშობლების დაწყებული პროტესტი პოლიტიკურ წრეებშიც აიტაცეს. განათლების საკითხებს დიდი სჯა-ბაასი მოჰყვა პარლამენტში, ფრაქციის დახურულ სხდომაზე და პარლამენტს გარეთაც. ჩვენ დავუკავშირდით განათლების მინისტრს **კახა ლომაიას:**

— ერთი რამ ვიცი, ხელმოცარული პოლიტიკოსები ნებისმიერ შესაძლებლობას იყენებენ, რომ ზედაპირზე იტივტივონ, მათთვის საბაბს მნიშვნელობა არა აქვს. ის პოლიტიკური ჯგუფები, რომლებმაც საკუთარ ხალხს უღალატეს და ზურგი შეაქციეს, მხარი დაუჭირეს შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის რეჟიმებს, ბუნებრივია, ცდილობენ, რაიმე გზით მოიპოვონ ხალხის ნდობა და დაბრუნდნენ პოლიტიკურ სარბიელზე. მეორე მიზეზი განათლების სამინისტროს ყოფილი კორუმპირებული ჩინოვნიკების მადაა. ისინი ჯერ კიდევ მოკალათებულნი არიან ზოგიერთი სკოლისა თუ უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციაში და ხელს ითბობენ. სახელმწიფო სტატისტიკის ოფიციალური მონაცემებით, მათ მიერ აღებული სხვადასხვა ფორმის ქრთამი წლიურად 18.000.000 ლარს აღემატებოდა. ეს უზარმაზარი თანხაა, რომელიც შეადგენს განათლების სისტემის წლიური ბიუჯეტის ნახევარს. ჩვენ მიერ წამოწყებული რეფორმის მიზანია, ამ თვრამეტი მილიონი ლარის მათი ჯიბეებიდან ამოღება და სახელმწიფოსთვის დაბრუნება, ბუნებრივია, მათ ექნებათ გარკვეული რეაქცია: დაგვაბრალებენ რუსთველის მტრობასაც, ჰაგიოგრაფიის მტრობასაც და ბევრ სხვა რამესაც.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

CMYK

# „არ ვარგა ეს, ხალხი ყველაფერს ხედავს“

რევოლუციის შემდგომმა ეიფორიამ გაიარა. ახლა ის, ვინც მანამდე „ასლან, წადის“ ძახილით გამოდიოდა ქუჩაში, უკეთეს მომავალს ელის, ზოგი მოთმინებით, ზოგიც მოუთმენლად. ამ უკანასკნელთ მრავალწლიანი იმედგაცრუებისა და დუმილის შემდეგ თითქოს მოთმინება დაელიათ და სასწრაფოდ სურთ ყველაფრის შეცვლა. მაინც, ვის რა აინტერესებს, ვინ რას ელის, როგორი განწყობა აქვთ და საერთოდ, კმაყოფილი არიან თუ არა აჭარაში მიმდინარე პროცესებით? ყოველივე ამის გასარკვევად ბათუმს მივაშურე.

აჭარაში ჩასულს ორი უჩვეულო რამ მომხვდა თვალში. ერთი სასიამოვნო — ჩოლოქზე აღებული საკონტროლო-გამშვები პუნქტი და მეორე უსიამოვნო — ბათუმის დაბინძურებული ქუჩები, რის გამოც იქაურები უკმაყოფილებას ვერ მალავენ. ბაბუს დროს ქუჩები დაგვილ-დასუფთავებული იყო. ახალ ხელისუფლებას კი ჯერ ქალაქისთვის ვერ მოუცლია, რადგან „პოლიტიკური დასუფთავებით“ არის დაკავებული. მიკროავტობუსიდან ჩასვლისთანავე ნაცნობი ტაქსის მძღოლი შევნიშნე, მანქანაში ჩავუჯექი და მუსაიფი გავაბით:

— **რა ხდება აჭარაში? როგორც ჩანს, ბათუმში სიმშვიდეა...**

— ასლანის წასვლის შემდეგ პოლიტიკურმა ძალებმა ხელისუფლებაში ადგილების დასაკავებლად ომი გააჩაღეს. სახელისუფლებო პარტიას აჭარაში ბზარი უჩნდება. საერთო „მტერი“, ასლანი გააგდეს და ახლა მაგენს თუ ვინმემ არ მიხედა, დაერევიან ერთმანეთს. თუ იცი, რატომ დარჩა აქ სააკაშვილი იმდენ ხანს? იცოდა, აჭარის რევოლუციურ ძალებში ერთობა ხუხულასავით რომ დაიშლებოდა.

— **მაინც ვინ ვის ებრძვის?**

— „ჩვენი აჭარა“ გაიძახის, ჩვენ ვართ, რაც ვართო. ჩვენ უნდა მოვიდეთ ხელისუფლებაში, ჩვენი ხალხი უნდა დაინიშნოს ყველგანო. სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები კი მაგათ რას დაუთმობს და არის ერთი გაწევ-გამოწევა. თუმცა, ჯერ ცდილობენ, თავი არ გაამჟღავნონ. ვერც ნაციონალების, ბურჯანაძისა და ჟვანიას ადგილობრივი კადრები ინაწილებენ სკამებს. არ ვარგა ეს, ხალხი ყველაფერს ხედავს. ახლა ბათუმის მერობისთვის დახოცავენ ალბათ ერთმანეთს. ედვარდ სურმანიძეს ხომ უნდოდა მერობა, ახლა დავით ბერძენიშვილი ჩამოვიდა და ისიც დაიწყებს ბრძოლას. ასლან სმირბასაც ნდომია მერად არჩევა. მიკვირს, არ რცხვენია?

— **რისი უნდა რცხვენოდეს, აბაშიძეს ხომ განუდგა?**

— მისმინე, ბიძია, ხელისუფლებაში ჩხუბით და მუშტებით მოსვლა იოლია, მაგრამ მთავარი ისაა, მერე როგორ წაიყვან საქმეს. ერთ ამბავს მოგიყვები. ერთ დროს ანეკდოტად დადიოდა აჭარაში: სმირბას მერობისას ბათუმის ოპერისთვის შენობას ეძებდნენ. ერთი მოსწონებიათ. სპეციალისტებს უთქვამთ, ლამაზია, მაგრამ ოპერისთვის არ გამოდგება, აკუსტიკა არ უვარგაო. მერე რა, აკუსტიკას თურქეთიდან ჩამოვატანინებო — უთქვამს სმირბას. იცი, რამდენი ამფერი კაცი ცდილობს ახლა ხელისუფლებაში მოსვლას? იმას კი აღარ ფიქრობენ, ეს მოთმინებადაკარგული ხალხი მეტს რომ ვერ აიტანს.

— **როგორც ჩანს, უკმაყოფილო ხართ და თქვენნაირებიც გეგულებათ, ალბათ.**

— ბევრი, ბევრი... ასლანი უნდა გადაგვეგდო და გავაგდეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინც მასთან მუშაობდა, ყველა უმუშევრად დატოვონ. ახალი ხელისუფლება ასე ვერ მოიგებს ხალხის გულს. საკანცელარიო საქმეს რომ




**სამართალდამცველები განსაკუთრებული სიამაყით აღნიშნავენ, რომ არეულობის პირობებში ქალაქში და მთლიანად აჭარაში, არ ყოფილა ფიზიკური ანგარიშსწორების, ძარცვის, ყაჩაღობისა და მით უმეტეს, მაროდიორობის მასობრივი შემთხვევები, რაც ნამდვილად მისასალმებელია.**

აკეთებდა კაცი და პურის ფულს უხდიდნენ ხელფასად, იმაზე როგორ შეიძლება თქვა, ასლანის კლანში იყოო. ამ მიზეზით ათავისუფლებენ ყველას სამსახურიდან და თავიანთ ხალხს ნიშნავენ.

— **სააკაშვილმა ხომ გააფრთხილა ვარშალომიძე, შენი ბიძაშვილები არ დანიშნოო. ეს სხვების გასაგონადაც ითქვა.**

— სააკაშვილი თბილისშია, ყველას ხომ ვერ უთვალთვალებს. ახლა ცოტა ხანს ვუყურებთ და თუ არჩევნებისთვის გონს არ მოეგებიან, კი გვასწავლეს და მოვაწყობთ მეორე რევოლუციას. კიდევ რა არ მომწონს, იცი? გამარჯვებულები დამარცხებულებს სალამს არ ეუბნებიან. სალამი ღვთისაა და ერთობის. გაუტანლობით კი ვერ ავაშენებთ ქვეყანას!..

ჩემი ბათუმელი მასპინძელი აბაშიძის დროს თავგადაკლული ოპოზიციონერი იყო. კმაყოფილია ასლანის წასვლით, მაგრამ დღეს ბევრი რამ არ მოსწონს. მაგალითად, ის, რომ აჭარაში მცხოვრებ ქართველებს აჭარელ ხალხად მოიხსენიებენ. ხომ არავინ ამბობს — გურული ხალხი, იმერელი, მეგრელი, სვანი და ა.შ. ხალხიო. ამბობენ — გურიის მოსახლეობა ან გურულები. ეს აჭარელი ხალხი რა უბედურებაა, აჭარის მოსახლეობა ან აჭარლები თქვანო...

ბათუმის ბულვარზე, ვისაც კი აბაშიძეების ოჯახზე გავესაუბრე, ყველამ სინანულით გაიხსენა გარდაცვლილი მაგული გოგიტიძე. — ძალიან კარგი ქალი იყო. მაგი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ასლანს აქამდე არ მიიყვანდა, შეიძლება რევოლუცია არც დასჭირვებოდა და ისე წასულიყოო, — ამბობენ ბათუმელები და თავადვე ეპარებათ ეჭვი საკუთარ ნათქვამში, — თუმცა ვინ იცის, აბაშიძე ისეთი თავისნათქვამა და ჯიუტი კაცი იყო, ალბათ ცოლსაც არ დაუჯერებდა. სათნო ქალი ქმრის, ძმისა და შვილის გამო ნერვიულობამ მოინელა. ასლანს მხოლოდ ცოლი უბედავდა შეპასუხებას, სხვა ყველა უსიტყვოდ ეთანხმებოდა. ასლანს არ სიამოვნებდა შეკითხვები, მხოლოდ მას უნდა ელაპარაკა და სხვებს ესმინათ. ეს სხვებიც უკმევდნენ გუნდრუკს, მონსტრად აქციეს, თავად კი იხვეჭდნენ სიმდიდრეს. ასე დააქციეს აჭარა. ხელისუფლება რომ ამბობს, გოგიტიძეს ვაპატიეთ, გამოჩნდეს, არ დავიჭერთო, მაგია პირველ რიგში დასაჭერი.

ბათუმელებს არც „კმარას“ აქტივისტების აქტიურობა მოსწონთ. ამბობენ, რომ „კმარელები“ ცუდად იქცევიან უნივერსიტეტში. თურმე ყველა იმ ლექტორ-მასწავლებლის გაგდებას ითხოვენ, რომლებიც აბაშიძის დროს კათედრებსა და დეკანატებს ხელმძღვანელობდნენ. უნივერსიტეტის სტუდენტებმაც დამიდასტურეს „კმარელების“ მხრივ ლექტორებზე ზეწოლის ფაქტები. მთავარია, კარგად გვასწავლიდნენ და მათზე ზეწოლას არ დავუშვებთო. აბაშიძის მხარდამჭერი ლექტორები ჟურნალისტებთან შეხვედრას გაურბიან. ბათუმის უნივერსიტეტში შევხვდი აბაშიძის მოწინააღმდეგე ბიჭიკო დიასამიძეს, რომელიც აპირებს კენჭი იყაროს უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე. „ჩვენ არავის ვეუბნებით, შენ ასლანის მხარდამჭერი იყავი და აუდიტორიაში შესვლის უფლება არ გაქვსო. ვინც აბაშიძეს მხარს უჭერდა, თანამდებობაზე არ უნდა იყოს, თორემ მათი პროფესიონალიზმი უთუოდ უნდა გამოვიყენოთ“, — გვითხრა ბატონმა ბიჭიკომ. იგი კატეგორიულად უარყოფს უნივერსიტეტში „კმარელების“ აქტიურობას. მისი აზრით, ახლა აღარ არის კუდიანებზე ნადირობის დრო. ასლანისტია თუ მიშისტი, ყველას უნდა მიეცეს მუშაობისა და მშვიდად ცხოვრების საშუალება.

*(გაგრძელება იხ. გვ. 12)*





# „ამის თქმა მოვასწარი და დამესივნენ“

წალკის სტადიონზე დაწყებული ჩხუბის შედეგები



„ოჯახში შემოსული უცხო კაცი, ვინც არ უნდა იყოს იგი, შენს მზეს მაინც არასოდეს დაიფიცავს, რადგან შენს მზეს თავისი გოგრის თესლი ურჩევნია და ვიდრე შენთან მოვიდოდა, თავისი მზე ჰქონდა და ახლა ის მზე, რომელიც სადღაც ისევ არსებობს, სიშორისა და მიუწვდომლობის გამო ასმაგად სანატრელი და საყვარელი გახდომია“, — წერს ოთარ ჭილაძე რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. სწორედ ეს სიტყვები გამახსენდა, როცა გავიგე, რომ 9 მაისს წალკის რაიონში მცხოვრები სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქეები თავს დასხმიან ქართულ სოფლებს. თურმე სახლებში შეუცვივდნენ ქართველებს და ააწიოკეს. თვე არ გავა, რომ წალკიდან ან საქართველოს სხვა რეგიონიდან, სადაც ქართველები უმცირესობას შეადგენენ, სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა არ დაარბიონ. ქართველები ოდითგანვე სხვა ერების მიმართ შემწყნარებლობით გამოირჩეოდნენ. ნაციონალიზმი უცხო იყო ჩვენთვის. დღეს კი ამის საპასუხოდ დაუნდობლად გვისწორდებიან ჩვენივე მიწა-წყალზე...

ქართველებსა და სხვა ეროვნებებს შორის დაპირისპირება განსაკუთრებით ვარდების რევოლუციის შემდეგ გახშირდა. „ჯერ კიდევ რევოლუციამდე ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი საქართველოში ე. წ. მეხუთე კოლონის ამოქმედებას აპირებდა. რუსეთს ხელს არ აძლევს საქართველოდან ბაზების გაყვანა. ქვემო ქართლის სომხური მოსახლეობა გამოსვლებისთვის მზად იყო, მაგრამ რევოლუციის შემდეგ საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობა სტაბილური გახდა და რუსეთს მეხუთე კოლონის ამუშავება აღარ დასჭირდა. თუმცა შეგულიანებულებმა ბრძანებას აღარ დაუცადეს და ქართველების წინააღმდეგ სტიქიურად დაიწყეს ბრძოლა“, — გვითხრა ქართული სპეცსამსახურების ყოფილმა ჩინოვნიკმა.

9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით წალკის რაიონის ხელმძღვანელობამ მოსწავლეებს შორის საფეხბურთო ტურნირის გამართვა გადაწყვიტა. ფინალში ერთმანეთს ქართველი და სომეხი ბავშვებით დაკომპლექტებული გუნდები ხვდებოდნენ. ქართველებმა მატჩი მოიგეს და წაგებით გულდაწყვეტილმა სომეხმა გულშემატკივრებმა ქართველებს ლანძღვა-გინება დაუწყეს. ტრიბუნებსა და სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ცემა-ტყეპა ატყდა.

წალკის პოლიციის უფროსი **ზურაბ ქეშელაშვილი:** „ჩხუბის პროვოცირება სომეხმა გულშემატკივრებმა მოაწყვეს. მათ გამოიწვიეს თავიანთი შეძახილებით ქართველები. ქართველებმაც შეურაცხყოფა ვერ აიტანეს და ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა მოჩხუბართა გასაშველებლად. გვეგონა, ამით ამოიწურა კონფლიქტი, მაგრამ სომხებმა თანასოფლელებს შეატყობინეს, აჭარლებმა გვცემესო. ეს ინფორმაცია ელვის სისწრაფით გავრცელდა და თავისიანების დასახმარებლად სომხებმა სოფლებიდან წალკას მოაშურეს. პოლიცია ამ დროს მობილიზებული იყო და დაპირისპირებულ მხარეებს ჩხუბის ხელმეორედ დაწყების უფლება არ მივეცით. სომეხ მოსახლეობას გზად ქართული სოფლები უნდა გაევლო და ხელმეორე შეტაკება სწორედ აჭარლებით დასახლებულ სოფელ გუნიაყალაში მოხდა. როგორც ამბობენ, სომხები სახლებში შეუცვივდნენ აჭარლებს და თხუთმეტამდე კაცს სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიაყენეს. ამჟამად კონფლიქტი ამოწურულია, საქმეს სამხარეო პროკურატურა იძიებს და ყველა დამნაშავე აუცილებლად დაისჯება. მნიშვნელობა არა აქვს, რა ეროვნების იქნება ის, ქართველი თუ სომეხი“.

ეს ინფორმაცია ქეშელაშვილმა ტელეფონით მოგვაწოდა, მაგრამ მოსმენილს, ბუნებრივია, საკუთარი თვალით ნანახი სჯობს და წალკის რაიონში გამგზავრება გადავწყვიტე. მეორე დღეს უკვე წალკის რაიონულ ცენტრში ვიყავი. პოლიციის შენობისკენ გავემართე, სადაც ზურა ქეშელაშვილი მიცდიდა, პოლიციის ეზოში შინაგანი ჯარის თელავის ბატალიონის კბილებამდე შეიარაღებული ოცამდე მებრძოლი დამხვდა. ისინი ორი-სამი დღეა, რაც წალკაში ჩამოიყვანეს და ამჟამად რამდენიმე ბლოკპოსტი აქვთ მოწყობილი იმ გზებზე, რომლებიც სოფლებისკენ მიდის. მათ ასევე ევალებათ პატრულირება. „იარაღის ამოღება ჯერ არ დაგვიწყია. თუ ბრძანება იქნება, სახლების ჩხრეკას დავიწყებთ და ალბათ იარაღსაც ვნახავთ“, მითხრეს ბიჭებმა.

როგორც მითხრეს, პოლიციის უფროსი წალკის გამგეობაში წასულა, სადაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ჩამოსვლას ელოდნენ. მეც იქით გავეშურე. გამგეობასთან ორ ასეულ კაცს მოეყარა თავი და მათ შევუერთდი. ცოტა ხანში შეგვატყობინეს, რომ უამინდობის გამო მინისტრის წალკაში ჩამოსვლა გაურკვეველი დროით გადაიდო. სომეხი ეროვნების მოქალაქეებმა გამგეობის ტერიტორია დატოვეს და იქ მხოლოდ აჭარიდან ჩასახლებული ქართველები და მათზე უფრო ადრე ჩამოსახლებული სვანები დარჩნენ. თვალში ხელშეხვეული კაცი მომხვდა. იგი გუნიაყალელი **ტარიელ კახაძე** აღმოჩნდა: „იმ დღეს გამგეობაში ვიყავი დაბარებული მიწის განაწილების საკითხთან დაკავშირებით. გამგებელი არ მოვიდა და ამიტომ შინ წავედი. საღამო ხანს ხმაური შემომესმა. გარეთ გამოვედი და რას ვხედავ, ჩემს სახლს დაახლოებით სამოცდაათი სომეხი მოსდგომოდა. შენ ხარ ტარიელ კახაძე, აჭარიდან ჩამოსახლებულების „სტაროსტაო“, შემომძახეს. კი, ბატონო, რაშია საქმე-მეთქი. ამის თქმა მოვასწარი და ეგ არის, არ დაინდოთ, მოკალითო, იღრიალეს და დამესივნენ. ამდენ კაცს რას მოვერეოდი? რკინის მილებსა და არმატურის ნაჭრებს მირტყამდნენ. ერთმა სწორედ არმატურის ნაჭრით გადამიმტვრია ხელი, მაინც არ მომეშვა, კიდევ მითავაზა და მეორე ადგილზეც მომტეხა. მერე გონება დავკარგე და არაფერი მახსოვს. მოგვიანებით გავიგე, სომხები მთელ სოფელს შესევიან და სადაც ქართველი მოუხელთებიათ, ყველა უცემიათ. არა მგონია, ეს მხოლოდ წაგებული საფეხბურთო მატჩის გამო გაეკეთებინათ სომხებს. რა იგეგმება, ნამდვილად ვერ გეტყვი, მაგრამ როდესაც სომხურ სოფელში ორმოცდაათამდე მანქანა და ორასი კაცი იკრიბება ქართულ სოფლებზე გამოსალაშქრებლად, მიდიან წალკაში და იქიდან მარშით მოდიან, ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ქაოსურად ხდებოდეს და ვიღაცების მიერ არ იგეგმებოდეს“.

საუბარში მოქალაქე **ზაურ ბოლქვაძე** ჩაერია: „რას ფიქრობს ჩვენი ხელისუფლება?! სანამდე უნდა გვარბევდნენ ასე? ეს დაპირისპირება მიწის გამო დაიწყო. სომხებს ქართველების წალკაში ჩამოსახლება არ მოსწონთ. წალკა მათი ძირძველი მიწა ჰგონიათ(?!). სომხურ სკოლებში ზოგიერთი სომეხი მასწავლებელი ბავშვებს უნერგავს, რომ წალკა და, საერთოდ, ქვემო ქართლი, ადრე სომხეთის სამფლობელო იყო და მერე თურმე ქართველებმა წაართვეს. პირდაპირ ეუბნებიან, ქართველები ჩვენი მიწების დამპყრობლები არიანო. ბავშვებს ქართველების სიძულვილით ზრდიან. პრობლემაა ისიც, რომ სომხურ სკოლებში ქართული ენა არ ისწავლება. არადა, როგორც ვიცი, კანონით საქართველოს მოქალაქეს ევალება ქართული ენის ცოდნა“.

**სოსო იაკობიძე:** — სომხები დაუფარავად გვეუბნებიან, ეს მიწები თქვენი ხელისუფლებისგან ოქროზე გვაქვს ნაყიდი და ნუ გექნებათ იმედი, რომ დაგირიგებენ. მადლობა თქვით, თუ ერთ ოჯახს 1.300 კვმეტრს გამოგიყოფენ საკარმიდამოდ.

**— მიწის სიმცირეს არ უნდა უჩიოდეს წალკის რაიონი. დაახლოებით ხუთი ათასი ბერძენი საბერძნეთში გადასახლდა და უამრავი მიწა და სახლი დატოვეს.**

— მერე რად გინდა? ტელევიზიით დიდი ამბით გამოაცხადეს, სტიქიით დაზარალებულებს შეუძლიათ წალკაში ჩამოვიდნენ და სახლებით, მიწით და სხვა პირველი საჭიროების საგნებით სახელმწიფო უზრუნველყოფსო. რამდენი ხანია ჩამოვედით, მაგრამ ჩვენი პატრონი არავინაა. კი, ბერძნებმა ასობით სახლი დატოვეს, მაგრამ ისინი აქ დარჩენილ ბერძნებს მისცეს. ისინი კი არ ყიდიან, ან თუ ყიდიან, საგანგებოდ ისეთ ფასს დაგისახელებენ, რომ ყიდვის სურვილი დაგეკარგება. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბერძნები სომხების მითითებებს ასრულებენ და ქართველებზე სახლებს არ ყიდიან. სამაგიეროდ, თუ სომეხმა მოინდომა ბერძნის სახლის ყიდვა, თითქმის ჩალის ფასად ჩაიგდებს ხელში. მთავრობის მოწოდებით ჩამოვსახლდით აქ, მხოლოდ რამდენიმე ოჯახს უყიდეს სახლი, ეს იყო და ეს. დანარჩენები დავრჩით ბედის ანაბარა. ხანდახან ძალით

## აუცილებელია წალკაში დაგროვილი იარაღის სასწრაფოდ ამოღება

შევდივართ ბერძნებისგან დატოვებულ სახლებში. აბა, რა ვქნათ? თუ ჩამოვლენ მათი პატრონები, სახლებს ხელუხლებლად ჩავაბარებთ. პირიქით, მადლობა უნდა გვითხრან. უპატრონოდ მიტოვებული სახლი რამდენიმე წელიწადში ისე ვერანდება, რომ საცხოვრებლად აღარ ვარგა. სომხები ვითომ ბერძნებს ექომაგებიან, — ქართველები ბერძნების სახლებში უკითხავად შევიდნენო. მაგათ სხვა თავის ტკივილი აწუხებთ, არ უნდათ აქ ქართველი კაცი გაჭაჭანდეს...

გამგეობასთან თავმოყრილ ახალგაზრდების ჯგუფსაც გავესაუბრე: „სომხები იმიტომ ვერ გვიტანენ, რომ მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევრები ვართ აჭარლები. სომხები იარაღდებიან. შტაბი ახალქალაქში აქვთ — რუსეთის სამხედრო ბაზიდან თითქმის ჩალის ფასად ყიდულობენ იარაღს. ნამდვილად ვიცი, რამდენიმე სომეხს სახლის სარდაფებში მთელი არსენალი აქვს. თივის ზვინებშიც მალავენ იარაღს. ეს წალკის უშიშროებამაც იცის და სამხარეო უშიშროების განყოფილებამაც, მაგრამ თვალს ხუჭავენ. ხმა თუ ამოვიღეთ, პირიქით, ჩვენ გაგვამტყუნებენ. ყოველ შემთხვევაში, ძველი ხელისუფლების დროს ასე იყო. მივეცით ერთი სარდაფის შესახებ „ნაკოლი“ უშიშროების ბიჭებს და იმ არსენალის პატრონისგან დიდი ფული გააკეთეს. ჩვენს დასანახად კი გაჩხრიკეს, მაგრამ თოხების მეტი არაფერი გამოუტანიათ. არადა, დანამდვილებით ვიცოდით, რომ იქ იარაღი ინახებოდა“.

„რა აზრი აქვს სოფლებში იარაღის ძებნას? ჯერ კიდევ თელავიდან არ ვიყავით გასულები, რომ ტელევიზიით ქვეყანას მოსდეს, შინაგანი ჯარის თელავის ბატალიონი სრული შემადგენლობით წალკაში მიემგზავრება ოპერატიული ღონისძიებების გასატარებლადო. სად გინახავთ, რომელ ქვეყანაში, რომ ჯარის გადაადგილებისა და მოსალოდნელი ოპერაციების შესახებ, ტელევიზია გადასცემდეს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თუ ვინმეს წალკის რაიონში იარაღი ჰქონდა, ისეთ ადგილზე გადამალავდა, რომ ეშმაკიც ველარ იპოვის. ეჭვი არ გიჩნდებათ, რომ ტელევიზიამ ეს ინფორმაცია შეგნებულად, ვიღაცის დავალებით გაავრცელა?!“

წინწყაროელი **ზურა კაკალაძე:** „ყველა სომეხზე ან ბერძენზე იმის თქმა, რომ ქართველები სძულს, არ შეიძლება. ამას წინათ, ბავშვი გამიხდა ავად, თბილისში სჭირდებოდა მკურნალობა. შინ ერთი ლარიც არ მომეძევებოდა. ადგა მეზობელი სომეხი და 200 ლარი მაჩუქა, მეორემ — 100 ლარი, მესამემ თავისი მანქანით თბილისში ჩამიყვანა ავადმყოფ ბავშვთან ერთად. იმათი ალაგმვაა საჭირო, რომლებიც თავიანთ თანამემამულეებს ქართველების წინააღმდეგ რაზმავენ. მაშინ მშვიდობიანად ვიცხოვრებთ ქართველიც, სომეხიც და ბერძენიც“.

წალკელი **ვარლამ ხალვაში:** „ჩემი სახლკარი ხულოში მეწყერმა წაიღო. მთავრობას ვენდე, აქ ჩამოვსახლდი, მაგრამ ექვსი თვე ღია ცის ქვეშ ვიყავი ოჯახიანად. სანამ რაიონის ხელმძღვანელობას სამი ათასი ლარი არ ვუფეშქაშე, ყურადღება არავინ მომაქცია. მაშინვე გამომიძებნეს სახლი. კიდევ ორი ათასს მთხოვდნენ სახნავ-სათესი მიწისთვის. ჩემდა ბედად, ამ დროს რაიონში ახალი გამგებელი დანიშნეს — ელდარ ხვისტანი. მან დაიწყო წალკაში ქართველთა ინტერესების დაცვა. ამან სომხები აღაშფოთა და ერთ მშვენიერ დღეს ხვისტანი მოხსნეს. არც დაუმალავთ სომხებს, პირდაპირ მითხრეს, ხვისტანის მოშორება ოცი ათასი დაგვიჯდა ლევან მამალაძის ხალხთანო“

გამგეობიდან რაიონის პროკურორის, გრიშა კერიაკოვის ოფისისკენ გავწიე. ბედად, რაიონის პროკურორი ადგილზე დამხვდა და ჩვენი საუბარი შედგა.

**გრიშა კერიაკოვი:** „დაპირისპირება ქართველებსა და სომხებს შორის ყოფითი ხასიათისაა და მას არ შეიძლება ეთნოკონფლიქტი ან სხვადასხვა რელიგიური მრწამსის ხალხის დაპირისპირება ეწოდოს. ყოფილმა მთავრობამ აჭარიდან ჩამოსახლებულ ხალხზე არ იზრუნა. არადა, მხოლოდ აჭარის მთიანეთიდან სტიქიით დაზარალებული ათასი ოჯახი მოაწყდა წალკას. ეს დაახლოებით ოთხი-ხუთი ათასი კაცია. არაფერი ებადათ. ყოფილმა მთავრობამ თავი არ შეიწუხა — არც საცხოვრებლით უზრუნველყო და არც ფულადი კომპენსაცია აღირსა. თესლი მათ არ ჰქონდათ, რომ რამე დაეთესათ და მოეყვანათ. რა უნდა ექნათ? უკითხავად შედიან ბერძნების დატოვებულ სახლებში და ითვისებენ, არადა, ისინი კერძო საკუთრებაა. აჭარიდან ან სვანეთიდან ჩამოსახლებულთა აქ დამკვიდრების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ეს გეგმაზომიერად უნდა წარმართულიყო. ქაოსმა დღეს ყოფით კონფლიქტამდე მიგვიყვანა“.

პროკურორის მოსაზრებას, ასე თუ ისე, ეთანხმება წალკის გამგებელი **მიხეილ ცატიაშვილი:** „წლების განმავლობაში წალკა ხელისუფლებისგან მიტოვებული იყო. მთავრობას აქ ამოსვლაც ეზარებოდა. საბედნიეროდ, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. რომ არა უამინდობა, დღეს მთავრობის წევრებსაც ველოდით, შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად. შეგვპირდნენ, რომ ხელისუფლება აუცილებლად მოაგვარებს ყველაფერს. რაც შეეხება სტადიონზე მომხდარ ინციდენტს და შემდეგ განვითარებულ მოვლენებს, ყველა დამნაშავე პირი აუცილებლად მკაცრად დაისჯება და არაფერი მიიჩქმალება“.

კონფლიქტი რომ სოციალური ხასიათისაა, დაადასტურა **ზურაბ ქეშელაშვილმა**, რომელსაც წალკიდან გამომგზავრების წინ შევხვდი. პოლიციის ეზოში ერთი ძველი საბრძოლო მანქანა შევნიშნე. პოლიციის უფროსმა მითხრა: — ამჟამად რვა სოფელში ოც-ოცკაციანი ჯგუფები პატრულირებენ, პარალელურად ტარდება პროფილაქტიკური ღონისძიებებიც. იარაღის ამოღება, ჯერჯერობით, არ დაგვიწყია. ინფორმაციას, რომ სომხები შეიარაღებულები არიან და იარაღს ინახავენ, ვერ უარვყოფ და ვერც დავეთანხმები(!).

**— რატომ არ ტარდება ოპერატიული ღონისძიებები იმის დასამტკიცებლად, არის თუ არა შეიარაღებული სომეხი ეროვნების მოსახლეობა?..**

მოულოდნელად ზურა ქეშელაშვილის მობილურმა ტელეფონმა დაიწკრიალა და იგი სასაუბროდ განზე გადგა. ჩემს კითხვას შინაგანი ჯარის ერთ-ერთმა მებრძოლმა უპასუხა: „რა აზრი აქვს სოფლებში იარაღის ძებნას? ჯერ კიდევ თელავიდან არ ვიყავით გასულები, რომ ტელევიზიით ქვეყანას მოსდეს, შინაგანი ჯარის თელავის ბატალიონი სრული შემადგენლობით წალკაში მიემგზავრება ოპერატიული ღონისძიებების გასატარებლადო. სად გინახავთ, რომელ ქვეყანაში, რომ ჯარის გადაადგილებისა და მოსალოდნელი ოპერაციების შესახებ, ტელევიზია გადასცემდეს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თუ ვინმეს წალკის რაიონში იარაღი ჰქონდა, ისეთ ადგილზე გადამალავდა, რომ ეშმაკიც ველარ იპოვის. ეჭვი არ გიჩნდებათ, რომ ტელევიზიამ ეს ინფორმაცია შეგნებულად, ვიღაცის დავალებით გაავრცელა?!“

წალკის ცენტრში გამოვედი. გადავწყვიტე რამდენიმე სომეხი ეროვნების მოქალაქეს გავსაუბრებოდი, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, ავტოსადგურთან მდებარე სასადილოდან გამოსული რამდენიმე „ნასაუზმევი“ კაცი დავინახე, არ დავახანე და წინ გადავუდექი. თავი გავაცანი და წალკაში მომხდარ ინციდენტზე ორიოდ სიტყვის თქმა ვთხოვე. თავდაპირველად იუარეს — თბილისიდან ჩამოსულებს არ ვენდობით. თქვენ მაინც აჭარლების მხარეს დაიჭერთ და ყველაფერს თქვენებურად გააშუქებთ. არც ერთ კონფლიქტში, რომელიც კი ჩვენსა და ქართველებს შორის მომხდარა, ჩვენ, სომხები, არ ვტყუოდით.

**— თქვენ უკვე გააკეთეთ კომენტარი და თუ მეტი არაფერი გაქვთ სათქმელი, რას ვიზამ...**

— დაიცა, ბრატ, ჯანი გავარდეს, ვილაპარაკოთ, მაგრამ ჯობს, რუსულად.

**— კი, ბატონო... ჯერ ის მითხარით, ვინ ხართ და საიდან?**

— აი, რაფიკა და სამველა კარენოი წალკელები არიან. მე, გარიკა, სერგო და სარქისა ყიზილქილისიდან ვართ.

**— კარენოი წალკელები ვართო, ამბობთ. მაინც, რამდენი წელია, რაც აქ ცხოვრობთ?**

— ჩვენი წინაპრები აქ 170 წლის წინ ჩამოსახლდნენ, მაგრამ სომხური ისტორიული წყაროების თანახმად, ეს ტერიტორია სომხეთის კუთვნილებაა. ღვთის წყალობით, წალკიდან ათი ათასზე მეტი ბერძენი მოვიშორეთ. რომ ვიფიქრეთ, ყველაფერი ჩვენ დაგვრჩა-თქო, აჭარიდან ეს მშიერ-მწყურვალი და გაღატაკებული ხალხი ჩამოგვისახლეს.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

საპარლამენტო უმრავლესობაში განხეთქილების სიო დაქრის და უკვე კობა დავითაშვილიც მარტო აღარ არის. „ნაციონალური ტრიოს“ ერთ-ერთი წევრი **ზვიად ძიძიგური** ფრაქციულ დისციპლინას ეურჩება და უმრავლესობას ტოვებს. ის სხვის დაკრულზე ცეკვას არ აპირებს. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ჟვანიას მარჯვენა (ან მარცხენა) „ხელები“, ან კიდევ ძიძიგურზე ნაკლები „ნაციონალური სტაჟის“ მქონენი თითს ავტონომიას დაკარგავთო. ეს სერიოზული არგუმენტი იყო ზვიად გამსახურდიასთვის, რომელსაც თავისი ქვეყანა ტკივილამდე უყვარდა, მაგრამ მაინც არ აიღო ხელი დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე... ამის შემდეგ სამაჩაბლოში ვითარება მალევე დაიძაბა — აკვანში ქართველი ბავშვი მოკლეს. მახსოვს, როგორ ტიროდა მაშინ ზვიად გამსახურდია... ის, რაც დამოუკიდებლობის გამოცხადებას უნდა მოჰყოლოდა, შემდგომი 12 წლის მანძილზე პრეზიდენტად წოდებულმა შევარდნაძემ არ გააკეთა და წყალში ჩაგვიყარა ყველაფერი. მიხეილ სააკაშვილის ასაშენებელია დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც საფუძველი ჩვენ ჩავუყარეთ. ეს ორი კაცი ერთგვარად ჰგავს ერთმანეთს ხალხის აყოლიების ქარიზმატული უნარითა და დიდი მიზნების დასახვით. მათ შორის, ბუნებრივია, არის სხვაობაც. თუნდაც ის, რომ ზვიად გამსახურდიასთვის საქართვე-



# „გამსახურდიასთვის საქართველო სამშობლო იყო, სააკაშვილისთვის, უპირველესად სახელმწიფოა“

**„ჟვანია ისე გვიქნევდა თითს, თითქოს კლასის დამრიგებელი იყო და ჩვენ, „ბავშვებს“, მინის ჩამსხვრევის გამო გვეჩხუბებოდა“**

უქნევენ. როგორც ჩანს, აქამდე ერთფეროვან უმრავლესობაში „ეროვნულ ძალთა გაერთიანების“ ლიდერს გამორჩეულის როლის თამაში უნდა. მით უმეტეს, რომ ასეთი განზე გადგომით საკუთარ პოლიტიკურ ვარსკვლავს მეტ სიკაშკაშეს შესძენს, არც სააკაშვილს აწყენინებს (თუ რატომ, ინტერვიუდან შეიტყობთ) და სამაგიეროდ, პრემიერსა და თანაგუნდელებს ყელყელაობის საშუალებას არ მისცემს. როგორც ამბობენ, ჟვანიას ჭკუა, სიტუაციების თავის სახეიროდ წარმართვისა და საკუთარი მარცხის გამარჯვებად გადაქცევის ხელოვნება თვით მიხეილ სააკაშვილსაც არ აძლევს თვალის მოხუჭვის საშუალებას. ჰოდა, რატომ უნდა სწყინდეს პრეზიდენტს, თუ მისი ერთგული ხალხი წარამარა შეახსენებენ პრემიერს — ჩვენ გიყურებთ, გზვერავთ და ამ ქვეყანაში ყველაფერი შენ არ გეკითხებაო.

სააკაშვილის ფრთა რომ დემოკრატების ნებაზე მიშვებას არ აპირებს, ამაში დავით ბერძენიშვილის გადაწყვეტილებამაც დაგვარწმუნა — ის ედვარდ სურმანიძეს ბათუმის მერობაში ეცილება და საპროგრამო განცხადებას აკეთებს — გადაღებილ კომუნისტებსა და ასლან აბაშიძის გადასხვაფერებულ (და სახეშეცვლილ) ამფსონებს (სურმანიძე ყოფილი ამღორძინებელია) ბათუმს საძიძგნად არ მივუგდებო.

როგორც ჩანს, სახელისუფლებო გუნდში საპროტესტო დემარშებს კიდევ უნდა ველოდოთ. ჟვანიას ერთგულთა და მაკრიტიკებელთა შერკინებები უსათუოდ გველის. რა არის მათი დაპირისპირების რეალური მიზეზი, დრო გამოაჩენს, თუმც ამის გამოცნობა ძნელი ახლაც არ არის. გვინდოდა, ზვიად ძიძიგურისთვის სახელისუფლებო გუნდში არსებული ვითარების შესახებ გვეკითხა, ამიტომაც მივაკითხეთ პარლამენტის მესამე სართულზე და დეპუტატისთვის ფრიად საქმიან ფუსფუსს შევესწარით — ის ზვიად გამსახურდიასა და მიხეილ სააკაშვილის ფოტოების დასაკიდებლად კედელზე ლურსმნებს აჭედებდა.

— **ბატონო ზვიად, წინასწარი პროგნოზებით ხან მინისტრად გნიშნავდნენ, ხანაც კომიტეტის თავმჯდომარედ. საბოლოოდ, კომფორტული სავარძლისა და კაბინეტის ნაცვლად ერთი ჩვეულებრივი პარლამენტარის ოთახი გერგოთ.**

— არა მგონია, ჩვეულებრივი პარლამენტარობა ხელის ასაქნევი რამ იყოს. ჩვეულებრივ, პარლამენტარს თანამდებობის პირზე გაცილებით უკეთესი პოზიცია აქვს — აზრის გამოთქმისას მეტი თავისუფლება ენიჭება. ციხეშიც ვიჯექი და დევნილობაშიც ვიყავი, კარგად ვიცი თავისუფლების ფასი, მასზე უარს ვერასოდეს ვიტყვი.

თანაც სიმართლე რომ გითხრათ, არც ვინმეს შემოუთავაზებია რამე და არც მე მომიკლავს თავი — ამ თანამდებობაზე არ წავალ-მეთქი. არც მიფიქრია და მიზრუნია, რომ რაიმე თანამდებობა მიმეღო.

— **თქვენს „ჩვეულებრივ“ ოთახში ორი პრეზიდენტის სურათი უმიზეზოდ არ იქნება კედელზე.**

— ამ ორმა პრეზიდენტმა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი საქმეები გააკეთა. მეტად რთული იყო იმპერიის პირობებში რეფერენდუმის ჩატარება. უზენაესი საბჭოს სხდომაზე განაცხადა ზვიად გამსახურდიამ — ტელეფონით რამდენჯერმე ვესაუბრე მიხეილ გორბაჩოვს, რომელიც დაჟინებით მეუბნება, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვება პრობლემები აფხაზეთში, სამაჩაბლოსა და აჭარაში. ამ ნაბიჯის სანაცვლოდ სამივე ლო, უპირველეს ყოვლისა, სამშობლო იყო, მიხეილ სააკაშვილისთვის კი, საქართველო უპირველესად სახელმწიფოა.

— **უცნაურია, თუკი ასე მოგწონთ მიხეილ სააკაშვილი, რატომ დატოვეთ საპარლამენტო უმრავლესობა, რომელიც უპირველესად პრეზიდენტთან ასოცირდება?**

— 19 აპრილის მთავრობის დადგენილება, რომელიც პენსიონერებს ეხებოდა, უსამართლოა. უფრო სწორად, კონსტიტუციასთან შეუსაბამოა. დადგენილების ერთ მუხლში წერია, პენსიებს 4 ლარი ემატებაო, მეორე მუხლში კი ვკითხულობთ, — პენსია დავალიანებების ხარჯზე იზრდებაო. თუ გავითვალისწინებთ, რომ დავალიანება მხოლოდ პენსიონერთა ნაწილს აქვს, გამოდის, რომ ისინი არათანაბარ მდგომარეობაში არიან. სანამ გავახმაურებდით, ვეცადეთ, საკითხი შინაურულად მოგვეგვარებინა. ამის თაობაზე კობა დავითაშვილი ესაუბრა ფინანსთა სამინისტროსაც, მთავრობის წევრებსაც და დეპუტატებსაც, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომაც დაიწერა მერე კონსტიტუციური სარჩელი. სარჩელზე გაკეთებულმა ხელმოწერებმა უმრავლესობაში დიდი აურზაური გამოიწვია.

ეს ნაბიჯი პრეზიდენტის კურსის გადახვევად და ლამის სამშობლოს ღალატად გამოაცხადა ფრაქციის ხელმძღვანელობამ. ხელმოწერებს რა პროცესებიც მოჰყვა, ისიც ცხადად მეტყველებს, რომ 60 ხელმოწერიდან დღეს 37-ია დარჩენილი. დეპუტატებზე პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა მოხდა.

ეს ბიუჯეტისა და მიშას წინააღმდეგ გალაშქრებაა, რასაც დაძაბულობა და ქვეყანაში არეულობა მოჰყვებაო. არ არის ასე — თუ პარლამენტის წევრები თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ პოზიციას, შესაძლოა, ამან მთავრობაც დააფიქროს. მახსენდება 1991 წლის უზენაესი საბჭო. როდესაც უმრავლესობის ლიდერი ასევე პრეზიდენტი იყო. უმრავლესობაში გამოთქმული ნებისმიერი განსხვავებული აზრი იბლოკებოდა, — უთუოდ ზვიადისა და სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადებდნენ. ამის გამო პრეზიდენტის უმრავლესობა მდუმარე უმრავლესობად იქცა. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ მთავრობა შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. იმ ადამიანების წყალობით, რომლებიც პრეზიდენტის გარშემო ტრიალებდნენ, ის რეალურ ინფორმაციას ველარ იღებდა, ამან კი სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. დარწმუნებული ვარ, მაშინდელი უმრავლესობის წევრები პოლიტიკურად უფრო გამოცდილნი და ნებისყოფიანი რომ ყოფილიყვნენ და ეთქვათ პრეზიდენტისთვის, რაც სინამდვილეში ხდებოდა, არ მივიდოდით ამ მდგომარეობამდე. დღესაც მსგავსი ვითარებაა, იმავე სიმპტომებს ვხედავ. ამიტომ არ მინდა ქვეყნის მმართველი ძალა და პრეზიდენტი იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომელშიც ერთხელ უკვე ვიყავით.

დღეს ჩვენი განსხვავებული მოსაზრება ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგ გალაშქრებად მოინათლა, ისევ ჟვანიასთვის იქნება უკეთესი, დაფიქრდება, როგორ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

— **სხვათა შორის, ზურაბ ჟვანიამ ისიც თქვა — მათ, რომლებსაც განსხვავებული აზრი აქვთ, სჯობს ფრაქცია დატოვონო. მას ხომ არ დაუჯერეთ?**

— მოგატყუებდით, რომ მეთქვა, ჟვანიას განცხადების გამო წამოვედი-მეთქი.

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*

# „ბავშვთა ოპერა მსოფლიოში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს“

**„ასეთი ჩხუბი „ნიუკასლისა“ და „ფულემის“ შეხვედრის დროსაც ხდება ხოლმე“(?!)**



ცნობილი თეზაა — კულტურა საზღვრებს არ ცნობსო. ისიც ცნობილი ამბავია, რომ იქ, სადაც ტყვია და თოფი არ ჭრის, ხელოვნება იოლად იკაფავს გზას. საბედნიეროდ, ჩვენ, ქართველები, დიდი კულტურის მქონე ერი ვართ. ქართველი კაცის ხელქმნილს არაერთი უცხოტომელი აღუფრთოვანებია, ჩვენებურის ნამღერს ბევრის გული გაუთბია და მათ წარმოდგენაში თვალით უნახავი საქართველო მუზების სავანედ, საოცნებო ქვეყნად დაუსახავს. არაერთი დიდებული ისტორიული ძეგლი არის დარჩენილი დღევანდელი აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიისა და თურქეთის ტერიორიაზე. საბედნიეროდ, საკუთარი კულტურით თავმომწონეებს სხვისი დაფასებისა და მოფრთხილების უნარიც დაგვემადლა — (აქ ეროვნულ თვისებაში გადაზრდილმა ჩვენმა სტუმარმასპინძლობამაც იჩინა თავი) ქართულ მიწაზე სომხებს, აზერბაიჯანელებსა თუ რუსებს თავიანთი კულტურის განვითარებისთვის კარგი პირობები აქვთ. თუმცა ხშირად გაიგონებთ, ქართველებს ისეთი ბედი დაგვყვა, ჩვენ ვერ გვმასპინძლობენ ისე, როგორც თავად ვიცით მასპინძლობაო. გული შეგვეკუმშა, როდესაც გავიგეთ, საინგილოში ქართული თეატრი ვერ ფუნქციონირებს, მსახიობებს რეპეტიციის რიგიანად ჩატარების საშუალებაც მოუსპესო (ვრცლად იხ. გვ.18). გვეწყინა და გვეტკინა სამშობლომოწყვეტილ თვისტომთა გასაჭირი და ამ ტკივილმა მიგვიყვანა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრთან, **გიორგი გაბაშვილთან**:

— სულ მალე საქართველოში აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი შეიქმნება. საამისო თანხები უკვე ბიუჯეტშიც არის გათვალისწინებული. გამოვუყოფთ შენობასაც, რომელიც ამ თეატრს 1950 წლამდე ჰქონდა (თეატრმა ამის მერე შეწყვიტა არსებობა). ამ საკითხზე გასულ კვირას საქართველოში ჩემი აზერბაიჯანელი კოლეგა, ფოლად ბულბულ-ოღლი ბრძანდებოდა. სანაცვლოდ აზერბაიჯანის მხარემ საკუთარ თავზე აიღო ქართული სახალხო თეატრის სახელმწიფო თეატრად გარდაქმნა. დაგვპირდნენ, თეატრში აპარატურასაც განვაახლებთ და ავეჯსაცო. ასევე აღდგება ქართული კულტურის ცენტრი აზერბაიჯანში. ყველაფერ ამას აზერბაიჯანის ბიუჯეტი დააფინანსებს. ამის თაობაზე ორი ქვეყნის პრეზიდენტებს შორისაც არსებობს შეთანხმება.

**— ეს ასლან აბაშიძის საყვარელი სათამაშო იყო. ბავშვთა ოპერა მსოფლიოში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ტყუილად არ ამბობდა აბაშიძე, მას ანალოგი არ აქვსო. ცივილიზებული და განათლებული ადამიანი ბავშვს იმდენად არასოდეს დატვირთავს, რომ საოპერო არიების შესრულება მოსთხოვოს. სპეციალისტებისგან შევიტყვე, რომ ეს ჯანმრთელობისთვისაც საზიანო ყოფილა. ბავშვისთვის ასეთი არაადამიანური დატვირთვა ხმის იოგებსა და სასუნთქ სისტემას სერიოზულად აზიანებს.**

არ ვარ მომხრე, კერძო ინციდენტების გამო სახელმწიფოების დონეზე მიდიოდეს საკითხის განხილვა. ქართულსა და აზერბაიჯანულ კულტურულ სამყაროს შორის კონფლიქტი არ არსებობს. ყოფით ნიადაგზე გაუგებრობა აქ ქართველებს შორისაც შეიძლება მოხდეს და არ ივარგებს ამ საკითხის ზედმეტად დრამატიზება. ჩვენ შევთანხმდით, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული ქართული ისტორიული ძეგლების მოვლის საშუალებასაც მოგვცემენ. წლების მანძილზე ჩვენს რესტავრატორებს, ხელოვნებათმცოდნეებსა და არქიტექტორებს არ ჰქონდათ აზერბაიჯანში მუშაობის საშუალება. ჩვენს ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულების გამო, ყინული დაიძრა. ამიტომ ხაზგასასმელია პრობლემების დარეგულირების დაწყება და არა ცალკეული გაუგებრობა. ასეთივე პოსტსპორტული (საფეხბურთო მატჩის შემდგომი) კონფლიქტი მოხდა წალკის რაიონში. ზედმეტად ნუ გავამახვილებთ ამაზე ყურადღებას. ასეთი ჩხუბი „ნიუკასლისა“ და „ფულემის“ შეხვედრის დროსაც ხდება ხოლმე და იქ არავინ ამბობს, ეს ორ რეგიონს შორის დაპირისპირებააო. ნუ ვილაპარაკებთ ისეთ პრობლემებზე, რომლებიც, მადლობა ღმერთს, არ გვაქვს. საპირისპირო პროცესია დაწყებული საქართველოში და არ გვინდა რაღაც ფაქტების ზედმეტად გაზვიადება. ქვეყანა დღეს გამთლიანებისა და გაძლიერების გზას ადგას. მერწმუნეთ, ამის შემდეგ პრობლემები არათუ გაჩნდება, არამედ დარეგულირდება.

რამდენიმე დღის წინ თურქეთის ელჩს შევხვდი და გადავწყვიტეთ, ერთობლივად ვიზრუნოთ როგორც საქართველოში არსებულ თურქულ ძეგლებზე, ისე თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ისტორიულ და კულტურულ ძეგლებზე. ამიერიდან ჩვენ საშუალება მოგვეცემა, მოვუაროთ და ვუპატრონოთ იმ ქართულ ძეგლებს, სადაც ქართული ქრისტიანული სულიერი კულტურა ჩაისახა.

— **თუმც ხშირად გაიგონებთ, — ქართველებს სხვაგან დიდად არ გვეფერებიანო.**

— ეს თვით ქვეყნის სიძლიერეზეა დამოკიდებული. თუ ქვეყანა ძლიერია, იცავს და არ ივიწყებს საკუთარ მოქალაქეებს, არც ერთი პარტნიორი არ იტყვის უარს ასეთ ქვეყანასთან თანამშრომლობაზე. თუ ქვეყანა იმდენად სუსტია, რომ ქვეყნის შიგნითვე ვერ უვლის საკუთარ მოქალაქეებს, მას ქვეყნის გარეთ მყოფი მოქალაქეც მივიწყებული ჰყავს და თქვენ მიერ ნახსენები პრობლემაც დგება. საქართველო თანდათან ძლიერდება. ჩვენ დიასპორების პრობლემებზე პარტნიორებთან უსათუოდ დავსვამთ საკითხს და გადავჭრით კიდეც. მერწმუნეთ, როდესაც საქმე ადამიანის უფლებებს, კულტურის, განათლებისა და საკუთარი ენის შენარჩუნებას ეხება, ყველა ცივილიზებული სახელმწიფო მოდის დიალოგზე.

— **კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, გაუქმდა ბათუმის ბავშვთა საოპერო თეატრი. რა მოტივით დაიხურა თეატრი, რომლითაც ასე მოჰქონდა თავი ასლან აბაშიძეს?**

— ეს ასლან აბაშიძის საყვარელი სათამაშო იყო. ბავშვთა ოპერა მსოფლიოში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ტყუილად არ ამბობდა აბაშიძე, მას ანალოგი არ აქვსო. ცივილიზებული და განათლებული ადამიანი ბავშვს იმდენად არასოდეს დატვირთავს, რომ საოპერო არიების შესრულება მოსთხოვოს. სპეციალისტებისგან შევიტყვე, რომ ეს ჯანმრთელობისთვისაც საზიანო ყოფილა. ბავშვისთვის ასეთი არაადამიანური დატვირთვა ხმის იოგებსა და სასუნთქ სისტემას სერიოზულად აზიანებს, აქ იგულისხმება ხმის დაკარგვაც. არ შეიძლება ბავშვს თავისი ასაკისათვის შეუფერებელი ცხოვრების რიტმი და წესი ჰქონდეს. მაგრამ ასლან აბაშიძე პატარა დიქტატორი იყო და არ უწევდა ანგარიშს ბავშვების მდგომარეობას. კიდევ კარგი, რომ მას ბავშვი-გლადიატორების არენის მოწყობაც არ მოუვიდა თავში...

სხვათა შორის, აჭარაში არსებული საგანძური, რომელიც საზღვაო ბანკში ინახებოდა, ხელუხლებელი დაგვხვდა. ეს არის არქეოლოგიური მასალა, ოქროს ნაკეთობები... საკუთარი თვალით ვნახე იგი — უვნებელი და დალუქულია.

— **სანამ აფხაზეთი და სამაჩაბლო დაგვიბრუნდება, ხომ არ გეგმავთ იქ „კულტურული დესანტის“ გადასხმას?**

— კონფლიქტის გამო შექმნილ საზღვრებს კულტურა არ ცნობს. ბევრი სოხუმელი, გაგრელი, გუდაუთელი და ცხინვალელი გვეხმიანება (მათ გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ) — სანამ კონფლიქტი დარეგულირდება, კულტურული თანაცხოვრება მაინც დავიწყოთო. უკვე ისინიც ხვდებიან, რომ ეს პრობლემა მალე მოგვარდება და ღმერთმა ქნას, პროცესი მშვიდობიანად დასრულდეს.

— **ამ ზაფხულს ათენის ოლიმპიადაში ქართველებიც მონაწილეობენ. დაუფინანსებლობის გამო აქამდე დიდად არ ვიყავით განებივრებული ჩვენი სპორტსმენების წარმატებებით. წელს თუ გამოჩნდა სპონსორი და რა შედეგს ელით?**

— დაფინანსების პრობლემა არ გვაქვს — ცალკე ოლიმპიურმა ფონდმა 2,5 მლნ ლარი გაიღო ათენის ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად. 2 მლნ 385 ათასი კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო. ძნელია პროგნოზების გაკეთება, მაგრამ გვყავს რამდენიმე სპორტსმენი, რომელთაც ოლიმპიური ოქროს მოპოვების რეალური შანსი აქვთ (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუდო). არის შანსი, რომ ტყვიის სროლასა და კრივშიც მოვიპოვოთ ოქრო. იმედი მაქვს, პირველ ოლიმპიურ ოქროს დამოუკიდებელი საქართველო ათენიდან წამოიღებს (აქამდე მხოლოდ ბრინჯაოს პრიზიორები გვყავდა).

***მარი ზანდუკელი***

# ტერაქტი, რომელიც მაინც მოხდა

## მოსალოდნელი იყო, რომ პრეზიდენტს სტადიონის ლოჟაში ააფეთქებდნენ

9 მაისს, ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აჰმად კადიროვი გროზნოს ცენტრში, „დინამოს“ სტადიონის ცენტრალურ ლოჟაში ააფეთქეს. აფეთქების შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა, 89 დაშავდა. დაღუპულთა შორისაა ჩეჩნეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ჰუსეინ ისაევი, დაჭრილია ჩეჩნეთში რუსეთის ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვალერი ბარანოვი; მაგრამ, ცხადია, რომ ამ ტერაქტის მთავარი მიზანი სწორედ პრეზიდენტ კადიროვის მოკვლა გახლდათ.

ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც, სავარაუდოდ, საარტილერიო ჭურვის ბაზაზე იყო დამზადებული, ლოჟის ქვემოთ, შენობის კონსტრუქციაში იყო ჩამონტაჟებული, ალბათ რემონტის დროს.

ტერაქტის ორგანიზატორი შეიძლება იყოს პრეზიდენტი ასლან მასხადოვი, რომლის განადგურებასაც კადიროვი ტელეეკრანიდან ჰპირდებოდა მოსახლეობას, მაგრამ მოხდა პირიქით. თუმცა ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ კადიროვის მოცილებაში შეიძლება თავად რუსეთის სპეცსამსახურების ხელიც ერიოს, რადგან ჩეჩნეთის პრეზიდენტი საკმაოდ რთული პიროვნება იყო.

ამ სტატიის ავტორი, 1997 წლის 6 სექტემბერს, პრეზიდენტთან ერთად სწორედ იმ სტადიონის ლოჟაში იდგა, რომელიც 9 მაისს ააფეთქეს; მაშინაც ყოველწამს მოსალოდნელი იყო ხიფათი.

იმ დღეს, გროზნოში, „დინამოს“ სტადიონზე, ახალარჩეული პრეზიდენტი ასლან მასხადოვი და შამილ ბასაევი ამ ლოჟიდან ესალმებოდნენ მოსახლეობას. მაშინ „კვირის პალიტრის“ სამხედრო მიმომხილველი მათ უკან იდგა და შეამჩნია, თუ რა იოლად შეიძლებოდა ამ ადგილზე ტერაქტის მოწყობა, როგორც სნაიპერის მეშვეობით, ისე ასაფეთქებელი მოწყობილობით. მაშინ ასეთი ტერაქტის განმახორციელებლად, პირველ რიგში, იგულისხმებოდნენ რუსეთის სპეცსამსახურები, რომლებსაც სტადიონის ლოჟის აფეთქებით ერთი ხელის დაკვრით შეეძლოთ მოეშორებინათ ურჩი იჩქერიის მთელი ხელმძღვანელობა და თავიდან აეცილებინათ ჩეჩნეთის მეორე ომი.

მაშინ არა, მაგრამ ტერაქტის მოსაწყობად ეს მარჯვე ადგილი 7 წლის შემდეგ მაინც გამოიყენეს.



**სტატიის ავტორმა ეს ფოტოსურათი 1997 წლის 6 სექტემბერს გროზნოში, „დინამოს“ სტადიონზე, სწორედ იმ ლოჟიდან გადაიღო, სადაც 2004 წლის 9 მაისს ჩეჩნეთის პრეზიდენტი კადიროვი ააფეთქეს**

# იალღუჯა ერთი თვით თიქრიტად „იქცა“

## ბრიტანელი სამხედრო ინსტრუქტორები ქართველ სამხედროებს ამზადებენ... ერაყში გაგზავნის წინ

იალღუჯაზე, სადაც აგარაკებია (ბევრი მიტოვებული და გაძარცული) განთავსებული, მოსახლეობა უჩვეულო სცენების მოწმე გახდა — სოფლის ორლობეებში საბრძოლველად გამზადებული, კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცები ომობანას თამაშობენ!

თუმცა ამ „თამაშს“ თავისი მიზანი აქვს, რადგან ქართველ სამხედროებს, რომლებიც დღეს უნებლიეთ აფრთხობენ სოფლელებს, ერთ თვეში ნამდვილ ომში მოუწევთ აქ ნასწავლის გამოყენება — შუა ივნისში ერაყში დამატებით გაიგზავნება რამდენიმე ასეული ქართველი სამხედრო.



**თიქრიტში გასაკეთებელ საქმეს ქართველ სამხედროებს იალღუჯაზე, მიტოვებულ აგარაკებზე ასწავლიან**

ქართველ სამხედროებს, რომლებმაც დაამთავრეს ქართულ-ამერიკული „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა, ერაყში წასვლამდე, ურიგო არ იქნებოდა, დამატებით მომზადება გაევლოთ.

ეს საქმე დიდმა ბრიტანეთმა იკისრა და საქართველოში გამოგზავნა კიდეც თავისი სამხედრო ინსტრუქტორები. მათ ერთი თვის წინ გადაამზადეს 41 ქართველი სამხედრო, რომლებმაც, თავის მხრივ, 4-კვირიანი ინსტრუქტაჟი უნდა ჩაუტარონ ერაყში მივლინებულებს გამგზავრების წინ.

ამჟამად იალღუჯაზე, კრწანისის სასწავლო ცენტრში, ქართველი ინსტრუქტორების დახმარებით და დიდი ბრიტანელი სამხედროების მეთვალყურეობით, 270 ქართველი სამხედრო გადის წვრთნას. აქედან 40 კაცი ბათუმის ბრიგადიდანაა, ერთი ოცეული (32 სამხედრო მოსამსახურე) კოჯრის სპეცდანიშნულების სასწავლო ცენტრიდან, 18 — სამხედრო ინჟინერი-მენაღმეა, დანარჩენი კი საჩხერის მე-16 სამთო-მსროლელი ბატალიონიდანაა. სწორედ ამ ბატალიონის 159 სამხედრო მოსამსახურე ერთ თვეზე მეტია, ერაყში იმყოფება.

„წვრთნისა და აღჭურვის“ 3-თვიანი პროგრამის გავლის შემდეგ, დამატებითი სწავლება თითქოს აღარ უნდა დასჭირვებოდათ ამ ბატალიონის მებრძოლებს, მაგრამ დიდი ბრიტანელი სამხედროები ქართველ კოლეგებს სამშვიდობო მისიის პროგრამით ამეცადინებენ, ანუ ასწავლიან შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში არასაბრძოლო მოქმედებას — ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობას.

4-კვირიანი სწავლების პროგრამა მოიცავს ძირითადად 8 მისიას — მოქმედება მცირე აგრესიების დროს; პიროვნების ამოცნობა; მანქანის ამოცნობა; ავტოტრანსპორტის შესამოწმებელი პუნქტის მოწყობა; ინციდენტების მართვა, ანუ რეაგირება ნაღმებსა და ბომბებზე; რეაგირება ქალაქში სროლაზე; სახლის შემოწმება და ავტოტრანსპორტის ჩხრეკა საველე პირობებში.

ზემოთ ჩამოთვლილ მისიათა ცოდნა აუცილებელია იმ სამხედროებისთვის, რომლებიც, პარამილიტარული ძალებისგან განსხვავებით, აქამდე მხოლოდ ბრძოლის ელემენტებს ეუფლებოდნენ.

საზოგადოებაში ნელ-ნელა მწიფდება აზრი — რატომ ვგზავნით ქართველებს ერაყში, როდესაც სხვა ქვეყნებს თავიანთი სამხედროები იქიდან გამოჰყავთ?! მაგრამ, მეორე მხრივ, ქართველ სამხედროებს ეძლევათ საუკეთესო შესაძლებლობა, სხვის მიწაზე და სხვის ომში ისწავლონ ომის და, კერძოდ, პარტიზანული ომის ელემენტები; ეს მათ უსათუოდ გამოადგებათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისას.

უკანასკნელი ცნობებით, ერაყში, საჩხერის ბატალიონის მებრძოლებს, ამერიკელი გენერლები სულ უფრო ხშირად რთავენ სერიოზულ ანტიპარტიზანულ ოპერაციებში. ასევე გრძელდება ნაღმსატყორცნების ნაღმებით იმ ბაზების ღამისეული დაბომბვები, რომლებშიც ამერიკელებთან ერთად ქართველი სამხედროებიც არიან დაბანაკებულნი.



ექსკლუზივი

# აბაშიძის არსენალის „მარგალიტები“

## მისთვის სუპერიარაღი თურმე თავად ამერიკელებს მიუყიდიათ

მიუხედავად მკაცრი გასაიდუმლოებისა (რაც ჩვენთვისაც გაუგებარი იყო), „კვირის პალიტრამ“ მაინც გაიგო, თუ რა სპეციარაღის ძვირად ღირებული ნიმუშები ამოიღო უშიშროების სამინისტრომ ბათუმში, აბაშიძის არსენალიდან.

გაზეთის წინა ნომერში მოგახსენეთ, რომ მათ შორის უნდა ყოფილიყო ამერიკული ანტისნაიპერული შაშხანა „ბარეტი“. როგორც აღმოჩნდა, არ შევმცდარვართ. ბათუმში აღმოჩენილ მეორე, ჩვენთვის უცხო იარაღის ნიმუშს მიეკუთვნება რუსული სპეცდანიშნულების შეიარაღებაში არსებული გასაიდუმლოებული ავტომატი „გროზა“.



**ჩვენი დოსიე:** *სპეცავტომატი ОЦ-14 Гроза „ბულპაპის“ სქემითაა დამზადებული. მასში მოკლელულიანი ავტომატის, АКС-74У-ს, ბევრი დეტალია გამოყენებული. Гроза 9 მმ კალიბრის სპეციალურ ტყვიებს ისვრის, თუმცა რუსული სამხედრო დაზვერვის, ГРУ-ს შეკვეთით, ჩეჩნეთში საბრძოლველად დაამზადეს Гроза-ს მოდიფიკაცია, რომელიც 7,62 მმ კალიბრიან ტყვიებს ისვრის.*



**ჩვენი დოსიე:** *12,7 მმ კალიბრიანი ამერიკული სნაიპერული შაშხანა M82A1 „ბარეტი“ 13 კგ-ს იწონის და 2 კმ-ზე ახვედრებს მიზანში. მსხვილკალიბრიანი ტყვიის საწყისი სიჩქარე 850 მ/წმ-ია.*

სამი ათასამდე ცეცხლსასროლი იარაღიდან, რომელიც ბათუმიდან თბილისში გამოიგზავნა (მაგალითად, თავდაცვის სამინისტროს მისამართზე სამი ცალი, თითოეული 20-ტონიანი რკინის კონტეინერი ჩამოვიდა, რომელიც ამოღებული ავტომატებითა და პისტოლეტებით იყო სავსე; აბაშიძის არსენალიდან თავისი წილი შინაგანმა ჯარმაც წაიღო), გამორჩეული სწორედ ანტისნაიპერული შაშხანა „ბარეტია“.

იგი უნიკალური და, ამასთანავე, სახიფათო იმით არის, რომ ამ შაშხანით ნასროლ ჯავშანგამტან-მსხვრევად-ცეცხლგამჩენ ტყვიას შეუძლია 500 მ-ში გახვრიტოს 30 მმ სისქის ჯავშანი და ამას შემდეგაც შეინარჩუნოს მომაკვდინებელი ძალა.

სწორედ ეს გარემოება აშინებდათ ქართულ სპეცსამსახურებს, აბაშიძის ჩამოგდების ოპერაციის დაგეგმვისას — „ბარეტს“ ხომ პრეზიდენტის ლიმუზინის ჯავშნის გახვრეტა შეეძლო რამდენიმე ასეული მეტრიდან!

აბაშიძე წავიდა, „ბარეტები“ ამოღებულია, მაგრამ საკითხავია, საიდან გაჩნდა აჭარის ლიდერის ხელში ასეთი მრისხანე ამერიკული წარმოების სპეციარაღი, როდესაც ის უფრო რუსულ სპეცსამსახურებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე ამერიკელებთან?

ჩვენი მონაცემებით, აბაშიძის ბრძანებით, ათი ცალი „ბარეტი“ აშშ-ში 1996 წელს შეიძინეს. იმ პერიოდში ასლან აბაშიძე არ მალავდა უკმაყოფილებას აჭარაში NATO-ს შესაძლო სამხედრო მანევრების ჩატარების გამო. მაშინ ამერიკის მხარემ სცადა „აჭარის ლომის“ გულის მოგება და სხვადასხვა შეღავათთან ერთად, აბაშიძის სპეცსამსახურებს ათი „ბარეტის“ ყიდვის უფლება მისცა (სულ გაყიდულია 3000 „ბარეტი“, აქედან 500 თავად ამერიკის სპეცსამსახურებმა შეიძინეს).

არადა აქამდე ვიცოდით, რომ საქართველოს ჰქონდა მსხვილკალიბრიანი და ანტისნაიპერული შაშხანა — ოთხიოდე ჩეხური „ფალკონი“, რომლებიც თავდაცვის სამინისტრომ მოგვიანებით შეიძინა.

სხვათა შორის, თავდაცვის უწყებას თითო „ფალკონი“ 12 ათას დოლარზე უფრო ძვირად აქვს გაფორმებული, აბაშიძის მსტოვრებმა კი, ამერიკაში, ბევრად ძვირი „ბარეტი“, თითოეული თავის ფასად — 7 ათას დოლარად, იყიდეს. აშკარაა, რომ მაშინ თევზაძის უწყებაში მავანმა თითოეულ „ფალკონში“ რამდენიმე ათასი დოლარი „მოტეხა“.

მაგრამ „ბარეტის“ ისტორია ამით არ დამთავრებულა, რუსეთუმე აბაშიძის გადაბირების მცდელობის ჩაფლავების შემდეგ ამერიკელებმა აჭარის სპეცსამსახურებს „ბარეტის“ სპეციალური სნაიპერული ვაზნები აღარ მიჰყიდეს და ამბობენ, ბათუმში „ბარეტები“ უტყვიოდ იყო დარჩენილიო.

სამაგიეროდ, რუს მეგობრებს უვაზნოდ არ დაუტოვებიათ აბაშიძის არსენალში არსებული ათი სპეცავტომატი „გროზა“.

ქ. ტულაში შექმნილი რუსული სპეცავტომატი ОЦ-14 Гроза რამდენიმე მოდიფიკაციის სახით არსებობს. აბაშიძის სპეცსამსახურებს შეიარაღებაში ჰქონდათ „გროზას“ უხმაურო, სპეციალურმაყუჩიანი ავტომატის მოდელი.

ზოგიერთი ცნობით, თითოეული „გროზა“ აბაშიძის სპეცსამსახურებმა რუსეთში დაახლოებით 2 ათას დოლარად შეიძინეს.

ეს იარაღი შორი მანძილიდან სასროლად გამოუსადეგარია, თუმცა აბაშიძის სწრაფი რეაგირების რაზმის დივერსიულ ჯგუფს ეს მაყუჩიანი სპეცავტომატი ეფექტიანად შეიძლება გამოეყენებინა რომელიმე აქტის უხმაუროდ ჩასატარებლად, თუნდაც ნაკლები სიჩქარით მოძრავი ავტოკორტეჟის დასაცხრილად ან მაღალი რანგის პირის მოსაკლავად 200-300 მ-ის დისტანციიდან.

აბაშიძის არსენალის „მარგალიტები“ უკვე თბილისშია და უშიშროების სამინისტროს შეიარაღებას ამშვენებს. არც ისე დიდი დაფინანსების პირობებში, ეს სპეცსამსახურის არსენალის თანამედროვე შეიარაღებით დაკომპლექტების შეიძლება უცნაური, მაგრამ მომგებიანი გზაა.

# რამდენად გაამართლებს „ვარდების რევოლუცია“ აფხაზეთში?

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება შეშფოთებულია, რადგან უკვე გრძნობენ, რომ თბილისისა და ბათუმის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აფხაზეთის ჯერი დგება.

სოხუმის ცენტრში ანტისეპარატისტული პლაკატების გამოჩენა-არგამოჩენა — „მიშა, გვიშველე!“ და „არ გვინდა ომი, შევრიგდეთ!“ კი არ არის მთავარი, არამედ ის, რომ ოფიციალური თბილისი, შევარდნაძის ხელისუფლებისგან განსხვავებით, უფრო ოპერატიულად, აზრიანად და, რაც მთავარია, პატრიოტულად მოქმედებს, რითაც აფხაზეთში ძალით გაბატონებულ სეპარატისტულ ხელისუფლებას ბევრ მოულოდნელობას ჰპირდება.

ცალი თვალის გადავლებაც საკმარისია იმის მისახვედრად, რომ „ვარდების რევოლუციის“ მესვეურნი კვლავ ეცდებიან, გამოიყენონ მშვიდობიანი მომიტინგეების ეფექტი. ამ მხრივ კი, ყველაზე ხელსაყრელია გალის რაიონი, სადაც არაოფიციალურად ათასობით ქართველი დაუბრუნდა საკუთარ კარ-მიდამოს.

ამ ტაქტიკას ალბათ სოხუმშიც ხვდებიან, რადგანაც გალის რაიონის სოფლებში, მათ შორის ოტობაიასა და ფიჩორში, რამდენიმე ასეული შეიარაღებული სპეცრაზმელი შეიყვანეს. ისინი ჩხრეკენ სოფლის მოსახლეობას და თუ ვინმეს ქართულნომრიან ავტომობილს ან უარესი — შინ პრეზიდენტ სააკაშვილის სურათსა და ახალ ქართულ სახელმწიფო დროშას აღმოუჩენენ, სჯიან, როგორც გალის რაიონში შესაძლო „ვარდების რევოლუციის“ პოტენციურ აქტივისტს.

სწორედ გალის რაიონის ქართული მოსახლეობის ფაქტორი არის ის ძალისმიერი ბერკეტი, რომლის გამოყენებითაც სეპარატისტები ეცდებიან, სიტუაცია სათავისოდ შეატრიალონ.

ალბათ გეხსომებათ, 1998 წლის მაისში როგორ გამოიყენეს სეპარატისტებმა გალის რაიონში გამართული მარულა და ქართული დროშების ფრიალი სასტიკი სადამსჯელო ოპერაციის განსახორციელებლად.

იმის გამო, რომ აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ზუსტად ათი წლის წინ შეყვანილი რუსი „ცისფერჩაფხუტიანები“ ყოველთვის ანტიქართულ პოზიციას ადგანან, არ არის გამორიცხული, სეპარატისტთა ხელისუფლებამ დახვრიტოს მშვიდობიანი მომიტინგეები, თუკი ისინი სააკაშვილის სურათებით გამოვლენ გალის ქუჩებში. ანუ აფხაზ სეპარატისტთა ხელისუფლებას შეუძლია გააკეთოს ის, რაზეც არ წავიდა არც შევარდნაძის რეჟიმი და არც აბაშიძის კლანი.

ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ოფიციალურმა თბილისმა და აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოს „ვარდების რევოლუციის“ ტექნოლოგიაში.



**ჰაუბიცებმა Д-30-ებმა სოხუმი არაერთხელ დაიცვეს მოწინააღმდეგის შეტევებისგან**

# მივიწყებული ქართული არტილერია

## ომს სპეცრაზმები არ იგებენ, მას „ომის ღმერთი“ — არტილერია იგებს!

26 მაისს თბილისში დაგეგმილია გრანდიოზული სამხედრო აღლუმის გამართვა. კარგა ხნის შესვენების შემდეგ გამოიყვანენ საბრძოლო ტექნიკას, მათ შორის იქნება მრისხანე საარტილერიო დანადგარებიც. მნახველს ალბათ თვალს მოსჭრის ახალშეღებილი ჰაუბიცები და სარაკეტო დანადგარები, მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათია, რადგან არტილერია ბოლო წლებში ყველაზე მივიწყებული ჯარების გვარეობა იყო და პრიალა ზედაპირის იქით სხვა რამეც არის გასაკეთებელი.

ქართულ არტილერიას რომ არ ემარჯვა, აფხაზები და რუსები სოხუმს ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ კი არა, სამ-ოთხ თვეში აიღებდნენ. სოხუმი მხოლოდ მას შემდეგ დაეცა, რაც „მსოფლიო დონის“ ქართველმა პოლიტიკოსებმა ქალაქის დამცველი არტილერია რუსული სადესანტო გემებით ფოთში გაიტანეს და თანაც თითოეულ რეისში რუს მეზღვაურებს 10 ათასი დოლარი ჩაუთვალეს.

ისტორიიდან ბევრი რამის გახსენება შეიძლება, თუნდაც იმისა, თუ როგორ ჩაახშო ცეცხლში ქართულმა არტილერიამ სეპარატისტების წინასაახალწლო (1993 წ) და 15-16 მარტის ფართომასშტაბიანი შემოტევები სოხუმზე და ეს დღეები სეპარატისტებს გლოვის დღეებად ექცათ...

მაგრამ რას მოგვცემს წარსულის გახსენება... ქართული არტილერია დღეს ძალზე სავალალო მდგომარეობაშია. შეიძლება მისი დიდების მზის ჩასვენება მაშინ დაიწყო, როდესაც უმაღლესი მთავარსარდლის რეზერვის საარტილერიო ბრიგადის სტატუსი ჯერ საარტილერიო პოლკამდე, ხოლო შემდეგ თვით საარტილერიო დივიზიონამდე ჩამოქვეითდა.

დაბალი ხელფასის ამარა და უყურადღებოდ დარჩენილ პროფესიონალ და რამდენიმე ომგამოვლილ არტილერისტს კი ოჯახები ჰყავდათ სარჩენი და ისინიც იძულებულნი ხდებოდნენ, თავდაცვის სამინისტროს საარტილერიო ნაწილებიდან ამა თუ იმ ძალოვანი სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმებში გადასულიყვნენ, სადაც ორ-სამჯერ მეტ ანაზღაურებას იღებდნენ, ოღონდ სულ სხვა პროფესიით მუშაობდნენ.

ასე კარგავდა წლების განმავლობაში პროფესიონალურ კადრებს ქართული არტილერია, ხოლო თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში მომზადებულ ახალგაზრდა ოფიცრებს არ ჰქონდათ საშუალება, რეალური საარტილერიო გასროლები განეხორციელებინათ, რადგან საქართველო ნორმალური საარტილერიო პოლიგონების გარეშეა დარჩენილი (ახალციხეში, ორფოლოს პოლიგონის მცირე ფართობი არ იძლევა შორს სროლაში ვარჯიშის საშუალებას).

**ჩვენი დოსიე:** *იმის გამო, რომ საქართველო მონაწილეობს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებაში და, შესაბამისად, ყოველწლიურად აწვდის ინფორმაციას თავისი შეიარაღების შესახებ, შეგვიძლია მკითხველს გავაცნოთ (მით უმეტეს, რომ ყველა ეს საარტილერიო სისტემა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერაა გადმოცემული), თუ 100 მმ მსხვილი კალიბრის რა კლასისა და ტიპის საარტილერიო სისტემებს ფლობს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. სულ ქართული არმიის შეიარაღებაშია 110 ერთეული 100 მმ-ზე მსხვილკალიბრიანი შემდეგი საარტილერიო დანადგარები და სისტემები: 152 მმ კალიბრიანი 3 ერთეული ქვემეხი 2А36 Гиацинт-Б; 11 ერთეული ჰაუბიცა 2А65 МСТА-Б; თითო თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С19 МСТА-С, 2С3 Акация (122 მმ კალიბრიანი) და 2С7 Пион-ი (203 მმ კალიბრიანი); 60 ერთეული 122 მმ კალიბრიანი ჰაუბიცა Д-30; 17 ცალი 120 მმ კალიბრიანი ნაღმსატყორცნი M120 და 16 ერთეული 122 მმ კალიბრიანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21 Град-ი.*

*ამას შეიძლება დაემატოს შარშან, ჩეხეთიდან ფოთში ჩამოტანილი 2 ცალი 152 მმ კალიბრიანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი DANA და ოთხი ცალი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა RM-70.*

*ბუნებრივია, რომ ქართული არმიის შეიარაღებაშია გარკვეული რაოდენობის 100 მმ-იანი და მასზე მცირე ზომის სხვადასხვა დანიშნულების ქვემეხი და ნაღმსატყორცნი.*

პრობლემად რჩება სტრუქტურა, რის მიხედვითაცაა განაწილებული ქართული არტილერია — ცალკეული შერეული საარტილერიო დივიზიონი; საზღვაო ქვეითთა ბრიგადის შერეული საარტილერიო დივიზიონი; მე-11 და 21-ე ბრიგადების შერეული საარტილერიო დივიზიონები და ეროვნული გვარდიის შერეული საარტილერიო დივიზიონი.

როგორც ხედავთ, ყველა საარტილერიო დივიზიონს წინ უძღვება დასახელება — შერეული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დივიზიონების შეიარაღება შერეული ტიპისაა და მოიცავს როგორც ქვემეხებს და ჰაუბიცებს, ისე ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემებს. არადა შერეული საარტილერიო დივიზიონების მიერ ცეცხლის მომზადება, მართვა და წარმოება ძალზე გაძნელებულია, რადგან საარტილერიო ცეცხლის წარმოების ტაბულა სხვადასხვა სახეობისთვის სხვადასხვაა. ამასთან, ჭირს სხვადასხვა კალიბრის და ტიპის ჭურვების მიწოდება საცეცხლე პოზიციაზე.

ზემოხსენებული პრობლემები ერთ დღეს არ შექმნილა, ისინი წლების განმავლობაში გროვდება და რა უცნაურიც არ უნდა იყოს, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელობა ყოველივე ამას ამერიკელ სამხედროთა რეკომენდაციებით ამართლებდა. თუმცა ძნელი დასაჯერებელია, პროფესიონალ ამერიკელ გენერალს ერჩია თავისი კოლეგისთვის, არტილერია დაჭერით და მხოლოდ სპეცდანიშნულების რაზმების იმედად იყავითო.

ამჯერად არ გამოვეკიდებით თითოეულ იმ მაღალჩინოსან სამხედროს, ვისი ხელიც ურევია ქართული არტილერიის მრისხანე ძალის შესუსტებაში. გვინდა ახალმა ხელისუფლებამ ისეთივე ყურადღება დაუთმოს არტილერიის აღორძინებას, როგორსაც სამხედრო ავიაციას უთმობს.

აუცილებელი ხომ არ არის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მაინცდამაინც ჰაუბიცა გაასროლინონ ან „გრადის“ რაკეტების ზალპი გააშვებინონ, რომ ხელისუფლებამ ქართული არტილერიაც შეიყვაროს?!

**Пион-ი ქართული არტილერიის ყველაზე შორსმსროლელი (37 კმ) საშუალება შეიძლება გახდეს, თუკი ხელისუფლება მას გაარემონტებს და შესაბამის ჭურვებს იყიდის**



***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

მალე! ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალი“! — „კვირის პალიტრისაგან“

# ერთიანად გაბურძგნილებს ავი მზერა ჰქონდათ



მთელი კვირა თოვდა. დასაწყისში დღეში ორჯერ თოვლავდნენ სახლებს. მერე თოვლი ისევ სახურავს რომ გაუსწორდა, ამასაც თავი ანებეს და ახლა ჭერის ყოველ გაჭრიალებაზე, ემანდ არ ჩამოინგრესო, გულები უსკდებოდათ სახლში მყოფთ. ამათ კიდევ რა უჭირდათ, სახლი ახალი აშენებული იყო. გივი და მისი ბიძაშვილი ელგუჯა ამ ზაფხულს ჩამოსახლდნენ დაბლა, ვაკეში, თორემ სოფელი ჯერ კიდევ ზემოთ, აქედან ორ კილომეტრში თივის ბულულებივით აჰკვროდა ფერდობს. აბა, იქ იქნებოდა ახლა გასაჭირი! ყოველ დილით ითვლიდა გივი სახლებიდან ამომავალ კვამლის სვეტებს. ჩვიდმეტი სვეტი ადიოდა ჰაერში. გივის ერთდროულად უხაროდა და უკვირდა კიდეც, ეს იმას ნიშნავდა, რომ ძველი სახლები ჯერჯერობით უძლებდნენ. მერე თოვაც შეწყდა. ცოტა დათბა კიდეც და სწორედ მაშინ იყო, დილაადრიან კივილმა რომ წამოყარა გივის ჯალაბი. მათი ძველი მეზობლის, გრიგოლ მებონიას სახლი (გვარ-სახელები აქ და შემდგომში შეცვლილია) ჩაქცეულიყო და დედაბუდიანად ამოეჟლიტა დიდ-პატარა. არადა, ძველი მეზობლები ამ ზაფხულს აქეთ ჩამოსახლებას აპირებდნენ, მაგრამ...

დილით გასულებმა საღამოთი ძლივს ააღწიეს სოფელში გივიმ და ელგუჯამ. ღამღამობით ყინავდა და თოვლზე სიარული შეიძლებოდა საღამოდან მეორე დღის შუადღემდე. თუმცა გზები მაინც არ იყო სანდო და მოპატიჟეც არსად გაუგზავნიათ. კვირას აპირებდნენ უბედურების დაკრძალვას. შაბათ საღამოს კი ისევ განახლდა თოვა. ამჯერად უფრო ხვავრიელად ბარდნიდა.

— თუ არ გადაიღო, ხვალ სოფელში ველარ ავალთ. რა ღვთისწყრომაა, ამ საცოდავების დაკრძალვა მაინც ეცლია! — თავისთვის ბუტბუტებდა გივი და მალიმალ იყურებოდა ფანჯარაში.

— მასპინძელო, ეჰეი, მასპინძელო! გამოიხედეთ ვინმემ! — ვიღაცის ხმა სიბნელიდან ვედრებასავით ისმოდა.

— ისეთი რა გაუჭირდა ამ კაცს, ჩვენი სოფლის გზას რომ დასდგომია. ჩვენებური არ უნდა იყოს. ზურიკო, შვილო, ცეცხლს შეუკეთე, შეციებული იქნება, გავათბოთ.

გივიმ კართან მიირბინა, ფართოდ გამოაღო და სახლში შეიპატიჟა უცნობი.

ისინი ორნი იყვნენ. შეციებულებს არ ჰგავდნენ, მაგრამ დაქანცულები რომ იყვნენ, აშკარა იყო. ერთხანს სულის მოთქმა აცალეს. მერე კი მასპინძელმა სუფრის გაშლა ბრძანა.

— სახერხს ზემოთ გვინდოდა ასვლა ერთ ჩვენს ნათესავთან, მაგრამ ეტყობა, გზა აგვერია. თუ ღამეს გაგვათევინებთ, მადლობელი დაგრჩებით. დილით კი ადრე გაგეცლებით.

— ღამესაც გაგათევინებთ და ვიდრე გზები არ გაიხსნება, არსად გაგიშვებთ. თუმცა, ასეთ დროს რომ კაცი გზას დაადგება, რაღაც დიდი საქმე უნდა ჰქონდეს... აბა, ზურიკო, ჩამოასხი არაყი. ცოტა გახურდებიან სტუმრები — ისევ უფროს ვაჟს გასძახა გივიმ და პური გატეხა.

— სწორად მიგვიხვდით. საქმე მართლაც გადაუდებელია, მაგრამ ამაღამ ალბათ ზემოთ ვერ ავაღწევთ, — უხეიროდ გაიღრიჭა ერთი სტუმართაგანი.

— თქვენ რომ ადგილს ასახელებთ, იქამდე თხუთმეტი-ოცი კილომეტრი მაინც იქნება. ვიდრე იქ ახვალ, ორჯერ მოივლი რაიონს. რა გაჭირვებაა, ამაღამ დაისვენეთ, დილით კი თუ გზა და ამინდი იქნება, არ დაგაკავებთ, — შინაურულად გაებაასა მოსულებს. არაყი დაასხა და მშვიდობის სადღეგრძელო დალია. წესი იყო და რიგი, ახლა სტუმრებს თავიანთი ვინაობა და სადაურობა უნდა ეთქვათ. თავაზიანი მასპინძელი ამ კითხვას არ დასვამდა, მაგრამ ამათ ეტყობოდათ, რომ თავის გამხელას არ აპირებდნენ. ბაიყუშებივით ისხდნენ და ილუკმებოდნენ. ორივეს წვერი ჰქონდა მოშვებული და ვიდრე ქუდები არ მოიხადეს, თვალებიც არ უჩანდათ. ახლა ერთიანად გაბურძგნილებს მხოლოდ თვალები უჩანდათ, მაგრამ ისეთი ავი მზერა ჰქონდათ, გულმა რეჩხი უყო გივის.

„საეჭვო ხალხი ჩანს. ან დიდი გაჭირვება აქვთ, ან რაღაც ვერაგული ჩანაფიქრი. კიდევ კარგი, ელგუჯას არ მიაკითხეს. იქ ბაბუის დანატოვარი იმდენი სიმდიდრე აქვთ, ძნელად თუ წარმოიდგენს ვინმე, თან ამ მივარდნილ სოფელში ამის დაჯერებაც კი ძნელია. მაგრამ ელგუჯა ყველა მეზობლის ხელის გამმართავია და როგორც ჩანს, არავინ გაიმეტა, თორემ აქამდე მეც არ დამტოვებდნენ დაუყაჩაღებელსო — გაიფიქრა გივიმ და თავის ცარიელ სადგომს მოავლო თვალი, — ნეტავ რა საქმე ჰქონდათ ამ შეჩვენებულებს? ახლა მგელიც არ დადის გარეთ...“ — კიდევ ერთხელ შეათვალიერა სტუმრები და გამყივანმა კივილმაც გადასერა მათი ეზო-კარი. ძაღლიც გამალებით ყეფდა.

— ელგუჯასთან უჭირთ. ჩქარა, თოფი! — ელვასავით წამოიჭრა ფეხზე. ოთახების ტიხრის ერთ-ერთ ფიცარს ხელი ჰკრა. ფიცარი ერთბაშად შემოტრიალდა და მასზე შიგნითა მხრიდან დაკიდებულმა კარაბინმა და სავაზნეებმა ლამპის შუქზე ისე გაიელვა, მოსულებს თვალები აუციმციმდათ. არც მათ დაუყოვნებიათ — ზეწამოიჭრნენ და წამში ორივეს ნაგანი ეპყრა ხელთ. გივიმ იფიქრა, იარაღიან სამ კაცს რა ძალა მოგვერევაო და ის იყო, მადლობის გადახდას აპირებდა, რომ ერთ-ერთმა საფეთქელზე მიაბჯინა იარაღი და თოფის ძირს დაგდება მოსთხოვა მასპინძელს.

— კი, მაგრამ კაცს უჭირს... — ჩაილუღლუღა დაბნეულმა გივიმ და ამ დროს ელგუჯას ეზოში იარაღმა იქუხა, რასაც ბიძაშვილის ნაგაზის წკავწკავი მოჰყვა და წამის შემდეგ მიყუჩდა.

— ძაღლი მოკლეს. აქაც მოგვაგნეს... — როგორც იქნა, მიხვდა, რაც ხდებოდა და ძალაწართმეული ჩამოჯდა დივანზე...

მეორე დღეს გაიგეს, რომ ყაჩაღები ხუთნი ყოფილან. აქედან სამი ელგუჯას მიადგა, ორი კაცი კი მის ერთადერთ მეზობელთან შეუშვეს საგანგებოდ. ყაჩაღებმა ელგუჯას სახლიდან ნაძარცვს გივის ერთადერთი ღირებული ნივთი, კარაბინიც მიუმატეს და მდინარისკენ დაეშვნენ. ეტყობა, ესეც წინასწარ ჰქონდათ მოფიქრებული — თავთხელი გვარიანად იყო გაყინული და ტვირთიან მგზავრებს ფეხქვეშ აღარ ჩაუტყდებოდა. სოფელი მაინც სოფელია და დახოცილი ხუთი კაცის დაკრძალვის დღეს მთავარი თემა მაინც წინა ღამის ყაჩაღობა იყო და ვინ იცის, რა ჭორი აღარ მიაკერეს. ზოგნი ამბობდნენ, ელგუჯას სარდაფში ორი ტომარა ოქრო უპოვიათ ბანდიტებს, მერე გაყოფაზე ჩხუბი მოსვლიათ, ერთმანეთი დაუხოცავთ და ამჯერად ოქროს პატრონს ეძებს მილიცია, მაგრამ ელგუჯა გაიძახის, ჩემი არააო. ეშინია, რომ წამოიღოს, ახლა სხვები მომადგებიანო. მეორენი ამტკიცებდნენ, ოქროს ტომრები კი არა, ოქროს უნაგირი და ქამარ-ხანჯალი უნახავთ და იმისთვის დაუხოცავთო ერთმანეთი. ასე იყო თუ ისე, ფაქტია, ყაჩაღებმა ამ მიყრუებულ სოფელშიც შეაღწიეს და იმ დღეს იქაურებმა პირველად იწვნიეს სამოქალაქო ომისა და ქვეყანაში გამეფებული განუკითხაობის სიმწარე.

კარაბინმა და სავაზნეებმა ლამპის შუქზე ისე გაიელვა, მოსულებს თვალები აუციმციმდათ. არც მათ დაუყოვნებიათ — ზეწამოიჭრნენ და წამში ორივეს ნაგანი ეპყრა ხელთ. გივიმ იფიქრა, იარაღიან სამ კაცს რა ძალა მოგვერევაო და ის იყო, მადლობის გადახდას აპირებდა, რომ ერთ-ერთმა საფეთქელზე მიაბჯინა იარაღი და თოფის ძირს დაგდება მოსთხოვა მასპინძელს.

## „კვალი ნათელი“

გივი ტურავას ის ადარდებდა, პაპამისის დანატოვარი „ბერდენკა“ რომ წაართვეს, მაგრამ რა ეთქმოდა — აგერ, ელგუჯა და მისიანები პირწმინდად გაასუფთავეს. იმათზე უარესი დღე კი მებონიებს ადგათ — რა ბედნიერები იქნებოდნენ, ცოცხლები, თუნდაც გაძარცულები რომ გადარჩენილიყვნენო, ფიქრობდა. მართლაც, ამ უბედურებასთან თოფის დაკარგვა რა სახსენებელი იყო, მაგრამ ოჯახის რელიკვია და იმედი გახლდათ. ახლა, თოვლი რომ გაიყინა, მგლები დაბლა ჩამოვიდნენ და ყოველღამე ეზო-ეზო დასუნსულებენ, როგორღა დააფრთხობს? მერე კიდევ, იმ თოფის გაფორმებისას ლამის ჯვარს აცვეს. ჯერ ის ამტკიცა, ოჯახური რელიკვია რომ იყო. მერე ის, რომ არც თვითონ იყო გიჟი და არც ოჯახში ჰყავდა ვინმე გადარეული. ორი-სამი წელიწადი შეალია ამ საქმეს. გუშინწინ კი ბორკილები დაადეს და მილიციაში მიაბრძანეს — იმ თოფით კაცი მოგიკლავს და პასუხი უნდა აგოო. ესაა სამართალი?! ბევრი იყვირა, ის თოფი ზამთარში ყაჩაღებმა წამართვეს, მაშინ ჩემი ბიძაშვილი ელგუჯაც დააყაჩაღეს და ყველაფერი წაართვეს, მთელი სოფელია მოწმე. მებონიების დაკრძალვის ღამეს მოხდა ეს ამბავიო, მაგრამ ვინ დაუჯერა?! როცა სოფელში მოიკითხეს, ყველამ ერთი და იგივე გაიმეორა.

— ეგ ამბავი გივისგან ვიცით, საკუთარი თვალით არაფერი გვინახავსო. ელგუჯამაც იგივე ჩვენება მისცა, — მეც გივიმ მიამბო. მე კი არც უფრო დავრწმუნდი ამაშიო, მაგრამ გამომძიებელი ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნას აფრიალებდა — დანაშაულის კვალი აშკარაა და შენკენ მოდის. აი, საბუთი, ნასროლი ტყვიის გულაც და მასრაც შენი თოფით ნასროლის იდენტურია და კარტოთეკა არა ცდებაო. მამაცხონებულებო, განა მე ვამბობ, ცდება-მეთქი, მაგრამ მთავარი ისაა, თოფი ვინ ისროლა. მე ძალიანაც რომ მნდომოდა, ამას ვერ ჩავიდენდი, რადგან ჩემი „ბერდენკა“ ჯერ კიდევ ზამთარში წამართვეს. ამის გაგონება კი არ გინდათ, დაბალი ღობე მნახეთ და მეტი არაფერი.

ერთი სიტყვით, ორი თვე ტყუილად ახეხინეს წინასწარი დაკავების საკანი, მერე ვიღაც მადლიანმა მოჰკიდა საქმეს ხელი და სწორ კვალსაც დაადგა. მკვლელობა სამოქალაქო დაპირისპირების ნიადაგზე იყო მომხდარი და გივი ტურავა არაფერ შუაში იყო. რა ძნელი დასადგენი ეს იყო, მაგრამ უგულო და ზარმაცი რომ იქნება კაცი, უარესსაც დაგმართებს. ახალმა გამომძიებელმა საქმე გადაიბარა თუ არა, მეორე დღესვე გაათავისუფლეს დაკავებული. ღმერთმა უშველოს, თორემ საკანში იმდენი მკბენარი დაესია, ალბათ ველარ გაუძლებდა. გაუშვეს, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და რამდენჯერმე მაინც მიაკითხა თავის კეთილისმყოფელ გამომძიებელს. იმ ხალხის ვინაობა აინტერესებდა, ვინც მკვლელობა ჩაიდინა. ძალიან უნდოდა ენახა, როგორი თვალები ექნებოდათ მკვლელებს, რადგან არც ერთი აღარ ახსოვდა. დიახ, ნახვა უნდოდა მათი, თორემ მას შემდეგ რაც მოხდა, ახლა კარგად იცოდა...

...გივი ტურავას „ბერდენკა“ წილისყრის შემდეგ ანზორ კაკაჩიას ერგო. არადა, იარაღის ნაკლებობას სულაც არ უჩიოდნენ, მაგრამ თოფი

ბევრი იყვირა, ის თოფი ზამთარში ყაჩაღებმა წამართვეს, მაშინ ჩემი ბიძაშვილი ელგუჯაც დააყაჩაღეს და ყველაფერი წაართვეს, მთელი სოფელია მოწმე. მებონიების დაკრძალვის ღამეს მოხდა ეს ამბავიო, მაგრამ ვინ დაუჯერა?!

იმდენად კარგი ნამუშევარი იყო, რომ ყველას უნდოდა მისი მისაკუთრება. ანზორიც ამის გამო შეიძულეს და რაკი ამ ყაჩაღური ჯგუფის წევრები სამშობლოსთვის გულანთებულ პატრიოტებად ასაღებდნენ თავს, მოწინააღმდეგესთან ყველაზე უფრო სარისკო შეტაკებებში წინა ხაზზე ყოველთვის ანზორს აგზავნიდნენ — მაგის თოფი კარგად ისვრის მიზანშიო და იმ დღესაც ამ საბაბით სნაიპერის ფუნქცია დააკისრეს.

გიგი ქარდავა მოწინააღმდეგე მხარის ბანაკში ბატალიონს მეთაურობდა და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა. დასახოცთა სიაში მუდამ იგი პირველობდა. გიგის დაფიცებული ჰქონდა, განსხვავებული შეხედულებებისთვის ჩვენიანის სისხლს არასდროს დავღვრიო და თვითონ არ ესხმოდა თავს მოწინააღმდეგეს. როცა შემოუტევდნენ, მაშინაც არ ესროდა. უბრალოდ, იგერიებდა მომხდურთ და თავის მებრძოლებსაც იმავეს ავალებდა. ეგ იყო, მაროდიორებს არ წყალობდა — არც საკუთარს, არც სხვისას. ეს ყველამ იცოდა, მაგრამ იმნაირებს, როგორიც ანზორ კაკაჩია და მისი მეგობრები იყვნენ, მეტისმეტად აღიზიანებდა ამ ახალგაზრდა კაცის თავგადაკლული მეცადინეობა — სამეგრელო მაროდიორებისგან უნდა გავწმინდოოო და მისი თავიდან მოშორებაც ამიტომ გადაწყვიტეს. თუმცა ადვილი როდი იყო გიგის მოხელთება და მასთან ანგარიშის გასწორება. ამიტომ ჯერ გიგის ბავშვობის მეგობარი და თანამებრძოლი კოტე ჭითანავა მოისყიდეს და დაავალეს, როგორღაც ქალაქის გარეუბანში გამოიყვანეო. მერე იქ მცხოვრები თავიანთი ნაცნობის, ოთარ გვილავას სახლში ჩასაფრდნენ. იმ საღამოს წვიმდა და გვარიანად ციოდა. ამასთან, არც იმის გარანტია იყო, რომ მაინცდამაინც ამ ღამესვე მოიხელთებდა მსხვერპლს კოტე ჭითანავა. მაინც, ნაცნობი მანქანის სათვალთვალოდ, რომელსაც შორიდან შუქფარების საშუალებით უნდა ეცნობებინა ამის შესახებ, ერთი კაცი დასვეს აივანზე და სახელდახელოდ გაშლილ სუფრას მიუსხდნენ. იმ ღამით მანქანა არ გამოჩენილა. სტუმრები გვიანობამდე ქეიფობდნენ. მერე, როცა სახლის პატრონი დარწმუნდა, ესენი წასვლას არ აპირებენო, ერთ-ერთ მათგანს შეაპარა: უკაცრავად კი ვარ, მაგრამ რა საქმეზე ხართ მოსულიო, — იმანაც არყით ამღვრეული გონება ველარ მოთოკა და წაიტრაბახა, — ამ დღეებში აქ ერთი ახალგაზრდა კაცი უნდა მოვკლათო. აბა, ამგვარი „საიდუმლო“ ენაზე ვის დაადგებოდა და ქალაქის განაპირა დასახლებაში ერთთავად ამაზე ჩურჩულებდნენ. მეტიც, მეორე ღამეს მასპინძლის ცოლი გააფრთხილეს: — არ შეგეშინდეთ, ამაღამ დიდი სროლები იქნებაო. თერთმეტი იყვნენ ერთი კაცის წინააღმდეგ — ასე მხოლოდ ტურები იქცევიანო, — ფიქრობდა გივი ტურავა და გამომძიებელს ინტერესით უსმენდა.

იმ ღამით მკვლელები გვილავასთან აღარ დარჩენილან, — პოზიციები შეარჩიეს და გზის მარჯვნივ და მარცხნივ სამალავებში ჩასხდნენ...

კოტე ჭითანავამ მხოლოდ მეორე დღეს იპოვა თავისი ბავშვობის მეგობარი და მისივე ბატალიონის უფროსი გიგი ქარდავა.

— უფროსი კი ხარ, მარა ერთი სათხოვარი მაქვს და უარი არ უნდა მითხრა, ხომ იცი?

— ვიცი, ვიცი, შენ თუ უარი გითხარი, სხვას რაღაში გამოვადგები. ბრძანე და მიმსახურე... — იყო პასუხი.

— ჩემი დეიდაშვილი რომაა, არველოდი სიჭინავა, მაგისთვის მართვის მოწმობა წაურთმევია ავტოინსპექტორ ღურწკაიას და ვიცი, მე არ მომცემს. შენ კი ვერ გეტყვის უარს. მეცი პატივი და წამომყევი. იცოდე, არ დაგივიწყებ.

— აბა, რას ამბობ. რა საქმე ეგაა, მაგაზე როგორ დაგზარდები, წავიდეთ.

— ბარემ იმ ჩემს დეიდაშვილსაც წამოვიყვან. ღურწკაიამ რომ გვითხრას, მომიყვანეთო, უკან დაგვჭირდება დაბრუნება. სულ ათი წუთი დაგვეხარჯება, მეტი არა.

— ერთი საათი იყოს, ბატონო, არ გამადლი...

როგორც კი მჭიდრო დასახლებას გასცდნენ და ბოლო მოსახვევიც უკან მოიტოვეს, საჭესთან მჯდომი ჭითანავა ყასიდად აყვირდა — აგერ, კურდღელი, კურდღელიო და მაშუქები ისე აციმციმა, თითქოს კურდღლის დაბნევას ცდილობსო. ეს იყო ის ნიშანი, რითაც მკვლელებს ამცნო, მოვდივარ და მანქანაში მსხვერპლი მიზისო. გიგის არ გამოჰპარვია ჭითანავას ყალბი მანევრი, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. გულში იფიქრა, უკბილოდ იხუმრაო და ის იყო, თავის მხარეს სიბნელეს გახედა, რომ თოფმა იქუხა, თუმცა მათი მისამართით არ უსვრიათ. ჰაერში წითლად გავარვარებულ ტყვიასაც კი მოჰკრა თვალი. — მიაწექი! — უყვირა მეგობარს. ეს, რა თქმა უნდა, წამის რაღაც მონაკვეთში მოხდა. კოტემ კი მიწოლის ნაცვლად კარი გააღო და მიმავალი მანქანიდან გადახტა. რას აკეთებო, უღრიალა გიგიმ და იარაღზე გაიკრა ხელი. ამასობაში, მანქანამ ინერციით რამდენიმე მეტრი გაიარა და მარჯვნიდან ისევ ისროლეს. ეს „სნაიპერი“ ანზორ კაკაჩია გახლდათ. გივი ტურავას ბაბუის ნაქონი ულალატო „ბერდენკიდან“ ისროლა და მიზანსაც უწია. წამიც და გზაზე დაგებული ნაღმი აფეთქდა. მანქანა ჯერ ჰაერში ავარდა, მერე ცეცხლის ალში გაეხვია, გადატრიალდა და ხრამში გადაიჩეხა.

P.S. გიგი ქარდავას მკვლელობის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმე რამდენჯერმე დაიხურა და დაღუპულის ახლობლებისა და სამეგრელოს მოსახლეობის დიდი მცდელობის შედეგად იმდენჯერვე განახლდა. ამის გამო მკვლელობიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შედგა სასამართლო, რომელმაც მკვლელების ექსკაციან ჯგუფს უმკაცრესი სასჯელი არგუნა. დანარჩენებმა კი სასამართლომდე მიაბარეს უფალს სული.

გივი ტურავას თოფი დაუბრუნა გამომძიებელმა, მაგრამ „ბერდენკის“ შინ წაღება აღარ ისურვა. გამვლელ ტრაქტორს შეუგდო მუხლუხებქვეშ და წამიც და მართლაც სამუზეუმო თოფი ჯართად იქცა.

რომელიღაც გამვლელს უკითხავს, ასე რად მოიქეციო და გივისაც უპასუხია, — მაგ თოფით შესანიშნავი ახალგაზრდა მოკლესო.

ვაჟა გავაშელი

# სკანდალი შეთანხმებით დასრულდა?!

## „განათლების სისტემაში ქრთამი წელიწადში 18.000.000 ლარს აღემატებოდა!“

(დასაწყისი იხ. გვ. 4)

ერთში დარწმუნებული ვარ: ვერ დაგვაბრალებენ კორუმპირებულობას, არაქმედუნარიანობას, არათანამიმდევრულობას... მათ საყურადღებოდ მინდა ვთქვა: ვერანაირი შანტაჟი, ვერანაირი ისტერიკა და ულტიმატუმები ვერ გადაგვახვევინებს იმ გზიდან, რომ კორუფცია საგანმანათლებლო სისტემაში ამოვშანთოთ და ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემა დავაყენოთ ევროპული ტიპის რეფორმების გზაზე. ამას ნამდვილად შევძლებთ. ასე რომ, ამაოდ დაშვრნენ ოპონენტები.



**— როცა თქვენ ევროპული ტიპის რეფორმებზე ლაპარაკობთ, მოიაზრებენ გლობალიზაციას და შიშობენ, რომ ამას ყველაფერი ეროვნული შეეწირება.**

— საქართველო ტრადიციულად მუდამ მიისწრაფოდა ევროპული რეფორმებისკენ. ქართული მოწინავე აზრი ყოველთვის იყო ორიენტირებული ევროპის კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცისაკენ. ეს ჩემი მოგონილი კი არ არის, ეს ის გზაა, რომელიც ერს ილიამ დაუსახა. ჩვენ ამ გზას თანმიმდევრულად მივყვებით და ლოგიკურად მივალთ დასახულ მიზნამდე. შინაარსით კი, ყველა ევროპული საგანმანათლებლო სისტემა ეფუძნება თავის ეროვნულ მიღწევებს, ჩვენც არ ვიქნებით გამონაკლისი. ნებისმიერი განვითარებული ევროპული ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა თავისი ერის კულტურული ფესვებიდან საზრდოობს, ლიტერატურულ შედევრებს ეყრდნობა. ჩვენ კი არ შევამცირებთ, გავზრდით სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლებას, გავზრდით ჰაგიოგრაფიული ძეგლების რაოდენობას სასკოლო პროგრამაში, მაგრამ ჩვენი მიზანია, რომ ბავშვებს შევაყვაროთ იგი, დავაინტერესოთ. ამიტომაც უნდა შეიცვალოს სწავლების მეთოდიკა. ის მეთოდიკა, რომლითაც დღეს ვასწავლით ისტორიასა და ჰაგიოგრაფიას, არის არა შეყვარების, არამედ შეძულების რეცეპტი. ამიტომ ვამბობთ, მასალის მოცულობას გავზრდით (ამას ვაკეთებთ კიდეც). ჩვენ აუცილებლად შევიტანთ საქართველოს ისტორიას VIII კლასშიც, როცა თორმეტწლიან სწავლებაზე გადავალთ, XII კლასშიც გვექნება ეს საგანი, ანუ V–XII კლასში საქართველოს ისტორიის ვრცელ კურსს გავივლით. ამავე დროს სწავლების მეთოდიკა იქნება თანამედროვე, რომელიც დაეყრდნობა მასალის გაგებას და არა ზუთხვას, გათვალისწინებული იქნება მოზარდის ასაკი, ფსიქოლოგიური თავისებურებანი. რასაც ჩვენ მოზარდს შევასწავლით, იქნება ეს ისტორია თუ ლიტერატურა, თავისი არსით დაფუძნებული იქნება ქრისტიანულ საწყისებზე და ამასთან, დაეხმარება მას, გაერკვეს თანამედროვე სიტუაციებში. გაუგებარი ტექსტის ზუთხვა — შეძულების რეცეპტია, შეძულების რეცეპტი, შეყვარების რეცეპტით უნდა შევცვალოთ.

**— ბატონო კახა, ჩვენ ვესაუბრეთ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრებს. ისინი აღშფოთებულნი იყვნენ ხელშეკრულების გამო, რომელიც ხუთი წლის წინ განათლების სამინისტრომ დადო „პროქტორ ენდ გემბელთან“, თვლით თუ არა, რომ ეს მცდარი ნაბიჯი იყო?**

— ყველა ფირმა ცდილობს თავისი პროდუქციის გასაღებას. ამაში ვერ დაადანაშაულებ. თუკი განათლების სამინისტროში მათ ხუთი წლის წინ თანამოაზრეები იპოვეს, რომლებიც სკოლის კარს გაუღებდნენ, ბუნებრივია, გამოიყენებდნენ ამ შემთხვევას. ჩემი ღრმა რწმენით, სკოლა არ არის სარეკლამო მოედანი, სადაც ყიდვა-გაყიდვა უნდა გაჩაღდეს. ხაზგასმით ვამბობ: ფირმების საწინააღმდეგო აბსოლუტურად არაფერი მაქვს, მაგრამ მათი სკოლაში შეშვება დაუშვებელია. თუკი აქ ერთ ფირმას შეუშვებ, რატომ არ უნდა შეუშვათ მეორე, მესამე? სკოლა არამც და არამც არ უნდა გახდეს რეკლამების სადემონსტრაციო ობიექტი. რაც შეეხება ხელშეკრულებას, მისი ვადა ოქტომბერში იწურება. იგი დროზე ადრე რომ შევწყვიტოთ, ამას შეიძლება საერთაშორისო სკანდალი მოჰყვეს. მომავალ სასწავლო წელს თვე-ნახევარს კიდევ მოვითმენთ, ამის შემდეგ კი არავითარი ხელშეკრულება არ გახანგრძლივდება. მათი რეკლამა ტელეეთერში ტრიალებს, პრესაში იბეჭდება. თუკი სკოლებშიც უნდათ რეკლამა, მე შევთავაზე ასეთი რამ: აღგვადგინეთ სათამაშო მოედნები, სპორტული დარბაზები და ჩვენ გავაკრავთ ფირნიშს, რომ ეს მოედანი აღდგენილია ამა და ამ ფირმის ხელშეწყობით. სხვათა შორის, ზოგიერთ ფირმას ეს მოეწონა, ვნახოთ, რა პასუხს გაგვცემენ. სკოლებში ბუკლეტებსა და სარეკლამო პროდუქციას ვერ დავარიგებინებთ, ჩემი მინისტრობის დროს ეს არ მოხდება.

*ლელა ჯიყაშვილი*

# „ჩვენ შანსს ვკარგავთ და თანაც კარგა ხნით“

## „სახიფათო იქნება ბათუმის პორტში დიდი რუსული კაპიტალის მოზიდვა...“



ჩვენი პარლამენტის მაგალითზე არ გამართლდა ანდაზა — „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“. იმდენი ქნა კობა დავითაშვილმა, რომ აჭარაში პლებისციტის ჩატარების საკითხში მემარჯვენე ოპოზიციის სახით მოკავშირე იპოვა (პარლამენტს გარეთ „იმპიჩმენტას“ შალვა ნათელაშვილი აძლევს ბანს) და ამით ძველი ოპონენტი, ჟვანია გაანაწყენა. პრემიერ-მინისტრს ოპოზიციის მოთხოვნა „უპასუხისმგებლო თავხედობად“ მიაჩნია, პარლამენტის თავმჯდომარემ კი გასულ კვირას ჩვენთან საუბრისას განაცხადა — პლებისციტის ჩატარება პოლიტიკური უგუნურება იქნებაო. თუმც იმასაც ამბობენ, სამაგიეროდ, ეს იდეა პრეზიდენტ სააკაშვილს ჭკუაში უჯდება, ოღონდ სიტუაციის მომწიფებასა და ხელსაყრელ მომენტს უცდისო.

პლებისციტის მომხრე მემარჯვენე ოპოზიციას, ბუნებრივია, არ მოეწონა გასულ კვირას პარლამენტში შეტანილი კანონპროექტი, რომელმაც საბოლოოდ უნდა გაარკვიოს აჭარის ავტონომიის სტატუსი და შენიშვნების კორიანტელი დააყენა. **დავით გამყრელიძე** რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების გარიგების საკითხზეც ალაპარაკდა. „კვირის პალიტრა“ მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერს სწორედ ზემოხსენებულ საკითხებზე ესაუბრა:

— ხელისუფლებას კანონპროექტი კი არ უნდა შემოეტანა პარლამენტში, აჭარის ავტონომიის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი უნდა დაესვა. თავის დროზეც არ არსებობდა ამ ავტონომიის შექმნის რეალური საფუძველი და მით უმეტეს, დღეს არ არსებობს. აჭარის ავტონომია არქაულ გადმონაშთად იქცა. ამიტომაც კარგი იქნებოდა, დღეს, როდესაც აჭარის მოსახლეობას საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება მიეცა, ეს საკითხი დაგვესვა. მაგრამ ხელისუფლებას რატომღაც ძალზე მძაფრი რეაქცია აქვს და ლამის კონტრრევოლუციონერებად გვრაცხავენ — პროვოკაციაა ამ საკითხის დასმაო. ჩვენ ამ საკითხზე პარლამენტში კენჭისყრას კი არა, პლებისციტის ჩატარებას ვითხოვთ. კანონპროექტი, რომელიც პრეზიდენტმა შემოიტანა აჭარის ავტონომიის სტატუსთან დაკავშირებით, ძალზე სიმბოლურია. მის თანახმად, აჭარაში ყველაფერი ცენტრალური ხელისუფლებიდან, პრეზიდენტისგან იმართება. პრეზიდენტს უფლება აქვს, დაითხოვოს აჭარის უმაღლესი საბჭო, თუკი ის სამჯერ არ დაეთანხმება აჭარის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურას.

(გაგრძელება იხ. გვ. 12)


# ქალური პრობლემების ბრძნული გადაწყვეტა

დღესდღეობით, რთული ეკოლოგიური მდგომარეობის, მუდმივი სტრესისა და დატვირთვის ეპოქაში, ჩვენს ორგანიზმს მხარდაჭერა ესაჭიროება. ამ ფაქტორების გამო, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში ქალის ორგანიზმია. ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში სერიოზული დატვირთვები, და ზოგადად, სამყაროსადმი ქალის ემოციური დამოკიდებულება გამოიხატება მენსტრუალური ციკლისა და ჰორმონალურ დარღვევებში, რომლებიც შემდგომში შესაძლოა გახდეს მასტოპათიის, ადრეული კლიმაქსის, უარეს შემთხვევაში კი, მკერდის ჯირკვლოვანი უჯრედების ავთვისებიანი გადაგვარების მიზეზი.

თანამედროვე ქალი, უმეტესწილად ფიქრობს კარიერაზე, წარმატებასა და ოჯახზე. ყველაზე ნაკლებად კი – საკუთარ ჯანმრთელობასა და მის შემანარჩუნებელ საშუალებებზე. ინფორმაცია – ქალის უმთავრესი იარაღია ყოველგვარი მოულოდნელობების წინააღმდეგ და ჩვენ, შევეცდებით ოპტიმალურად მოგაწოდოთ ეს ინფორმაცია.

დღეს, დაბინძურებული ეკოლოგიის, „ფასთ-ფუდის“ სტილის არაადეკვატური კვების, ხშირი ემოციური დატვირთვების ფონზე, ახალგაზრდა ქალის ორგანიზმში ვითარდება ჰორმონალური დისბალანსი, პრემენსტრუალური სინდრომის ტიპით. იგი ვლინდება მენსტრუაციამდე სარძევე ჯირკვლების მტკივნეული დაბერვით, შეშუპებით, თავის ტკივილით, გაღიზიანებადობით, ზოგჯერ აგრესიულობით. სიმპტომები არა მარტო ფიზიკურ დისკომფორტს იწვევენ, არამედ შეიძლება გახდეს მასტოპათიის მიზეზი, რომელსაც უფრო რთულ დაავადებებამდე მივყავართ (მათ შორის ონკოლოგიური), მეორად ამენორეამდე (მენსტრუაციის დაკარგვა), აგრეთვე უნაყოფობამდე.




პმს სინდრომის მიზეზებს ასევე ხშირად წარმოადგენენ უროგენიტალური ინფექციები, ანთებითი პროცესები, რომლებსაც საკვერცხეებში კვერცხუჯრედის მომწიფების დარღვევებსა და ჰორმონალურ დისბალანსამდე მივყავართ.

კომპანია **„შიფ“**-ის მცენარეული ექსტრაქტების, ვიტამინების, მინერალებისა და მიკროელემენტების სპეციფიკური კომპოზიცია **„პმს-ფორმულა“**, უზრუნველყოფს პრემენსტრუალური სინდრომის პერიოდში ჰორმონალური პროცესების რეგულაციას. პრეპარატმა არაერთხელ გაიარა გამოკვლევა ამერიკისა და გერმანიის კლინიკებში. **„პმს-ფორმულა“** საშუალებას მოგცემთ ეფექტურად და უსაფრთხოდ მართოთ დისჰორმონალური პროცესი. ჰიპოფიზის დონეზე ხდება პროლაქტინის სინთეზის დათრგუნვა და პროგესტერონის სინთეზის მეორადი გაზრდა. პროგესტერონისა და პროლაქტინის ადეკვატური კონცენტრაცია, სწრაფად დაუბრუნებს ქალს ნორმალურ ფიზიოლოგიურ მდგომარეობას – აარიდებს ტკივილს სარძევე ჯირკვლებში, დაარეგულირებს მენსტრუალურ ციკლს, შეამცირებს ციკლთან დაკავშირებულ თავის ტკივილებსა და გაღიზიანებადობას.



ე.წ. „ბალზაკის ასაკის“ ქალებს, რომლებსაც აწუხებთ ალები, გახშირებული გულისცემა, ოფლიანობა, არასტაბილური არტერიული წნევა, არაერთხელ დაეხმარა პრეპარატი **„მენოპაუზ-ფორმულა“**.

აღსანიშნავია, რომ პრეპარატი არაჰორმონალურია და არ ახასიათებს სხვა საშუალებების მსგავსი გვერდითი მოვლენები. ესტროგენების მიმართ მგრძნობიარე ორგანიზმში ჰიპოფიზის, ჰიპოთალამუსისა და მიომეტრიუმის რეცეპტორებთან დაკავშირებით, იგი თითქოსდა კონკურენტულ ურთიერთობაშია ესტროგენებთან. ქალური სქესობრივი ჰორმონების ნიველირებით, **„მენოპაუზ-ფორმულა“** აღადგენს ენდოკრინული ჯირკვლების ჰარმონიას, რომლის ბალანსის დარღვევასაც ასაკი ცდილობს, აიძულებს მათ ისევე აწყობილად იმოქმედონ, როგორც ახალგაზრდულ წლებში.

სხვა, არანაკლებ აქტუალურ დაავადებას ქალისთვის წარმოადგენს სარძევე ჯირკვლის კისტოზური და ფიბროადენომატოზური დაზიანება. დოქტორმა ტომ სლაგამ – სარძევე ჯირკვლის ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებში ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი – კომპანია **„შიფ“**-ის სამეცნიერო ლაბორატორიასთან ერთად შეიმუშავა ნატურალური პრეპარატი **„ბრესთ ჰელსი“**. ფორმულა უზრუნველყოფს სარძევე ჯირკვლის უჯრედების სტრუქტურის დაცვას არასასურველი სახეცვლილებებისაგან, მასში შემავალი აქტიური, ნატურალური კომპონენტებისა და მიკროელემენტების წყალობით.

ძვირფასო ქალბატონებო! გიყვარდეთ ქალი საკუთარ თავში და გაუფრთხილდით მის ჯანმრთელობას!

**ჩვენთან მოქმედებს ფასდაკლების ახალი სისტემა. აგრეთვე ფასდაკლების კუპონები მეორე ვიზიტისთვის.**

## „ჯეოვიტი“ – თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!

ჯეოვიტი
GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com

# „ჩვენ შანსს ვკარგავთ და თანაც კარგა ხნით“

(დასაწყისი იხ. გვ. 11)

პრეზიდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია დანიშნოს ან გაათავისუფლოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრებს აჭარაში თბილისიდან შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელები ნიშნავენ. ახალ კანონპროექტში ერთი ასეთი სასაცილო ჩანაწერიც ვნახე — ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენცია ბაზრებისა და ბაზრობების უფროსების დანიშვნააო. ასეთ პირობებში ეს იქნება ფორმალური ავტონომია. ამიტომაც უპრიანი იქნებოდა, თავად აჭარლებს შევეკითხვოდით, უნდათ თუ არა ავტონომია. ხელისუფლების რეაქციიდან გამომდინარე, მიჩნდება აზრი, რომ არსებობდა გარიგება რუსებთან — ისინი წაიყვანდნენ ასლან აბაშიძეს და ჩვენ არ შევეხებოდით ავტონომიის სტატუსს. მაქვს ეჭვი, რომ რუსებთან ბაზების საკითხზეც მოხდა გარიგება და მათი გაყვანის საკითხი დიდი ხნით გადაიწევს. თუ ეს ასე არ არის და რუსებთან გარიგება არ ყოფილა, რატომ არ უნდა ხელისუფლებას პლებისციტის ჩატარება? მოსახლეობას თუ ავუხსნით, რომ ავტონომიის შენარჩუნება მხოლოდ მომავალი ჩინოვნიკების ინტერესებზე ასხამს წყალს, ვფიქრობ, მათი გადაწყვეტილება ადეკვატური იქნება. საგულისხმო თემაა აჭარაში განხორციელებული რუსული ინვესტიციების საკითხიც.

**— სხვათა შორის, გასულ კვირას ექსპერტები იმაზეც მსჯელობდნენ, აჭარაში რუსული სახელმწიფო კაპიტალის შემოტანას, ჯობს იქაური კერძო კაპიტალი მოვიზიდოთო...**

— სანამ სააკაშვილი პრეზიდენტი გახდებოდა, აცხადებდა — „აზოტის“ „იტერასთვის“ გადაცემა დანაშაულიაო. კაპიტალს ეროვნული ან სახელმწიფოებრივი ნიშნით არ ვასხვავებ. მაგრამ ერთი რამ ფაქტია — რუსეთში დიდი კაპიტალი დღეს სპეცსამსახურების, პრეზიდენტ პუტინისა და მისი ადმინისტრაციის მიერ კონტროლდება. შემთხვევით საქართველოში არაფერი შემოვა და ნებისმიერი დიდი თანხის უკან დიდი პოლიტიკა დგას. კარგია, როდესაც ქვეყანაში კაპიტალი შემოდის, მაგრამ სახელმწიფოსაც უნდა ჰქონდეს მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია, თუ რა ობიექტების გადაცემა შეიძლება რუსებისთვის და რომელ სტრუქტურებში არ შეიძლება რუსული ფულის დაბანდება. მაგალითად, სახიფათო იქნება ბათუმის პორტში დიდი რუსული კაპიტალის მოზიდვა. ასევე უნდა შეიზღუდოს რუსული კაპიტალი ენერგეტიკაში, მილსადენსა და გაზსადენის პროექტებში.

**— გარდა იმისა, რომ თქვენი ფრაქცია ახალ კანონპროექტს იწუნებს, 20 ივნისს არჩევნების ჩატარებასაც ეწინააღმდეგება და მის გამართვას შემოდგომაზე ითხოვს. განა არ ჯობს, დროულად დალაგდეს აჭარაში სიტუაცია?**

— უმრავლესობის ერთმა წევრმა განაცხადა, — პლებისციტის ჩატარება აჭარაში არ შეიძლება, იქაური მოსახლეობა ეიფორიაშია და სწორ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებსო. ეს მოსაზრება ალოგიკურია. თუ პლებისციტის ჩატარება არ შეიძლება, რატომ ვატარებთ აჭარაში არჩევნებს? სანამ კანონპროექტი არ დამტკიცდება, ხომ არ გვეცოდინება, რა სტატუსი და უფლებები ექნება აჭარის უმაღლეს საბჭოს? ამ საკითხის განხილვას კანონით ერთი თვე უნდა, ერთი თვე 18 ივნისს გადის. 20 ივნისს კი აჭარაში არჩევნებია დანიშნული. წარმოუდგენელია, ერთ დღეში კანონპროექტის სამი მოსმენით პარლამენტში დამტკიცება ან როგორ მოესწრება საარჩევნო კამპანიის ჩატარება? თუ პლებისციტი ახლა არ ჩატარდა, არჩევნებისა და აჭარის ახალი ხელისუფლების არჩევის შემდეგ ის აღარც ჩატარდება იმიტომ, რომ არა მგონია უმაღლესმა საბჭომ საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს და პლებისციტი ჩაატაროს. ჩვენ ამ შანსს ვკარგავთ და თანაც კარგა ხნით. თუ არჩევნები 20 ივნისს ჩატარდა, ეს იქნება ფიქცია და დროებითი საბჭოს „გაპრავება“, რომელიც უმაღლეს საბჭოში გადაინაცვლებს. ამას ჯობს, არჩევნები სულ არ ჩატარდეს. ვფიქრობ, აჭარის მოსახლეობას ასეთი მოპყრობა არ დაუმსახურებია.

*იზო რეკაძე*

# „არ ვარგა ეს, ხალხი ყველაფერს ხედავს“

## „ადგილობრივი კადრები ვერ ინაწილებენ სკამებს და არის ერთი გაწევ-გამოწევა“



(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ხალხის გასაერთიანებლად, მშვიდობისა და ურთიერთკეთილგანწყობის დასამკვიდრებლად.

უნივერსიტეტში ყოფნისას აღფრთოვანება ვერ დავფარე ინტერიერის, ექსტერიერის თუ სასწავლო პირობების გამო. ამას არც ბიჭიკო დიასამიძე და სხვები ფარავენ. ისინი ემადლიერებიან ასლან აბაშიძეს იმისთვის, რაც მან უნივერსიტეტისთვის გააკეთა. რომ არა მისი ანტისახელმწიფოებრივი ინტერესები, ყველა გვერდით დაუდგებოდა კარგ საქმეშიო, — ამბობენ რეგიონის ყოფილ ლიდერზე პროფესორები. უნივერსიტეტში აჭარის სტატუსზეც ვისაუბრეთ. „ამ საკითხზე მსჯელობა ნაჩქარევია. მოსახლეობა თავად უნდა დარწმუნდეს, რომ ავტონომია გასაუქმებელია. მაშინ რეფერენდუმზეც ვიზრუნებთ. თუ არა და ავტონომია ხელს არავის არაფერში უშლის და ამ საკითხზე საუბარი ბევრს გააღიზიანებს“, — აცხადებს ბიჭიკო დიასამიძე.

ბათუმში შევხვდი **დავით ბერძენიშვილსაც**, რომელიც ბათუმის მერის პოსტზე აპირებს კენჭისყრას. ბატონმა დავითმა კვლავაც გაუკეთა პოლიტიკური რეკლამა „ჩვენი აჭარის“ ლიდერს, თამაზ დიასამიძეს, — იგი სერიოზული ფიგურა იქნება აჭარის ხელისუფლებაშიო. სამაგიეროდ, დიასამიძეს წარუმატებლობას უწინასწარმეტყველებს ბერძენიშვილის კონკურენტი ედვარდ სურმანიძე. გამახსენდა ბათუმელი ტაქსის მძღოლის ნათქვამი, რევოლუციონერებში განხეთქილებააო. თამაზ დიასამიძე უკმაყოფილებას არ ფარავს აჭარის დროებითი საკოორდინაციო საბჭოს საკადრო პოლიტიკის გამო. თუმცა არ აკონკრეტებს, მაგრამ ძირითადად, ბურჯანაძისა და ჟვანიას კადრებითაა უკმაყოფილო. „საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციით თანამდებობებზე ისეთი ხალხი ინიშნება, ვისაც ამის მორალური უფლება არ აქვს. სამარცხვინოა კარანაძის დანიშვნა აჭარის ტელევიზიის დირექტორად. ასეთ გადაწყვეტილებებს ყოველთვის შევებრძოლებით. არავის მივცემ უფლებას, დაეყრდნონ სახელგატეხილ კადრებს, როცა ჩვენს უკან დგას კვალიფიციური, პროფესიონალი, პატრიოტი ხალხი. ხელისუფლების ერთი ჯგუფი წარსულისკენ იცქირება, ჩვენ მათაც წარსულისკენ გავისტუმრებთ. ამის დროც დადგება, ვინც მოსახლეობის აზრს არ გაიზიარებს, დაისჯება, ეს იქნება დიდი პოლიტიკური სიკეთე“. როგორც ხედავთ, დიასამიძე აღარ მალავს სახელისუფლებო პარტიასთან დაპირისპირებას და არც სურმანიძე უარყოფს ამ ფაქტს. აი, რა გვითხრა მან: „ამოცანა, რომელმაც გაგვაერთიანა, წარმატებულადაა ამოხსნილი. რეჟიმი, რომელსაც ვებრძოდით, დამხობილია. ახლა „ჩვენი აჭარა“ არჩევნებში მონაწილეობას თუ აპირებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან პოლიტიკურ სუბიექტად უნდა გარდაიქმნას. როგორც ჩანს, ამაზე იფიქრეს და უკვე საარჩევნო კამპანიისთვის მზადებაც დაიწყეს. უკმაყოფილების მიზეზებს ეძებენ, რათა კარი გაიჯახუნონ და ხალხისგან დივიდენდები მიიღონ. ეს მათი საქმეა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასეთ იაფფასიან ფანდებზე ხალხი არ წამოეგება და არ გაჰყვება მათ“.

სანამ რევოლუციონერ პოლიტიკოსებს შორის „ცივი ომი“ მიმდინარეობს, ბათუმში ჯერაც „დისლოცირებული“ ძალოვნები თავიანთ საქმეს აკეთებენ. როგორც მათგან შევიტყვე, აჭარაში სიტუაცია თანდათან მართვადი ხდება. ამოღებულია დიდი ოდენობით იარაღი. ამჯერად ხალხში გაბნეულ იარაღს ეძებენ. რჩება ასევე მცირე ჯგუფები, რომლებიც ხელისუფლებას ემალებიან და იარაღის ჩაბარებას არ აპირებენ.

ძალოვნების თქმით, აჭარაში იარაღის ამოღების საკითხი აღარ არის უპირველესი პრობლემა. ახლა მთავარია პოლიციის სრულფასოვანი ამოქმედება, უშიშროების სამინისტროს სწრაფად გადაკეთება სამმართველოდ. შსს-ს ჯარის დისლოკაციის ადგილზე დაბრუნება და წესრიგის დაცვის საკითხის ადგილობრივი პოლიციისთვის გადაბარება. რასაც სამართალდამცველები განსაკუთრებული სიამაყით აღნიშნავენ, არის ის, რომ მათი თქმით, ზოგიერთის პესიმისტური პროგნოზის მიუხედავად, არეულობის პირობებში ქალაქში და მთლიანად აჭარაში (ერთეული შემთხვევის გარდა), არ ყოფილა ფიზიკური ანგარიშსწორების, ძარცვის, ყაჩაღობისა და მით უმეტეს, მაროდიორობის მასობრივი შემთხვევები, რაც ნამდვილად მისასალმებელია.

კითხვაზე, როდის გახდება სიტუაცია სტაბილური აჭარაში, ძალოვნები ერთი სიტყვით პასუხობენ — მალე (როგორც გავარკვიე, „მალეში“ საკურორტო სეზონის დადგომას გულისხმობენ. — ე. ლ.).

არსებული სიტუაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ივნისში აჭარაში ბუნებრივად თუ არა, პოლიტიკურად მაინც ძალიან დაცხება. პოლიტიკური სანახაობის მოყვარულთ „სასეიროდ“ ბევრი რამ ელით...

ჩვენ ასლან აბაშიძის დღეს უკვე ცნობილ ძაღლსაშენსაც ვეწვიეთ და ერთ-ერთ მომვლელს, **გურამ ცინცაძეს** გავესაუბრეთ:

— ჟურნალისტების წყალობით ჩვენი ძაღლსაშენი მეტად პოპულარული გახდა. გვპირდებიან, ორი-სამი დღე გაძელით და საშველიც გამოჩნდებაო. ვიმედოვნებთ, ასეც მოხდება. ორშაბათს ჩამოგვივა კიდევ საკვები თბილისიდან. ადგილობრივი ახალი ხელისუფლებაც ბევრს გვპირდება. ვნახოთ, რა იქნება.

**— „ბასმაჩის“ შიმშილობის თაობაზე ჭორები გავრცელდა...**

— შიმშილობა არ გამოუცხადებია, მაგრამ უმადოდ კი იყო. ამ დღეებში არც გუნებაზე იყო. არავის ერჩოდა. არადა, მანამდე მისი შიშით ვოლიერთან გავლისაც კი ეშინოდათ, ყველას უყეფდა.

**— როგორ ფიქრობთ, ეს ასლან ბაბუსთან იყო დაკავშირებული?**

— მართალი ყოფილა რომ ამბობენ, ძაღლები ყველაფერს წინასწარ გრძნობენო. ქალბატონ მაგულის გარდაცვალების წინა ღამით ყეფით აიკლეს ძაღლსაშენი ძაღლებმა. მეორე დღეს ახლომახლო სოფლებიდან გვეკითხებოდნენ, რა სჭირდათ თქვენს ძაღლებსო. რევოლუციამდე ორი დღით ადრეც ატეხეს საშინელი, გაუთავებელი ყეფა...

ჩვენი ბიჭები ამ ძაღლებს არ მიატოვებენ. ორი თვეა ხელფასი არ აუღიათ, მაგრამ სამსახურს მაინც აგრძელებენ. ეს ძაღლები ეროვნული სიმდიდრეა. ახლა მთავარია ისეთი პატრონი გამოჩნდეს, რომელიც დაწყებულ საქმეს დაასრულებს.

**— სულ რამდენი ძაღლი გყავთ?**

— გვყავს უცხოური უნიკალური ჯიშები, მაგრამ კავკასიური და ქართული, 120 გვყავდა. ნახევარი დარჩა. ახალი წლის შემდეგ ზოგი ძაღლი გაიყიდა, ზოგიც მოსახლეობაში დარიგდა. ზოგ ლეკვს ვინმეს ჩუქნიდა ხოლმე ბატონი ასლანი...

ჩვენი მკითხველისთვის, ალბათ, უკვე ცნობილია, რომ ასლან აბაშიძის უსაყვარლესმა ნაგაზმა, მსოფლიო ჩემპიონმა „ბასმაჩმა“ კიდევ ერთხელ გააოცა ყველა და პატრონისადმი თავგანწირული სიყვარულისა და ერთგულებისთვის ჯილდოც დაიმსახურა — „ბასმაჩი“ თვითმფრინავში ჩასვეს და პატრონთან გაგზავნეს.

P. S. ამით დავასრულებთ ჩვენს მცირე ექსკურსს ბათუმის ქუჩებიდან. მხოლოდ ერთს დავძენთ — ისტორიის სვლას წინ ვერაფერი დაუდგება — ეს საყოველთაოდ აღიარებული და არაერთხელ ისტორიისვე გაკვეთილებით დადასტურებული კანონზომიერებაა. აჭარა და აჭარლები ახალ ცხოვრებას იწყებენ. იმედია, სავარძლების მაძიებლები პირად ინტერესებს არ გადააყოლებენ ხალხისა და რეგიონის მომავალს. ბოლო მოეღება ურთიერთდაპირისპირებას, გავლენისა და ძალაუფლების გამო კინკლაობას და გვჯერა, რომ საკურორტო სეზონის დაწყებამდე აჭარაში სტაბილური ვითარება იქნება და დამსვენებლებს საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხით დატკბობის საშუალება მიეცემათ.

*ეკა ლომიძე*






# რას გვეცყვი, მამაო?

**— რას განასახიერებს კმევა და რამდენად სწორია კმევის დროს მრევლის შემობრუნება და საკურთხეველთან ზურგით დგომა?**

— გვინდა იცოდეთ, რომ სიმბოლურად ტაძარი სამყაროს განასახიერებს, ხოლო მოძღვრის მსახურება კმევის დროს — სამყაროს შექმნის პროცესს. კმევა უმთავრესად მწუხრის ლოცვების წინ აღესრულება და საკმევლის მოფენა ეკლესიაში სიმბოლურად შეესაბამება იმ დროს, როცა სულიწმიდის მადლით სამყარო იქმნებოდა ქაოსისა და სიბნელისაგან. კმევის დროს ღვთის მსახური და მრევლი სამყაროს შემოქმედს სცემს თაყვანს და ტაძარში მოძრაობა ამ თაყვანისცემას შეესაბამება. ამდენად, კმევის დროს საკურთხევლიდან პირუკუ დგომა საკურთხევლისადმი მოწიწებას არ არღვევს. როცა კმევის რიტუალი დასრულდება, მრევლი საკურთხეველთან პირისპირ დგება და სამყაროს შემოქმედს ლოცვით ადიდებს.

**— მეორედ მოსვლის შემდგომ, როგორ წარმოვიდგინოთ უთვალავი ადამიანის მკვდრეთით აღდგომა, ერთად ცხოვრება და დასახლება?**

— თუკი უფალმა სამყარო შექმნა, თუკი უფალი იმხელა სასწაულს იქმს, რომ მიწად დაშლილ მკვდრებს აღადგენს, მაშ, რასაც თქვენ ამბობთ, იმისი მოწესრიგება როგორ გაუჭირდება? ილია მართალი ბრძანებდა: არის ისეთი საგანი, რომელიც თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებო. ღმერთს კი, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. თუ რწმენით შეხედავთ უფლის ნამოქმედართ და არა მხოლოდ გონების თვალით, დაინახავთ ღვთის სასწაულმოქმედ შესაძლებლობებს, რომელიც ჩვენს გონებრივ მსჯელობებს არ ექვემდებარება. ასეთ შემთხვევაში, ზემოთ ხსენებულ პროცესს ბუნებრივად მიიღებთ.

**— ახლობელმა მითხრა, რომ მომდურაობა ცოდვაა და, შესაძლოა, მომდურავი მოძღვარმა არც აზიაროსო. რატომ არის ცოდვა, იმ ადამიანთან საუბარი თუ არ მინდა, რომელმაც ტკივილი მომაყენა?**

— უფალმა თავის მოციქულებს მხოლოდ ერთი ლოცვა ასწავლა — „მამაო ჩვენო“ და ცოდვილ კაცობრიობას მისცა სახელმძღვანელოდ. ამ ლოცვაში მკაფიოდ წერია: „მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა...“ ეს იმას ნიშნავს, რომ უფალს ვთხოვთ: როგორც ჩვენ ვაპატიებთ სხვას ცოდვებს, ისე გვაპატიე ჩვენცო. ზიარება არის უფლის უდიდესი სიწმინდე და როცა ამ სიწმინდეს ვეხებით, ჩვენში ქრისტე შემოდის. მომდურავ და მძულვარე გულში ქრისტე როგორ შემოვა? ყველანი ცოდვილები ვართ ქრისტეს წინაშე, რადგანაც უცოდველი ჯვარზე გავაკარით, მაგრამ მან გვაპატია. ჩვენ მასთან ვინ ვართ, რომ პატიებას უარვყოფთ? ამიტომაც მომდურების დროს ზიარება კურნების ნაცვლად, შეიძლება სასჯელად გვექცეს. მოძღვარი არ აზიარებს იმიტომ, რომ ეს ადამიანი თავის საქციელზე დაფიქრდეს.

**— აუცილებელია თუ არა კვირა დღეს ზიარება?**

— ეს ისეთი საკითხია, რომელიც თქვენს მოძღვართან მოთათბირებით უნდა გადაწყვიტოთ. კვირადღე აღდგომასთან სიმბოლურადაა დაკავშირებული, უქმეა და სასურველია, წირვა-ლოცვაზე მიბრძანდეთ. მთელი წლის განმავლობაში, შაბათ-კვირას ტაძრებში უწყვეტად აღესრულება სადღესასწაულო წირვა-ლოცვა. თუ ამ დღეს ზიარებას შეძლებთ, რა თქმა უნდა, დიდი მადლია; მაგრამ სამწუხაროდ, ცხოვრების დაძაბული რიტმის გამო, ეს ვერ ხერხდება. ამიტომაც თქვენი მოძღვარი უნდა იცნობდეს თქვენი ცხოვრების წესს და სულიერ მდგომარეობას, ის მაშინ გაზიარებთ, როცა ზიარებისთვის მზად იქნებით.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# „ამის თქმა მოვასწარი და დამესივნენ“

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

ჯერ ოცდაათი ოჯახი ჩამოვიდა. მერე კი დაიწყო და დღესაც ჩამოდიან ხალხი მუსლიმანები. ორი ლარი არა აქვთ ჯიბეში და უცხო ქვეყანაში საცხოვრებლად მოდიან! ვის იმედზე არიან? შედიან ბერძნების დატოვებულ სახლებში და ყველაფერს იტაცებენ. ეგენი რომ არ გამოჩენილიყვნენ, ადრე თუ გვიან, იქაურობას ჩვენი შვილები და შვილიშვილები დაეპატრონებოდნენ.

**— კი მაგრამ, ქართველებისთვის ქართულ მიწაზე არაფერი გემეტებათ?**

საუბარში რაფიკა ჩაერთო: „ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ჩვენ, სომხები, ყველაფერში მართლები ვიყოთ. ჩვენც ვტყუივართ რაღაც-რაღაცებში, მაგრამ ორი-სამი დღის წინ ჩამოსახლებული აჭარელი შვილივით გამოზრდილ საქონელს რომ მოგპარავს და თან აქეთ უშვერად გაგინებს, ამოიღებ ხმას, აბა, რას იზამ?! გვეუბნებიან, თქვენ აქ თურქეთიდან ხართ ჩამოთრეულები და სამადლოდ ცხოვრობთ ქართულ მიწაზეო. არადა, ორი საუკუნე მაინც იქნება, რაც აქ ვცხოვრობთ და ჩვენად მიგვაჩნია. საქართველოსთვის მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, მაგრამ გაკეთებული სიკეთე კაცს ყოველთვის კი არ უნდა წამოაძახო? ისე, ჯერ კიდევ გასარკვევია, ეს მიწა ვის ეკუთვნოდა ისტორიულად“(?!).

აღელვებული დედაქალაქში დავბრუნდი თუ არა, წალკის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატთან, ჰაიკ მელთონიანთან დაკავშირება ვცადე, მაგრამ ამაოდ. დახმარება პარლამენტის დეპუტატს, **ვან ბაიბურთს** ვთხოვე, მან კი მიპასუხა: „ჰაიკის ტელეფონი არ ვიცი, რომც ვიცოდე, რად გინდა, არც ქართული ენა იცის და არც რუსული... წალკაში მომხდარ ინციდენტზე ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ჩხუბი მხოლოდ ყოფით ნიადაგზე მოხდა და არავითარ ეთნოკონფლიქტს ადგილი არ აქვს. გაიძახიან, წალკის სომეხი მოსახლეობა შეიარაღებულიაო. რამდენჯერ მომხდარა ჩხუბი ქართველებსა და სომხებს შორის. თუ სომხები შეიარაღებულები არიან, ერთხელ მაინც რატომ არ გაისროლეს თუნდაც შესაშინებლად ჰაერში?! გგონიათ, სომხები არ არიან ნაცემ-დალურჯებულები?!“

ძალიან გვინდა გვჯეროდეს, რომ საფეხბურთო მატჩის შემდეგ წალკაში ქართველებსა და სომხებს შორის მომხდარი ინციდენტი ყოფით ნიადაგზე, გაუგებრობის გამო მოხდა. მაგრამ ძალიან გვეეჭვება ამდენი „გაუგებრობა“, რომელიც ხშირად ქართველების ცემით მთავრდება, მხოლოდ ყოფით ნიადაგზე ხდებოდეს და მის უკან სხვა, უფრო დიდი საშიშროება არ იმალებოდეს. ამის თქმის უფლებას თუნდაც ორი წლის წინ ჯავახეთის ქართულ სოფელ გოგაშენში ნანახი და მოსმენილი მაძლევს. იქ ქართველები გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ. ქართველებს წყლის არხს უკეტავენ და ნათესების მორწყვის საშუალებას არ აძლევენ. სომხური სოფლები კი წალკოტადაა ქცეული. ჩვენ არავისი არ გვშურს, მით უმეტეს, ჩვენს მიწაზე მაცხოვრებელი სხვა ეროვნების წარმომადგენლებისა, მაგრამ ქართველებმა რა დააშავეს?! ამის შესახებ „კვირის პალიტრა“ წერდა კიდეც, მაგრამ მაშინდელ ხელისუფლებას ქართველებისთვის არ ეცალა. მხოლოდ საარჩევნო ხმები აინტერესებდა. ხმებს კი ჯავახეთის სომეხი მოსახლეობა უშურველად აძლევდა თავიანთი ინტერესების დამცველებს(!). დღეს კი პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა: „წალკაში დაპირისპირება ორ ეთნოსს შორის კი არა, ორ ჯგუფს შორის მოხდა. ახლა ჩვენი მიზანი ის კი არ არის, გავარკვიოთ, ვინ არის დამნაშავე, არამედ დავიცვათ თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება, მიუხედავად მისი ეროვნული წარმომავლობისა. დღეს საქართველოს აქვს იმის რესურსები, რომ ყოველნაირ პროვოკაციას გასცეს პასუხი. დღეს საქართველოს მტრებს ერთ ადგილზე მოვსვამთ“. გვინდა გვჯეროდეს!

მართლაც დროა, ქართველების, სომხებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ერების მტრები და წამქეზებლები ერთხელ და სამუდამოდ ერთ ადგილზე მოვსვათ.

P. S. თუ ორი ათასი წლის წინ საქართველოში გადმოხვეწილმა ებრაელობამ მის მასპინძელს ამაგი დღეს დაუფასა და საქართველოს მეორე სამშობლოდ აღიარებენ, ებრაელებზე ნაკლები რით არიან სხვები, რომლებიც საქართველომ შეიფარა სხვადასხვა გასაჭირის ჟამს, თუნდაც თურქეთის გენოციდს გამოქცეულები? ცნობილია, რომ მაშინ სომხეთმა თავის ტერიტორიაზე არ შეუშვა თავისივე თვისტომი(?!). ქართველებს ჩვეულებად გვაქვს სტუმრისთვის საუკეთესოს შერჩევა და მიცემა. ამიტომაც ვართ ქართველები (რითაც უნდა ვიამაყოთ) და ამიტომაც ვცხოვრობთ საქართველოში, მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე, რომელსაც არასოდეს დაერქმევა სხვა სახელი.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# „გამსახურდიასთვის საქართველო სამშობლო იყო, სააკაშვილისთვის, უპირველესად სახელმწიფოა“

*(დასაწყისი იხ. გვ. 7)*

პოლიტიკური გადაწყვეტილება ვინმეს კარნახით არასდროს მიმიღია, მით უმეტეს, არ მივიღებდი ზურაბ ჟვანიას, მიხეილ მაჭავარიანისა და მაია ნადირაძის კარნახით. პარლამენტის შეურაცხყოფაა, როდესაც მთავრობა გვეუბნება, — მთავარია, ხელი აგვიწიოთ, ბიუჯეტი დაგვიმტკიცოთ და პარლამენტს არავინ ეკითხება, სად და როგორ განაწილდება თანხებიო. ბიუჯეტში არ იყო გაშიფრული 3,5 და 7-მილიონიანი ხარჯები კონკრეტულად სად მიდიოდა. ასე როგორ შეიძლება, თუ სურვილი ექნებოდათ, სულაც არ იყო ძნელი მეტი გამჭვირვალობა მიენიჭებინათ ბიუჯეტისთვის. არის კიდევ უამრავი სადავო საკითხი და როდესაც ჩემი მოსაზრება გამოვთქვი, ის იმდენად მტკივნეულად აღიქვეს, რომ საჭიროდ ჩავთვალე ფრაქციული არტახებიდან გავთავისუფლებულიყავი. ეს გავაკეთე იმისთვის, რომ თავისუფლად გამოვხატო აზრი და არ მქონდეს მუდმივი განცდა — ჩემი ნათქვამით ფრაქციის, პარტიის ხელმძღვანელობა და პრეზიდენტი გავანაწყენე-მეთქი. ამიტომაც დამოუკიდებლობა ვარჩიე პარტიული კონიუნქტურის მორჩილებას.

როდესაც რამდენიმე დღის წინ ზურაბ ჟვანია პარლამენტის წინაშე გამოვიდა, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სკოლის მოსწავლე ვიყავი და კლასის დამრიგებელი ფანჯრის მინის ჩამსხვრევის გამო მეჩხუბებოდა. პრემიერ-მინისტრი ისე გვიქნევდა თითს, თითქოს ცელქი ბავშვები ვყოფილიყავით. ქვეყნისთვის უკეთესი იქნებოდა, თუკი მთავრობა მეტ პატივისცემას გამოამჟღავნებდა პარლამენტის მიმართ და ჩვენგან მხოლოდ ხელის აწევას ან დაწევას არ მოითხოვდა. არა მგონია, ბატონი პრემიერი პრეზიდენტისგან იღებდეს მითითებებს პარლამენტში — მიდი და თითების ქნევითა და აგრესიით ელაპარაკე დეპუტატებსო. ასეთი დამოკიდებულება იმის ბრალია, რომ (მე ასე მგონია) დღეს პარლამენტს რატომღაც მეორეხარისხოვანი როლი მიანიჭეს ქვეყნის ცხოვრებაში. ეს იმიტომ მოხდა, რომ კონსტიტუციაში ჩაწერეს, — პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არა აქვს მთავრობის თანხმობის გარეშეო. ასე გაუჩნდა პარლამენტს მთავრობის სახით უფროსი ძმა. ეს უფროს-უმცროსობა კი ქვეყნისთვის სასიკეთო არ იქნება.

**— თქვენი აზრები ფრაქციის სხდომაზე არ გამოგითქვამთ...**

— არ მომწონს ფრაქციის სხდომები. მხოლოდ ერთხელ დავესწარი და მას შემდეგ აღარ გამჩენია დასწრების სურვილი.

**— რადგან ფრაქციის თავმჯდომარე ქალია, იმიტომ ხომ არ ეურჩებით?**

— პირიქით. ყველაფერს რომ თავი დავანებო, ინტუიციურად მაქვს ქალისადმი პატივისცემა და ეს დამოკიდებულება ღმერთმა ნუ წამიშალოს. არც მაია ნადირაძესთან მაქვს უთანხმოება და არც მიშა მაჭავარიანთან, უბრალოდ, თავისუფლება მინდა. თავისუფალი დეპუტატის სტატუსი მირჩევნია უმრავლესობის წევრობას.

**— ბოლოს და ბოლოს, შექმნით თუ არა ახალ ფრაქციას?**

— ისეთი ღრიანცელი მოჰყვა ფრაქციის შექმნაზე გავრცელებულ ხმებს, ვფიქრობ, მართლაც კარგი და მნიშვნელოვანი რამ იქნება ასეთი ფრაქციის ჩამოყალიბება. ზოგიერთების ემოცია მიბიძგებს, ეს გავაკეთო. უახლოეს მომავალში ალბათ ჩამოყალიბდება ფრაქცია. თუკი ძველებურად გაგრძელდა უმრავლესობაში ყველაფერი, გარწმუნებთ, იქიდან ბევრი წამოვა.

**— და თქვენ ისევ პრეზიდენტის მხარდამჭერად რჩებით?**

— რა თქმა უნდა. აქამდე პარლამენტში შემოსულ პრეზიდენტის ყველა ინიციატივას დავუჭირე მხარი და ვფიქრობ, ის მომავალშიც მხარდაჭერის ღირსი იქნება. პრეზიდენტი არ არის ისეთი პიროვნება, ვინმესგან ვითარების შელამაზებულად დახატვას ითხოვდეს. მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ საკითხზე რეალურ ინფორმაციას.

**— პრეზიდენტს თუ გააკრიტიკებთ?**

— აბა, რას ვიზამ? როდესაც ადამიანს რაღაც ეშლება და ამაზე აფრთხილებ, ეს არის სიკეთე და არა ყველაფერზე კვერის დაკვრა.

***იზო რიკაძე***










# კომიკური ოპერის დასასრული: პოსტსაბჭოური დაპირისპირება

## ვარდების მეორე რევოლუცია საქართველოში



6 მაისი. მიხეილ სააკაშვილი ასლან აბაშიძის რეზიდენციაში

**საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა მოახერხა, კონტროლი დაეწესებინა აჭარაზე მას შემდეგ, რაც იქაურობა მისმა ავტოკრატმა ლიდერმა დატოვა. მაგრამ შესაძლოა, საქართველოს ნორმალურ, წარმატებულ ქვეყნად გადაქცევისთვის მებრძოლ მიხეილ სააკაშვილს პრობლემები სხვა განდგომილ რეგიონებთან შეექმნას.**

თითქმის ყველა პოსტსაბჭოური ქვეყანა „არშემდგარი სახელმწიფოა“, თუმცა ზოგიერთი მათგანის საქმე უარესადაა. თუ ამას გავითვალისწინებთ, გაგვიადვილდება იმ წარმატების ახსნა, რომელსაც მიაღწია მიხეილ სააკაშვილმა აჭარის რეგიონზე კონტროლის აღდგენაში. ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში აჭარა მინიატურული ლიდერის ფეოდალური სახელმწიფო იყო, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა რუს გენერლებთან, სარგებლობდა ნავთობითა და სხვა პროდუქციით, სასაზღვრო ვაჭრობით. საქართველოს დანარჩენ ნაწილში არსებულ ქაოსთან შედარებით, აჭარაში სტაბილურობა იყო.

მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა შეცვალა მოვლენები: აიძულა „მინი სადამ ჰუსეინი“ აბაშიძე, დაეტოვებინა ქვეყანა. შემდეგ კი, გამარჯვების აღსანიშნავად ბათუმში ჩაფრინდა. ახალმა ქართველმა ლიდერმა შემოიტანა ახალი დინამიზმი და ხალხის სრული მხარდაჭერა მოიპოვა საქართველოს მოწესრიგების საქმეში.

37 წლის პრეზიდენტმა მოახერხა მეტი გადასახადების ამოღება, მებაჟეთა ხელფასების გაზრდა და რამდენიმე ძალიან მდიდარი ადამიანის დაკავება, თუმცა, ხშირ შემთხვევაში ის მეთოდები, რომლითაც ეს ადამიანები დააპატიმრეს და დიდი თანხები შეატანინეს საქართველოს ხაზინაში, არ მოეწონებოდათ ბატონი სააკაშვილის პროფესორებს ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტიდან.

„ლაპარაკის დრო დამთავრდა, — უბრძანა პრეზიდენტმა თავის არმიას, რომლის დონის ამაღლებასაც ცდილობენ ამერიკელი ინსტრუქტორები სახელმწიფო საზღვართან წვრთნების ჩატარებით, — ჩვენ არასოდეს მივცემთ ბანდიტებს, ნარკოდილერებსა და ფეოდალებს საქართველოს რომელიმე კუთხეში გაბატონების უფლებას“.

აბაშიძის გაქცევის შემდეგ სააკაშვილმა ბათუმის მოსახლეობას მიმართა ამ სიტყვებით: „თქვენ ხართ გმირები!“ და დაამატა, — საქართველო გაერთიანდებაო.

სააკაშვილს საშუალება აქვს, გააკონტროლოს როგორც ბათუმის პორტი, რომელიც დღეში 200 000 ბარელზე მეტ ნავთობს გადაზიდავს, ასევე საბაჟო პუნქტი თურქეთის საზღვარზე. ყოველივე ამან შეიძლება შეავსოს ქვეყნის დაცარიელებული ხაზინა.

ბატონ სააკაშვილს უნდა ეფრთხილა აჭარაში მდგარ ყოფილ საბჭოურ სამხედრო ბაზასთან. ეს ბაზა „ცივი ომის“ იმ დღეების გადმონაშთია, როდესაც იქ გადიოდა საზღვარი „წითელ არმიასა“ და ნატოს წევრ თურქეთს შორის. ჯეინს საინფორმაციო ჯგუფის (Janes information group) უსაფრთხოების საკითხების ანალიტიკოსი რიჩარდ რივი აცხადებს, რომ დღეისათვის იქ იმყოფება მხოლოდ 1500-ოდე ჯარისკაცი, მათი უმრავლესობა რუსეთის სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ქართველები არიან. ბატონი სააკაშვილი დაჟინებით ითხოვს, რომ რუსეთმა შეასრულოს დანაპირები და გაიყვანოს თავისი სამხედრო ბაზები საქართველოდან. ის აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან ადვილია მუშაობა, იგი ყოველთვის ასრულებს დანაპირებს. მიუხედავად ამისა, ბოლო ხანს რუსეთმა ბათუმში რამდენიმე ასეული ჯარისკაცი შეიყვანა. აჭარასთან დამაკავშირებელი ხიდების აფეთქება საქართველოს ლიდერებმა რუსეთის და არა აჭარის ხელწერად შეიცნეს. აჭარის დასამორჩილებლად სააკაშვილს დასჭირდა რუსეთის თანხმობა, რომელიც მიიღო კიდეც.

5,2-მილიონიანი საქართველოს წინა ლიდერებმა ვერ მოახერხეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აჯანყებების ჩახშობა და ხელთ შერჩათ ბინძური და წარუმატებელი ომები. ბატონი სააკაშვილი რეალისტურად უყურებს ამ საკითხს და აცხადებს, რომ იმედი აქვს ამ რეგიონების დაბრუნებისა საქართველოს აღმშენებლობის გზით. აჭარაში მისმა ტაქტიკამ შედეგი გამოიღო, მაგრამ სამხრეთ ოსეთში ეს უფრო რთული იქნება, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთზე, რომელიც კიდევ უფრო ძვირფასია რუსეთისათვის.

***ეკონომისტ ნიუზპეიპა, აშშ***

# „რუსეთი მშვიდობის ერთადერთი გარანტია“

სამხრეთ ოსეთს ეწვივნენ შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. ისინი დაინტერესდნენ, თუ როგორ იმოქმედებს აჭარის მოვლენები სამხრეთ ოსეთზე და რა უნდა გაკეთდეს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად. საგანგებო საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა სტუმრებს განუცხადა, რომ, აჭარისგან განსხვავებით, სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, აქ გრძელდება სამმხრივი მოლაპარაკებები. ამ 12 წლის მანძილზე საქართველომ არაფერი იღონა სამხრეთ ოსეთთან დასაახლოებლად, მას არ მიუცია პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება 1989-1992 წლების მოვლენებისთვის, არადა მაშინ ასეულობით ოსი დაიღუპა, გადაწვეს ოსური სოფლები, ათეულობით ოსი განდევნეს ქვეყნიდან. ეს იყო ეთნიკური წმენდა. მხოლოდ რუსეთის წყალობით ცხოვრობს სამხრეთ ოსეთი მშვიდობიანად, მხოლოდ რუსეთია მშვიდობის ერთადერთი გარანტი“, — დასძინა ბორის ჩოჩიევმა.

***რეგნუმ რუ***

# აჭარის შემდეგ აფხაზეთი?

ავტონომიურ რესპუბლიკაში ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში დგება. რევოლუციის დღეებში გაძვირებული პროდუქტები ნელ-ნელა იაფდება, განახლდა სწავლა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ამუშავდა მრავალრიცხოვანი კაფე განუმეორებელი ბათუმური ყავით, გასართობი დაწესებულებები. გაქრა წინა რეჟიმის ვარსკვლავიანი ლურჯი დროშები და მათი ადგილი საქართველოს დროშებმა დაიკავა. ბათუმის მშფოთვარე დღეებს ქუჩებში მოსიარულე შინაგანი ძალების პატრული თუ მოაგონებს კაცს.



ვლადისლავ არძინბა ყოფილ პრეზიდენტებთან ერთად

საქართველოს ხელისუფლებას უნდა ივნისამდე, აჭარაში ადგილობრივი პარლამენტის არჩევნებამდე, მოაგვაროს ყველა საორგანიზაციო საკითხი. ჯერჯერობით, ბათუმში ასლან აბაშიძის მთავრობის ჩინოსანთა დაპატიმრება მიმდინარეობს — უკვე გისოსებს მიღმაა ქობულეთის რაიონის ადმინისტრაციის მეთაური ტარიელ ხალვაში, აჭარის უშიშროების მინისტრის მოადგილე გოგი კუპრეიშვილი, მამა-შვილი მურად და მერაბ ცინცაძეები, გენერალი რომან დუმბაძე. ამბობენ, აჭარის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ჯემალ გოგიტიძის დაპატიმრებაც უნდოდათ, მიუხედავად ხელშეუხებლობის გარანტიებისა, მაგრამ მან მიმალვა მოასწრო. მისმა მოადგილემ, დავით ბაკურიძემ დაუმორჩილებლობა გამოუცხადა ახალ მთავრობას და 70 შეიარაღებული კაცით ტყეს მისცა თავი.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, — ახლა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჯერიაო და მკვეთრად აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით აუცილებელია სოხუმთან და ცხინვალთან სერიოზული მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყება. სოხუმსა და ცხინვალში კი არ მალავენ შეშფოთებას და თითქმის ყოველდღიურად ატარებენ საგანგებო თათბირებს და შესაძლო „ქართული აგრესიის“ საწინააღმდეგო ღონისძიებებს სახავენ. აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი რაულ ჰაჯიმბა და საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა აცხადებენ, — ტანჯვით მოპოვებულ დამოუკიდებლობას არ დავთმობთ, ჩვენ ომისთვისაც მზად ვართო.

პრეზიდენტი სააკაშვილი არ მალავს, რომ მის იდეას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, არც ვაშინგტონი ეწინააღმდეგება და არც მოსკოვი, რომელთანაც მან მაინც მოახერხა პირადი კავშირის დამყარება. სააკაშვილს მხარი დაუჭირეს ბრიუსელშიც. ევროსაბჭოს უმაღლესმა წარმომადგენელმა ხავიერ სოლანამ განაცხადა, რომ ის, რაც აჭარაში მოხდა, პრეცედენტს შექმნის საქართველოს ტერიტორიაზე სხვა კონფლიქტების მოსაგვარებლად.

***ნეზავისიმაია გაზეტა №92***

# რატომ ჩამოაგდეს აბაშიძე

## მოსკოვის არჩევანი მძიმე იქნება

ასლან აბაშიძის აჭარიდან გაქცევა ბევრისთვის მოულოდნელი იყო. თუმცა, ურთიერთდაპირისპირებაში გარდატეხა მაშინ მოხდა, როცა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალური განცხადება გააკეთა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რომ აშშ მხარს დაუჭერს მიხეილ სააკაშვილს, რა ხერხითაც არ უნდა დაამყაროს წესრიგი აჭარაში. ასეთი კატეგორიულობის მიზეზი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბათუმის ნავთობტერმინალის უსაფრთხოების დაცვა იყო.

30 აპრილიდან რუსეთის პრეზიდენტი ეცნობოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენების ანალიზს, სადაც მინიშნებული იყო, რომ რუსეთს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაემწვავებინა კონფლიქტი, არ უნდა დაეშვა ბათუმში რუსული სამხედრო ბაზების საწყობების ძარცვა. პრეზიდენტმა მოიწონა ასეთი დასკვნები: კონფლიქტის ესკალაცია მისი ინაუგურაციის დღეს არ უნდა მომხდარიყო. სააკაშვილს კი ეს მშვენივრად ესმოდა და აძლიერებდა ზეწოლას აჭარაზე. ასე რომ, იგორ ივანოვმა გააკეთა ის, რისთვისაც ყველა მზად იყო — თავისი თვითმფრინავით წაიყოლა აბაშიძე. მოსკოვის აეროპორტში აბაშიძეს მეგობარი — იური ლუჟკოვი დახვდა და განდევნილი მამა-შვილი ქალაქგარეთ, თავის სახლში წაიყვანა, თუმცა აბაშიძეს მოსკოვში საკუთარი ბინაც აქვს და კოტეჯიც პოდმოსკოვიეში.

ასლან აბაშიძე განვითარებულ მოვლენებს კი დაემორჩილა, მაგრამ თავს დამარცხებულად არ მიიჩნევს, მან განაცხადა, რომ სამშობლოში აუცილებლად დაბრუნდება. დღეს ეს ნათქვამი შეიძლება ტრაბახად ჩაითვალოს, მაგრამ ვინ იცის, როგორ შემოტრიალდება საქმე: აჭარა ის ერთადერთი კუნძულია საქართველოში, რომელმაც არ იცის, რა არის სიდუხჭირე. მალე აჭარლების მასაზრდოებელი საბაჟოსა და პორტის მთელი შემოსავალი თბილისში წავა, ცხოვრების დონე დაეცემა. რევოლუციური ეიფორიაც აორთქლდება და მაშინ გაიხსენებენ ბატონ ასლანს.

ახლა, რაც შეეხება ამბოხებულ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს: ისეთი პირი უჩანს, რომ ეს მიწები დედასაქართველოს ივნის-ივლისში დაუბრუნდება, რადგან სექტემბერში აშშ-ში წინასაარჩევნო ციებ-ცხელება დაიწყება და სააკაშვილი ნახევარი წელი მაინც არავის გაახსენდება. აჭარისაგან განსხვავებით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქართველები თითქმის არ ცხოვრობენ. გარდა ამისა, აფხაზეთში ყოველ მეექვსეს რუსეთის მოქალაქეობა აქვს, სამხრეთ ოსეთში კი ყოველ მეორეს. ორივე „რესპუბლიკას“ კარგად გაწვრთნილი სამხედრო ფორმირებები ჰყავს. „ვარდების რევოლუცია“ აქ ალბათ არ გამოვა, ე.ი. რუსეთის საზღვართან შეიძლება ორი სისხლიანი კონფლიქტი მოხდეს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით, რფ-ის უშიშროების საბჭო საგანგებო თათბირის გამართვას აპირებს, მაგრამ უკვე ნათელია, რომ მოსკოვის არჩევანი მძიმე იქნება — დასავლეთმა უკვე მიანიშნა რუსეთს, რომ თუ ის სამუდამოდ არ წავა საქართველოდან და მოლდავეთიდან, მაშინ ნატოს წევრები: ლიტვა, ლატვია და ესტონეთი არ შეუერთდებიან საერთო ევროპულ ხელშეკრულებას ჩვეულებრივი შეიარაღებების შემცირებასთან დაკავშირებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსალოდნელია რუსეთისადმი ეკონომიკური ზეწოლა და ამ ქვეყნებში ტანკების, თვითმფრინავებისა და ჰაუბიცების დიდი რაოდენობით თავმოყრა.

***არგუმენტი ი ფაქტი №19***

**გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა**

# ცხოვრება ნაოჭების გარეშე



ადრე თუ გვიან, ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც საკუთარ გარეგნობაში რადიკალური ცვლილებების შეტანა მისთვის უპირველესი პრობლემა ხდება. ნაოჭები, კანის დაკარგული ელასტიკურობა, ნაწიბურები, ხშირად დასასრულის დასაწყისად აღიქმება. რა თქმა უნდა, ყველა ერთგვაროვნად არ ხვდება ამ უსიამოვნო ფაქტს, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ერთხელ გაჩენილი, თუნდაც სულ პატარა ნაოჭი არავითარ შემთხვევაში არ გაქრება თავისით, პირიქით, ის გაღრმავდება და ნელ-ნელა გამრავლებასაც დაიწყებს.

დიდი ხნის მანძილზე, ექიმები და კოსმეტოლოგები, ეძებდნენ ნაოჭების გასწორების არაოპერაციულ საშუალებას.

სკალპელის გარეშე სახის დეფექტების კორექციის მეთოდებს შორის, ყველაზე ფიზიოლოგიური და საუკეთესო აღმოჩნდა ბოტოქსის ინიექციები.

ამ პრეპარატის დახმარებით, დიდი ხანია წარმატებით იკურნება მრავალი ნევროლოგიური დაავადება, მათ შორის ზურგის ტვინის ტრავმის და ინსულტის შემდგომი მდგომარეობის ნარჩენი მოვლენები, ბლეფაროსპაზმი და სხვა.

1998 წელს, კოსმეტოლოგიაში ბოტოქსის პირველად გამოყენების შემდეგ დაიწყო ნაოჭებთან ბრძოლის ახალი ეტაპი.

როგორ მოქმედებს ბოტოქსი? იგი მიმიკური კუნთების მოდუნების გზით იწვევს ნაოჭების გასწორებას.

პრეპარატი აბსოლუტურად უვნებელია, ხოლო პროცედურა არვითარ დისკომფორტს არ იწვევს. გრძელდება რამდენიმე წუთი. ინიექციები კეთდება წვრილი ნემსებით. შედეგი დგება 24-48 საათის შემდეგ და გრძელდება 6-8 თვემდე. ნაოჭები ამ ხნის განმავლობაში გასწორებულია, კანის ზედაპირი გლუვია. არ არის აუცილებელი პროცედურის გამეორება ყოველ 6-8 თვეში, რადგანაც ამ პერიოდში, პაციენტი სწავლობს საკუთარი მიმიკის კონტროლს, რაც საგრძნობლად ამცირებს ნაოჭების წარმოქმნას.

უნდა აღინიშნოს, რომ, მხოლოდ ბოტოქსის დახმარებით შეიძლება თვალების ირგვლივ “ბატის თათების” და შუბლზე “გაბრაზების” ნაოჭის გაქრობა.

ბოტოქსის ინიექციების წყალობით ინარჩუნებს სილამაზეს და მომხიბვლელობას ჰოლივუდის მრავალი ვარსკვლავი და მსოფლიოს ასეულ ათასობით ადამიანი.

დღეისათვის საქართველოში, ნაოჭების გასწორება ბოტოქსით შესაძლებელია მხოლოდ სამედიცინო ცენტრში “ექიმი გილი”, სადაც უსაფრთხოდ და ეფექტურად მკურნალობენ მაღალი კვალიფიკაციის, მსოფლიოს მოწინავე ცენტრებში დახელოვნებული სპეციალისტები.

გახსოვთ ზღაპარი კონკიაზე? რამდენჯერ გიოცნებიათ გეგრძნოთ თავი მშვენიერ პრინცესად და მეჯლისის დედოფლად? ალბათ ყოველთვის თვლიდით, რომ ამგვარი რამ მხოლოდ ზღაპარში ხდება. თუ გნებავთ სასწაული საკუთარ თავზე გამოსცადოთ, მხოლოდ ისურვეთ და მოემზადეთ ცხოვრებაში უდიდესი ტრიუმფისათვის.

ექიმი ქირურგი: გია გვარამია

სამედიცინო ცენტრი
“ექიმი გილი“
კოსტავას ქ. №63
ტელ: 25-27-09 33-00-72



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაწაწები გვიყვებიან

ერთ საღამოს ეზოში გამოსულ 2 წლის **ნინაკა ზიძინაშვილს** ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დახვდა, მეორე საღამოს კი ცაზე არც ერთი ვარსკვლავი არ იყო. გაოცებულმა იკითხა:

— ბებო, ვარსკვლავები რა იქნა, ქათმებმა აკენკეს?

***

2 წლის **გიორგი ჟაფარიძე** ეუბნება დედას ტროლეიბუსის დანახვისას:

— დედიკო, დედიკო, შეხედე, ანკესი ავტობუსი.

***

პატარა **საბა** დილით ეკითხება მამას.

— მამა, წუხელ რა გესიზმრა?

— რა ვიცი, საერთოდ ვერ ვხედავ სიზმრებს.

— რატომ, ბრმა ხარ? — უკვირს საბას

***

გარეთ კოკისპირულად წვიმს. 1 წლის და 6 თვის **მეგი** და ბებო ფანჯრიდან იყურებიან, — ბებო, ლამდენი ფისებია?..

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: ***„და-ძმებიდან სულ ყველაზე ჭრელაჭრულა არის ის, ვარდების თვეა, ლამაზი, სახელად ჰქვია ...“***

I



II გააგრძელე დომინოს რიგი, ყურადღება მიაქციე ქვების ფერებს




## პავლე მოციქული

*ბიბლიური მოთხრობა*

მას შემდეგ, რაც იესო ზეცად ამაღლდა, მოციქულებმა იერუსალიმში იწყეს მოღვაწეობა. ისინი კურნავდნენ ავადმყოფებს და ადასტურებდნენ ქრისტეს სიცოცხლესა და სიკვდილს. სულ უფრო იზრდებოდა მორწმუნეთა რიცხვი. ისრაელის მღვდელმთავრებსა და მოძღვართ სურდათ, რომ ხალხს იესო დავიწყებოდა. ამიტომ მათ დააპატიმრეს მოციქულები, დაჰკითხეს ისინი და აუკრძალეს იესოს სახელით ქადაგება. მაგრამ მოციქულები არად აგდებდნენ ამ აკრძალვას. სტეფანე, ერთ-ერთი პირველი დიაკვანთაგანი, ჩაქოლეს. მაგრამ სანამ იგი ქვების სეტყვაში მოჰყვებოდა, დაიძახა: „მე ვხედავ, რომ ცა გახსნილია. ვხედავ კაცის ძეს, იგი დგას ღმერთის მარჯვენა მხარეს. უფალო იესო, მიიღე ჩემი სული!“

იერუსალიმში იესოს თემს დევნიდნენ. ყველას, ვინც მისი რწმენისაკენ მოექცეოდა, ქალაქიდან აძევებდნენ. ასევე იქცეოდა პავლეც.

პავლე მორწმუნე ებრაელი იყო, მან იცოდა საღვთო წერილი, მაგრამ ეგონა, რომ იესო მესია კი არა, არამედ ხალხის მომტყუებელი იყო. ამიტომ პავლე ერთი ქალაქიდან მეორეში დადიოდა, რათა მათთვის, ვინც ქრისტეს აღიარებდა, თავიანთ რწმენაზე უარი ეთქმევინებინა ან დაესაჯა ისინი. როდესაც იგი დამასკოში მიდიოდა, რათა იქ ქრისტიანები მოეძებნა და დაპატიმრებულები იერუსალიმში წაეყვანა, მას ისეთი რამ შეემთხვა, რამაც მთელი მისი ცხოვრება შეცვალა. ზეცის ნათელმა გაასხივოსნა იგი. პავლე მიწაზე დაეცა და ხმა შემოესმა: „რად მდევნი მე?“

პავლეს არ ესმოდა, რა ხდებოდა. მან ჰკითხა: „ვინა ხარ შენ, უფალო?“ და მას პასუხი შემოესმა: „მე ვარ იესო, რომელსაც შენ დევნი. მაგრამ ადექი! წადი ქალაქში. იქ შეიტყობ, რა უნდა გააკეთო“. პავლე წავიდა დამასკოში. იქ შეხვდა ანანიას, იესოს მოწაფეს. ანანიას არ სჯეროდა, რომ პავლე უფალს შეხვდა და მისი მოწაფე გახდა. მაგრამ უფალმა უთხრა მას: „მე პავლე ავირჩიე, მან უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ ხალხმა ჩემი სახელი გაიგოს“. მაშინ ანანიამ პავლე ქრისტეს თემში მიიღო. ამ დროიდან პავლე ქრისტეს კი აღარ დევნიდა, არამედ მისი მქადაგებელი გახდა. დამასკოსა და სხვა ქალაქებში იგი ქადაგებდა, რომ იესო ქრისტე მესიაა.

პავლეს დაუწყეს დევნა და ერთი ქალაქიდან მეორეში გაძევება, სანამ იგი საბერძნეთამდე არ მივიდა. ბოლოს პავლე იერუსალიმში შეიპყრეს და რომში გაგზავნეს. იქ იგი გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. იგი მოკვდა იესო ქრისტესათვის.

III გამოიცანი, რამდენი ღორია ნახატზე?



IV *ანა, გამოიცანი*

**1) იგივეა, რაც ალიგატორი...**
ა) ხვლიკი; ბ) დინოზავრი; გ) ქამელეონი; დ) ნიანგი.

**2) მერამდენე დავითად იწოდებოდა დავით აღმაშენებელი?**
ა) დავით III-დ; ბ) დავით IV-დ; გ) დავით V-დ; დ) დავით VI-დ?

**3) რომელია ზედმეტი?**
ა) ვერაგი; ბ) მზაკვარი; გ) გულუბრყვილო; დ) ცბიერი.

**4) რომელი სიტყვა შეესაბამება სამაგიეროს გადახდას?**
ა) რევანში; ბ) რეგრესი; გ) რეაქცია; დ) რეფლექსი.

**5) რომელი არ არის ელგუჯა ამაშუკელის ნამუშევარი?**
ა) ქართვლის დედა; ბ) ვახტანგ გორგასალი; გ) ფიროსმანაშვილი; დ) გალაკტიონი.

**6) რატომ ვერ პოულობს მელა ახალდაბადებულ ბაჭიებს?**
ა) ძალიან პატარები არიან და არ ჩანან; ბ) კარგად იმალებიან; გ) სუნი ჯერ არა აქვთ; დ) დედა კურდღლის ეშინია.

**7) რა ეწოდება მართლმადიდებლურ ეკლესიაში ტიხარს, რომელიც საკურთხეველს გამოყოფს ეკლესიის ძირითადი ნაწილისაგან?**
ა) სატრაპეზო; ბ) სტოა; გ) სამკვეთლო; დ) კანკელი.

**8) რომელი რუსი მწერლის ნაწარმოებია „ექიმი აიბოლიტი“?**
ა) მიხალკოვის; ბ) მარშაკის; გ) ჩუკოვსკის; დ) კრილოვის.

**იპოვე 11 განსხვავება**



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

***გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა***

ზღაპრების სახლი

„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 50 ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე: — + და სია აჩვენეთ მშობლებს

1. მელია და მწყერჩიტა
2. ქალთევზა
3. ნაცარქექია
4. მძინარე მზეთუნახავი
5. კომბლე
6. ირმისა
7. ჩიპოლინო
8. წითელქუდა
9. ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ხუთკუნჭულა
11. მაკნატუნა
12. თოვლის დედოფალი
13. ბრემენელი მუსიკოსები
14. ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. სამი გოჭი
16. თორმეტი თვე
17. სიზმარა
18. მაუგლი
19. ჩექმებიანი კატა
20. მგელი და შვიდი თიკანი
21. ნამცეცა
22. ნახევარქათამა
23. სამი ფორთოხალი
24. გოგონა და ურჩხული
25. წიქარა
26. ალადინი
27. ღორების მწყემსი
28. მძლეთამძლე
29. ქოჩორა რიკე
30. უფლისწული ბაყაყი
31. ბულბული
32. რიკი-ტიკი-ტავი
33. კონკია
34. მახინჯი იხვის ჭუკი
35. კატა, მამალი და მელა
36. ცეროდენა
37. გაუცინარი პრინცესა
38. ველური გედები
39. გაქვავებული სამეფო
40. გოგონა და სამი დათვი
41. წითელი ფეხსაცმელები
42. მოჯადოებული კატა
43. მეჩონგურე
44. თხისყურებიანი მეფე
45. ბურატინოს თავგადასავალი
46. ლომი და კურდღელი
47. მოჯადოებული ბუე
48. არუციას ამბავი
49. ჯიუტი სილუკა
50. შრომის ფასი

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

# გოდერძაულები

## ბინდისფერი ხეობის სანთლები

**გოდერძი ჩოხელს დიდი ნატვრისა და ლოცვის ხე უდგას თბილისში. ეს ხე გუდამაყრიდან ჩამოიტანა, მისი ფესვები ისევ იქაური მიწითა და წყლით საზრდოობენ, იქაური მზით თბებიან. დროდადრო მიაქვს გოდერძის ფილმები, ლექსები, მოთხრობები და ისე ჰკიდებს ამ ხეზე, როგორც გუდამაყარში ჰკიდებდნენ შეწირული ზვარაკის ეჟვნებს ზარის ხეზე... ეს პატარა მოთხრობები სულ ახლახან მიიტანა ჯადოსნურ ხესთან და ისე აანთო, როგორც ბინდისფერი ხეობის სანთლები.**



### არაგვში ჩაგდებული ჯღუნა

მარიამობას ჩოხის წმინდა გიორგის ეკლესიასთან ვდღესასწაულობთ. ტრადიცია გვქონდა, დღესასწაულის მერე მდინარის პირას გავდიოდით ხოლმე, ვქეიფობდით და ერთმანეთს წყალში ვყრიდით. იმ დროს ჯღუნაც აუცილებლად ჩვენთან იყო. უფროსი კი იყო, მაგრამ ახალგაზრდებთან ყოფნა უყვარდა. დავავლეთ ხელი და გადავაგდეთ არაგვში. ვაი, ვაი, ეს რა ჰქენითო, — ატეხა ყვირილი, — ვაი, ჩემო საქონელოო... ვაიო! რა იყო, ჯღუნავ, აბა, სად არის შენი საქონელიო, — ჰკითხეს. აი, აქ არის, ჩემს ჯიბეშიო, — თქვა და სველი ფული ამოიღო. თურმე საქონელი ჩაუბარებია და ფული ჰქონია აღებული. წურავდა ფულებს... გამოვართვით და დავაწყვეთ არაგვის პირას.

### ბერისა და ბერიასი

ჯღუნა მხარბეჭიანი იყო, ბერი — მომცრო ტანისა...

ზამთარში საქონელი მიჰყავდათ კასპიის ზღვისაკენ. იქ დაიქირავებდნენ ხოლმე პურის მცხობელს — „კუხარკას"... ერთხელ ქეიფობენ თურმე მწყემსები. ჯღუნამ ადღეგრძელა ბერი, დიდის ამბით დალია სადღეგრძელო. ცოტა ხანში მილიცია არ წამოადგათ თავზე?! „კუხარკა" მოჰყვა და უხსნიდა მილიციელს — „ვოტ, ანი პილი ზა ბერიუო"... იმას ჰგონებია ბერიას ადღეგრძელებენო. გააქანეს მწყემსები მილიციაში, ჩაერია ამ საქმეში რაიკომის მდივანი: ამას მართლა ბერი ჰქვიაო, — ამტკიცებდა. გაუგებრობა იმან გამოიწვია, რომ ბერს პასპორტში სხვა სახელი ეწერა...

### დევების დამძახებელი

ერთ ჩოხელს ვაცილებდით ჯარში. მე, ბერი და ჯღუნა ვიყავით ქეიფში. შუაღამისას წამოვედით. კლდეზე უნდა გამოგვევლო. იმ კლდეში გამოქვაბული იყო და ამბობდნენ, იქ დევი ცხოვრობსო. ხალხი ერიდებოდა ღამით ამ გზაზე სიარულს. ეტყობა, ბერს ძალიან ეშინოდა და შიში რომ „დაეფრთხო", მივუახლოვდით თუ არა გამოქვაბულს, ასანთი აანთო და შესძახა: სადა ხარ, დევო, აბა, გამოდიო... ჯღუნა კი მაგარი მთვრალი იყო და მართლა შეშინდა: — გაჩერდი, ბერო, დევი არ გააღვიძოო. ასე ვიარეთ ქეიფიდან წამოსულებმა შინამდე.

### მუსიკოსების რისხვა

თუ სადმე ლხინი იყო და ბარიდან მუსიკოსებს ამოიყვანდნენ, აუცილებლად ბერი უნდა დაუფლებოდა სიტუაციას. თუ იმას უნდოდა, უნდა დაეკრათ, თუ არ უნდოდა — არ უნდა დაეკრათ. ერთხელ ქორწილში გაწყრა. რამდენიც მუსიკოსებმა დაუკრეს, იმდენჯერ აყვირდა: — „ვინ უკრავს, ვინ ბედავსო!" შეეხვეწნენ: — ბერო, ქორწილია, ცეკვა გვინდა, დააკვრევინეო. ძლივს დაითანხმეს. ერთხელ ხატში, პირიქით, გაგიჟდა, — დაუკარით და დაუკარითო. სადაც წავიდოდა, იქ წაიყვანდა მუსიკოსებს, დააკვრევინებდა.

მერე ყველგან პატივს სცემდა, ყველს აძალებდა. მუსიკოსებს, ეტყობა, ყელში ამოუვიდათ ყველი, აღარ უნდოდათ... ძია ბერი კი გააღებინებდა პირს და ძალით აჭმევდა. ბოლოს იხვეწებოდნენ, ყველს ნუ გვაჭმევს და რასაც გინდათ, იმას დავუკრავთო.

### მხარწიფლიანი

სულ იმაზე ფიქრობდა ბერი, როგორ გავეხარებინე. რომ დავწერე, ბერს მხარზე ნაძვი ამოუვიდა-მეთქი, ერთხელ მე და ჩემს თბილისელ მეგობრებს გამოგვეცხადა, მხარზე წიფლის ტოტი დაედო... აბა, ჩვენს ტყეში ნაძვი სად არის, აქ წიფელია და მეც წიფლის ნერგი ამომივიდა მხარზეო. ასე მომეფერა...

### „1915 წელს დაგვიბნელდა მზეო"

ძია ბერს ძალიან ეზარებოდა თურმე სკოლაში სიარული — მეზობელ სოფელში უნდა ევლო. თან შორს იყო, თან სწავლაც არ უყვარდა მაინცდამაინც. ძია ბერის კლასელები მეუბნებოდნენ: — ერთადერთი ლექსი, რაც ბერმა ისწავლა, ეს იყო: „1915 წელს დაგვიბნელდა მზეო". როცა მასწავლებელი გაიძახებდა, დაიწყებდა ამ ლექსის მოყოლას.

### ვაჟი გოგის ტყუილები

ვაჟი გოგი დედაჩემის ძმა იყო, ბუბუნაურის გვარისა. ვაჟი თვითონ დაირქვა — ვაჟკაცი ვაროო... ის მაგულიანებდა, მეუბნებოდა: — ბიჭო, ეს გუდამაყარი იცი, რამდენ რამეს იტევსო? გადაშლილი წიგნივით არი, შენ მარტო წაიკითხე, შიგ რა მოთხრობები წერიაო. მეუბნებოდა: — წერე და წერეო. მეც დავწერე. მატყუარა იყო ვაჟი გოგი, იმდენად ლამაზ ტყუილებს ამბობდა, მინდოდა, სულ ეტყუებინა ჩემთვის. ვიცოდი, სიმართლეს არ მეუბნებოდა, იმანაც იცოდა, რომ მე ვიცოდი... რომ დავწერე „ადამიანთა სევდაში" ვაჟი გოგის ამბები, ისინი მართლა მიამბო ბიძაჩემმა. ომშიო, წყალქვეშა ნავზე ვმუშაობდიო, ნარანაის ტბაში ამოვყავი ერთხელ თავიო. ერთხელ კიდევ მომატყუა: ერთი ჩვენზე მივარდნილი ქვეყანა არიო, იქაო, რასაც უცხო სახელს გაიგონებენო, ბალღებსა ჰქვივნობენო. რო გაიაროო, ზოგს მერხი ჰქვიანო, ზოგს — კალმისტარიო, იმ ქვეყანას კიდევ — სვანეთიო... დიდი ინტერესით ვუსმენდი. წიგნი რომ გამოვიდა, ვაჩვენე. წაიკითხა, არ მოეწონა. ამას კი დავწვავდი, მაგრამ ტირაჟს რა ვუყოო...

### პოლიტიკური მოთქმა

ფშაველმა ქალებმა ხმით იციან დატირება. ვინმე რომ მოკვდებოდა, ტირილით დააბარებდნენ ხოლმე აქაურ ამბებს. ბებიაჩემი იყო კოტორაანთ ქალი. მაზლი ჰყავდა დაკარგული. მაზლს ზედმეტ სახელად ბართის ეძახდნენ. ბართი მოულოდნელად დაბრუნდა. მოჯამაგირედ ყოფილა და თავისი ჯამაგირით ორი ვირი მოიყვანა. ერთი კოლექტივმა წაართვა, მეორე მგელმა შეუჭამა. კოტორაანთ ქალს ახლობელი გარდაეცვალა. მისულა და დაუტირნია:

*ეგრე უთხროდე მამამთილსა,*
*ჩოხში დადგინდა კოლექტივი,*
*აღარ ინახვენ ობოლ ქვრივსა,*
*ის ჩვენი ბართიც ჩამოვიდა,*
*ორი ვირაი მოიყვანა,*
*ერთაი მგელმა შეგვიჭამა,*
*მეორე კოლექტივმა წაიყვანა...*

ასე დაახასიათა კოლექტივისა და მგლების საქციელი.

### რადიო და ჯიბის ჯადო

ვაჟი გოგის ძალიან უყვარდა რადიო. ცხვარი რომ მოჰყავდა და ორჯონიკიძეზე გამოივლიდა, აუცილებლად იყიდდა რადიოს და ბურსაჭირში ამოიტანდა. ეს იყო დღესასწაული. ყოველ გაზაფხულზე ვაჟი გოგის ველოდებოდი, როდის გამოჩნდებოდა. დავინახავდი მის ფარას, გავეგებებოდი, ისიც რადიოს ამოიღებდა ჯიბიდან. შემოდგომაზე რომ წავიდოდა, ძველ რადიოს მე მჩუქნიდა.

თევზი როგორ არ მენახა მდინარეში, კალმახს რომ ვიჭერდი ხოლმე! მაგრამ ვაჟი გოგის ჯიბეში რომ ვნახე...

ერთხელ წვიმდა. მოვისხი ვაჟი გოგის საწვიმარი და ცხვრისაკენ გავიქეცი, რომ მოვატრიალე ცხვარი და შინისკენ წამოვედი, ხელი ჯიბეში ჩავიყავი და რაღაც მომხვდა. ამოვიღე მოყვითალო თვალებდაჭყეტილი რაღაც, კუდით კი ჰგავდა თევზს, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ თევზი იყო. გავიხადე ლაბადა და მოვისროლე თავის ჯადოიანად. შინ გაწუწული შევედი. ვაჟი გოგიმ მკითხა: — საწვიმარი რა უყავიო? გადავაგდე, ჯიბეში რაღაც საშინელი იყო-მეთქი. რა იყოო? გაბრტყელებული, თვალებდაჭყეტილი, თევზივით კუდიანი რაღაც-მეთქი. ეგაო, დიშვილოო, „კაფჩონი" თევზიაო, მაგას ლუდთან ერთად არაფერი სჯობიაო...

### სიძე-საპატარძლო

პატარძლის შემოწმება იცოდნენ ჩვენთან. პატარძალს ქალები წყაროზე წაიყვანდნენ, დასხდებოდნენ, დაიწყებდნენ საუბარს. პატარძალსაც აალაპარაკებდნენ. ერთი ქალი ჩუმად წამოეპარებოდა უკნიდან და თუნგიდან წყალს დაღვრიდა. თუ პატარძალი უცებ გაიგებდა, რომ წყალი შეუდგა და წამოხტებოდა, იტყოდნენ: — ფხიზელი და კარგი პატარძალიაო. თუ ვერ გაიგებდა და დასველდებოდა, იტყობდენ: — ზანტი პატარძალი მოუყვანიათ, ვერ იქნება ფხიანიო.

ოჯახის წევრები კი არ აფრთხილებდნენ... მათაც აინტერესებდათ, — აბა, როგორი იქნება ჩვენი რძალიო.

სიძეს თიბვაში ამოწმებდნენ. ჩოხში განთქმული მთიბველი იყო სანდრუა, დღესაც ცოცხალია. იმას ერთმა გუდამაყრელმა გოგო მოსტაცა. რომ შეურიგდნენ, სანდრუამ სიძე სათიბად წაიყვანა. თვითონ ისე თიბავდა სოფლის თავზე, მთებში, დილიდან საღამომდე არ ისვენებდა. მახსოვს, როგორ ბრაზობდნენ სოფელში, რას უშვრება სანდრუა სიძეს, დილიდან საღამომდე არ დაასვენაო... სანდრუამ კიდევ თქვა: — არ უნდა გამომეცადაო? თუ იმისი შნო აქვს, რო გოგო მომტაცა, იმისი შნო არ უნდა ჰქონდეს, დაუსვენებლად ეთიბაო... სიძემ გაუძლო და გახარებული იყო სიმამრი: ღირსი ყოფილა, ჩემი გოგო რო წაიყვანაო.

პატარძალს აუცილებლად უნდა გაჰყოლოდა მზითევში ფარდაგი. ზამთრობით ქსოვდნენ ფარდაგებს, იმზადებდნენ მზითევს. ჯერ სასიძო ბელგას მოუტანდა, ამითი დანიშნავდნენ, თან მორიგდებოდნენ გოგოს მშობლებთან. ბელგა იყო რამე ფასეული ნივთი, მაგალითად, მატყლი — ფარდაგების მოსაქსოვად. ამას მოსდევდა ნიშნობა, უკვე ბეჭედს მოუტანდნენ და დალოცავდნენ, პატარა მაყრიონიც მიჰყვებოდა. მერე ერთი ზამთარი ქალს თავის მშობლებთან უნდა გაეტარებინა — მამისახლში, იქ მოექსოვა ფარდაგი, ლოგინი შეეკერა და საჩუქრები მოემზადებინა. საჩუქრები ჭრელი წინდები იყო. ქორწილში რომ ნეფე მოვიდოდა თავისი მაყრებით, პატარძალი ყველა მაყარს თავისი მოქსოვილი წინდით ასაჩუქრებდა. დაახლოებით იცოდა, რამდენი მაყარი მოუვიდოდა, იმდენ წინდას ქსოვდა, გულნატკენს არავის გაუშვებდა. წინდა რომ დაჰკლებოდა, სირცხვილი იყო. პატარა ვიყავი და პატარძალმა წინდა მაჩუქა. გავიხარე, ჩავთვალე, რომ კაცი ვარ, რაკი მან ღირსად ჩამთვალა ამ საჩუქრისა.

### „პივაის" მსხვერპლი

ერთი გუდამაყრელი კაცი იყო, ძალიან უნდოდა შოფრობა, მაგრამ „პივაც" უყვარდა, ინსპექტორების კი ძალიან ეშინოდა. გუდამაყრიდან რომ გამოვიდოდა დიდი, სატვირთო მანქანით, ფასანაურამდე ორ კილომეტრში გააჩერებდა, ფასანაურამდე ფეხით ივლიდა, ფასანაურში სულ ორი ქუჩაა, ორივეს ზედმიწევნით ჩამოივლიდა, ყველას ეკითხებოდა, — ინსპექტორი ხომ არ გინახავთო? რომ დარწმუნდებოდა, ინსპექტორები ახლომახლო არ იყვნენ, მერე გამოიყვანდა მანქანას და ატარებდა. ერთხელ, მაინცდამაინც ისეთ დროს დაუჭერიათ ინსპექტორებს ფასანაურში, ერთი კათხა ლუდი რომ ჰქონდა დალეული, წაართვეს საბუთები. ამას უთქვამს: რაისთვისო... ერთაი პივაი დავლიე და მაგისთვის მართმევთო?

ამ მძღოლმა ცოლად ჩემი კლასელი მოიყვანა. ერთხელ ავტობუსით ერთად ვიმგზავრეთ ფასანაურამდე. გზაზე ინსპექცია რომ გამოჩნდა, ამ ქალმა თავი დახარა, ჩაიმალა: — ვაიმე, ინსპექტორიო! — დაიძახა. ეტყობა, ქმრის შიში გადაედო და ამასაც ჰშინებოდა ინსპექტორების.

### გასაყიდი გვირილები

ერთი ფერდობი იყო, ჩირდილს ვეძახდით. იქ იზრდებოდა დიდი, ვარდისფერი გვირილები. ყვითელი გული და გადაშლილი ფოთლები ჰქონდათ. ერთხელ ერთი ბიჭი ამოვიდა ბარიდან. ეს ყვავილები რომ ნახა, გვითხრა: — ასეთსაო, ქალაქშიო თითოს მანეთად ყიდიანო. გაგვიკვირდა. ჩვენგან ქალაქში არავინ იყო ნამყოფი, ვერც მივდიოდით, მაგრამ დავაჯერეთ თავები, რომ ერთ დღეს ამოვიდოდნენ ქალაქიდან და იყიდდნენ ამ გვირილებს. ჩვენც, რა თქმა უნდა, მივყიდდით, იმიტომ, რომ ველოსიპედები გვინდოდა. ამიტომ თითოეულ გვირილას თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდით. ვითვლიდით, რამდენი იყო... ერთხელ დავითვალეთ, ვიანგარიშეთ. ბევრი გამოგვივიდა, ყველა ვიყიდდით ველოსიპედებს და საკმაოდ ბევრი დაგვრჩებოდა. ვიფიქრეთ, რაში დავხარჯოთ ეს ფული, რაში დავხარჯოთო. გადავწყვიტეთ, სახლები აგვეშენებინა. ჩვენთან ხომ ბანიანი სახლები იყო, მხოლოდ სკოლა და კანტორა იყო თუნუქით დახურული. ეგეთი სახლები გვინდოდა აგვეშენებინა. დიდხანს ვიყავით გასაყიდი ვარდისფერი ყვავილების იმედად.



რა თქმა უნდა, ქალაქიდან არავინ ამოსულა, ვერც დიდი სახლები ავაშენეთ, ის ბანიანი სახლებიც დაცარიელდა და ჩაიქცა.

„გასაყიდი გვირილები" კი ისევ ყვავიან ჩირდილის ფერდობზე.

### ჩიტის ბარტყების ძიძები

ჩირდილის ფერდობის აქეთ მეორე ფერდობი იყო — ღვინაურას ვეძახდით. ღვიის ბუჩქები ხარობდნენ იქ. ღვიის ბუჩქებში ჩიტები ბუდეებს იკეთებდნენ. დავდიოდით, შევიგულებდით ამ ბუდეებს, ჩვენთვის ვიმახსოვრებდით. მერე ბარტყების ძიძობასა ვწევდით. ჭიაყელას დავიჭერდით, ბარტყებს დავუწრუპუნებდით დედა ჩიტივით, ვაჭმევდით. მთელი დღე იმათ ჭამაში ვიყავით. ჩიტები ალბათ გაკვირვებულები იყვნენ, მოვიდოდნენ და იმათ შვილებს უკვე ჭამა აღარ უნდოდათ. ვუფრთხილდებოდით, რომ ბუდისთვის მელიას ან სხვა ბავშვს არ მიეგნო და იმას არ ეჭმია ჩვენი ბარტყებისთვის. შორიახლოდან ვყარაულობდით. ერთმანეთსაც კი არ ვუმხელდით, ჩიტის ბუდე რომ ვიცოდით.

### „სემ სოროკი"

დღესასწაულებზე ჩვენთან „ფერხისას" ცეკვავდნენ ქორწილებში. ქართული ცეკვა-სიმღერა მოგვწონდა. თანდათანობით ადგილი არ ჰყოფნიდათ თუ რა, ჯერ „შალახო" შემოვიდა მოდაში, მერე — „სემ სოროკი". გუდამაყრელებს არ მოსწონდათ, მაგრამ რა ექნათ, ახალგაზრდებს უნდოდათ „სემ სოროკი".

ჩვენთან იყო ერთი ტრაქტორისტი, მაღალი, ბრგე კაცი, წიწუას ვეძახდით. ისეთი კეთილი იყო, რომ გეთხოვნა, შენი ტრაქტორით იმ მთაზე ამიყვანეო, თუ შესაძლებლობა ჰქონდა და „სალიარკა" ესხა, არ დაგზარდებოდა, მაგრამ „შალახოს" და „სემ სოროკს" ჭირის დღესავით ვერ იტანდა. ქორწილში ქართული უნდა იცეკვოთო, — ამბობდა. ყველას აუკრძალა სხვა რამე ეცეკვათ. მისი შიში და რიდი ჰქონდათ. თუ წიწუა ქორწილში იყო, მარტო ქართულს ცეკვავდნენ, თუ არა და, გაილაღებდნენ „სემ სოროკის" მცოდნეები.

ერთხელ რომელიღაც სოფელში ქორწილში ყოფილა. უცეკვიათ და უცეკვიათ ახალგაზრდებს „სემ სოროკი". შეწუხებულან უფროსები და შუაღამისას მისდგომიან წიწუაის სახლს, ლოგინიდან აუყენებიათ. გვიშველე, წიწუავ, აღარ შეგვიძლიან, ქორწილი ქორწილს აღარა ჰგავს, „სემ სროკს" ცეკვავენო. წაჰყოლია წიწუა და დაუფრენია „სემ სოროკის" მოცეკვავეები: — აიტ! ვინ ცეკვავს ამ უჯიშო ცეკვასო.

### ერთაი მკვდრისა გულისთვის...

25 წელიწადი იყო დაჭერა „ტროცკისტობაზე", ხეჩო რომ გამოვიდა — მერეღა გავიგე, ტროცკი ვინ იყოო. ისეთი კაცი იყო, რომ სხვებზე ფიქრობდა. წისქვილი ჰქონდა, რომელსაც კარი არება — მე რომ ვერ მიპოვნონ და ვინმეს დასჭირდეს, შესვლა შეეძლოსო. გაქანებული ტროცკისტობის დროს ვილაცას შეუმღერნია: „სავარცხელ მომე, ადამო (ხეჩოს ერქვა ადამა, საბუთებში), თმა მაქუს ჩამოსახეხიო".

ის კაცი ცოტა მელოტი ყოფილა. ხეჩოს უპასუხნია:

*შენს თავს სავარცხელ არ უნდა,*
*როგორც ჩემს წისქვილს საკეტი!..*

წავიდა ის კაცი და უჩივლა, ეგაო ტროცკისტი არიო. 25 წელი მისცეს ამისთვის ხეჩოს.

ერთხელაც მანქანა ამოიყვანა ხეჩომ — „პალტარატონკას" ეძახდნენ. ხეჩოსთვის მთავარი იყო, რომ ამ მანქანას მატორი ჰქონდა. ხალტურაზე ხო დადიოდა კვირაობით: გუდამაყრის სოფლებიდან ფასანაურში, ბაზრობაზე მიჰყავდა ხალხი. სიჩქარეების გადასართველი თვითონ გამოთალა ხისაგან. ზოგჯერ დაშლიდა ხოლმე თავის მანქანას, მატორს ამოიღებდა და სახერხ მანქანად გადააკეთებდა. ზოგჯერ თავისი მანქანის მატორს ტრაქტორს ჩაუდგამდა.

ხეჩომ მოფერება იცოდა — გულოო, — ასე ეძახდა ყველას.

ძალიან კეთილი, ორმეტრიანი კაცი იყო.

ერთხელ ორჯონიკიძიდან მიცვალებული გადმოუსვენებიათ. ხეჩოს სახლამდე მანქანა მიდიოდა, მაგრამ იქით, სადაც უნდა წაესვენებინათ, მხოლოდ ტრაქტორი ივლიდა. იფიქრეს, ხეჩოს ვთხოვთ დახმარებასო. მიადგნენ კარს — მიცვალებული გვყავს, ტრაქტორით გადაგვაყვანინეო. რამდენი მკვდარია, გულო? — უკითხავს ხეჩოს. ერთიო. არა, გულო, ერთიაი მკვდარაის გულისთვის ტრაქტორს ვერ დავქოქავო...

...მერე, რა თქმა უნდა, დაქოქა ტრაქტორი. მადლიანი კაცი იყო განა ვინმეს გააწბილებდა?!

### ზარის ხე

ჩვენთან ერთი ხე იყო წმ. გიორგის გორაზე, ზარის ხე. ხატს რომ საქონელს შესწირავდნენ, იმისი კისრიდან ჩამოხსნილ ზარს ხეზე ჰკიდებდნენ. უამრავი ზარი ეკიდა ზარის ხეზე... შეწირული ზარები. უფრო ზემოთ კი ირმის რქები ჰქონდათ ატანილი. ასეთი უცნაური ხე იყო, ირმის რქებითა და ზარებით დახუნძლული. მერე ქალაქიდან დაიწყეს ამოსვლა და გაძარცვეს ზარის ხე... ყველას თითო ზარი მიჰქონდა სამახსოვროდ. გუდამაყრელებს გვწამდა, — ხატიდან არ უნდა წაგვეღო რამე. მათ არ სწამდათ. არაფრის არ ეშინოდათ. ეგ ხე მე ფილმშიც გადავიღე, „მეკვლეში". გაღატაკდა და მოიწყინა ზარის ხემ. ბოლოს გახმა კიდეც. მოუტანიათ ახალი ხე, დაურგავთ. ახლა ერთი-ორი ზარიღა ჰკიდია ახალ ზარის ხეს...

### სანთლები

ყველაფერი შეიცვალა... არაგვიც კი აღარ არის ისეთი შავი, როგორიც იყო... ამაზე ძალიან მწყდება გული. მაგრამ ფიქრით გუდამაყრისაკენ რომ გავიხედავ, იქ ბერი, ჯღუნა, ვაჟი გოგი დგანან... დგანან კი არა და, თითქოს სანთლებივით იწვიან და ანათებენ გუდამაყრის ბინდისფერ ხეობას.

**ჩაიწერა ლელა ჯიყაშვილმა**

CMYK

რეპორტაჟი ნიუ-იორკიდან

# „გაუნათებელი სინათლე“ — ამერიკელი რეჟისორის თვალით დანახული საქართველო

## „ფაუერ ტრიპი“ ამერიკელებში დიდ მოწონებას იწვევს...

გასული წლის დეკემბერში ნაცნობმა ამერიკელებმა მახარეს, კინოთეატრში „ფილმ-ფორუმ“ საქართველოს შესახებ დოკუმენტური ფილმი გადის და „ნიუ-იორკ თაიმსი“ ძალზე კარგ შეფასებას აძლევსო. სასწრაფოდ გადავიკითხე სტატია. ავტორი გვიამბობდა მანჰეტენელ პაულ დევლინზე, რომელმაც ამერიკელებს გააცნო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი საქართველო, ის, თუ როგორ იტანჯება ხალხი უშუქობით. უშუქობა არ გამკვირვებია, მაგრამ მაინც მოუთმენლად გავეშურე ფილმის სანახავად. მაინტერესებდა მენახა უცხოელის თვალით დანახული საქართველო...


ჩაბნელებული თბილისი

რა თქმა უნდა, იმ მწარე რეალობამ, რომელიც მაყურებელს ღიმილს ჰგვრიდა, მე ცრემლი მომგვარა, მაგრამ ფილმით მართლაც მოხიბლული დავრჩი. მთავარი მოქმედი პირი — პიერ ლევისი, რომელიც წლების მანძილზე „ეი-ი-ეს თელასის“ თანამშრომელი იყო, გვიამბობს ქვეყნის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემის, უშუქობის შესახებ — ხალხი ფულს არ იხდის არა იმიტომ, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს არ იყო მიჩვეული გადასახადების გადახდას, არამედ იმიტომ, რომ შუქის გადასახადი მათ თვიურ ხელფასს უტოლდებაო(!). ცივი ზამთარი, ჩაბნელებული თბილისი, გადაკეტილი გზები, ქუჩაში გამოსული გატანჯული მოსახლეობა და დიდი სიმპათია საქართველოს კულტურისა და ისტორიის მიმართ. აი, ამაზეა „ფაუერ ტრიპი“ („გაუნათებელი სინათლე“). ფილმში ოსტატურად არის ნაჩვენები ჩვენი ანომალიური პოლიტიკა.

„გაუნათებელმა სინათლემ“, როგორც საუკეთესო დოკუმენტურმა ფილმმა, უკვე არაერთი ჯილდო მიიღო ბერლინის, ფლორიდის, ტორონტოს, ვაშინგტონისა და სხვა მრავალ ინტერნაციონალურ ფესტივალზე. ფილმის ჩვენება გრძელდება მსოფლიოს სხვადასხვა კინოთეატრსა თუ ტელეარხებზე.

„გაუნათებელი სინათლის“ რეჟისორს, დირექტორსა და ოპერატორს **პაულ დევლინს** ორიოდე კითხვით მივმართე:

**— ფილმის გადაღებამდე თუ გაგეგოთ რამე საქართველოს შესახებ?**

— საქართველოზე თითქმის არაფერი ვიცოდი. მხოლოდ მამაჩემისგან მსმენოდა (იგი პროფესიით ფიზიკოსია და 1976 წელს საქართველოში გამართულ ფიზიკოსთა კონფერენციას ესწრებოდა). ქართველებს არ უყვართ, როცა რუსებს ეძახიან და ნაციონალისტები არიანო, მეუბნებოდა. დაახლოებით 14 წლის წინ კი გავიგე, რომ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა — ეს იყო და ეს.

მიზანი, რისთვისაც პირველად საქართველოში გავემგზავრე, ფილმის მთავარი გმირი პიერ ლევისი იყო. იგი მაშინ „ეი-ი-ეს თელასში“ მუშაობდა, ამასთან, ჩემი უნივერსიტეტის მეგობარიცაა და საქართველოში დამპატიჟა. როცა ჩავედი, თბილისზე ფილმის გადაღება შემომთავაზა — აქ ძალზე საინტერესო და უჩვეულო ამბები ხდება და ეს დანარჩენმა მსოფლიომ უნდა გაიგოსო.

თავდაპირველად ვყოყმანობდი, მე ხომ თქვენს ქვეყანასა და აქაურ პრობლემებს არ ვიცნობდი, მაგრამ პიერის დახმარებით თანდათან ეს ბარიერიც გადავლახე. მოგვიანებით, ოპერატორ ვალერი ოდიკაძეს, უკვე ჩვენს თანაპროდიუსერს, გავუგზავნე კამერა და დაიწყო გადაღებები. ამასობაში, საქართველოში იმდენი რამ მოხდა, რომ საბოლოოდ დავრწმუნდით — სამუშაოდ უამრავი მასალა გვექნებოდა.

**— რამდენი ხანი დაჰყავით საქართველოში?**

— პირველად ზაფხული იყო, რომ ჩავედი და ორი-სამი კვირა დავრჩი.

**— ე. ი. წარმოდგენა არ გქონდათ, რა ხდებოდა ზამთარში?**

— ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ზაფხული შესანიშნავი იყო, ძალიან ვისიამოვნე. თბილისის გარეთაც, ჩეჩნეთის საზღვართანაც წავედით...

**— როდის დაბრუნდით საქართველოში ფილმის გადასაღებად?**

— თბილისში მეორედ 2000 წლის აპრილში ჩავედი. პრეზიდენტ შევარდნაძის არჩევნები მიმდინარეობდა. სწორედ ამ დროს დაიწყო „ეი-ი-ეს თელასში“ ელექტროენერგიის შეზღუდვა. მაშინ მთლიანად გამოირთო დიღომი, რის გამოც ხალხი ქუჩაში გავიდა. ბევრი დააკავეს კიდეც. მოსახლეობა გაბრაზებული იყო „თელასზე“. ამის შემდეგ გადავწყვიტე მენახა, როგორ გამოიყურებოდა თბილისი ზამთარში.

**— პრობლემები ხომ არ შეგქმნიათ საქართველოში მუშაობისას?**

— პატარა კამერით და მარტო ვმუშაობდი. როცა დიდი კამერით მიდიხარ და თან ასისტენტები გახლავს, ხანდახან ეს ხალხში შეშფოთებას იწვევს. ამიტომაც ძირითადად ვმუშაობდი მარტო, რათა ხალხს კომფორტულად ეგრძნო თავი. ამ ხერხმა მართლაც გაამართლა. ასევე შეზღუდული ვიყავი დროში, უნდა გადამელო, რაც შეიძლება მეტი და ამიტომ შეუჩერებლად ვმუშაობდი. არსებობდა ენის ბარიერიც, გადავიღალე, კამერის ხანგრძლივად ტარებამ მკლავიც კი გამიღიზიანა. ხანდახან ოფიციალურ ადგილებზე — პარლამენტის ან საპრეზიდენტო შენობის წინ პოლიცია მიკრძალავდა გადაღებას.

**— ყველაზე მეტად რამ დაგაინტერესათ საქართველოში?**

— ჩემთვის ყველაფერი საინტერესო, ახალი იყო. მაგალითად, დიდი დიღმის ე. წ. „კიოსკში“ (ელექტროჯიხური) ათასობით ქსე-


განათებული ნიუ-იორკი

ლი, მავთული გამოდიოდა — ეს ჩემთვის მართლაც წარმოუდგენელი სანახაობა იყო.

მანამდე არაფერი ვიცოდი აქაური ელექტროენერგიის ბიზნესის, თქვენი პოლიტიკოსების, ისტორიის შესახებ — ყველაფერი ეს უნდა შემესწავლა, როცა ინტერვიუს ვიღებდი, არ ვიცოდი რესპონდენტები რაზე მელაპარაკობდნენ. მონტაჟის დროს კი ყველაფერი უნდა გამეგო.

**— რას გვეტყვით ფილმის მთავარი გმირის, პიერ ლევისის შესახებ?**

— ალბათ ნახავდით ფილმში, პიერი კარგად ლაპარაკობს ქართულად. ის საქართველოში ცხოვრობდა წლების მანძილზე. მან ბევრი იდეა მომაწოდა. ასევე, დიდად დამეხმარნენ მაიკლ სქოული, „თელასის“ ყოფილი დირექტორი, „60 წუთის“ წამყვანი აკაკი გოგიჩაიშვილი. მირჩევდნენ, ვისთან მესაუბრა, რა მეკითხა... მაგალითად, ერთხელ პიერმა მითხრა, ენერგეტიკის მინისტრს ჰკითხე, რამდენი აქვს ხელფასი — იგი იმდენად დაბალია, მიხვდები, როგორ იყენებს მინისტრი თანამდებობასო.

**— როგორც ვიცი, ფილმმა არაერთი ჯილდო დაიმსახურა.**

— პირველად ბერლინის ფესტივალზე იყო წარდგენილი. ფაქტობრივად, ჩვენ იქ ორი პრიზი მივიღეთ. სულ კი 8 ინტერნაციონალური ჯილდო გვაქვს. 30 თუ 40 ფესტივალში ვმონაწილეობდით.

**— თებერვალში საქართველოში პრემიერა გქონდათ. რას იტყვით ამის შესახებ?**

— პრემიერა მართლაც დიდებულად ჩატარდა. დარბაზი სავსე იყო. იმედი გვაქვს, რუსთაველის კინოთეატრი შეისყიდის ფილმს და ქართველები ნახავენ „გაუნათებელ სინათლეს“...

**— როგორი იყო ქართველების რეაქცია, როდესაც ფილმი ნახეს?**

— ვფიქრობ, მაყურებელს მოეწონა ფილმი. ჩვენ შევნიშნეთ ქართველი მაყურებლის ერთი თვისება, — როდესაც გაიგეს, რომ მთელ მსოფლიოში ვაჩვენებდით ფილმს, ჩვენ მიმართ სიმპათიით განიმსჭვალნენ. თავიდან კი ეჭვით გვიყურებდნენ. როდესაც ბერლინის ფესტივალზე ვაჩვენეთ ფილმი, რამდენიმე ქართველი მზად იყო, თავს დაგვსხმოდა, მაგრამ როცა ნახეს რეალურად და სამართლიანად ასახული მოვლენები, მოლბნენ. გავიგე, რომ „თელასს“ მუშაობა გაუუმჯობესებია, რომ რუსებს შეუსყიდიათ... მითხრეს, სინათლე ბევრად უკეთესად მიეწოდება მოსახლეობასო. ვიცი, რომ პრობლემები ისევ არის, მაგრამ ხალხი ძალიან ოპტიმისტურად არის განწყობილი. ამან ძალიან შეცვალა ზოგადი ატმოსფერო...

**— რომელიმე ქართული ფილმი თუ გინახავთ?**

— სამწუხაროდ, არა... მხოლოდ რამდენიმე ძველი ფილმი ვნახე, რაც კლიპებად გამოვიყენეთ „გაუნათებელ სინათლეში“. დასანანია, რომ ამ ფილმების ინგლისური ვარიანტი არ არსებობს.

**— საქართველოში დაბრუნების და კვლავ რაიმეს გადაღების სურვილი თუ გაქვთ?**

— დიდი სიამოვნებით დავბრუნდები. მინდა სათხილამუროდ წავიდე გუდაურში, მაგრამ არ ვიცი, ფილმს გადავიღებ თუ არა. ზოგიერთებმა შემომთავაზეს, „ფაუერ ტრიპი-2“ უნდა გადაიღო, ბევრი რამე შეიცვალაო, მაგრამ ვფიქრობ, ეს უკვე ქართველი რეჟისორების საქმეა.

***ქეთი ორჯონიკიძე***
***ნიუ-იორკი***



# „ქურმუხის წმინდა გიორგის შევავედრეთ საქართველო...“

## „ქართული წიგნი საინგილოში კონტრაბანდაზე უარესია“(?!)



ქურმეხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

„კვირის პალიტრა“ აგრძელებს ტელეკომპანია „მზის“ კორესპონდენტთან, გიორგი კალანდიასთან საუბარს თემაზე — „ქართველები საქართველოს გარეთ“. ამჯერად გთავაზობთ გადამღები ჯგუფის თავგადასავალს საინგილოში, უძველეს ჰერეთში. ჩვენი სისხლის და ხორცის, ჰერების ცხოვრებამ ისეთი ტკივილი განმაცდევინა, რომ ამ სტატიის წერისას ცრემლი მახრჩობდა. „ჰენგელ-ინგილო“ — ახლად მორჯულებულს, ანუ გამაჰმადიანებულს ჰქვია სპარსულად. საინგილოს, ანუ ჰერეთის მკვიდრ ქართველებს არ სიამოვნებთ, როცა მათ „ინგილოს“ უწოდებენ, ამიტომაც მათ ჰერებად მოვიხსენიებ.

ვიდრე გიორგი კალანდიასთან საუბარს შემოგთავაზებდეთ, მანამდე ისტორიკოს ბუბა კუდავას მცირე ისტორიულ ექსკურსს შემოგთავაზებთ უძველესი ჰერეთის შესახებ.

ისტორიკოსი **ბუბა კუდავა:** — ჯერ კიდევ ქრისტესწინარე საუკუნეებში მოიხსენიება ჰერეთი, როგორც ქართლის უძველესი სამეფოსა და ალბანეთის სასაზღვრო ცენტრი და მათი მუდმივი ცილობის საგანი, რასაც V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა დაუსვა წერტილი — ჰერეთი ქართლის სამეფოს შეუერთა. ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში კი იგი დავით აღმაშენებელმა დააბრუნა. მე-15 საუკუნეში კახეთის სამეფოს ნაწილი იყო. მერე კახეთის მეფის, ალექსანდრე II-ისთვის, „საჩუქრად“ დაუტოვებია ჰერეთი შაჰ-აბას II-ს. მანამდე, კახთა მეფის, ლევან II-ის ხელშეწყობით, აქ ლეკები მომრავლებულან — მათ კავკასიონის მთებიდან სამეფო კარისთვის უნდა ეზიდათ ყინული, რომელიც მაშინ მაცივრობას სწევდა. დაღესტნური მოსახლეობა გახდა დასაყრდენი შაჰ-აბასის პოლიტიკისა ჰერეთში — აქაური ლეკები თავს ირჩენდნენ კახეთის ძარცვა-გლეჯით, ხარკს აწერდნენ ქართულ მოსახლეობას. ასევე წარმოიქმნა კაკ-ელისენის სასულთნო ჰერეთში. ამ პოლიტიკურმა ერთეულმა დამოუკიდებლობაც მოიპოვა. მისი სუვერენიტეტი ცნო ირანმაც და ოსმალეთმაც — მათ ხელს აძლევდათ, კახეთის სამეფოს მომიჯნავე რაიონში საკუთარი პოლიტიკის დასაყრდენი ჰქონოდათ. ავის მოსურნეთათვის აქედან ძალიან იოლი იყო საქართველოში შემოჭრა. ეს მდგომარეობა ძალიან აწუხებდა ერეკლე II-ს, რომელმაც, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ ალკვეთა ლეკთა თარეში. მე-19 საუკუნეში ჰერეთი რუსეთმა დაიმორჩილა. 1918-21 წლებში რუსეთმა და ერთა ლიგამ ჰერეთი საქართველოს დაუბრუნეს. თითქოს ამით უნდა დასრულებულიყო ამ მხარის მრავალტანჯული ისტორია, მაგრამ სხვაგვარად მოხდა — ჰერეთი, საბჭოთა საქართველოსა და აზერბაიჯანის შეთანხმებით, აზერბაიჯანის ხელში გადავიდა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რა ხდებოდა აქ დღემდე. დღეს კი ძალიან მძიმე მდგომარეობაა.

**გიორგი კალანდია:** — საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის გადალახვისთანავე სევდა მოგვგვარა აზერბაიჯანელების ეზოს ღობეებში ჩატანებულმა კავკასიონის დიდი კედლის ფრაგმენტებმა. ეს კედელი ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე აუგიათ უძველეს ქართველებს მტერთაგან დასაცავად. ათასწლეულების განმავლობაში ამაგრებდნენ მას ქართველი მეფეები. ახლა მხოლოდ მისი ნაშთია დარჩენილი. გადაღება დავიწყეთ. თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, უშიშროების თანამშრომლები გვეძგერნენ, — აქ რას აკეთებთ, ისტორიული ძეგლების გადაღების უფლება არ გაქვთო. არადა, წასვლის წინ აზერბაიჯანის საელჩოს მივმართე თხოვნით, — აზერბაიჯანში, საინგილოს ტერიტორიაზე, ტელევიზიის გადამღები ჯგუფისთვის ხელი არ შეეშალათ. საელჩოში დაგვამშვიდეს — ჩვენი სახელმწიფოები მეგობრობენ, ამიტომ საგანგებო სასაზღვრო რეჟიმი არა გვაქვს და, შესაბამისად, არანაირი საბუთი არ გჭირდებათ გადაღების თანხმობისთვისო. ასეც მოვახსენეთ იქაურ უშიშროებას, მაგრამ არ შეისმინა. დავრეკეთ თბილისში, აზერბაიჯანის ელჩთან. გვიპასუხეს, — უმართებულოდ მოგექცნენო. მერე-მეთქი? ადგილობრივ უშიშროებას ელჩები არაფრად მიაჩნია. დარეკეს ბაქოში და ამის შემდეგ გვითხრეს: — ერთი პირობით გიშვებთ, არაფერი არ უნდა გადაიღოთო. პირში მივახალე, — კარტოფილის გასაყიდად კი არ ჩამოვსულვარ, რას ჰქვია, არ გადაიღო. თუ ამის საშუალებას არ მაძლევთ, დავბრუნდები საქართველოში და დიდი სკანდალიც ატყდება-მეთქი. ისევ დარეკეს ბაქოში და, როგორც იქნა, გადაღების ნება დაგვრთეს. მიუხედავად ამისა, უშიშროება ოფიციალურად დაგვდევდა კუდში მანქანებით და ზაქათალაში ფაქტობრივად, არაფრის გადაღების საშუალება არ მოგვცეს. მათი წყალობით ჩვენს გადამღებ ჯგუფს აზერბაიჯანში პარტიზანული ვიზიტი გამოგვივიდა. ელისუს სასულთნოს გადაღებისას ოპერატორ ბესო გაფრინდაშვილს მე და ბუბა კუდავა ვეფარებოდით.

**— ე.ი. უძველესი საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, ქურდულად დადიოდით?**

— თავზარდაცემულნი და შეურაცხყოფილები ვიყავით... იცით, რა ხდება საინგილოს თეატრის შენობაში? საქონელი არ უყენიათ, თორემ ბოსლად აქვთ გადაქცეული. დასს მუშაობის საშუალებას არ აძლევენ. სპექტაკლების ჩვენებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. თბილისიდან სკამები გაუგზავნიათ მაყურებელთა დარბაზში დასადგმელად, მაგრამ აზერბაიჯანის უშიშროება მათი დამონტაჟების უფლებას არ იძლევა — ბაქო თვითონ გამოგზავნის სკამებს, ამ თბილისურს ვერ დაამონტაჟებთ, ვინმე სხვას უნდა აჩუქოთო. ბაქოდანაც შეგნებულად არ მოდის სკამები. მირზა ფათალი ახუნდოვის ძეგლით დაწყებული, რამდენი სიკეთე აქვთ აზერბაიჯანელებს საქართველოში, ხომ კარგად იცით? აი, იქ, საინგილოში კი, ქართული გაზეთების კითხვაც დანაშაულად ითვლება. თუმცა, როგორც ჩანს, „კვირის პალიტრას“ ვერ ერევიან. რომელი ინგილოს ოჯახშიც კი ვიყავით, ყველგან დასტებად უწყვიათ „კვირის პალიტრა“, რომელიც ჩუმად შეაქვთ...

**ბუბა კუდავა:** — ქართული წიგნი საინგილოში კონტრაბანდაზე უარესია. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს აღმოჩენას, ნარკოტიკი რომ გინახონ, ის სჯობს. მასწავლებლებს ეუბნებიან, — საქართველოს ისტორია ბავშვებს რუკებამოხეული წიგნებით ასწავლეთო. ტექსტს რა ვუყოთო, — გაოცებულებს უკითხავთ, — რუკაზე მეტი ხომ იქ წერიაო. ისიც დახიეთო. თურქეთში, ლაზების მიმართ სამაგალითო დამოკიდებულების შემდეგ, აზერბაიჯანელების საქციელმა გაგვაოგნა. მარტო ეროვნული უმცირესობის კი არა, ადამიანის ყოველგვარი უფლება ირღვევა საინგილოში, განსაკუთრებით ქრისტიანი ქართველისა. კახის ცენტრში მდებარე ეკლესიაში, რომელიც სხვა მრავალი ტაძარივით უმოქმედოა საინგილოში, ორი ქრისტიანი ქართველი შესულა და გალობა დაუწყიათ. უშიშროებას ისინი სარწმუნოებრივი შუღლის გაღვივების მცდელობის ბრალდებით დაუპატიმრებია. თუ მათ მივბაძავთ, ჩვენში მეჩეთში მაჰმადიანი სალოცავად რომ შევა, უნდა დავაპატიმროთ? აქაურ აზერბაიჯანელებს მათ ენაზე საუბარი, სწავლა-განათლება, ლოცვა უნდა ავუკრძალოთ? თუ არა, მაშინ რატომ არ აძლევენ უძველეს ქართველებს თვითმყოფადობის, ენისა და რჯულის შენარჩუნების ნებას? ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიის რესტავრაციისას, აზერბაიჯანელ არქიტექტორთან თურმე ყოველდღე მიჰქონდათ სადილი ქართველებს ჩვენი ტრადიციის პატივისცემის ნიშნად. უშიშროებას არქიტექტორი ცალკე დაუშინებია და ქართველები — ცალკე. გაგიჟებულა ის კაცი — საქართველოში ათი მეჩეთი ავაშენე, აზერბაიჯანელებს ერთხელაც არ მოვუკითხივარ. აქ ერთი ეკლესიის აღდგენისთვის თან გადამყვნენ ქართველები და რისთვის ჭამთ ამ ხალხს, გამაგებინეთო. სტუმართმოყვარე, საოცრად გულთბილი ინგილოები სოფლებში ვერ ჩნდებოდნენ, შიშით ვერ გვეგებებოდნენ, მაგრამ ბავშვები, რომელთაც ვერავინ და ვერაფერი ვერ აკავებთ, გუნდ-გუნდად დაგვდევდნენ უკან.

**გიორგი კალანდია:** — იცით, რა ლამაზი და მაგარი ქართველები არიან ჰერი ბავშვები, ყველა მათგანი შესანიშნავად იცნობს პოეზიას, ხალხურ სიმღერებს დიდებიც და პატარებიც პროფესიონალებივით მღერიან. როცა მათ ვუსმენდი, ვფიქრობდი, რომ იავნანა ამ მხარეში კვლავაც სჩადის სასწაულებს და თუ რამე ქრისტეს შემდეგ მათ ძალას აძლევს გადარჩენისთვის, ქართული სიმღერა და საგალობელია-მეთქი.

საინგილოში, მთაზე, ნატაძრალია. მის შუაგულში დაფლულია უზარმაზარი ქვევრი. თურმე თითოეული ჰერი დოქით ღვინოს ასხამდა მასში. მარიამობას ღვინოს მოძღვარი აკურთხებდა. ღვთისმშობლობას დღესაც ზეიმობენ აქაური ქრისტიანები. მთელ საინგილოში ერთადერთი მოქმედი ეკლესია კახშია. აზერბაიჯანელები იქ მოძღვარს არ უშვებენ.

**ბუბა კუდავა:** — აზერბაიჯანელებს რომ ჰკითხო, იქაური ეკლესიები თურმე ალბანურია და ამიტომაც ჯვარი არ უნდა ჰქონდეთ. ეს აბსურდია. ალბანეთი ძალიან ადრე გაქრა რუკიდან. ქრისტიანულ პერიოდში ჰერეთი ქართლის საკუთრება იყო და ასე გახლდათ მრავალი საუკუნის განმავლობაში. შესაბამისად, ყველა ეკლესია ქართულია. ისე, ვის უნახავს უჯვრო ეკლესია? ასეთი ამბები საინგილოს მიწაზე იმიტომ ხდება, რომ ქართული ხელისუფლება არასოდეს დაინტერესებულა თავისი ხალხით, ქართველი პრეზიდენტი არასოდეს ჩასულა საინგილოში და ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს აზერბაიჯანელი კოლეგისთვის, რომ ამ ხალხს, ჰერებს, გაფრთხილება ისევე სჭირდებათ, როგორც აზერბაიჯანელებს — საქართველოში. ჰეიდარ ალიევი საქართველოში ვიზიტს ისე არ დაასრულებდა, მარნეულში და გარდაბანში თავისი ხალხი რომ არ ენახა და ჟურნალისტების თანდასწრებით „ანამუსებდა“ შევარდნაძეს — ამათ მიმიხედეო. ჰერებს, ჩვენს ინგილოებს კი ისევე უჭირთ, როგორც შუა საუკუნეებში, როცა სპარსთა და ოსმალთა უღელქვეშ იცავდნენ ქრისტიანობასა და ქართველობას. საქართველოს ხელისუფლებამ აზერბაიჯანის ხელისუფლებას მაღალი დონის შეხვედრებზე უნდა დაუსვას საკითხი ამ ხალხის შესახებ, რომ ეკლესიებში აღევლინოს წირვა-ლოცვა, შეწყდეს მათი შევიწროება. თუ ქართული მხარე ამას მკაფიოდ მოითხოვს, აზერბაიჯანი ვერ შეეწინააღმდეგება. ეს აუცილებლად უნდა მოხდეს, თორემ საინგილოში ურთულესი სიტუაციაა, იქ დღესაც, იმის გამო, რომ ეკლესიაში ლოცვას უკრძალავენ, სალოცავი ოთახები აქვთ ქრისტიანებს, სადაც წმინდა კიდობნები უდგათ, მათში ხატებია ჩასვენებული. კიდევ ერთი საოცრება ხდება გამაჰმადიანებულ ქართველებში: ზოგი ქრისტეს სჯულს აღიარებს ისევ, თუმცა, ჩუმად, საიდუმლოდ ატარებს ჯვარს, რადგან გამჟღავნება შეიძლება საბედისწეროც აღმოჩნდეს ისევე, როგორც ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველის დაახლოება — ამაში მათ ხელს უშლიან. მაჰმადიან ქართველებს კი გააზერბაიჯანელებას აიძულებენ, ანუ არა აქვთ უფლება, პასპორტში ქართული სახელი და გვარი ჩაიწერონ, რაც იურიდიულად დანაშაულია.



საინგილოს ე.წ. თეატრი

**გიორგი კალანდია:** — ინგილოები ამბობენ, ჩვენც ისეთი უფლებები უნდა მოგვცენ, როგორიც საქართველოში აზერბაიჯანელებს აქვთო. მეტი არ გვინდა, თორემ მერე ეს საქართველოს შეუქმნის პრობლემებსო. ერთმა ქალმა გვითხრა, — ჩვენმა ხელისუფლებამ მოგვხედოს საქართველოდან, ნუთუ ეს შეუძლებელიაო? იქ ერთი ქართველიც რომ ჩადის, აზერბაიჯანელები ფიქრობენ, — ამათ პატრონი, ვიღაც ჰყოლიათო.

წავიდეთ ქურმუხობას, სხვა დღეებშიც ვესტუმროთ ჩვენს უძველეს მიწას, რომელიც ზოგიერთი უტვინო ქართველი კომუნისტის გამოისობით დაიკარგა. გავაძლიეროთ ჩვენი ხალხი თანადგომით, ჩვენი იქაური წინაპარი ამას იმსახურებს. კახის ეკლესიასთან არის ქართველთა პანთეონი. მის წინ დგას უზარმაზარი ხე, რომელიც ისეა მოდრეკილი, თითქოს თაყვანს სცემს განსვენებულ მამულიშვილებს. ჰერები ამბობენ, იმდენად დიდებული წინაპრები გვყავდა, რომ მათ ხემაც კი მოუხარა ქედი, არათუ მხოლოდ შთამომავლობამო. იქ არის დაკრძალული ქართველი ბერი, რომელსაც მე-19 საუკუნის II ნახევარში ლეკებმა თავი მოჰკვეთეს ქრისტიანობის გავრცელების გამო.

**— გიორგი, მიუხედავად იმისა, რომ საინგილოში ნოყიერი მიწაა და მოსავალიც დიდი მოდის, ქართველები ხელმოკლედ ცხოვრობენ?!**

— დიახ. მათ მიწებს თითქმის არ აძლევენ. მე არ მინახავს მდიდარი ჰერი. 11-შვილიანი პაპიაშვილების ოჯახი გავიცანით. ძალიან უჭირს, მაგრამ ქართველის სტუმრობისას ზღაპრული ლხინი ჩაღდება, თანაც უძველესი რიტუალების დაცვით. ჰერი სადღეგრძელოებს უფლის სადიდებლით იწყებს. იქ ყველა თაობის ჰერისთვის უფალი, მამული და ენა უმთავრესია და არა პათეტიკა. მე ასეთი ძლიერი ქართველები არ მინახავს. უნდა ნახოთ, ერთმანეთს როგორ უფრთხილდებიან.

ერთგან მიამბეს: როცა შევარდნაძე ბაქოში იყო, ტელევიზიით ვუსმენდით მას და ღმერთს ვეხვეწებოდით, ვეხსენებინეთ, მაგრამ არა. სააკაშვილმა კი საინგილოს თეატრი ახსენა ილჰამ ალიევთან შეხვედრის დროს და სიხარულით კინაღამ შევიშალეთ. იმედი გაგვიჩნდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მოგვხედავს, ცოტა ყურადღებას მაინც მოგვაქცევს. წელებზე ფეხს ვიდგამთ, რომ ჩვენმა შვილებმა საქართველოში მიიღონ უმაღლესი განათლება, ქართველობაში განმტკიცდნენ, მაგრამ მერე აქ ვერ საქმიანობენ. ეს საკითხი ქართულმა ხელისუფლებამ უნდა მოგვიგვაროს აზერბაიჯანელებთანო.

მიუხედავად ასეთი წნეხისა და სატკივრისა, მაინც დავძენ, ჩვენზე ნუ იდარდებთ, მთავარია, თქვენ იყოთ ძლიერი. როცა ამას შეძლებთ, ჩვენ თავაწეული ვივლითო, — დაგვამშვიდეს.

როდესაც აბაშიძე წავიდა ბათუმიდან, ერთმა ინგილომ გვითხრა, ეს ქურმუხის წმინდა გიორგის დამსახურებაა, რადგან მას შევავედრეთ საქართველო. მისმა მახვილმა გიხსნათ და სამაჩაბლოსაც დაგიბრუნებთ და აფხაზეთსაცო.

იმაზე დარდობენ, რომ საქართველოს ტერიტორიული პრობლემები აქვს, იქ კი, პატარებს დღესაც სჯერათ, რომ პატარა კახი ცოცხალია და ინგილო გოგო დარწმუნებულია, ოდესლაც ნახავს მას და თავზე ქლიავს გადააყრის... ჰერეთი ლეგენდების მხარეა. უძველესი სასაფლაო რომ ნახოთ, რომელსაც ჰერები სამაროვანს ეძახიან, დარწმუნდებით, რომ არ ვცდები. გაშლილ მინდორზე, ძველი ქართული წარწერებით მოგვირისტებული ქვის ლოდები დაჩოქილი მებრძოლებივით დგანან, მზე ილვრება იმ იდუმალ ველზე და გეჩვენება, მეომრები უზენაესს სცემენ თაყვანს.

**— იქნებ ცოტა ჰერების მხარულებაზე, ყოფასა და კულტურაზე გვიამბოთ.**

— საინგილოში პირველად ვჭამე შინდის საწებელში ამოვლებული, თონეში შემწვარი მწვადი, კვერცხითა და მაწვნით შეკაზმული ლობიო. ამას ყველაფერს ქვაბში ურევენ, მერე შიგ აწყობენ ტაბაკას, დგამენ ცეცხლზე და... ახლა, თხრობის დროსაც კი, ნერწყვი მომდის. წურავენ საუცხოო ღვინოს. ყველა ჰერის ეზოში არის ტალავერი. მათ ვაზის საოცარი კულტი აქვთ. როცა ვკითხე ჰერებს, რითი განსხვავდება თქვენი ღვინო დანარჩენი ქართველების ღვინისაგან-მეთქი, მიპასუხეს: — ჩვენ ნამდვილი ღვინო გვაქვს, შაქარს არ ვაკადრებთ. ღვთის სისხლს ამით ვერ შეურაცხვყოფთო.

**— ლაზებსა და ჰერებზე ნაამბობით ცხადდება, რომ სამშობლოდან შორს და მუდმივ განსაცდელში მყოფი ქართველი უფრო ძლიერია და მეტად იბრძვის ქართველობისთვის...**

— მე და ბუბაც ასე ვფიქრობთ... თითქოს არ შეიძლება ჩვენი ერის მუდმივი სიმშვიდე, რომ არ მოვდუნდეთ. ჰერებმა ქართული ლიტერატურა და ისტორია ჩვენზე უკეთ იციან, რადგან ეს მათი სულიერი საზრდოა და ბრძოლაში გამარჯვების ტოლფასია. ისინი უხილავ ზღუდეს ქმნიან საქართველოს გარეთ და განამტკიცებენ ჭეშმარიტებას გრიგოლ ხანძთელის სიტყვებისა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“, ანუ საქართველო არის იქ, სადაც თუნდაც ერთი ქართველია. ჰერები ამბობენ, — ჩვენ ვართ საქართველოს უხილავი ზღუდე, პირველი ფარი და პირველი აბჯარი. ასე იყო ოდითგან და ასე იქნება.

ჩვენ, ჟურნალისტები, ისევე როგორც იქაური ქართველები, უდიდეს პატივს ვცემთ აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს და საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს. ამიტომ ვთხოვთ აზერბაიჯანის ხელისუფლებას, გაითვალისწინოს ეს ყველაფერი და ადამიანის უმარტივესი უფლებები დაიცვას. რომ ჰერეთის ისტორიულ მკვიდრთ, ჰერებს, არ ეშინოდეთ დედაენაზე ლაპარაკი და ეკლესიაში მისვლა. თუ ვართ მეგობრები, ვიმეგობროთ, თორემ პატივისცემა არ არის ჟურნალისტების დევნა. ჩვენთან აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს არავინ ზღუდავს, მეტიც, გარდაბანსა და მარნეულში მათ საკუთარი კორესპონდენტები ჰყავთ და თითქმის ყოველდღე გადასცემენ სიუჟეტებს. ვიცხოვროთ ისე, როგორც ცივილიზებული სახელმწიფოს მოქალაქეებს შეეფერება.

საქართველოს ხელისუფლებას კი ვთავაზობთ, იქნებ მოვიწვიოთ თუნდაც 26 მაისს, საინგილოს ერთადერთი ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ლაზარე“, რომელსაც ჩოხები, კაბებიც კი არა აქვთ საკონცერტოდ. თუმცა, აზერბაიჯანის ხელისუფლება, როცა სჭირდება, მშვენივრად იყენებს მათი არსებობის ფაქტს...

**ეკა ლომიძე**





1. გერმან. პარფ. სერია
2. ბერძნული ასო
3. ხელოვნური თმა
4. ათონის დიდი მონასტ
5. ბლითის გეომეტრიული ფორმა
6. პუერტორიკოელი პოპ-ვარსკვ. ... მარტინი
7. ინგლისური ... ტერიერი
8. მაკედონიის დედაქალაქი
9. მზის ღმერთი ეგვიპტურ მით-ში
10. რუსეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი
11. ქსოვილი ბილიარდზე
12. კედლის მანდალი
13. სუფრაზე წარმოთქმული სიტყვა
14. „ევგენი ონეგინი" (პერსონაჟი)
15. პერიოდული სისტემის 28-ე ელემენტი
16. ჩინური ჭადრაკი
17. ჟ. ვერნი „20 ათასი ... წყალქვეშ"
18. დისკოთეკის წამყვანი
19. მანძილის საზომი ერთეული ძველად
20. იაპონური ჭიდაობა
21. ლუდის კომპონენტი
22. ტბა ფინეთში
23. ტელემაქეს გამზრდელი
24. ღამის მონაცვლე
25. ძლიერი ანტიბიოტიკი ...ამიცინი
26. ლიტერატ. ნაწარმოების შესავალი ნაწილი
27. ექსკურსიამძღოლი
28. დავით VII-ს მეტსახელი
29. შეუდარებელი
30. დიდი კავკასიონის მწვერვალი
31. მსახური სასტუმროში
32. ფრანგ. ფილმი „მოიპარეს იუპიტერის ..."
33. სასულთნო არაბეთის ნ/კუნძულზე
34. სახელმწიფო აფრიკაში
35. განთქმული ბრაზილიელი ჩოგბურთელი ქალი (ვეტერანი)
36. პომპეის დამანგრეველი ვულკანი
37. ზამთ. სპორტ. კომპ. ყაზახეთში
38. მატარებლის ფარეხი
39. ... ნასრედინი
40. ვივიენ ...
41. ტურინის „იუვენტუსი" სტადიონი „დელე-..."
42. ფრანგი მწერალი
43. ლიტერატ. მექალთანე ... – ჟუანი
44. ... ჰეპბერნი
45. მათი ხატვა უყვარდა გოიას
46. ცაცხვი, წიფელი
47. საქართ. ისტორ. მხარე
48. რუმინული ვალუტა
49. ცოტაოდენი ჭამა შიმშილის მოსაკლავად
50. ტბა საქართველოში
51. ერთეულთა საერთაშორისო სისტემა
52. აშშ-ის ბირთვული ენერგიის ცენტრი ... ალამოსი
53. უნგრელი კომპოზიტორი
54. მარტოდ მომღერალი
55. ძვირფასი ქვა
56. ნოტი
57. თმის სალებავი
58. ლეგენდარული მაფიოზი ... კაპონე
59. შესაძლო შედეგი ჭადრაკში
60. ვალტერ სკოტის რომანი „რობ-..."
61. მონაკოს დიდი თავადი
62. ამერიკელი მსახიობი ... აფლეკი
63. ჭაობის ფრინველი
64. ცხენის სწრაფად ტარება
65. ოპტიმისტის ანტიპოდი
66. ჯავშნიანი საბრძოლო მანქანა







**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ტანი; 2. როკ; 3. სატირა; 4. რომანი; 5. მონაკო; 6. მათე; 7. ალა; 8. წიდა; 9. კომლი; 10. წამი; 11. კათედრა; 12. მერი; 13. და; 14. აირტონი; 15. მადონა; 16. „ადა"; 17. თამრო; 18. ირემი; 19. პია; 20. ია; 21. აზოტი; 22. კოკა; 23. მადა; 24. მაი; 25. ნოტა; 26. რო; 27. გოშია; 28. აგრეფე; 29. პა; 30. არიოზო; 31. თამადა; 32. რონე; 33. სეანსი; 34. ლოჟა; 35. ოსტ; 36. ვო; 37. რინო; 38. ადრესი; 39. შტანგა; 40. ობი; 41. ორბი; 42. დრამა; 43. რონა; 44. „არდი"; 45. მარდი; 46. სასკია; 47. ორინოკო; 48. ურო; 49. ბუ; 50. ლი; 51. ბე; 52. მარია; 53. „რერო"; 54. სკა; 55. ინგა; 56. პიზა; 57. კონერი; 58. ოკა; 59. კასპი; 60. „ალი"; 61. არია; 62. ვეზირი; 63. გორკი; 64. ოლქი; 65. გემი; 66. ემე; 67. სე; 68. სი; 69. „სილვა"; 70. ფრე; 71. პი; 72. სიტი; 73. სევრი.

1. სიმაღლე ორმეტრნახევარი; 2. არომათერაპია; 3. სამთავრობო სასმელი ბავარიაში; 4. არდადეგებზე; 5. ექსპერიმენტატორი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა რამაზ ალანიამ

# თქვენთვის



ჩ ემს რესპონდენტს თითქოს ახალი და უჩვეულო არაფერი უთქვამს და მისი ცხოვრებაც საოცრად ჰგავს ათასობით ქალისას.

რას ვიზამთ!

მას შემდეგ, რაც უფალმა ადამის ნეკნისგან ქალი შექმნა, თითქოს დაკანონდა, რომ კაცი ძლიერია, ე. ი. მმართველი, ქალი კი — სუსტი, ანუ სამართავად ადვილი... სხვათა შორის, თითქმის მეოცე საუკუნის ბოლომდე იტანდნენ მორჩილად ქალები თავიანთი „ძლიერი ნახევრების“ ყველა გამოხდომას, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მათაც გაუჩნდათ პრეტენზია „მჩაგვრელების“ მიმართ და ჯეროვანი ყურადღება, პატივისცემა და დაფასება მოითხოვეს მათგან. დღემდე კამათობენ სოციოლოგები, ფსიქოლოგები თუ ანალიტიკოსები — მაინც რა მოხდა და რა შეიცვალა, რატომ და როდის დაკარგა მამაკაცმა ის ავტორიტეტი, რომელიც ორთა ურთიერთობაში მის ერთპიროვნულ ლიდერობას განაპირობებდა...

ვფიქრობთ, ამის მიზეზი საკუთარ თავში უნდა ეძებონ, რადგან მხოლოდ სუსტ კაცს გაექცევა ხელიდან ოჯახური თუ საზოგადოებრივი ურთიერთობების მართვის სადავეები...

თავი რომ არ შეგაწყინოთ, გეტყვით, რომ ასეთ ფილოსოფიურ განწყობაზე 32 წლის მაკა ს-ძემ დამაყენა, რომელიც რედაქციაში გვესტუმრა და საკმაოდ პრეტენზიულად განგვიცხადა: თქვენ ხშირად წერთ მამაკაცებზე და ცდილობთ, ყველა მათ შეცდომას გამართლება მოუძებნოთ. არადა, არც ერთი მათგანი დანდობის ღირსი არაა, მით უმეტეს, არც შებრალებისო.

განრისხებულ ქალთან კამათს აზრი არ ჰქონდა და ამიტომ არ დამიწყია იმისი მტკიცება, ყველა კაცი ერთნაირი არაა-მეთქი. სტუმარს ყავა შევთავაზე და მისი თავგადასავლის მოსასმენად გავემზადე...

— 18 წლისა ძალით გამათხოვა მამაჩემმა 14 წლით უფროს კაცზე — არა მაქვს შენი დევნისა და პატრონობის თავი, ჯობს პატრონს ჩაგაბაროო, გამომიცხადა ერთ დღეს. მუხლებში ჩავუვარდი და ცრემლად დავიღვარე, მაგრამ არაფერი გამივიდა. ჯაბა 32 წლის იყო, ერთად მუშაობდნენ და რადგან ფული და მოწყობილი სახლ-კარი ჰქონდა, ეს მიიჩნია ჩემი ბედნიერებისთვის საკმარისად...

ქორწილში თვალცრემლიანი ვიჯექი, რის გამოც პირველივე ღამეს მცემა ქმარმა, ალბათ შეყვარებულს მისტიროდიო. შეიძლებოდა ასეთი კაცი შემყვარებოდა?! — ზიზღით ამევსო სული...

მამაჩემი მიხვდა, რაც ხდებოდა ჩემს თავს და მკაცრად გამაფრთხილა: არც იოცნებო შინ დაბრუნებაზე, განათხოვარ ქალს შინ არ დაგისვამო!..

ჯოჯოხეთური ორი წელი გავატარე ქმართან, რომელმაც ინსტიტუტიც მიმატოვებინა — რა ვიცი, იქ ვის ხვდები და რას სჩადიხარო?!

კიდევ კარგი, არ დავფეხმძიმდი, თორემ საძულველი კაცის შვილიც შემძულდებოდა ალბათ... არც ცემა დამკლებია და არც ლანძღვა ამ ხნის განმავლობაში. მემუქრებოდა, — თუ ჩემი არ იქნები, ისე დაგასახიჩრებ, არც სხვას ენდომებიო.

ერთ დღეს მივხვდი, თუ თავს არ ვუშველიდი, დავიღუპებოდი... ვაღიარებ, გავქურდე ჯაბა, საკმაოდ დიდი თანხა წამოვიღე და ჩემს თანაკლასელს ვთხოვე თავშესაფარი სხვა ქალაქში...

— **ძებნა არ დაგიწყეს?!**

— როგორ არა და მალევე მიპოვეს კიდეც პოლიციის დახმარებით, მაგრამ ჩემმა მეგობარმა, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო, დამაკვალიანა, სასამართლოში სარჩელი შემატანინა მამისა და ქმრის წინააღმდეგ და მომაგებინა კიდეც პროცესი. ამის შემდეგ მამაჩემი ინფარქტით გარდაიცვალა. სხვათა შორის, არც შემცოდებია და არც მიტირია — ტირანი იყო, დედაჩემსაც ტანჯავდა თავისი ეჭვებით. პირიქით, ჩემი უმცროსი დებიც ავაცილე ჩემს ხვედრს, სიყვარულით დათხოვდნენ და დღეს ბედნიერები არიან...

— **თქვენ?!**

— მე ბედნიერება ვერსად ვიპოვე და სწორედ ამან მომიყვანა თქვენამდე. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში დამკვიდრება ძალიან გამიჭირდა, მაინც ჩემი გავიტანე — ინსტიტუტშიც აღვიდგინე თავი, დღე ვსწავლობდი, ღამით კი ერთ-ერთი რესტორნის სამზარეულოში ჭურჭელს ვრეცხავდი. ბავშვებსაც ვამეცადინებდი მათემატიკაში, ოჯახებში დავდიოდი. ნელ-ნელა ფული მოვაგროვე — ბინა ჯერ დავიქირავე, მერე ერთოთახიანის ყიდვა და გარემონტებაც შევძელი. ეკონომისტი ვარ და სამი წლის წინ ერთ-ერთ მსხვილ ფირმაში დავიწყე მუშაობა. თანამშრომლებს უკვირდათ — ახალგაზრდა ქალი ვიყავი, მაგრამ კარჩაკეტილად ვცხოვრობდი. არ ვსვამდი, არ ვეწეოდი, არც საყვარელი მყავდა და ამიტომ „მონაზონი“ შემარქვეს. მამაკაცებს მოვწონდი, მაგრამ ხომ გაგიგიათ — რძით დამწვარი წყალს სულს უბერავდაო? იმდენად დამიმახინჯა სული ჯაბასთან გატარებულმა ორმა წელიწადმა, ძალადობას ველარ ავიტანდი...

გურამი ორი წლის წინ მოვიდა ფირმაში, ჩვენი შეფის მეგობარია და იმან ჩამოიყვანა მოსკოვიდან, სადაც ბოლო ათი წლის განმავლობაში ცხოვრობდა. ცოლს დაშორებული იყო, მისი 7 წლის ბიჭი დედასთან იზრდებოდა...

სწორედ იმის გამო დავუახლოვდი გურამს, რომ ჩემსავით ოჯახდანგრეული იყო, მეგონა, უფრო გამიგებდა...

მალე ცოლობაც შემომთავაზა. გულახდილად ვუამბე ყველაფერი — ვუთხარი, რომ განათხოვარი ვიყავი...

რომ ვერ წარმოვიდგენდი, ისეთი მძაფრი რეაქცია ჰქონდა — თუ ასე იყო შენი საქმე, რა წმინდანს თამაშობდი, სხვისი ნათრევი ქალი ცოლად არ მჭირდება, მხოლოდ საყვარლად თუ დაგისვამო!.. არ დაურტყამს, თორემ სხვა არაფერი დაუკლია, არადა, რითი მჯობდა, განა თავადაც დანგრეული არ ჰქონდა ოჯახი? მე არაფერი ჩამიდენია ისეთ, თავი დამნაშავედ მეგრძნო... არა, კაცები არ არიან ერთგულებისა და პატივისცემის ღირსი...

ახლა გადავწყვიტე, ბავშვი გავაჩინო, თანაც ერთი კი არა, ორიც... თუ ჩემი არ მომეცემა, სხვისას ვიშვილებ და გავზრდი, მათ მოვუვლი და ვემსახურები. ეს აჯობებს, ვიდრე ისეთი უმადური კაცის სამსახურში ყოფნა, რომლის ფიქრით, ქალი ვალდებულია ბინძური საცვლები და წინდები ურეცხოს. თავად კი თუ დასჭირდა, კიდევაც დაამცირებს და კიდევაც უღალატებს!..

...მონუსხული ვუსმენდი მაკას, მთელი საკაცეთი უმადურ და ეგოისტ არსებებად დამიხატა. იმ წუთში თავს ბედნიერად ვთვლიდი, რომ გათხოვება არ ვიფიქრე და „დაჩაგრულ ქალთა“ სიაში არ აღმოვჩნდი!..

მაკას წასვლის შემდეგ კი მოვეგე გონს და მამაკაცის ყურადღებით და სიყვარულით განებივრებული ბევრი ბედნიერი ქალიც გავიხსენე, მაგრამ ისიც ხომ რეალობაა, რაც მაკამ გვიამბო და საკმაოდ შემაშფოთებელი ფაქტიც?!

***ინგა ჯაყელი***

## გვწერენ

## დიდი მადლობა ყველას...



ალბათ, არანაირი დარდი არ უტოლდება დედის დარდს. როცა შვილს უჭირს, მაშინ დედისთვის არ არსებობს ნათელი დღე და სიხარული.

ეს წერილი საბერძნეთში მცხოვრებმა ლოლა სანთელაძემ გამოგვიგზავნა. იგი ჩვენი გაზეთის მუდმივი მკითხველია და „კვირის პალიტრას“ საქართველოს „წარმომადგენლად“ მიიჩნევს, ამიტომაც გადაწყვიტა, ჩვენთვის გაეზიარებინა დარდიც და სიხარულიც.

„..წერილის მოწერა გადამაწყვეტინა იმ უზარმაზარმა სიხარულმა, რომლის იმედიც გადაწურული მქონდა.

უკიდურესმა გაჭირვებამ საქართველო (ქუთაისი) დამატოვებინა. კარგა ხანია, რაც საბერძნეთში ვცხოვრობ და ვმუშაობ.

მყავს ტყუპი ვაჟი. ახლა ისინი 29 წლისანი არიან. ერთს, გიორგის, დაბადებიდან აქვს ლიმფოსტაზის (სპილოს) დაავადება, რის გამოც მარჯვენა ქვედა კიდური იმხელა შეექნა, რომ მისი ტარება ბავშვმა ველარ შეძლო. იგი ძირითადად, უმოძრაოდ იყო.

მე და ჩემი მეუღლე პატიოსანი შრომით ოჯახს ვარჩენდით, არასოდეს შეგვიწუხებია სხვა. გიორგი 25 წლის რომ გახდა, მდგომარეობა ძალიან გაურთულდა. საზღვარგარეთ სასწრაფო მკურნალობა სჭირდებოდა. ჩემს ოჯახს კი ამის საშუალება არ ჰქონდა. ჩემი ცხოვრება გიორგის გამო მუდამ სევდიანი იყო. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდი, როცა შვილის სიცოცხლე სასწორზე დაიდო. ვისთან აღარ მივდიოდი, რომელ ორგანიზაციას არ მივმართე თხოვნით, — ეგებ რაიმე თანხით დამხმარებოდნენ. ყველასგან ერთი და იგივე პასუხი მესმოდა: — 10 თეთრითაც რომ დაგეხმაროთ, საშუალებაც არა გვაქვსო. არადა, იმ პერიოდში ჯანმრთელობის და სოცუზრუნველყოფის სამინისტრო ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდა: — ამა თუ იმ ავადმყოფისთვის ამდენი და ამდენი თანხა გადავრიცხეთო. გამოდის, რომ მხოლოდ ჩემი შვილის სიცოცხლის გადასარჩენად არ გამოიძებნა არანაირი საშუალება. ღამეებს ტირილში ვატარებდი. ბოლოს, იმდენად გავმწარდი, გადავწყვიტე საბერძნეთში წასვლა, რათა იქიდან დავხმარებოდი შვილს.

წავედი. გული დამძიმებული მქონდა — შევიძლებდი კი იმდენი ფულის თავმოყრას, გიორგისთვის საზღვარგარეთ ოპერაცია გამეკეთებინა? თან ხანგრძლივი მკურნალობაც იყო საჭირო. ნათქვამია, იმედი არ კვდებაო. მართლაც, საბერძნეთში მხსნელებად მომევლინენ ქართველი გოგონები — ჟანა და ნანა ჩაკვეტაძეები. ისინი იმხანად გერმანიაში სწავლობდნენ. მათი დახმარებით, გიორგის ბედით დაინტერესდნენ გერმანელი ექიმები, ორი გერმანელი კორესპონდენტი ჩავიდა ქუთაისში, გადაუღეს სურათი, ჩემი შვილის სახელზე გაიხსნა ანგარიში... გიორგის



გერმანიაში უმკურნალეს, საოცარი შედეგი გამოიღო — განიკურნა და 29 წლის ასაკში დაქორწინდა კიდეც. გიგზავნით ჩემი შვილის ფოტოებს ავადმყოფობის პერიოდში და განკურნების შემდეგ, ახალშეუღლებულ მეუღლესთან ერთად. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით სახალხოდ ვუთხრა ჩემს უცნობ რძალს (მე ჯერ კიდევ არ ვიცნობ მას), თეა თურმანიძეს მადლობა იმისათვის, რომ ჩემს შვილს სიყვარული და სიხარული აჩუქა, მე კი — სიცოცხლე გამიხანგრძლივა.

მინდა მადლობა ვუთხრა საბერძნეთში, ჩვენი საელჩოს ყველა თანამშრომელს, განსაკუთრებით, ვლადიმერ გვასალიას...

დაბოლოს, ღმერთს ვთხოვ, ყველა ავადმყოფის განკურნებას, ყველა ქართველს შესძლებოდეს თავის სიზმრადქცეულ სამშობლოში დაბრუნდეს.

„კვირის პალიტრას“ კიდევ ერთხელ მოვახსენებ ულრმეს მადლობას გულისხმიერებისა და თანადგომისათვის.

***პატივისცემით***
***ლოლა სანთელაძე, ათენი***

## მამაკაცის იდეალი



მეცნიერებმა აღმოაჩინეს ქალის ხასიათის რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც მამაკაცზე ჯადოსავით მოქმედებს. ექსპერტების აზრით, იდეალური ქალია ის, ვინც:

— აშკარად არ გამოხატავს მამაკაცზე მბრძანებლობის სურვილს;

— ზომიერად ჭირვეულია;

— საყვარელი მამაკაცის სურვილებს ულაპარაკოდ ასრულებს;

— სექსუალურად თავისუფალია;

— კეკლუცია და მამაკაცის მოხიბვლა შეუძლია.

აღსანიშნავია, რომ ბევრ რამეში ცოლიანი და უცოლო მამაკაცების შეხედულებები განსხვავებულია.

ცოლიანები იდეალური ქალისთვის დამახასიათებელ ნიშნებად მიიჩნევენ — შრომისმოყვარეობას, კარგ დიასახლისობას, გულისხმიერებას და ნაკლებად ახსენდებათ ქალის სილამაზე.

უცოლო მამაკაცი კი ყველაზე მეტად ყურადღებას აქცევს მანდილოსნის გარეგნობას, ქალურობას, ინდივიდუალიზმს.

## მოდაშია სამშვენისი



ამ სეზონში დიზაინერებმა მამაკაცის გარდერობში შეიტანეს ძვირფასი ქვები. მოდაშია: ბრილიანტით მოოჭვილი საათი, ბეჭედი (განსაკუთრებით საქორწინო), ყველანაირი ყელსაკიდი, ჯვარი, მანჟეტის საკინძი...

ეტიკეტის თანახმად, მიღებული არ არის, ქალმა ბრილიანტის სამკაული საღამოს 7 საათზე ადრე გაიკეთოს, მამაკაცისთვის კი ასეთი წესი დადგენილი არ არის — თუ სურს, დილიდანვე აბრდღვიალოს პატიოსანი თვლებით მოკაზმული სამშვენისი.

თავმოყვარე მამაკაცი უქოლგოდ წარმოუდგენელიაო, — ბრძანეს მოდის მეტრებმა და კვლავ მოდაში შემოვიდა ქოლგა. ძველ ეგვიპტესა და ჩინეთში ქოლგის ტარება მეფეთა უპირატესობა გახლდათ. მათი ეს საჩრდილობელი 2 კგ-ს იწონიდა და 1,2 მ სიგრძისა იყო. თანამედროვე ქოლგა თავისუფლად კი თავსდება ავტომობილის უკანა სავარძელზე, მაგრამ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის შეუფერებელია.

ამ სეზონში მოდურია ვიწრო ჰალსტუხი, რომელიც ისე უნდა შეისკვნათ, რომ ტრადიციულად შარვლის ქამარს კი არ ფარავდეს, არამედ ქამრამდე კარგა მაღლა იყოს.





# არაფერს ვთხოვ, ერთის გარდა...

საკმარისია გარეთ გახვიდე, ნელი ნაბიჯებით ჩაუყვე ქუჩას და ცალი ყური „ათხოვო“ იქვე, შენ გვერდით მოსიარულე ან მდგომ ადამიანებს, რომ რამდენიმე წუთში გაიგებ, რა აწუხებთ, რაზე ფიქრობენ ან დარდობენ.

სულაც არ ვაპირებდი ქუჩაში ბლიც-ინტერვიუების აღებას, მაგრამ გაგონილმა ჩამაფიქრა. მართლაც, ყველას თავისი საწუხარი აქვს, ზოგს ეკონომიური, ზოგს სულიერი და ზნეობრივი...



პირველ მოსაუბრეებში ასეთი დიალოგი მოვისმინე:

— სად გაგონილა, ოჯახის კაცმა უკან მოუხედავად მიატოვოს ცოლ-შვილი. აღარ იკითხოს, ცოცხლები არიან თუ არა, რას ჭამენ და სვამენ, რა ულხინით და უჭირთ? ამის პატიება არ შეიძლება!

— ძნელია პატიება, მაგრამ თუკი ნანობს, თუკი ოჯახში დაბრუნება უნდა, ხელს ნუ ჰკრავ. გზააბნეული რახან გონს მოეგო, შვილებს ნუღარ დაუკარგავ, ცოდოა!

სხვები სხვა რამეზე დაობდნენ:

— ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო. ასე დაემართა ჩემს სიძესაც. რა ხვითოც იყო, აქაც ეტყობოდა. აიჩემა, ამერიკაში უნდა წავიდეო. ცალკე მე ვუსესხე ფული, ცალკე — ჩემმა შვილმა. 7.000 დოლარი ვალად დავიდეთ და რა? აგერ ორი წელი ხდება და გროშიც არ გამოუგზავნია.

— იცი, როგორ გაძნელდა ამერიკაში დამკვიდრება და სამუშაოს მოძებნა? ადროვეთ, ცოტა ხანს, გამოგზავნის, აბა რას იზამს?

მესამე მოსაუბრეთა თემა, მათი ასაკიდან გამომდინარე განსხვავდებოდა წინა „თემატიკიდან“.

— ნათიას დაუწყო თვალების ჟუჟუნი... თითქმის წელიწადი „მეპადხოდებოდა“, ხან სად მეპატიჟებოდა, ხან — სად, მერე კი უცებ... აბა, ღირს მაგასთან ურთიერთობის გაგრძელება?

— ყველა ბიჭი ეგეთია, რა! გგონია, უნაკლოს მოძებნი, რომელიც მხოლოდ შენ შემოგაჩერდება? არ დაიჯერო ეგ.

რედაქციაში მკითხველთა წერილები დამხვდა. მათშიც იგივე სატკივარ-საწუხარი იყო, რაც ქუჩაში მოვისმინე.

ამჯერად ერთ-ერთ წერილზე შევაჩერე ყურადღება და რადგან ტელეფონის ნომერიც იყო მითითებული, ადრესატს დავუკავშირდი. ცოტა ხანში რედაქციაში მესტუმრა.

— მახსოვს, ადრე, თუკი ოჯახი დანგრევის პირას მივიდოდა, ორგანიზაციაში, სადაც „მთავარი დამნაშავე“ მუშაობდა, პარტიულ კრებას მართავდნენ და „ასამართლებდნენ“ „მოღალატეებს“. ამაზე მაშინ მეცინებოდა. განა შეიძლებოდა სიყვარულის ან თუნდაც დროებითი გატაცების გამო დასჯილიყო ადამიანი? ასე იყო თუ ისე, პარტიულ კრებაზე „გამოჭენებისა“ ბევრს ეშინოდა და საგულდაგულოდ ნიღბავდა თავის გრძნობას, — მითხრა მარიმ.

**— გამოდის, რომ უმიზნო არ ყოფილა პარტიული კრებები და თავის დროზე ბევრი ოჯახიც გადაურჩენია. თქვენც იმავე პრობლემის წინაშე უნდა იდგეთ. რედაქციაში წერილის გამოგზავნა, მერე კი ჩემთან საუბარი ისევ იმ ყბადაღებული „პარტიული კრებების“ მიზანს ხომ არ ემსახურება?**

— ნაწილობრივ, მაგრამ ჩემი მეუღლის (უფრო სწორად, ყოფილი ქმრის) დასაბრუნებლად არ ვაკეთებ ამას. ეს ნაბიჯი შვილმა გადამადგმევინა. ბავშვი ძალიან მტკივნეულად განიცდის უმამობას, ამიტომაც გადავწყვიტე, თქვენი საშუალებით შევეხმიანო მამამისს.

**— ეს დასჯის ხერხია თუ გულის მოოხება გსურთ?**

— არა, დასჯა რომ მნდომოდა, აქამდეც გავაკეთებდი და თანაც სხვა ფორმით.

**— ბავშვი რამდენი წლისაა და რამდენი ხანია, რაც მეუღლეს გაშორდით?**

— ქეთი ახლა 10 წლისაა. ორის იყო, როცა გავშორდით. თავდაპირველად, დროდადრო მოიკითხავდა მამამისს. მერე თითქოს მიივიწყა კიდეც, მაგრამ რაც სკოლაში წავიდა, გააცნობიერა (თანაც, საკმაოდ მტკივნეულად), რომ მამა მის გვერდით არ არის. ჩემი მამიკო სად არისო, — მკითხა ერთხელ. როგორც ასეთ დროს იციან ხოლმე, მამამისი საიქიოს ვერ გავისტუმრე, თუმცა ბოლომდე სიმართლეც ვერ გავუმხილე და „სასარგებლო და ლამაზი“ ტყუილი ვუთხარი: შენი მამიკო უცხოეთში მუშაობს, არ უნდა, რომ რამე მოგაკლდეს-მეთქი. ამ ტყუილით დაიწყო ჩემი ტანჯვა. ვერ მივხვდი იმას, რომ ტყუილი, რაც არ უნდა „სასარგებლო“ და „ლამაზი“ იყოს, მაინც უმსგავსობაა და ადრე თუ გვიან გამოაშკარავდება. ქეთი ცოტა ხნით დაწყნარდა, თითქოს აღფრთოვანდა კიდეც. განსაკუთრებული დღე მაშინ იყო მისთვის, როდესაც საჩუქრებს შევუფუთავდი და ზარ-ზეიმით გადავცემდი — მამაშენმა გამოგიგზავნა-მეთქი. ერთ რამეში გამიმართლა, ქმართან დაშორების მერე სამსახური მალევე გამომიჩნდა, თანაც ძალიან კარგი. ასე რომ, ქეთის ვანებივრებდი და მამამისის სახელითაც არაფერს ვაკლებდი.

**— თავისთავად ცხადია, ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა, მერე რა მოხდა?**

— ერთხელ ქეთიმ მომთხოვა, ისეთ დროს დამირეკოს მამამ, რომ მეღვიძოს და შინ ვიყოო. ისევ „ლამაზი“ ტყუილით შევეცადე რთული სიტუაციიდან გამოსვლას. თანამშრომელ მამაკაცს ავუხსენი ყველაფერი და ორ დღეში დავარეკვინე. ახლაც ვბრაზდები ჩემს თავზე, როცა ქეთის გაცისკროვნებული თვალები მაგონდება. სატელეფონო საუბარს საჩუქარიც მოვაყოლე (ლამაზი კაბა ვუყიდე) — მამაშენმა გამოგიგზავნა-მეთქი. ყველას აჩვენა და ყველასთან თავს იწონებდა იმ კაბით. მართალი გითხრათ, მეც მიხაროდა მისი სიხარული.

**— ნუთუ არასოდეს შეგხმიანებიათ, ან ბავშვის ნახვის სურვილი არ გასჩენია? ბოლოს და ბოლოს, ოჯახიდან წასვლის მიზეზი მაინც ხომ უნდა ეთქვა?**

— არც შემხმიანებია, არც ბავშვის ნახვა მოუნდომებია და არც ოჯახიდან წასვლის მიზეზი დაუსახელებია, თუმცა, მე ვიცი, რომ ჩვენ შორის მესამე ჩადგა. მას ქმარგაცილებული ქალი შეუყვარდა (ან უბრალოდ, ის ქალი უფრო „აწყობდა“, ვიდრე — მე), რომელიც ერთი პრესტიჟული ბარ-რესტორნის მეპატრონე გახლავთ. ეტყობა, ოჯახი მეტისმეტად ემძიმა... ამაზე აღარავითარი პრეტენზია არა მაქვს. სადაც უნდოდა და ვისთანაც უნდოდა, იქ წავიდა, მაგრამ ბავშვზე უარის თქმა რა კაცობაა!.. მე მას არც ბავშვზე ზრუნვას ვავალებ და არც ოჯახში რაიმეს შემოტანას ვთხოვ. მადლობა ღმერთს, ყველაფერს თავად ავუდივარ, მაგრამ ქეთის მამობას ვერ ვუწევ. გოგონას მამის სითბო და ალერსი აკლია. შარშან ამიტყდა და ან ძმა გამიჩინეთ შენ და მამიკომ, როდემდე უნდა ვიყო ასე მარტოო. ხან ლეკვი მოვუყვანე, ხან ჩიტები ვუყიდე. ცოტა ხანს გაერთო, მერე ისევ გაჭირვეულდა. გავუბრაზდი: — უკვე დიდი გოგო ხარ და უნდა იცოდე, რომ ბავშვი არც საზამთროდან ამოჰყავთ და არც ბოშებისგან ყიდულობენ. ბაია რომ გაჩნდეს, ამისთვის დედა და მამა ერთად უნდა ცხოვრობდნენ-მეთქი. ჩაფიქრდა, მერე კი უცებ გამოძებნა გამოსავალი. მე ბებოსთან დამტოვე, შენ კი მამიკოსთან წადი, რახან თვითონ ვერ ჩამოდისო. რა მოვუხერხო ამ ბავშვს, აღარ ვიცი. არადა რახან ერთხელ წამომცდა ტყუილი, ამ ტყუილს ინერციით მივყვები. რაც მეჯავრება, იმას ყოველდღიურად მივმართავ, არადა ხომ შეიძლება გვერდით მოვისვა ქეთი და ყველაფერი დაწვრილებით მოვუყვე? ვერც ამას ვაკეთებ, რადგან ქეთი ძალიან მგრძნობიარეა. მის „უცხოეთში მუშაობას“ ასე დარდობს და რა მოუვა, როცა გაიგებს, რომ მამამისი აქ, თბილისშია და ვიღაც ქალის გამო მიგვატოვა? იმ ქალს თავისი ორი შვილი ჰყავს, რომლებსაც თურმე ზედ ჰყვება, სად არ დაჰყავს: ჩოგბურთზე, ცურვასა და ფეხბურთზე. ძალიან კარგია, თუკი მას საყვარელი ქალის შვილებზე ზრუნვა შეუძლია, მაგრამ თავისი სისხლისა და ხორცის დავიწყებას რა დავარქვა?

**— ქეთი მაინც გაიგებს ყველაფერს და სხვისგან გაგებას იქნებ, სჯობდეს, თქვენ გეთქვათ?**

— ამის მეშინია სწორედ. ქეთი ჯერ კიდევ პატარაა, მაგრამ უკვე დიდივით მსჯელობს. დაბადების დღეზე თაყვანისმცემელმა წითელი ვარდები მომართვა. ქეთის, შევატყვე, არ ესიამოვნა. სტუმრების წასვლის შემდეგ მითხრა: გთხოვ, მამიკოს ნუ მოატყუებ, თუ მასთან აღარ გინდა და გოგი ბიძია მოგწონს, უთხარიო. ის ღამე ტირილში გავათენე. ქეთიც ვერ იტანს ტყუილს. ძალიან მეშინია მასთან წარსულზე ლაპარაკი. ასე მგონია, მამაზე მეტად, ჩემზე გაბრაზდება და არც მაპატიებს ამდენ მიკიბ-მოკიბვას. ამიტომაც მინდა, ძალიან მინდა, გამოჩნდეს მამამისი და ვაჟკაცური ნაბიჯი გადადგას — თავად უთხრას შვილს სიმართლე და მერე ოთხივ კუთხივ დამილოცნია მისთვის გზა...

P.S. ვფიქრობთ, რომ მარის ამ სურვილში არაფერია უცხო და პრეტენზიული. იგი დედაა და სურს, მისი გოგონა თბილ ატმოსფეროში გაიზარდოს, მაგრამ მამისგან ყურადღებამოკლებულ ბავშვს ყოველთვის ექნება უკმარისობის გრძნობა. ამიტომ, თავს უფლებას ვაძლევთ და მივმართავთ პატარა ქეთის მამას: ნუ დაკარგავთ საკუთარ შვილს. თუკი სხვებზე ზრუნავთ, იზრუნეთ საკუთარზეც, მით უფრო, რომ მას (და დედამისსაც) არაფერი უნდა, გარდა თქვენი სიყვარულისა.

***მარინა ბაბუნაშვილი***

გამოხმაურება

# დარწმუნებული ვარ, რომ უკვე ნანობ...

ორ წელზე მეტია, რაც მე და ბექას ერთმანეთი გვიყვარს. სამწუხაროდ, ბექა მეტისმეტად ეჭვიანია, სხვა რამ ნაკლი არა აქვს, ამიტომ გადავწყვიტე, ამაზე თვალი დამეხუჭა. მაგრამ თურმე არც ისე იოლი ყოფილა ეს რამდენჯერმე ჩვენი შელაპარაკება გაბუტვით დამთავრდა. დიდხანს ვერ ძლებდა უჩემოდ.

ამას წინათ პატიმრობიდან გათავისუფლდა ჩემი კლასელი, რომელსაც ადრე ვუყვარდი. ამის შესახებ ბექასთვის ნათქვამი მქონდა. ლაშამ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. უარი ვერ ვუთხარი, რადგან თუმცა არ მიყვარდა, ის ხომ ჩემი ბავშვობის ნაწილი იყო. თანაც მალე საქართველოდან წასვლას აპირებდა. საჭიროდ არ ჩავთვალე, ბექასთვის წინდაწინ მეთქვა, ამას ვაპირებ-მეთქი, თუმცა შეხვედრის დამალვას არც ვაპირებდი. კაფეში ბექას ერთ ნაცნობს მოვკარი თვალი. გულმა ცუდი მიგრძნო, მაგრამ რაღას ვიზამდი! სანამ ვმუსაიფობდით, იმ „ნაცნობმა“ თავისი საქმე თვალისდახამხამებაში გააკეთა — ბექა კაფეში შემოვიდა. ცდილობდა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა, მაგრამ არ გამოსდიოდა. გავაცანი ლაშა, მაგრამ მივხვდი, იქ გაჩერებას აზრი არ ჰქონდა, ამიტომაც კეთილი მგზავრობა ვუსურვე ლაშას და წამოვედი.

მე და ბექა მარტო რომ დავრჩით, ძველებურად დაიწყო... აღარც მინდა იმ სიტყვების გამეორება. ვცდილობდი, ამეხსნა, მაგრამ მას არაფრის გაგონება არ სურდა. ძალიან გავმწარდი და ვუთხარი: — რახან ჩემი არ გჯერა, ჩვენს ერთად ყოფნასაც აღარ აქვს აზრი-მეთქი და უკანმოუხედავად გავშორდი. მეგონა, დაფიქრდებოდა, მიხვდებოდა, რომ შეცდა, მაგრამ გავიდა დრო. ბექა არ შემხმიანა. მხოლოდ ერთხელ დააბარა თავის მეგობარს ჩემთან: ძალიან მიყვარს მაიკო, მაგრამ ვერ ვაპატიებ ღალატსო... მწარედ გამეცინა, — რომელ ღალატზე ლაპარაკობს-მეთქი.

რაც დრო გადის, უფრო მენატრები, ამიტომ თქვენი გაზეთით მივმართავ: „ბექა, მიყვარხარ, მაგრამ ეჭვიანობა გასაქანს არ გაძლევს. დამიჯერე, ლაშასა და ჩემს შორის არაფერი ყოფილა, მე მხოლოდ შენ მიყვარხარ. თუ გინდა, რომ ჩვენ ერთად ვიყოთ, მოიშორე ეჭვები, რადგან ეს შენც დაგტანჯავს და მეც. თუ გიყვარვარ, მომენდობი და დამიჯერებ, ბედნიერები ვიქნებით, თუ არადა... ძალიან მიმძიმს, მაგრამ განშორება სჯობს.

***შენი მაიკო.“***

# დიასახლისებისთვის

სარეცხი ფხვნილის ეკონომიის მიზნით ნუ გარეცხავთ ერთად ლოგინის თეთრეულსა და ჭურჭლის ტილოებს. მკვლევართა მტკიცებით, თეთრეულზე მყოფი ბაქტერიები ტილოებზე გადადის, მერე კი ჭურჭელსაც შეიძლება შეესიოს. ამიტომ თეთრეული მაქსიმალურად ცხელ წყალში უნდა გაირეცხოს, თანაც ანტიბაქტერიული ფხვნილის გამოყენებით.

სარეცხი ფხვნილის ხმარებისას აუცილებლად გაითვალისწინეთ პარკზე დაწერილი რეკომენდაციები და არ ჩაყაროთ ზედმეტი, რადგან ძლიერმა კონცენტრაციამ შეიძლება ქსოვილი დააზიანოს. თანაც, ყურადღება მიაქციეთ, რომ სარეცხი ფხვნილი კარგად გაიხსნას წყალში.

**გთავაზობთ ტანსაცმლის იარლიყებზე გამოსახული ნიშნების მნიშვნელობას:**



| | |
|---|---|
| *ხელით რეცხვა* | *შეიძლება ქიმიური წმენდა ჩვეულებრივი რეაგენტებით (მაგ.: პერქლორეთილენით ან ჰიდროკარბონატით)* |
| *$30^0C$-ზე რეცხვა* | *არ ექვემდებარება ქიმიურ წმენდას* |
| *$40^0C$-ზე რეცხვა* | *შეიძლება საშრობ კამერაში გაშრობა* |
| *$60^0C$-ზე რეცხვა* | *არ შეიძლება საშრობ კამერაში გაშრობა* |
| *არ შეიძლება რეცხვა* | *დააუთოეთ დაბალ ტემპერატურაზე (დაახლოებით $100^0C$)* |
| *შეიძლება ქლორიანი მათეთრებლის გამოყენება* | *საშუალო ტემპერატურაზე (დაახლოებით $150^0C$)* |
| *არ შეიძლება ქლორის გამოყენება* | *მაღალ ტემპერატურაზე (დაახლოებით $200^0C$)* |
| *ქიმიური წმენდა ნებისმიერი რეაგენტებით (ქიმიურ რეაქციაში მონაწილე ნივთიერება).* | *არ დააუთაოთ* |

# რუსთაველი სიყვარულის ქუჩა აღარ არის?

**წინათ რუსთაველზე ლამაზი ქალები რომ დასეირნობდნენ, კაცებისთვის ყოველდღე ზეიმი იყო. ისინი მოწიწებით ეპყრობოდნენ მანდილოსნებს. ჩვენი თაობის ბიჭების დაზრდას არა და არ დაადგა საშველი და ვერც გალანტურად ექცევიან ქალიშვილებს.**

**შემოგთავაზებთ ძველი და ახალი თბილისის ლამაზმანების მოგონებებს.**

**ნანა (55 წლის):** — რუსთაველზე რომ გავდივარ, დღეს ყველაზე მეტად შარვლიანი გოგოების სიმრავლე მაწუხებს. კაბა სხვა ხიბლს აძლევს ქალს. ჩვენს სათვალთვალოდ რუსთაველზე დამდგარი ბიჭები თურმე ლექსებს ჩვენს კაბებსაც უძღვნიდნენ. ჩემი ქმარი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა შეყვარებულები ვიყავით, მეუბნებოდა, რომ თურმე ჩემი კაბის შრიალი ესმოდა, როცა ქუჩაში მივდიოდი, ეს მისი რომანტიკული განცდა იყო, თორემ იმ ხმაურში რომელ შრიალს გაიგონებდა! ახლა ეს ჭიპგადმოგდებული, შარვალჩაჩაჩული გოგოები რომ დადიან, მაგათ რა გრძნობები უნდა აღუძრან ასევე შარვალჩაჩაჩულ ბიჭებს, არ ვიცი... ქალიც გადაგვარდა, კაციც და ქუჩაც.



**ლიკა (35 წლის):** — ახლა რაც ხდება ქუჩებში, მეტისმეტია. ამას წინათ, სამსახურიდან დაღლილი გამოვედი. ძალიან მომინდა ქუჩაში ფეხით გავლა. გავუყევი რუსთაველს. უცებ წამომეწია ვიღაც მუტრუკი და მეუბნება, — როგორა ხარ? გაოცებულმა შევხედე, ნუთუ ნაცნობია-მეთქი. უხერხულად ვუპასუხე, — გმადლობთ, კარგად ვარ, მაგრამ მგონი, ვიღაცაში გეშლებით-მეთქი. არ მეშლებით, თქვენი გაცნობა მინდაო. ადვოკატი ვარ და ვიფიქრე, როგორც ჩანს, იცის, ვინც ვარ და უნდა დახმარება მთხოვოს, ამიტომაც ვუთხარი, — სამსახურში მობრძანდით და იურიდიულ კონსულტაციებს იქ გაგიწევთ-მეთქი. რა კონსულტაციები, მომეწონეთ და თქვენი გაცნობა მინდაო. მოკლედ, იმდენი იღრიჭინა, გული შემიწუხდა და ვიფრინე. ორი ნაბიჯი არ მქონდა გავლილი, ვხედავ ტროტუარის გასწვრივ ნელნელა მიმავალი მანქანიდან ვიღაც რაღაცას მანიშნებს. ნაცნობი აშკარად არ იყო, თვალი მოვარიდე. ის კი თავისას განაგრძობდა, ნერვები მომეშალა, ხალხი უცნაურად მიყურებდა მის გამო. ვანიშნე, მანქანა შეაჩერე-მეთქი. შეაჩერა, ვუბრძანე გადმოსულიყო. ვიღაც ქართულად მოლაპარაკე თურქი აღმოჩნდა, თურმე ვიღაც პუტანკა ალიონაში შევეშალე, გავგიჟდი, ისეთი ვთხლიშე სახეში, რომ ნაპერწკლები ვაყრევინე, მაგარი სკანდალი მოვაწყვე, წუთში დაგვადგა თავზე პოლიცია. ალბათ არც ის თურქი და არც ბევრი იმ დღეს მისით მოსეირე სულელი კაცი ველარ გაბედავს რუსთაველზე ქალთან ასეთ ბინძურ დამოკიდებულებას.

**თაკო (22 წლის):** — თბილისის ცენტრში სეირნობას აზრი არა აქვს. თუ გინდა მშვიდად იყო, სადმე ბაღში უნდა ისეირნო, ან სკამზე ჩამოჯდე, თუმცა, იქაც შეიძლება შეგაწუხონ, მაგრამ ნაკლებად. დავით აღმაშენებელზე გასეირნება შეიძლება ძვირი დაგიჯდეს თუ მობილურ ტელეფონზე ვინმემ დაგირეკა, ან სულაც სუსტსახელურიანი ჩანთა გიჭირავს. ერთსაც და მეორესაც ისე აგწაპნიან, რომ გონზე მოსვლას ვერ მოასწრებ, რუსთაველზე კი აგეკიდება ვიღაც გადარეული, ქაჯი და თუ მის ყბედობას და გამოწვევას არ აჰყევი, ისე გამოგლანძღავს და გაგინებს, რომ გული გაგისკდება. ამას წინათ სამნი ვსეირნობდით, ქაშუეთთან ვიღაცები აგვეკიდნენ, ალექსანდრეს ბაღში ჩავიტყუეთ და იქ ჩვენს ძმებს ვაცემინეთ. ახლა არ მითხრათ, ეს რა გიქნიათო. მეტის ღირსები იყვნენ.

***ეკა ლომიძე***

# პაუზას ორშაბათიდან დავარღვევ

## ასლან აბაშიძისთვის 6 წელი პერსონა ნონ გრატა ვიყავი



„დღეს რეალურად ორი-სამი ბიზნესმენის თვალით დანახულ საქართველოს ვუყურებთ მათსავე ტელეეთერში“

მიუხედავად იმისა, რომ **კოკა ყანდიაშვილი** თითქმის 6 თვეა ტელეეკრანზე არ გამოჩენილა, „კვირის პალიტრის“ მკითხველმა იგი ტელეწამყვან მამაკაცთა საუკეთესო სამეულში დაასახელა. ე.ი. მაყურებელს კარგად ახსოვს „რა ხდება?!“ თუმცა, ვერ გაურკვევია, მართლა რა ხდება ამდენ ხანს და სად არის ეკრანიდან გაუჩინარებული კოკა. მოგახსენებთ, იგი კვლავ თბილისშია და თავად გვიპასუხებს ყველა შეკითხვაზე, რომელიც შეიძლება მაყურებელს და მკითხველს გაუჩნდეს.

**— კოკა, რა ხდება, ამჯერად, თქვენკენ და დასრულდება თუ არა ხანგრძლივი პაუზა სექტემბერში, ახალ ტელესეზონზე?**

— პაუზას უკვე ორშაბათიდან დავარღვევ, რადგან საქართველოს ტელევიზია განმეორებით იწყებს ჩემი დოკუმენტური ფილმის — „საქართველო XX საუკუნე“, ჩვენებას, თუმცა ახალი რედაქციით. იგი ეთერში გავა პირველ სექტემბრამდე, ყოველდღე. შემდეგ, სექტემბრიდან ან იანვრიდან, ზუსტად ვერ გეტყვით, ახალი პროექტით გავალ ეთერში, ოღონდ ჯერ არ ვიცი, რას გავაკეთებ. ამას მაშინ გადავწყვეტ, როგორც კი პირველ არხზე დაიწყება მსჯელობა ახალ პროექტებზე. ეს მოხდება რეორგანიზაციის დამთავრებისთანავე.

**— კომპანია „პრემიერში“ რა ხდება? მახსოვს, მითხარით, ახალ პროექტებს სხვადასხვა ტელევიზიას მივყიდითო.**

— კვლავაც ვაკეთებთ „იმღერე რამეს“, ვაპირებთ ახალი პროექტის მომზადებასაც. ორ ტელეკომპანიასთან გვაქვს მოლაპარაკება, თუმცა, რადგან პროექტი ჯერ არ დაგვისრულებია, რომელ ეთერში გავალთ, არ ვიცი. საუბარია ქართულ ტელესერიალზე, დაახლოებით ისეთზე, როგორიც იყო „ძილის წინ“. ასევე ვაპირებთ მოვამზადოთ გასართობი გადაცემა.

**— თუ იცით, რომ „კვირის პალიტრის“ მკითხველმა ერთ-ერთ საუკეთესო ტელეჟურნალისტ მამაკაცად დაგასახელათ?**

— რა თქმა უნდა. ძალიან სასიამოვნოა, თუმცა, სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა. ეკრანზე კარგა ხანია არ ვჩანვარ. მაყურებელს კი თურმე ვახსოვარ. აღიარებას ვულოცავ პირველ და მესამე ადგილებზე გასულ გიორგი თარგამაძეს და აკაკი გოგიჩაიშვილს. მიხარია, ასეთი კოლეგები რომ მყავს. მინდა უფრო მეტი ჟურნალისტი მამაკაცი იყოს კარგი და მაგარი. რაც შეეხებათ ქალებს, ძალიან მომწონს სოფო მოსიძე, რა თქმა უნდა, ინგა გრიგოლია, ეკა ხოფერია, ეკა ბერიძე, უჰ, კაცებში კინაღამ დამავიწყდა ნიკა ტაბატაძე.

**— უკვე მრავალი წელია, რაც კორესპონდენტის, რეპორტიორის ამპლუაში არ გიმუშავიათ. ხომ არ გიჩნდებათ სურვილი, აიღოთ კამერა და გადაღებაზე გაიქცეთ?**

— ხანდახან ეკრანზე რეპორტიორს რომ ვხედავ, მიჩნდება სურვილი, გავლახო. რეპორტიორობა კი აღარ მინდა და ეს საქმე ნამდვილად არ მენატრება. მაბრაზებს რეპორტიორების არაკომპეტენტურობა, როცა ვხედავ, როგორ ეტენებიან მთავრობას, ან როცა ვხედავ, დაკვეთილ სიუჟეტს ვიღაცის გასამართლებლად ან მოსათხრელად. უხარისხო პროდუქცია მაღიზიანებს, თორემ მთავრობის ქებაც გამიგია და კრიტიკაც. ეს პროფესიონალურად უნდა კეთდებოდეს. ჩვენთან კი შეჯიბრი სხვა მიმართულებით მიდის. ახალ მთავრობას გვერდით დგომა სჭირდება, ოღონდ არა ასეთი ფორმით....

**— ბოლო ინტერვიუში მითხარით, საქართველოში ბოლო დროს რა ხდება, ჯერ ვერ გავრკვეულვარო. ახლა გაერკვიეთ სიტუაციაში?**

— ბოლომდე გარკვეული საერთოდ არავინ არის. ბედნიერი ვარ იმით, რაც აჭარაში მოხდა. აწი სულ რომ არაფერი გააკეთოს მთავრობამ, ესეც საკმარისი იქნება. დიდი მადლობა სააკაშვილს ყველაზე კარგი საჩუქრისთვის, რომელიც მისგან დაბადების დღეს, 7 მაისს „მივიღე“. აჭარა გათავისუფლდა და იქ შესვლის ნება მომეცა. 6 წელი ამის უფლება არ მქონდა. ჩემს ფილმს თურმე აბაშიძე ძალიან გაუბრაზებია და თავისი გაზეთებით მაფრთხილებდა, არ გირჩევთ აჭარაში ჩამოსვლას, რა იცით, რა მოგივათო. არ მომწონს, რომ დღეს ძალიან დიდი ძალაუფლებაა ერთი გუნდის ხელში, კანონების იგნორირებაც მიუღებელია, ესეც მაშფოთებს. ადრე თუ გვიან უკანონობას მაინც უნდა გაეცეს პასუხი — ისევე, როგორც დღეს სთხოვენ პასუხს კანონის გუშინდელ დამრღვევებს.

ვიმეორებ, ჩემთვის მხოლოდ ის არის მიუღებელი, რომ რამდენიმე კაცის ხელში უზარმაზარი ძალაუფლებაა. ეს ძალიან საშიშია.

**— პირველი არხი საზოგადოებრივი უნდა გახდესო, როგორ წარმოგიდგენიათ ეს?**

— ძალიან მინდა პირველ არხზე გაუმჯობესდეს მუშაობის პირობები, ამას ალბათ რეორგანიზაციის დამთავრებისთანავე ვიგრძნობ. მჯერა, რომ არხი უკეთესი გახდება. თუ ასე არ მოხდა, გინდა საზოგადოებრივი დაარქვი და გინდა არასაზოგადოებრივი. მთავარია, მხოლოდ აზრის შეცვლა არ მოხდეს. ხელმძღვანელობა ძირფესვიანად ცვლის ყველაფერს და ვნახოთ, რა გამოვა. ამ ქვეყანას ნამდვილად სჭირდება ერთი საზოგადოებრივი ტელევიზია, რომელიც არ იქნება ვინმე ოლიგარქის ხელში.

**— როგორ ფიქრობთ, საერთოდ როგორ ვითარდება ქართული ტელებაზარი?**

— ცუდად, ძალიან ცუდად. გაყინულია, დღეს რეალურად ორი-სამი ბიზნესმენის თვალით დანახულ საქართველოს ვუყურებთ მათსავე ტელეეთერში და არა სინამდვილეში არსებულ საქართველოს.

# მსაყვედურობენ, ბრიტნი სპირსს ნუ ლანძღავო

მას უკვე რამდენიმე საინტერესო როლი აქვს ნათამაშები სცენაზე. გამოჩნდა ახალ ქართულ და არა მარტო ქართულ კინოშიც. ძალიან ხშირად კი მაყურებელს თავს „იმედის“ ტელეეკრანიდან ახსენებს, როგორც „ჭორიკანა“ გადაცემების წამყვანი. **ნანკა კალატოზიშვილი** ზოგს დიდი რეჟისორის — მიხეილ კალატოზიშვილის შთამომავალი ჰგონია, ზოგმა არც ის იცის, ვინ არის მისი „ნამდვილი“ ტყუპისცალი და საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ მის შესახებ მაყურებლებმა ბევრი არაფერი იციან...

„ჭორიკანა“ გადაცემების გარდა, ნანკა ერთდროულად ორ როლზე მუშაობს — „სარდაფსა“ და თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში.

**— ნანკა, როგორც ვიცი, კინოშიც გადაგიღეს, მაყურებელი კი უფრო ტელესერიალებით გიცნობს.**

— ასეა, რადგან ის ფილმები ეკრანზე თითქმის არც გამოსულა. გადამიღეს ზურა ბერიძის მხატვრულ ფილმში „დამნაშავე ანგელოზები“ და იტალიელი რეჟისორის მასიმო გულიერმის სურათში — „ნიკოლაძის ქუჩის მცხოვრებნი“. ამ ფილმის პრემიერა უკვე შედგა რომში. თბილისში ჯერ არ ჩამოუტანიათ. ფილმში მონაწილე ყველა ქართველი იტალიურად ლაპარაკობს. სიუჟეტი რამდენიმე წლის წინ საქართველოში მოკლულ იტალიელ ჟურნალისტზე და ამ მკვლელობის გამოძიებაზეა აგებული. ირკვევა, რომ ეს ჟურნალისტი ცისფერი იყო. იტალიელი გამომძიებელი კი თბილისში რომანს აბამს... თავიდანვე საოცარი იყო ერთი რამ, რეჟისორმა სცენარი თავიდან ბოლომდე არავის წაგვაკითხა. ტექსტებს გვაძლევდა და გვაიძულებდა იტალიურად გვესწავლა. ვეჩხუბებოდი, ვერ გამიგია, რატომ უნდა ილაპარაკოს ფილმში ყველა ქართველმა იტალიურად, თუ კარგია, „გამომძიებელმა“ იაროს თარჯიმნით-მეთქი. როლის სწავლის პარალელურად, ენასაც ვსწავლობდი, ლექსიკონებით დავდიოდი ყოველდღე...



ასევე ვთამაშობ სატელევიზიო ფილმებსა და ტელესერიალებში — „მგლების ხორუმი“ და „მტვრის გემო“. არც ერთი მათგანი არ მომწონს. მერე რა, რომ მე ვთამაშობ, ეს ჩემი ობიექტური აზრია.

**— ბევრს მიხეილ კალატოზიშვილის შვილიშვილი ჰგონიხარ.**

— სამწუხაროდ, არაფერი მაქვს მასთან საერთო. წელს გავიცანი მისი შვილიშვილი ანუკა კალატოზიშვილი. როგორც ჩანს, პროფესიის გამო „გვანათესავებენ“. ოჯახიდან არც მსახიობი მყავს ვინმე და არც რეჟისორი. ეგაა, მამა და ბაბუა კინოსტუდიაში მუშაობდნენ მულტფილმების სტუდიაში. ბავშვობიდან მინდოდა მსახიობობა, 12 წლის ვიყავი, როცა ოთარ პოლოსოვთან მივედი პანტომიმის თეატრში და... პირდაპირ ჩეხეთში შედგა ჩემი პრემიერა. თეატრით გატაცებული საღამოს სკოლაში გადავედი, დღისით კი მიშა ანთაძის სტუდიაში ვსწავლობდი, იქ ჩემი პედაგოგები იყვნენ ზურაბ ანჯაფარიძე, გურამ საღარაძე და სხვა გამოჩენილი მსახიობები.

**— სპექტაკლში „ინსტინქტი“ მშვენიერი მაცდური მოსამსახურის როლს თამაშობ, რომელიც შემდეგ სქესშეცვლილი აღმოჩნდება. შენი როლი მაყურებელში სიცილს იწვევდა. რას ფიქრობ შენი გმირის პრობლემაზე...**

— სერიოზული პრობლემაა, მეც .მყავს ორიენტაციაშეცვლილი ნაცნობები. სამწუხაროდ, ეს მათი არჩევანია... იყო შემთხვევა, ერთად ვისხედით მე და ჩემი „ასეთი“ ახლობელი. ლამაზი ბიჭია, გოგონები ეპრანჭებოდნენ. ძლივს გავბედე და ვუთხარი იმ გოგონებს — საერთოდ არ აინტერესებს ქალები-მეთქი. რა თქმა უნდა, ძნელია... ვიღაც რომ მომეწონება, ვფიქრობ, „გეი“ ხომ არ არის-მეთქი....

**— ნანკა, ბევრს ჰგონია, რომ ტყუპისცალი გყავს, როცა ეკრანზე ერთბაშად ორი ნანკა ჩნდება.**

— უცნაურია. ვინც ჩემ შესახებ ყველაფერი იცის, ზოგჯერ იმასაც ჰგონია, რომ ეკრანზე ტყუპისცალთან ერთად ვარ. არადა, ეს ჩემი ეკრანული ორეულია. ტყუპისცალი კი მართლა მყავს. ოღონდ არა და, არამედ — ძმა. ერთხელ, რაღაც შეკრებაზე ვიყავი, მოვიდა ვიღაც ჟურნალისტი და მეკითხება, მეორე ნანკა როდის მოვაო. ჯერ გავვოცდი, მერე გამეცინა.

**— უცხოურ მუსიკალურ ჰიტებზე მიგყავს ერთ-ერთი გადაცემა და მინდა გითხრა, რომ არ მომწონს ის მუსიკალური ფონი...**

— მეც არ მომწონს. ხშირად „ვლანძღავ“ ბრიტნი სპირსს და ერთი-ორჯერ მისმა ფანებმა შემომითვალეს — ნუ ლანძღავო. არ მომწონს და რა ვქნა?.. ჯორჯ მაიკლი კი ძალიან მომწონს. ჯაზიც მიყვარს. საერთოდ არ ვუსმენ რეპს, სასცენო მუსიკას. მიყვარს მელოდია, რომელიც ემოციას იწვევს, დაფიქრების, წარმოსახვის საშუალებას გაძლევს, ბრიტნი სპირსის სიმღერის მოსმენისას რა უნდა წარმოიდგინო?

**— ახლახან ეკრანზე გამოჩნდი სერიალში „მტვრის გემო“, სადაც მეგონა, კი არ თამაშობდი, უბრალოდ დადიოდი, ლაპარაკობდი და სულ ეგ იყო.**

— აბსოლუტურად გეთანხმები. საერთოდ, ნაკლებად მომწონს ჩემი ნამუშევარი, მაგრამ როლები ტელესერიალებში, მართლაც საშინელებაა.

**— ეს ალბათ მარტო შენი ბრალიც არ არის...**

— ალბათ. ყველაფერს, მით უფრო ფილმს, კარგად მოფიქრება და მომზადება უნდა და არა სპონტანურად გაკეთება. მაყურებელს სულ არ აინტერესებს, ვისი ბრალია შედეგი.

**— რით ერთობა ნანკა?**

— ძალიან მიყვარდა დისკოთეკები, მაგრამ ბოლო დროს აღარ დავდივარ. მომბეზრდა. შეიძლება „ვბერდები“ (ეცინება). მოსაბეზრებელი გახდა თვით სიტუაციები დისკოთეკებში. სხვათა შორის, ამ აზრის არიან ჩემი მეგობრებიც. მირჩევნია მათთან ერთად სადმე შინ ყოფნა, კარგი მუსიკის მოსმენა და საუბარი უამრავ საინტერესო თემაზე. თუ გინდა იცეკვე კიდეც, სულაც არ გჭირდება დარბაზი. ძალიან მიყვარს წიგნის კითხვა, მაგრამ საათობით გადაბმულად ესეც არ შემიძლია.

***გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ***




ყველაფერი უძრავი ქონების შესახებ ახალ ჟურნალში

გარდა სარეკლამო ინფორმაციისა, ჟურნალშია უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, რჩევები...

ყველაზე რეალური ინფორმაცია

## ორშაბათი 17 მაისი

კვირის პალიტრა

თავის ტკივილს, სისუსტეს, თავბრუსხვევას, ყურებში ხმაურს, შიშის გრძნობას, აღგზნებას, უუნარობას და ბევრ სხვა შეგრძნებას იწვევს ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონია (ვგდ). ორგანიზმში ყველა პროცესს აკონტროლებს ცენტრალური და ვეგეტაციური ნერვული სისტემა. ბავშვებს **ვგდ** შეიძლება მემკვიდრეობით გადაეცეს და ჩვილობაშივე გამოვლინდეს ტკივილი გულის არეში, ჰაერის უკმარისობა, მუდმივად ცივი ან ცხელი ხელები ან ფეხები (ან ორივე ერთად), დაღლილობის შეგრძნება, მერყევი წნევა, კუჭ-ნაწლავის აშლილობა ამინდის ცვლილებასთან ერთად, განსაკუთრებით ასაკოვანთ, ეუფლებათ უგუნებობა. **ვგდ** უმეტესად უვითარდებათ მაღალ და დაბალ წნევიანებს, ამიტომ თვალი უნდა ვადევნოთ წნევას. **ვგდ**-ს მკურნალობენ მედიკამენტური და ფსიქოტროპული პრეპარატებით. მაღალი წნევის დროს პაციენტებს ენიშნებათ კატაბალახასა და შავბალახას წვეთები. დაბალი წნევის დროს — ჟენშენის, ელეუთეროკოკის წვეთები. ექიმები გვირჩევენ: საჭიროა დღისა და კვების რეჟიმის მოწესრიგება, ფიზიკურად უნდა ვიაქტიუროთ, რათა ვაიძულოთ სისხლძარღვები, იმუშაონ, ვიაროთ ფეხით, ვიცუროთ, მივიღოთ კონტრასტული შხაპი, არ შეიძლება დიდი ფიზიკური დატვირთვა. დისტონიით დაავადებულები უნდა ერიდონ მკაცრ დიეტას. არ მიეკაროთ ალკოჰოლს, გაზიან სასმელებს, ყავას (რძიანსაც კი), სამაგიეროდ, შეგიძლიათ სვათ ჩაი, ახალგამოწურული წვენები, კაკაო. ჭამეთ ფაფეული, კალიუმით მდიდარი პროდუქტები, კარტოფილი, ბანანი, შავი ქლიავი, ქერმის და გარგარის ჩირი. მიიღეთ ვიტამინები, განსაკუთრებით კარგია „კარდიოლოგიური“ კომპლექსები, რომელიც განკუთვნილია გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებულთა სამკურნალოდ.

*გთავაზობთ ფიტორეცეპტებს:*

**1.** 15 გ გამხმარ, დაქუცმაცებულ თავშავას დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი, გაწურეთ და 2 ს/კ თბილი ნაყენი მიიღეთ დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე 15 წუთით ადრე.

**2.** 10გ გამხმარ ჩინურ ლიმონურას ნაყოფს დაასხით 1 ჩ/ჭ ცხელი წყალი, ადუღეთ 15 წუთი ნელ ცეცხლზე, გაწურეთ და მიიღეთ 1 ს/კ ნაყენი შუადღემდე 2-ჯერ.

**3.** მიიღეთ დღეღამეში 100 გ თაფლი. ძილის წინ სასარგებლოა დალიოთ თაფლიანი წყალი (1ს/კ თაფლი გახსენით 1 ჩ/ჭ თბილ წყალში).

**ლიზა №19**


**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**

შეიძინეთ!!! 95 ლარად.



• აპარატები
• ტესტ-ჩხირები
• ერთჯერადი ნემსები
• ავტომატური საჩხვლეტი
• კარდიოლოგიური ფონეიდოსკოპი

შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03; 899-19-60-55

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**
- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10 პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35

**სამედიცინო ცენტრი „ქირონი“**

**სექსუალური პრობლემები**
**უროლოგიური დაავადებები**
**პროსტატიტი**

სრული დიაგნოსტიკა ერთ დღეში
მკურნალობა უახლესი კომპლექსური მეთოდებით

მის: დიდუბის ქ. №4
☎ 34-26-69; 899-21-36-30

**რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა, წონაში დაკლება**



**მრავალი წლის განმავლობაში ამ დაავადებებს დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, საზღვარგარეთ დამუშავებული კომბინირებული მეთოდებით.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე
მარჯანიშვილის მოედანი, აღმაშენებლის 90/84 I სად, II სართ. ტელ: 95-47-67; 899-26-51-08 75-06-14 (საღამოს)




თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის


**დამისვეს ცისტიტის დიაგნოზი. იქნებ მირჩიოთ, როგორ ვიმკურნალო?**

*ნათელა კუჭუხიძე, თბილისი*

# ცისტიტი — შარდის ბუშტის ანთება



ცისტიტი შარდის ბუშტის ანთებაა. ის უფრო ხშირად ქალებს, კერძოდ კი, ხანში შესულებს ემართებათ. ასევე ძალიან ხშირია ახალგათხოვილ მანდილოსნებში. დაავადება შეიძლება იყოს მწვავე ან ქრონიკული. ცისტიტის მიზეზია ინფექცია, განსაკუთრებით ნაწლავის ჩხირი. ქალებში პათოლოგიური (მავნე) მიკრობების მოხვედრას შარდის ბუშტში ხელს უწყობს შარდსასქესო აპარატის განლაგების თავისებურება, კერძოდ, მოკლე და განიერი შარდსადენი, ასევე, მისი სიახლოვე სწორ ნაწლავთან. ცისტიტი არ ვითარდება შარდსასქესო სისტემის ყოველი უმნიშვნელო დაინფიცირებისას, რაც განპირობებულია ორგანიზმის და შარდის ბუშტის ლორწოვანის წინააღმდეგობის უნარიანობით. სისხლის მიმოქცევის ადგილობრივი დარღვევები, ბაქტერიის მაღალი პათოგენურობა და შარდის ბუშტში მისი ხანგრძლივი შეკავება, ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითების დროს, განაპირობებს ცისტიტის განვითარებას.

ბევრი დაავადება ორგანიზმში ხელსაყრელ პირობებს ქმნის ცისტიტის განვითარებისთვის. მათ რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება: ობსტრუქციის (დახშობა, დაბრკოლება-გაუვალობა) შედეგად გამოწვეული შარდის შეგუბება, შაქრიანი დიაბეტი და სხვა პათოლოგიები, რომლებიც იმუნური სისტემის დაქვეითებას იწვევენ, ინსტრუმენტული მეთოდების, მაგალითად, სადრენაჟო კათეტერების გამოყენება. ქალებში ცისტიტს ხელს უწყობს: დეფლორაცია (საქალწულე აპკის მთლიანობის დარღვევა). ამ დროს ხშირად ვითარდება მექანიკური ტრავმა, შარდის ბუშტის ლორწოვანი შრის გამაღიზიანებელი ნივთიერებების ხმარება (უროთროპინი), მენჯის ღრუს ორგანოების სიმსივნის დროს სხივური თერაპიის ჩატარებისას შარდის ბუშტის დასხივება და სწორედ ეს გვევლინება უსიმპტომო ბაქტერიურიის (ბაქტერიები შარდში) ხშირ მიზეზად. აუცილებელია ყოველივე ამის გათვალისწინება, რადგან ორსულობის დროს ცისტიტი რთულდება სხვა პათოლოგიით — თირკმლის ქსოვილის ანთებით — პიელონეფრიტით.

მამაკაცებში ცისტიტი ვითარდება: პროსტატიტის, წინამდებარე ჯირკვლის ადენომის, კიბოს და სასქესო ორგანოების სხვა დაავადებების დროს. ქრონიკული ცისტიტის მიზეზი, როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში, შეიძლება იყოს: ქვები შარდის ბუშტში, სიმსივნე, ლეიკოპლაკია (ლორწოვანი გარსის ქრონიკული ანთების კერა, მას თან სდევს ეპითელიუმის სხვადასხვა ხარისხის გარქოვანება, მოთეთრო-მორუხო ფერის ლაქებისა და ბალთების წარმოქმნით) ან შარდის ბუშტის ტუბერკულოზი.

ბავშვებში ცისტიტის გამომწვევია, ძირითადად, შარდ-გამომყოფი სისტემის განვითარების ანომალია. თუმცა, შესაძლებელია სისხლის გზით ორგანიზმში არსებული ინფექციის მოხვედრა შარდის ბუშტში.

*კლინიკური ნიშნები:* შარდის ბუშტის ანთება შეიძლება განვითარდეს მოულოდნელადაც, მაგრამ ხშირად იგი თანდათანობით ვითარდება. გამოიხატება დისკომფორტით, წვის შეგრძნებით, რომელიც რჩება მოშარდვის შემდეგაც.

შარდვის სურვილი თანდათან ხშირდება და ხდება მტკივნეული, ხოლო შარდის რაოდენობა ყოველი მომდევნო მოშარდვის დროს უფრო და უფრო მცირდება. მოშარდვის ბოლოს, ზოგჯერ შარდი სისხლით ილებება, შარდვის სურვილი ხდება იმპერატიული. ხანდახან ავადმყოფს შარდვის შეუკავებლობა აქვს.

ხშირ შემთხვევაში სხეულის ტემპერატურა ნორმალურია, თუმცა შეიძლება ოდნავ მოიმატოს. ტემპერატურის მნიშვნელოვანი მომატება მიუთითებს ინფექციის გავრცელებაზე შარდის ბუშტის გარეთ; ასეთ დროს იგი ვრცელდება ზედა საშარდე გზებზე და იწვევს მათ ანთებას (მაგალითად, პიელიტს).

*გამოკვლევის მეთოდები:* ცისტიტის დასადგენად საჭიროა შარდის და სისხლის გამოკვლევა. მწვავე ცისტიტის დროს შარდი შეიცავს ბევრ ლეიკოციტს, ერითროციტს, ცილის მცირე რაოდენობას. ბაქტერიურია — შარდში ბაქტერიების არსებობა ყოველთვის აღინიშნება ინფექციური ცისტიტის დროს. როგორც საშარდე გზების სხვა ინფექციების დანიშნულებისას, ცისტიტის დროსაც აუცილებელია ბაქტერიურიის ხარისხის დადგენა: 1 მილილიტრ შარდში 100000 მიკრობის აღმოჩენა მწვავე პროცესის არსებობაზე მიუთითებს. ამ დროს სისხლში შეინიშნება მხოლოდ მცირეოდენი ლეიკოციტოზი (ლეიკოციტების რაოდენობის მომატება) და მომატებულია **ედსი** (ერითროციტების დალექვის სიჩქარე). გამოკვლევის მთავარი მეთოდი არის ბაქტერიული ფლორის მგრძნობელობის დადგენა ანტიბიოტიკების და სხვა ქიმიოთერაპიული პრეპარატების მიმართ, რაც ცისტიტის სწორ მკურნალობას განაპირობებს.

*მკურნალობა:* ავადმყოფი უნდა იყოს მოსვენებულ მდგომარეობაში, სითბოში, სასურველია წოლითი რეჟიმი. სათბურის დადება ჭიპს ქვემოთ, მცირე მენჯის პროექციაზე დაგიამებთ ტკივილს. ტკივილს ამსუბუქებს ჯდომითი თბილი აბაზანებიც. საკვები არ უნდა შეიცავდეს მჟავე, მწარე მინარევებს: არ შეიძლება კონსერვანტების მიღება. რეკომენდებულია ჩაი რძესთან ერთად. შარდმდენების მიღება არ არის საჭირო, რადგან ისინი აქვეითებენ ანტიბაქტერიული პრეპარატების კონცენტრაციას შარდში. მკურნალობის საფუძველს წარმოადგენს ანტიმიკრობული საშუალებები (ბაქტრიმი ანუ ბისეპტოლი). 5-10 დღის შემდეგ თუ 1მლ შარდში კვლავ აღინიშნება 100000 მიკრობი, ინიშნება ანტიბიოტიკი (ამპიცილინი ან სხვა).

პროფილაქტიკისთვის აუცილებელია პირადი ჰიგიენის დაცვა, შეკრულობის და გინეკოლოგიური დაავადებების დროული მკურნალობა.

***მაია მუხიგული***

# მითები ჩუტყვავილას შესახებ



**მითი პირველი:** — *ჩუტყვავილათი მხოლოდ სკოლამდელები ავადდებიან!* — ეს სენი ემართებათ მოზარდებსაც — 15 წლამდე 75%-ს, ხოლო 20 წლის ზემოთ — 90%-ს.

**მითი მეორე:** — *ჩუტყვავილათი მეორედ არ ავადდებიან!* სინამდვილეში, გადატანილი დაავადების ვირუსი არ ქრება ორგანიზმიდან, „იძინებს“ ზურგის ტვინში. როგორც კი დაქვეითდება იმუნიტეტი, „იღვიძებს“ და ადამიანი ავადდება ე.წ. სარტყლისებური სირსველით.

**მითი მესამე:** — *დასნებოვნება შეიძლება მესამე პირიდან!* სინამდვილეში, ინფექცია შეიძლება გადავიდეს ჰაერითაც, როდესაც ვირუსებს გამოყოფს ავადმყოფი ხველების და ცხვირის ცემინების დროს, რომლის დროსაც ვირუსი თქვენ კი არ „მიიტანეთ“ ოჯახში, არამედ თქვენმა ტანსაცმელმა.

**მითი მეოთხე:** — *ჩუტყვავილას შეიძლება არ ვუმკურნალოთ და აუცილებელი არ არის ბუშტუკების მოწვა — თავისით გახმება და მოშორდება კანს!* სინამდვილეში, აუცილებელია ექიმის მითითებების შესრულება. უწყინარ ჩუტყვავილას შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული გართულებები: თავის ტვინის გარსის, თვალის რქოვანას, კანისა და კანქვეშა უჯრედების ანთება, პნევმონია. გამონაყარზე წაისვით „ბრილიანტის მწვანე“.

**მითი მეხუთე:** — *ჩუტყვავილას დროს დაბანა არ შეიძლება!* პირიქით, აუცილებელიცაა. აბაზანა კლავს ქავილის სურვილს, შეიძლება წყალს დაამატოთ სუსტი ანტიბიოტიკები ან საჭმელი სოდა. საპნის მაგივრად იხმარეთ გელი. პირში გამოივლეთ სადეზინფექციო ხსნარი, თვალები გაიწმინდეთ ჩაის სუსტი ნაყენით.

**მითი მეექვსე:** — *უნდა მიიღოთ მეტი წვენები, ხილი, ბოსტნეული, ვიტამინები!* ვიტამინების დოზის გაზრდამ, ალერგენებით კონცენტრირებულმა წვენებმა და უცხო ხილმა, შეიძლება უკუშედეგი გამოიღოს.

**მითი მეშვიდე:** — *ჩუტყვავილას საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს!* ნამდვილად არსებობს ასეთი ვაქცინა და ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენება კიდეც.

***კომსომოლსკაია პრავდა №56***

# თურმე ცრემლები...



ამერიკელმა ბიოქიმიკოსმა უილიამ ფრეიმ აღმოაჩინა, რომ ცრემლი შეიცავს ორგანიზმისთვის ბევრ სასარგებლო ნივთიერებას, რომელიც აყუჩებს ტკივილს, ამშვიდებს ნერვებს, სპობს სახსრების დაავადებების გამომწვევ მიკროორგანიზმებს. მნიშვნელობა არა აქვს, მწუხარებით თუ სიხარულით არის გამოწვეული ეს ცრემლი, მისი სამკურნალო თვისებები აიხსნება ორგანიზმში მომხდარი ქიმიური რეაქციებით: ნერვული დაძაბულობის დროს ყველა ორგანო და სისტემა იწყებს გაძლიერებულ მუშაობას (მათ შორის ის ჯირკვლები, რომლებიც „განაგებენ“ ცრემლებს), ცრემლი თავის ტვინისთვის წარმოადგენს თავისებურ სიგნალს: სუსტდება ემოციური დაძაბულობა, ცრემლთან ერთად გამოიდევნება ტოქსიკური ნივთიერებები. ასე რომ, ცრემლი ორგანიზმის დამცველი რეაქციაა. თურმე ის უმსუბუქებს მდგომარეობას, უუმჯობესებს გუნება-განწყობილებას ქალების 85%-ს და მამაკაცების 73%-ს.

ფსიქოლოგების აზრით, ტირილის შემდეგ ადამიანები უფრო გულკეთილები და მგრძნობიარენი ხდებიან. შეგნებულად ცრემლის შეკავება (ძლიერი ადამიანების, განსაკუთრებით კი მამაკაცების, ტიპური რეაქცია), აზიანებს ორგანიზმს, ხელს უწყობს წნევის აწევას, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს და ა.შ.

შესაძლებელია, მომავალში ცრემლის სხვადასხვა თვისების შესწავლა დაეხმაროს მეცნიერებს ბევრი ამოცანის გადაწყვეტაში, დაისვას ზოგიერთი დაავადების (მათ შორის გენეტიკური) დიაგნოზი.

***ტრუდ-7 №49***

## დანიის პრინცმა ავსტრალიელზე იქორწინა

კოპენჰაგენში, დანიის ტახტის მემკვიდრემ, 35 წლის ფრედერიკმა ჯვარი დაიწერა 32 წლის ავსტრალიელ მასწავლებელ მერი ელიზაბეტ დონალდსონზე. საკათედრო ტაძარში ჯვრისწერას დაესწრნენ მსოფლიოს სამეფო ოჯახების წარმომადგენლები და სახელმწიფო მოღვაწეები. ტაძრის გარშემო შეკრებილი ხალხი ცერემონიას თვალს ადევნებდა უზარმაზარ ეკრანებზე.



დანიის სამხედრო საზღვაო ფორმაში გამოწყობილმა პრინცმა და სპილოსძვლისფერ კაბიანმა პატარძალმა, რომელსაც ირლანდიური მაქმანებიანი ფატა ეხურა, ღია ეტლით ჩაიარეს დანიისა და ავსტრალიის დროშებით მორთულ ქუჩებში. მათ ერთმანეთი 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე გაიცნეს. მერი ელიზაბეტ დონალდსონი კუნძულ ტასმანიაზე დაიბადა პროფესორის ოჯახში. დანიის სამეფო ოჯახში შესასვლელად მან უარი თქვა ავსტრალიისა და ბრიტანეთის მოქალაქეობაზე, მიიღო ლუთერანობა და ისწავლა დანიური ენა.

***ნიუს რუ***

## ინდოეთს ისევ განდი უმეთაურებს

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ათალ ბაჰარ ვაჯპაი გადადგომას აპირებს. თუ ასე მოხდა, ინდოეთის მთავრობის ხელმძღვანელი კვლავ ცნობილი გვარის წარმომადგენელი გახდება — რაჯივ განდის ქვრივი სონია განდი. არჩევნებში, რომელიც პირველად ჩატარდა ელექტრონული სისტემის საშუალებით, 650 მლნ-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. წინასწარი მონაცემებით, გაიმარჯვა პარტიამ ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა. ნაციონალურ-დემოკრატიულმა ალიანსმა, რომელშიც პრემიერ ვაჯპაის პარტიაც შედის, არ მოინდომა ოპოზიციასთან თანამშრომლობა, დამარცხება აღიარა და უარი თქვა ინდოეთის ნაციონალურ კონგრესთან ერთად მთავრობის შექმნაში მონაწილეობაზე. ვერც მრავალი წლის წინ, განდის კლანის მიერ შექმნილმა ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა



მიიღო პარლამენტში ადგილების ნახევარზე მეტი, მაგრამ სხვა პოლიტიკურ ძალებს მაინც აჯობა და ამიტომაც მის ლიდერს, სონია განდის, მთავრობის მეთაურად გახდომის შანსი აქვს. სონია იმ დიდი ინდირა განდის რძალია, რომელიც 15 წელიწადი ედგა სათავეში ინდოეთს. მართალია, განდების ოჯახის სამი ცნობილი წარმომადგენელი — ჯავაჰარლალ ნერუ, ინდირა და რაჯივ განდები ტერორისტთა ხელით დაიღუპნენ, სონიამ მაინც უშიშრად იკისრა მათი მემკვიდრის როლი.

ამ გზას ადგას სონიას და რაჯივის ვაჟიც, 34 წლის რაულ განდი. მან გაიმარჯვა არჩევნებში უტარ პრადეშის შტატში.

***ნიუ ზუიქი***

## აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს ჟენევის კონვენციები შეახსენეს

შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიშლინ კალმი-რემ საგანგებოდ მიიწვია აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ელჩები და მათ ჟენევის კონვენციები შეახსენა.

ქალაქ ბერნში ელჩების დატუქსვა მეტად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ქვეყნიერებას შეატყობინა, რომ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს გადასცა ვრცელი ინფორმაცია ერაყის ციხეებსა და ბანაკებში ტყვეთა მიმართ სასტიკი დამოკიდებულების შესახებ.

„აღგვაშფოთა ამერიკელთა ულმობლობამ. როგორ შეიძლება ასე მოექცე ადამიანებს? — განაცხადა მინისტრმა, — ჩვენ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შევახსენეთ, რომ მოვალენი არიან, დაიცვან სამხედრო ტყვეებთან დაკავშირებული ჟენევის კონვენციები. რაკი აშშ-ს დღევანდელი მსოფლიოს ლიდერობის პრეტენზია აქვს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ნორმების დაცვას. ჩვენი აზრით, ოკუპირებული ქვეყნის სტატუსი ხელს უშლის ერაყს ნორმალური ცხოვრების დაწყებაში, ამიტომაც, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაეცეს ძალაუფლება ერაყელებს", — დასძინა ქალბატონმა მიშლინ კალმი-რემ.

***კომერსანტი №82***

## რამსფელდის ბედი ჯერაც გაურკვეველია

პრეზიდენტმა ბუშმა რამსფელდის მოღვაწეობას „შესანიშნავი" უწოდა, რითაც თითქოს ცხადი გახდა, რომ რამსფელდს ერაყთან დაკავშირებით ცუდი არაფერი ელოდა.

გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯოურნალი" კი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტის მხარდაჭერა დიდად ვერ წაადგება მინისტრს და ვერ შეაჩერებს გავლენიანი პოლიტიკოსების კრიტიკას — ისინი რამსფელდის გადადგომას ითხოვენ. ვინ შეიძლება გახდეს მინისტრის მემკვიდრე, მისი მარჯვენა ხელი პოლი ვულფოვიცი ხომ არა? მაგრამ ამ ომის ერთ-ერთ იდეოლოგს, პოლ ვულფოვიცს, კონგრესმენები ალბათ არ დაამტკიცებენ.

არსებობს კიდევ რამდენიმე ანგარიშგასაწევი კანდიდატურა: სახელმწიფო მდივანი პაუელი, მაგრამ თეთრი სახლი მას არ ენდობა, რადგან პაუელის პირადი რეიტინგი პრეზიდენტისას ჯობნის; მეორეა ბუშის ახლობელი, პრეზიდენტის მრჩეველი ნაციონალური უშიშროების დარგში კონდოლიზა რაისი.



თეთრი სახლის საქმეებში გაცნობიერებული წყაროები ირწმუნებიან, თუ ბუშს მეორედ აირჩევენ და ქალბატონი კონდოლიზა რაისი მეორე ვადითაც მასთან დარჩება, მაშინ ის უთუოდ გახდება პენტაგონის ხელმძღვანელი, ვულფოვიცი კი მის ადგილზე გადაინაცვლებსო.

***ლენტა რუ***

## მოკლედ

**კანის** 57-ე კინოფესტივალი დაიწყო რეჟისორ პედრო ალმადოვარის ფილმის, „ცუდი აღზრდის", ჩვენებით. მთავარი ჟიურის პრეზიდენტია კვენტინ ტარანტინო, კლასიკური ევროპული კინო წარმოდგენილია პოლეტ გოდარის სურათით „ჩვენი მუსიკა" და გიორგი ფარაჯანოვის (სერგო ფარაჯანოვის დისშვილი) „მე მოვკვდი ბავშვობაში". კანს ეწვივნენ შარლიზ ტერონი, პენელოპა კრუსი, კამერონ დიასი, უმა თურმანი, ტომ ჰენქსი, ბრედ პიტი, შონ პენი... ტრადიციულ მეჯლისს, „კინო — შიდსის წინააღმდეგ", ელიზაბეტ ტეილორი უხელმძღვანელებს.

**მექსიკის** სახელისუფლებო ოპოზიციამ ცნობილ ლათინურამერიკელ მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს, გაბრიელ გარსია მარკესს სთხოვა, დახმარებოდა მექსიკასა და კუბას შორის დიპლომატიური კრიზისის აღმოფხვრაში. მექსიკამ ჰავანიდან თავისი ელჩი გამოიწვია, რადგან ფიდელ კასტრომ მექსიკელი ლიდერები დაადანაშაულა გაეროს რეზოლუციის მხარდაჭერაში. რეზოლუციაში გაერო ბრალს სდებს კუბას ადამიანის უფლებების შელახვაში. მარკესი დიდი ხანია მექსიკაში ცხოვრობს, კასტროსთანაც მეგობრობს. ალბათ ამიტომაც სთხოვეს დახმარება.

**ნიგერიაში,** ქალაქ კანოში, მუსლიმანმა მეომრებმა დაწვეს 13 ეკლესია, მოკლეს 600 ქრისტიანი, არ დაინდეს ქალები და ბავშვები. ფიქრობენ, რომ ეს იყო შურისძიების აქტი — გასულ კვირას ნიგერიის შტატ პლატოში ქრისტიანებმა მუსლიმანები დახოცეს.

**აშშ-ის** ქალაქ კანზასს მძლავრმა ტორნადომ გადაუარა. გიგანტურმა ქარბორბალამ შენობები ჰაერში ასწია, დაანგრია გზები. ჯერჯერობით, მსხვერპლის რაოდენობა დადგენილი არ არის. მეზობელ ტეხასის შტატში კოკისპირულად წვიმს.

**ბრაზილიის** ავიაკომპანიის თვითმფრინავი, რომელშიც ეკიპაჟი და 30 მგზავრი იმყოფებოდა, ქ. მანაოსის მახლობლად ჩამოვარდა. ცხედრები და თვითმფრინავის ნამსხვრევები იპოვეს. კატასტროფის მიზეზი დგინდება.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

(დასაწყისი გვ.20)



3. დაეხმაროს გადამუშავების მენეჯერს საერთაშორისო ბაზრებზე ადგილობრივი მწარმოებლების კონკურენტუნარიანობაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორების განსაზღვრასა და იმ ხელის შემშლელი გარემოებების შეფასებაში, რომლებიც პირველ რიგში საჭიროებენ დაძლევას, განსაკუთრებით ტექნოლოგიური პროცესების საკითხში.

4. გადამუშავების მენეჯერის მითითებით მოინახულოს კვების მრეწველობის წამყვანი კომპანიები და განსაზღვროს მათი AgVANTAGE-თან თანამშრომლობის დაინტერესების დონე. აღნიშნულ კომპანიებთან და AgVANTAGE-ის წარმოების, მარკეტინგისა და ლიზინგის ჯგუფებთან შეთანხმებით შეიმუშაოს საბაზრო ჯაჭვების განვითარების სტრატეგიები და განსაზღვროს ტექნოლოგიური პროცესის თვალსაზრისით საჭირო განსახორციელებელი ღონისძიებები.

5. განახორციელოს გადამუშავების საკითხებთან დაკავშირებული სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამ ღონისძიებების უმრავლესობა მოკლევადიანი ტექნიკური სპეციალისტების მიერ იქნება განსაზღვრული და სავარაუდოდ, შემდეგ საკითხებს მოიცავს: ნედლეულის მიწოდების გეგმების განხორციელება, საწარმოო ხაზების მუშაობა, წარმოების საუკეთესო გამოცდილებები, HACCP პროგრამის განხორციელება, შეფუთვა და სხვ.

6. დაეხმაროს გადამუშავების მენეჯერს რეგიონალური წარმომადგენლებისა და შეგროვების ცენტრების თანამშრომლების მუშაობის კოორდინირებაში, რაც ითვალისწინებს გადამუშავების სხვადასხვა კომპანიებისათვის ნედლეულის მიწოდების განრიგის შემუშავებას.

7. დაეხმაროს გადამუშავების მენეჯერს ნედლეულის მიწოდების, წარმოებისა და მზა პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაციის რეგულარულ მოპოვებაში. აღნიშნული ინფორმაცია იმ გადამამუშავებელ კომპანიებს ეხება, რომლებსაც AgVANTAGE-ის საბაზრო ჯაჭვების ღონისძიებების ფარგლებში უწევს მხარდაჭერას.

8. დაეხმაროს გადამუშავების მენეჯერს მზა პროდუქციის ხარისხის, მოცულობის, ბრუნვის, ღირებულებისა და დანიშნულების ადგილზე მიწოდების შესახებ ჩანაწერების წარმოებაში. აღნიშნული ინფორმაცია შეჯამებული სახით რეგულარულად მიეწოდება შესაბამის პირებს.

9. გადამუშავების მენეჯერის მითითებით ითანამშრომლოს პროდუქტის სამუშაო ჯგუფებთან.

10. დაეხმაროს გადამუშავების მენეჯერს დაგეგმარების ჯგუფის მიერ მოთხოვნილი გადამუშავების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებაში.

AgVANTAGE

ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მაქსიმალური ზრდა

11. დაეხმაროს გადამუშავების მენეჯერს გადამუშავების საკითხებისადმი მიძღვნილი ტრენინგების დაგეგმარებასა და მოწყობაში, აგრეთვე, გადამუშავების ტექნიკური ინფორმაციის გავრცელებაში.

**კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:**

- უმაღლესი განათლება კვების ტექნოლოგიის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა ან ბიზნესის ადმინისტრირების დარგში, ან შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება.
- საქართველოს კვების ტექნოლოგიისა და მრეწველობის დარგების საფუძვლიანი ცოდნა.
- 5-წლიანი გამოცდილება კვების ტექნოლოგიის, მრეწველობის, გადამუშავებული პროდუქციის შეფუთვისა და შენახვის სფეროში.
- კვების პროდუქტების სტანდარტებისა და სერტიფიცერების პროცედურების ცოდნა.
- კომუნიკაბელურობა, პროფესიული ეთიკა და სამუშაოსადმი პროფესიონალური დამოკიდებულება.
- პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევები.
- თვითმოტივაცია და შეზღუდულ დროში შედეგიანად მუშაობის უნარი.
- ერთდროულად რამდენიმე საკითხზე მრავალეროვნულ გარემოცვაში მუშაობის უნარი.
- საქართველოს ფარგლებში მივლინებით მგზავრობის შესაძლებლობა.
- კომპიუტერთან მუშაობის (Ms Word, Excel) გარკვეული ცოდნა.
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა.

**ელ. ფოსტა:**
**processing_op@agvantage.org.ge**

## ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის სპეციალისტი

**თანამდებობრივი მოვალეობების აღწერილობა**

გადამუშავების მენეჯერის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ, აღნიშნული პიროვნება შეასრულებს თავის მოვალეობებს ორგანიზაციაში მოქმედი წესების, მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად. გადამუშავების განყოფილებისა და მთლიანი ორგანიზაციის სათანადოდ წარმოჩენით, შერჩეული პიროვნება თავის წვლილს შეიტანს დადებითი და პროფესიონალური სამუშაო გარემოს შენარჩუნებაში.

აღნიშნული პიროვნება ითანამშრომლებს წარმოებისა და გადამუშავების სპეციალისტებსა და სასოფლო-სამეურნეო სექტორის თანამშრომლებთან, რათა შემუშავდეს პროგრამა, რომლის შედეგადაც საგრძნობლად გაიზრდება ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და ექსპორტი. მიზნობრივ ბაზრებზე მყიდველის მოზიდვა მოხდება საქართველოში წარმოებული პროდუქციის სტაბილური ხარისხისა და მიწოდების უზრუნველყოფის გზით.

**მოვალეობების აღწერილობა**

აღნიშნული თანამშრომელი ანგარიშვალდებულია გადამუშავების მენეჯერის წინაშე. უშუალო ზედამხედველის არყოფნისას, აღნიშნული თანამშრომელი ანგარიშვალდებულია წარმოებისა და გადამუშავების დირექტორის წინაშე. ამ თანამდებობას არ ეკისრება საზედამხედველო ფუნქცია.

ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის სპეციალისტის მოვალეობებია:

1. შექმნას ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამების მონაცემთა ბაზა, HACCP-ისა და ISO-ს დეტალური გათვალისწინებით.

2. ტრენინგის კოორდინატორთან თანამშრომლობით განსაზღვროს სწავლების პროგრამები, რაც დაეხმარება კომპანიების თანამშრომლების ხარიხის საკითხებში ცოდნის გაღრმავებას.

3. მოიძიოს ინფორმაცია საქართველოს კვების სტანდარტების, კონტროლისა და სერტიფიცირების პროცედურების, ევროკავშირის კვების სტანდარტების, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებისა და Codex Alimentarius-ის შესახებ.

4. გამოიკითხოს კვების გადამამუშავებელი კომპანიები, განსაკუთრებით რძის და ხორცის მწარმოებლები, რათა განისაზღვროს არსებული მდგომარეობა ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის, კვების პროდუქტების უსაფრთხოებისა და ლაბორატორიული გამოკვლევების მხრივ. განსაზღვროს რა სახის დაბრკოლებებია გადასალახი კვების პროდუქტების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

5. გადამუშავების მენეჯრთან თანამშრომლობით შეიმუშაოს საქართველოს კვების მრეწველობის დარგში ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის პროგრამების გაძლიერების სტრატეგია და გეგმა.

6. ითანამშრომლოს გადამუშავების მენეჯერთან, ინჟინერთან, ტექნოლოგთან და საბაზრო ჯაჭვების სხვა მონაწილეებთან ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის პროგრამების დანერგვის სტრატეგიის შემუშავებაში. ამ პროგრამების დანერგვისა და განხორციელების მიზნით განსაზღვროს რა სახის ქმედებები შეიძლება განხორციელდეს AgVANTAGE–ის საქმიანობის ფარგლებში. საერთაშორისო სპეციალისტების მოსაზრებები გათვალისწინებული იქნება ამ გეგმებისა და ღონისძიებების მომზადებაში.

7. განახორციელოს ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები.

8. დაეხმაროს გადამუშავების მენეჯერს ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის პროგრამების წარმატებულად განხორციელების მონიტორინგში.

9. გადამუშავების მენეჯერის მითითებით ითანამშრომლოს პროდუქტის სამუშაო ჯგუფებთან.

10. დაეხმაროს გადამუშავების მენეჯერს დაგეგმარების ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ხარისხის კონტროლის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებაში.

11. დაეხმაროს გადამუშავების მენეჯერს ხარისხის კონტროლის საკითხებისადმი მიძღვნილი ტრენინგების დაგეგმარებასა და მოწყობაში, აგრეთვე გადამუშავების ტექნიკური ინფორმაციის გავრცელებაში.

**კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები:**

- უმაღლესი განათლება კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა ან ბიზნესის ადმინისტრირების დარგში, ან შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება.
- საქართველოს კვების მრეწველობის დარგის საფუძვლიანი ცოდნა.
- 5-წლიანი გამოცდილება კვების მრეწველობის, გადამუშავებული პროდუქციის შეფუთვისა და შენახვის სფეროში.
- კვების პროდუქტების სტანდარტებისა და სერტიფიცერების პროცედურების საფუძვლიანი ცოდნა.
- კომუნიკაბელურობა, პროფესიული ეთიკა და სამუშაოსადმი პროფესიონალური დამოკიდებულება.
- პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევები.
- თვითმოტივაცია და შეზღუდულ დროში შედეგიანად მუშაობის უნარი.
- ერთდროულად რამდენიმე საკითხზე მრავალეროვნულ გარემოცვაში მუშაობის უნარი.
- ინგლისური ენის ცოდნა.
- კომპიუტერთან მუშაობის (Ms Word, Excel) ცოდნა.
- საქართველოს ფარგლებში მივლინებით მგზავრობის შესაძლებლობა.

**ელ. ფოსტა:**
**quality@agvantage.org.ge**

მართალია, სამართლიანად, მაგრამ იმდენად გვძულდა მონსტრი, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, არც კი დავფიქრებულვართ, ღირდა თუ არა ყველაფრის განადგურება, რაც მისგან დაგვრჩა. როცა ვნებათაღელვანი ცოტათი ჩაცხრა, მაშინ მივხვდით — თურმე კომუნისტებისგან ზოგი რამ რომ გადმოგვეღო, ურიგო არ იქნებოდა. თუნდაც ის, რომ ისინი მეფის რუსეთის ეკონომიკას ჩაებღაუჭნენ და სრული იზოლაციის პირობებში ერთა კონგლომერატი ფეხზე დააყენეს. ასე მოექცნენ ჩაის კულტურასაც, რომელიც ნიკოლოზ II-ის დროს რუსმა მეცნიერებმა რუსეთის საკეთილდღეოდ ჩვენში შემოიტანეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩაის ნერგის გახმობა სახელმწიფოებრივ დანაშაულად ითვლებოდა. დღეს ქართული ჩაიდან გაველურებული პლანტაციებიღა დარჩა. ახალი ხელისუფლება ჩაის აღორძინებით დაინტერესდა, მაგრამ ჯერჯერობით, ანასეულის ჩაის საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს **ვალერიან ცანავას** მაგიდაზე ინგლისური კალენდარი უდევს და გულზეც სკდება — კალენდრის ცალ მხარეს გასაცოდავებული ქართველი მეჩაიეა გამოსახული შინ დამუშავებული ჩაით, ხოლო მეორეზე — პირველი ამერიკული ჩაის საკრეფი მანქანა(!), მაშინ, როცა მსოფლიოში პირველმა ჩაის საკრეფმა მანქანამ, „საქართველომ“, ათეული წლების წინ სწორედ მის თვალწინ მოკრიფა ჩაი...

რა გზა გაიარა და რა ელოდება ქართულ ჩაის, რომელიც ქართველებმა „უბეში გამოვზარდეთ“ და მერე მივატოვეთ — ამაზე ოზურგეთის რაიონის მაგალითით ვიმსჯელებთ. ეს რაიონი ჩაის უდიდესი მწარმოებელი იყო...

## ჩაი – გრძელი გზა მოკლედ...

**ვალერიან ცანავა:** — რუსეთმა იმდენად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ჩაის დანერგვას საქართველოში, რომ ამ საქმეში თვით ნიკოლოზ II ჩაერთო. მაგრამ როცა საქართველოს ჩაის სავარაუდო შემოსავლის ანგარიში მიუტანეს, ამ საქმეზე კინაღამ უარი თქვა, — ქართველი ქალები დასნეულდებიანო. ვინ დაიჯერებს, რომ რუსეთის იმპერატორს ქართველი გლეხის ქალის ჯანმრთელობა აღელვებდა. ის გამჭრიახი კაცი იყო და არ უნდოდა, მისი იმპერიის რომელიმე კუთხე ზომაზე მეტად გაძლიერებულიყო. თუმცა, საქართველოში ჩაი მაინც შემოვიდა ჩინეთიდან. ოზურგეთში პირველი ჩაის ნერგი 1901 წელს დარგეს. კომუნისტებმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დააარსეს ჩაის საკვლევი ინსტიტუტები. უკვე 30-იან წლებში ანასეულში გამოყვანილი ჩაის ჯიშები სამომავლოდაც შეუცვლელია. აქ დაკონსერვებულმა სამეცნიერო ცდებმა შეგვანარჩუნებინა ინსტიტუტი, თორემ ბოლო წლებია მხოლოდ ენთუზიაზმზე ვმუშაობდით...

**ნოდარ თალაკვაძე,** *გლეხი, სოფელი ბოხვაური:* — 30-იან წლებში დავიბადე და ჩაისთან ერთად ვიზრდებოდი. ჩემი მშობლები ჩაის ისე თოხნიდნენ, როგორც ბოსტანს. ერთხელ თოხით ნერგი გადამეჭრა. შეშინებულმა გადავმალე. ჩაის ნერგი რომ გაგეფუჭებინა, ან პირუტყვს შეეჭამა, მავნებლობად ითვლებოდა. კაცმა რომ თქვას, ან რა გვქონდა ჩაიზე და ციტრუსზე ძვირფასი. შემდგომში ჩაის მოსავლით განთქმულ ნატანებში ადრე მუხლამდე წყალი იდგა, ხალხი მალარიით იხოცებოდა. ჭკვიანი კაცი ქალს არ გაათხოვებდა იქინე, სიმღერაც კია — ვაი-ვუი, ნატანებს, ქალი არ გამატანესო... აი, ასეთ ნაჭაობარ ადგილებში და წითელმიწა ნიადაგებზე გაშენდა ჩაი, სადაც მარტო გვიმრა ხარობდა. 50-იან წლებამდე დიდ პატივში გვყავდა ჩაი. ჩამეიარდა აგრონომი და იტყოდა, — დღეს I ხარისხის ჩაი უნდა მოვკრიფოთო. მოვკრეფდით მარტო ორ ნაზ ფოთოლს — დუყს, შემდეგ II ხარისხის ჩაის ვკრეფდით — ისიც დუყი იყო, ოღონდ — ყრუ. ამის მერე იკრიფებოდა III ხარისხი... აგი ყველა ნამდვილი ჩაი იყო.

**ნანა მელაშვილი,** *შემოქმედის (წითელმთა) მიკროფაბრიკის დირექტორი:* — უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ლიხაურის ჩაის ფაბრიკაში ლაბორანტად ვმუშაობდი. დღეში 4 ათას ტონა ჩაის ვიღებდით. მაშინ ოზურგეთში 36 ჩაის ფაბრიკა იყო და, წარმოიდგინეთ, რა შემოსავალს მოიტანდა... თუმცა მალე საბჭოთა ეკონომიკა განადგურდა და 1996 წელს უკვე გერმანული ფირმა, „მარტინ ბაუერი“ შემოვიდა საქართველოში. მან რამდენიმე ჩაის ფაბრიკა შეისყიდა. თავდაპირველად გერმანელები კარგად გვიხდიდნენ, მერე რუსეთის ბაზარიც ჩაწვა და მათაც დარჩათ მოსახლეობის ვალი.

## როგორ ნადგურდებოდა ჩაი

**ვალერიან ცანავა:** — სულ უფრო მეტ ჩაის ითხოვდა სახელმწიფო. საიდან უნდა მოგვეტანა ამდენი? თანდათან ხელით კრეფა დანით კრეფამ შეცვალა. ჯერ ბამბუკის დანები გაჩნდა, მერე ალუმინის, მერე ნამგალიც შემოვიდა. ბოლოს მექანიზაცია ჩაენაცვლა. მართალია, პირველ ჩაის საკრეფ მანქანებს დამცავი მექანიზმები ჰქონდათ, მაგრამ მალე მათაც აურიეს... ვის ედარდებოდა ჩაის ხარისხი. ხალხს გეგმის გადაჭარბებით შესრულებისთვის ფულს და ჩინ-მედლებს აძლევდნენ და პრეზიდიუმში სვამდნენ. ცოდვა რომ არ ვთქვა, მთავრობაშიც იყო პატიოსანი ხალხი. შეწუხდნენ, ქართული ჩაი ასე თვალსა და ხელშუა რომ გაფუჭდა და ერთი პირობა, ვინც ნამეტანი ქნა, თანამდებობაც დაატოვებინეს და პარტიის მანდატიც... მაგრამ ის ხალხი ბოდიშის მოსახდელი გახდა. იმიტომ, რომ მოსკოვიდან მოვიდა ბრძანება, გეგმა სასწრაფოდ შეასრულეთო! იმ წელიწადს მთელი გეგმა სექტემბერში ნაკრეფი ჩაით შევასრულეთ, ლამის ბუჩქები დავკაფეთ...

ასე გამოიყურებოდა ქართული ჩაის პლანტაციები. ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ სერიული გამოყენება 1963 წელს დაიწყო.



# არსებობს თუ არა ქართული ჩაი...

# „უბეში გამოზრდილი და მიტოვებული“...

**ნოდარ თალაკვაძე:** — სახელმწიფო სტრუქტურები რომ განადგურდა, ჩაი კი დარჩა, მარა რათ გინდოდა, ვერც შეჭამდი და ვერც ზურგზე მოიკიდებდი. ფაბრიკები აღარ იბარებდნენ. ზოგმა კი წეილო გემით ან მატარებლით რუსეთში, მაგრამ გლეხმა რა იცის, სად უნდა გაასაღოს ამოდენა ჩაი? მაშვინ რომ ვალი დეიდო ხალხმა, იგი დღესაც არ გაუსტუმრებია და კი არიან რუსეთში გადაკარგულები... მიანებეს თავი ჩაის, უმეტესობამ პლანტაციები გადაწვა, ამოძირკვა და სიმინდი დათესა, ან პირუტყვი მიუშვა. ყველაზე საწყენი ის იყო, რომ ჩაისთან ერთად მისი ქარსაფარი ზოლი — ძვირფასი ნაძვის ჯიშებიც დაიწვა.

## არის თუ არა ჩაი კოლონიური კულტურა

**ვალერიან ცანავა:** — ზოგი დღესაც ფიქრობს, რომ რუსი კოლონიზატორები ჩაიში მონებივით გვამუშავებდნენ. აბა, სხვას რას უნდა მივაწერო, რომ არც ერთ მთავრობას ხელი არ გაუნძრევია ჩაის ასაღორძინებლად. 3 წლის წინ რომ პარლამენტში ჩაის კანონი შევიტანეთ, დღესაც დასამტკიცებელია. მართალია, ჩაის მოწევა არ არის იოლი, მაგრამ, დამისახელეთ ისეთი სამეურნეო პროდუქტი, რომლის მოყვანაც იოლი იყოს. ტელევიზორში ხომ მაინც გინახავთ, ხალხი ბრინჯს როგორ კრეფს წყალში? საგანგებო ტანსაცმელი აცვიათ, წურბელებმა რომ არ დაკბინონ. სიმინდი რომ სიმინდია, თუ რიგიანად მოუვლი, ისიც არ არის ადვილი მოსაწევი. იცით, რა გვიქნა რუსეთმა — პოლიტიკურ რანგში აიყვანა ჩაის საკითხი — სასუქს ფულითაც აღარ გვაძლევს. 12 წელია, რაც პლანტაციები არ გაგვინაყოფიერებია. სამი წლის წინ ინგლისში, როტამსტეტის აგროქიმიურ სადგურს გავუგზავნეთ პროექტები და დაგვიფინანსა. გაგვიხარდა, მაგრამ არ იკითხავთ, რა მოხდა? — იმდენად არიან ეს უცხოელები დაჯერებულნი, რომ საქართველო რუსეთს ეკუთვნის, ეს ფული მოსკოვში გადაგზავნეს. შეცდომას რომ მიხვდნენ, მოსკოვში სამივლინებო ხარჯებიც გამოგვიგზავნეს, მაგრამ რუსეთი რამეს დაგიბრუნებს?

**ნოდარ თალაკვაძე:** — რაღა თქმა უნდა, ჩაის დიდი შრომა სჭირდება. თებერვალში ვენახივით უნდა გასხვლა, გაზაფხულზე — შემობარვა, შეწამვლა... სექტემბრის ბოლომდე უნდა კრიფო, ნესტში უნდა იდგე და ზემოდან კიდო მზე გხარშავდეს, მაგრამ ამ სამუშაოში სახელმწიფო ფულს გვიხდიდა. ჩაის ნასხლავს კოფეინის ქარხანას ვაბარებდით, თესლს — სანერგეს, ჩაის ხომ გვინაზღაურებდნენ და გვინაზღაურებდნენ. სექტემბრის ბოლოს კიდო აგურა ჩაი იკრიფებოდა — ციმბირში სურავანდის სამკურნალოდ გზავნიდნენ — ესეც შემოსავალი იყო... გამდიდრდა დასავლეთ საქართველო. რომ გეიხედავ და ამხელა სახლებია წამოჭიმული, რითია იგი? — ჩაითა და ციტრუსებით.

## როგორ ჩაის ვსვამთ

**ვალერიან ცანავა:** — უცხოეთიდან უმეტესად ჩაი კი არა, საწამლავი შემოდის. ცოტ-ცოტა ადრეც შემოგვქონდა და ჯერ კიდევ მაშინ იყო სავსე პესტიციდებით, ახლა რა იქნება, წარმოიდგინეთ. მტვერს ქიმიური საღებავებით ღებავენ — ბევრჯერ გვაქვს ეს ლაბორატორიული ანალიზით დადასტურებული. ასეთი უბედურება ფიზიკურად ხომ გვსპობს, მატერიალურადაც გვანადგურებს — ბაზარს იპყრობს. ჩვენი ჩაი, მართალია, დაბალხარისხიანია, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთაა და იმდენი შრომაა ჩადებული, ისე იაფად ვერ გაიყიდება, როგორც უცხოური ნაგავი.

## არსებობს თუ არა ქართული ჩაი და როგორ მზადდება იგი დღეს

**ნანა მელაშვილი:** — არსებობს. ოზურგეთში რამდენიმე ფაბრიკაა შემორჩენილი, ძირითადად კერძო. ცუდად ვმუშაობთ, მაგრამ გაჩერებას ისევ ასე სჯობს. ფული რახან არ გვქონდა, მე და ჩემმა მეგობარმა ავტორიტეტით ვიყიდეთ მიკროფაბრიკა. ვალი მერე გავისტუმრეთ. დღე-ღამეში 8 ტონა ჩაის ვამუშავებთ. კილოზე 5 ცენტამდე მოგება გვრჩება — ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ გაჭირვებული ხალხისთვის ესეც რაღაცას ნიშნავს. მეჩაიეებს კილო ჩაის 10-15 თეთრად ვუნაზღაურებთ. კერძო ფირმები პროდუქციას საქართველოშივე იძენენ და მერე რუსულ ბაზარზე გააქვთ. დღეს ძნელია ქართულ ბაზარზე დამკვიდრება. სხვათა შორის, როცა ფაბრიკა შევისყიდეთ, მე და ჩემს მეგობარს გვინდოდა ქართული ბაზარი მოგვემარაგებინა, ხარისხზე პასუხისმგებლობას ვიღებდით, მაგრამ ჩაის შეფუთვა იმდენად ძვირი გვიჯდებოდა, ამ განზრახვაზე ხელი ავიღეთ. დღეს ოზურგეთში ცოტ-ცოტა მწვანე ჩაიც მზადდება და ელიტარულიც — ანუ უმაღლესი ხარისხისა. სამწუხაროდ, იმაზე ბევრად უკეთესი ჩაი, რასაც ჩვენი ხალხი სვამს, იძულებული ვართ, სხვას გავუგზავნოთ...

## უპატრონებს თუ არა ახალი ხელისუფლება ქართულ ჩაის

**ვალერიან ცანავა:** — ვნახოთ. ჯერჯერობით, ინიციატივას იჩენენ. ახლახან მოეწერა ხელი ჩაის რეალიზაციის პროგრამას. წელს ჩაისთვის 3,5 მილიონი ლარის სუბსიდიაა გამოყოფილი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარვუდგინეთ გეგმა, თუ რა უნდა გაკეთდეს. დაგვპირდნენ, წელს რთულ სასუქებს (აზოტი, ფოსფორი და კალციუმის ნარევი) შემოვიტანთო. გაველურებული ჩაის პლანტაციების ნაწილი გაისხვლება, ნაწილში მძიმე გასხვლა ჩატარდება, ხოლო რაც არ ივარგებს, ამოვძირკვავთ. ზოგი პლანტაცია შეიძლება გასხვლამდეც გამოვიყენოთ, ოღონდ ყველა უნდა შეილობოს, რომ საქონელმა არ გაანადგუროს. რაც მთავარია, უნდა აღვადგინოთ სათესლე პლანტაციები და ნერგების გამოყვანა, რომ გაისიდან თანდათანობით ძველი ჩაი იძირკვებოდეს და ახალი ირგვებოდეს. მოვითხოვთ, სამუშაოს შესრულებისთანავე გადაუხადონ გასამრჯელო მეჩაიეებს — 10-15 თეთრი. ცოტაა, მაგრამ კანონზომიერია — წელს მეჩაიე იძულებული იქნება, ჩაის მასა კრიფოს (რაც შედარებით ადვილია), რადგან გაველურების გამო უმაღლესი ხარისხისა იშვიათად შემოდის.

**ნანა მელაშვილი:** — შარშან და შარშანწინაც იყო ამ საქმისთვის სუბსიდია გამოყოფილი, მაგრამ შედეგი რომ არ ჩანს, თვითონაც ხედავთ. თუ თვითონ არ იცის ხელისუფლებამ, რატომ არავინ ურჩევს, რომ ჩაისთვის ფული ამ დროს კი არა, დეკემბერში უნდა გამოიყოს, რომ პლანტაცია მომზადდეს სეზონისთვის. სასუქი აპრილისთვის მაინც უნდა ყოფილიყო შეტანილი. 40 დღე სჭირდება ქიმიკატებს, რომ მოსავალზე არ იმოქმედოს — მაისში კრეფა დავიწყეთ... ფული კი ჯერაც არ მიგვიღია. თუმცა იმედი მაინც მაქვს — შარშან ჩაისთვის ბანკები კრედიტებს არ გასცემდნენ. წელს მთავრობის განკარგულებით სესხს მივიღებთ. ვაპირებ, ამ ფულით ელიტარული ჩაი დავამზადო. თავი რომ მოიკლათ, ამ ჩაის 20 კგ-ზე მეტს ვერ მოკრეფთ. მძიმე სამუშაოა, მეჩაიეს კგ-ში 35-40 თეთრი მაინც უნდა გადაუხადო. ეს ჩაი აუცილებლად მოგვცემს მოგებას, ძვირი ღირს. ამ მოგებით საქართველოს ბაზარზეც ვიზრუნებთ. ეს თუ შევძელით, გლეხი დაინტერესდება, პლანტაციას უპატრონოს.

## რა დააბრუნებს გლეხს ჩაისთან

**ნოდარ თალაკვაძე:** — ვისაც პლანტაცია შემორჩა და ჩაის კრეფს, ისეთი ანაზღაურება უნდა მიიღოს და იმფერი თავისუფალი ბაზარი უნდა მიეცეს, რომ სხვამაც იფიქროს, — აშენდა ქვეყანა და მეც უნდა გავაშენო ჩაიო. ეს არის წახალისების ყველაზე იოლი გზა. გლეხი თუ დაინტერესდება, მთას გადააბრუნებს, — გამოცდილებით ვიცი. 50-იან წლებში კილო დაფნას 5 თუმნად იბარებდნენ. ოზურგეთში რომ ვერ ვიშოვე, ნერგები ქობულეთიდან ჩამოვატანინე. ერთ წელიწადს კი ჩავაბარე, მერე ხრუშჩოვმა რომელიღაც ქვეყანას დაუდო ხელშეკრულება, მას უნდა შემოეტანა ჩვენში დაფნა და ჩვენი ვიღას უნდოდა? ის ხეები რომ ავჩეხე, ორი მანქანა შეშა გამოვიდა. საკარმიდამო ნაკვეთებიც ჩამოგვართვეს. გული მოგიკვდებოდა — გაჯერანდა აი ჩვენი ნაპატრონები მიწა. მერე იმ მიწებზე საფრანგეთიდან შემოტანილი მსხალი დარგეს, ყოვლად უგემური. მსხალი თუ გვინდოდა, გურიაში ქვეყნის გვქონდა, ხეჭეჭური და გულაბი. თენეიშვილი გვყავდა რაიკომის მდივანი. მასთან ერთი დედაბერი მივიდა და შეეხვეწა: — ნენა, 8 ტონა ფრანგულა კი ჩავაბარე, მარა 2 ტონა კიდო დამრჩა და მომეხმარე რამეო. 8 ტონა თუ ჩააბარე, მეტი რაღა გინდა, ახლა მაი ორი ტონა ბაღნებს აჭამეო, — უთხრა თენეიშვილმა. გადირია ქალი — რას ამბობ, ნენა, მაი რავა იჭმევაო... ჰოდა, საჭმელად კი არ უნდოდა ის ფრანგულა ხალხს, აბარებდენ, კაი გასამრჯელოს აძლევდენ და ერთ დროს იმხელა ბუმი იყო, ამ უვარგის მსხალს თვალისჩინივით უვლიდნენ. ასე ვიზამთ ჩაიზეც — მე თუ დევინახე, რასაც ჩაიზე მპირდებიან, სიმართლეა და არა ცრულაპარაკი, წავალ, ტყედ რომ მაქვს აი ჩაი მიშობილი, გავსხლავ, დავბარავ და ისე მოვუვლი, ერთ-ორ წელიწადში იმის უკეთეს სანახავს ვერაფერს ნახავს ჩვენი მთავრობა...

***ეთერ ერაძე***

ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება
● უნივერსალური ●
სასათბურე ფირები
გარანტირებული დაცვა
- მზის მავნე გამოსხივებისაგან
- ვირუსებისა და მწერებისაგან
- ცვარისაგან
- ტემპ. ცვალებადობისაგან
- მოყინვისა და ჩახურებისაგან
- გარანტია = 2 წ; 3 წ
სიახლე
მრავალწლიანი პრაქტიკული
გამოცდილებით საქართველოში
შპს შალი, თბილისი, მარჯანიშვილის 5
ტელ: 267888; 969164; ტელ/ფაქსი: 969195;
● მობ: 8.99. 569195; 899 931110 ●
ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება
იყიდება მხოლოდ თბილისის ოფისიდან
იყიდება მხოლოდ თბილისის ოფისიდან



შპს „გეოკორი“
აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

„ტრანსტრონსის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: ფერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „პოლიგრაფისტი“
(სტამბა №17) გთავაზობთ:
• ბეჭდვას შოლკოგრაფიით როგორც ქაღალდზე, ასევე სხვა მასალაზე.
• ყველა სახის პოლიგრაფიულ მომსახურებას.
მის: სურამის ქ. №13
(რკინიგზის დეპარტამენტის უკან)
☎ 95-00-97

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 15 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,9400 |
| ევრო | 2,2902 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4061 |
| რუსული რუბლი | 0,0667 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2730 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. აფსუს, ვექილოვ!..



1982 წელია. საგარეჯოს შს განყოფილებაში მორიგედ დათო აბდუშელიშვილია. საღამოს 11 საათია, ქვემორიგეს უთხრა, ცოტა ხანს წავიძინებო და მეორე ოთახში ტახტზე მოკალათდა.

ამ დროს სამინისტროდან ტელეფონის ზარი გაისმა, რომელზეც მხოლოდ მორიგეს უნდა ეპასუხა (ასეთი იყო განკარგულება ზემოდან!). ქვემორიგე აზერბაიჯანელი ამირხან ვექილოვი იყო. იფიქრა, ახალჩაძინებულ დათოს აღარ შევაწუხებო. თვითონ აიღო ყურმილი და რამდენადაც მოახერხა „გამართული“ ქართულით მოახსენა, მორიგე აბდუშელიშვილი გისმენთო! — ჩაიწერე ტელეფონოგრამა! — გაისმა სამინისტროს მუშაკის მბრძანებლური ხმა. — დიახ, ბადონო, ახლავე!..

ვექილოვი ტ-ს ნაცვლად დ-ს ამბობდა, თანაც ყოველ მეორე სიტყვაზე „ბატონოს“ ხმარება უყვარდა. — აბა, გისმენთ ბადონოო! და დაიწყო: „დიახ, ბადონო“, „ვერ გავიგე, ბადონო,“ „გაიმეორეთ, ბადონო“, „როდის, ბადონო“, „კიდევ გამიმეორეთ, ბადონო“... უჭირდა ქართული კაცს და რა ექნა.

ბოლოს, სამინისტროს თანამშრომელსაც უმტყუნა ნერვებმა და დაუყვირა, — დაწყდით, თქვე შობელძაღლებო თუ რა არის! ქართული აღარავინ იცის განყოფილებაში?

ამდენი ბადონო-ბადონოს ყვირილმა ჩვენი დათოც გააღვიძა. წამოხტა, გამოართვა ყურმილი და სხარტად უპასუხა — ქვემორიგე ვექილოვი გისმენთო და, რა თქმა უნდა, სხაპასხუპით ჩაიწერა ტელეფონოგრამა. კმაყოფილმა ოპერმუშაკმა კი ასე დაასრულა თავისი ტელეფონოგრამა — ე, მაგრე, ვექილოვ! არ შემიკლა ხელში მაგ შობელძაღლმა მორიგემ! აფსუსი არ არის, შენ ვექილოვი იყო გვარად და ეგ კიდე აბდუშელიშვილი?!

***ნოდარ ჯავახიშვილი, საგარეჯო***

## 2. კურიოზიც ამას ჰქვია!..



ეს ამბავი, რაზედაც მთელი ქალაქი იცინოდა, დაახლოებით 35 წლის წინათ, გაგრაში მოხდა. რომელიღაც ადგილობრივი სამსახურის თანამშრომლებმა ფულადი პრემია აიღეს და საქეიფოდ, ბუნების წიაღში გასვლა გადაწყვიტეს. სუფრა გაიშალა ქალაქის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე. საღამომდე კარგად მოილხინეს. წასვლისას ერთ-ერთი თანამეინახე ქალბატონი, უზომოდ რომ დამთვრალიყო და იქვე მიეძინა, ვერაფრით ვერ გააღვიძეს. ამიტომ ადგილზე დატოვეს და თანაც ყოველი შემთხვევისთვის, იქვე ახალი საფლავიდან აღებული გვირგვინებით „ჩამალეს“. მოგვიანებით, იქაურობას შეყვარებული წყვილი მიადგა. სანაპიროდან მთის ფერდობზე მოინდომეს გადმონაცვლება. წყვილი მძინარე ქალბატონის გვერდით მოკალათდა. სიტუაცია აქაც წინა „სცენარით“ წარიმართა — მთვარის შუქი და ალკოჰოლი. გვარიანად შეზარხოშდნენ. როგორც შემდგომ გაირკვა, ერთ მომენტში ქალბატონმა უარი განაცხადა სასმელზე, რაც „მოპირდაპირე მხარემ“ არ გაიზიარა და შელაპარაკდნენ: „დალიე“, „არ დავლევ“. ამ ხმაურმა გამოაფხიზლა მძინარე ქალბატონი. ჯერ მიაყურადა, შემდეგ კი უკვე აქტიურად ჩაერთო კამათში. გვირგვინებიდან გამოყო ხელი და განაცხადა — მაგას თუ არ უნდა, მოიტა, მე დავლევო!.. დაფეთებული, ელდანაკრავი წყვილი წამოხტა. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მოკურცხლეს, ერთმანეთს ასწრებდნენ, ეცემოდნენ, დგებოდნენ და ისევ ეცემოდნენ. ამასობაში სულ ცხვირ-პირი დაილეწეს. ისე დაშავდნენ, რომ საავადმყოფოშიც კი მოხვდნენ...

***იოსებ ნაცვლიშვილი, თბილისი***

## 3. რატომ მაღლა არ აიხედე?



ძველ ამბავს გიყვებით. მამაჩემმა შინ ორი ცალი საიზოლაციო ლენტი მოიტანა. გამიხარდა. შევეკითხე: სად იყიდე-მეთქი (მაშინ არ იშოვებოდა). არ მიყიდია, მოვდიოდი ქუჩაში და ქვაზე იყო დაწყობილი, გავიხედ-გამოვიხედე, პატრონი არავინ ჩანდა, მე რომ არ ამეღო, სხვა აიღებდაო...

სიცილით ვუთხარი, მაღლა რატომ არ აიხედე-მეთქი.

კი მაგრამ, მაღლა რა უნდა მეძებნაო?!

— რა და, ელექტრობოძზე მონტიორი იქნებოდა ასული!

— ეგ სულ არ მომგონებიაო...

ალბათ იმ დროს მონტიორი ცოფებს ყრიდა და თანაც გვარიანად გვამკობდა.

***რევაზ პეტრიაშვილი, თბილისი***

## ყურადღება!
### კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

| კურიოზების კონკურსი |
|---|
| საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ____ |
| კვირის პალიტრა №20 |

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 19 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 20 მაისის 13 საათამდე.*

## 4. ნახევარ შტატზე



მეგობარი მყავდა, თემურ ქ., რომელიც 70-იან წლებში მუშაობდა ახალციხის რაიონის ექიმი-ექსპერტის თანამდებობაზე. იგი ადიგენშიც მიიწვიეს ექსპერტად, ოღონდ ნახევარ შტატზე. თემური ორივე ადგილას ასწრებდა მუშაობას და ორივეგან ავტორიტეტით სარგებლობდა. ერთხელაც, ვესტუმრე ახალციხეში. გაუხარდა, თანაც მითხრა, კაი დროს ჩამოხვედი, ადიგენში მივდივარ ხელფასის ასაღებად, ბარემ წამომყევი და მერე სადმე ბუნებაში შევუბეროთო. მეც ჩავუჯექი მანქანაში და გავემართეთ ადიგენისკენ. ჩავედით, გააჩერა მანქანა რაისაავადმყოფოსთან. მე დავრჩი მანქანაში, ის კი შევარდა ბუღალტერიაში ხელფასის ასაღებად. ბედი არ გინდა? მთავარი ექიმი მაინცდამაინც იქ ატარებდა მედპერსონალის საერთო კრებას. თემურის დანახვაზე გაიხარა, კრების შესახებ ვერ შეგატყობინე და კარგია, რომ ჩამოხვედიო. თემურიც ხომ არ ეტყოდა, ხელფასისთვის ვარ ჩამოსულიო (ისედაც იშვიათად დადიოდა სამსახურში)... და დარჩა კრებაზე! კრება კი გაგრძელდა და გაგრძელდა. გადაირია თემური, გარეთ მე ველოდები... ითმინა, ითმინა, მიხვდა, ხელფასს ვერ აიღებდა გვიანობამდე, უცებ წამოხტა და კარისკენ გაემართა. გაგიჟდა მთავარი ექიმი, ასე გაუფრთხილებლად კრებას როგორ ტოვებო? თემური მიუბრუნდა და ეუბნება — მე, მოგეხსენებათ, ნახევარ შტატზე ვარ გაფორმებული, ჰოდა, ნახევარ კრებას ხომ დავესწარი, ახლა გამიშვითო. ატყდა კრებაზე ხარხარი. მთავარი ექიმი მიხვედრილი კაცი იყო, მოლარეს თვალით ანიშნა, ვიცი, რისთვისაც იქნება ეგ ოხერი სხვა რაიონიდან ჩამოსული, მიეცი თავისი ხელფასი და წავიდეს აქედანო. ...ჩვენც მეტი რა გვინდოდა, დავუბერეთ აბასთუმნის ტყისკენ საქეიფოდ.

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## 5. ჩაშლილი ქეიფი



ბაღდათის რაიონის სოფელ წითელხევში გვყავდა ერთი იტალიური წარმოშობის სახელებით ცნობილი ცოლ-ქმარი ლავროსი — ბაბუა და ლოლიტა ბებია.

ომგამოვლილი ცალხელა კაცი იყო ლავროსი ბაბუ. ჰოდა, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მეზობლის ბიჭებს გადასძახა, ვენახის ბარვაში მოხმარებოდნენ. დილით ბიჭებმა ლავროსი ბაბუსთან ორლიტრიანი ჭაჭის არაყი გამოცალეს, თან ლოლიტა ბებოს გამომცხვარი ხაჭაპური მიაყოლეს და გავიდნენ სამუშაოდ. ქეიფის მადაზე მოსული ბიჭები ლავროსი ბაბუს ეუბნებიან, მოდი თითო მწკრივი ვენახი ავჭრათ ისე, რომ ტრაქტორი გაეტიოს, მერე ოთარს (ტრაქტორისტია) დავუძახოთ, დავახვნევინოთ, და ჩვენც აღარ გავწვალდებითო. ლავროსიმ უპასუხა, ბიჭებო, მაშინ მეორე მწკრივიც ავჭრათო!.. მეორე რატომ ავჭრათ? — იკითხეს ბიჭებმა. მეორე იმიტომ, „ვსტრეჩნი“ რომ შეხვდეს, გვერდი ხომ უნდა აუარონ ერთმანეთსო. რაღას იზამდნენ ბიჭები, აიღეს ბარები და შეუდგნენ მუშაობას.

***ხატია გორგოძე, ბაღდათი***

## 6. კორექტურული შეცდომა



საწარმოს ეზოში გაზის ბალონებით დატვირთული მანქანები იდგა. იყო შემთხვევა, როცა ტრანსპორტირებისას ბალონები ზიანდებოდა და გაზი იპარებოდა. მეშინოდა, ასეთ ბალონთან ვინმე სიგარეტით არ მისულიყო. ამის გამო გადავწყვიტე მანქანებიდან მოშორებით მოსაწევი ადგილი მიმეწყო.

დავდგი ძელსკამი, ამოვთხარე ორმო ნამწვავების ჩასაყრელად. საჭირო იყო აბრის გაკეთება. სასწრაფოდ შევღებე თუნუქის ნაჭერი, წავაწერე რუსულად „მესტო დლია კურენია“ და ჩამოვკიდე.

დღის ბოლოს ხარხარი შემომესმა, ჯერ ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ როცა ხარხარი რამდენჯერმე გამეორდა, იძულებული გავხდი მივსულიყავი და გამეგო, რა ხდებოდა. ჩემმა მისვლამ კიდევ უფრო გაამხიარულა შეკრებილნი. მიზეზი რომ ვიკითხე, მითხრეს, წაიკითხეთ და მიხვდებითო. სიტყვაში „კურენია“ ასო „რ“ გამომრჩენოდა. სასწრაფოდ მოვხსენი აბრა, გადავღებე და ხელმეორედ გავუკეთე წარწერა...

***ავთანდილ ჯალაღონია, თბილისი***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**7.** — მურთაზია, კიდე გპარავს შენი ბაღანა ფულს?

— ახლა ველარ მპარავს, მისი სკოლის სახელმძღვანელოში ვუმალავ.

***თაკო ევგენიძე, თბილისი***



**8.** სვანი შევარდა მანქანით ქუჩაზე, სადაც ჰკიდია შესვლის აკრძალვის ნიშანი. აჩერებს ავტოინსპექტორი და ეუბნება — თუ იცი, ეს რისი ნიშანია, აქ რომ ჰკიდია?

— თუ ძმა ხარ, არა მცალია, მეჩქარება, ნუ გამაცდენ, ეგერ, ბიჭები დგანან და იმათ ჰკითხეო და დააპირა გზის გაგრძელება, მაგრამ ვინ გაუშვა!

***თ. ვ., თბილისი***

## მილოცვა



თბილისის ქალთა მე-7 საშუალო სკოლის 1950 წლის კურსდამთავრებულები მიესალმებიან თავიანთ დამრიგებელს, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს – **თამარ ხაბაზიშვილს** და ულოცავენ დაბადების 85-ე წლისთავს. უსურვებენ ჯანმრთელობას, მხნეობასა და დიდხანს სიცოცხლეს!

**ვალერიან და იზო სულაკაურებს** ვულოცავთ მე-12 შვილიშვილის, სალომეს შეძენას. ახალშობილს ვუსურვებთ მზეგრძელობას, სიხარულს, კარგ ქართველქალობას. ღმერთმა დალოცოს და ამრავლოს სულაკაურები.

*მეგობრები*



საბერძნეთში მყოფ **თიკო დუგაროვს!**

გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე სასახელო შვილი საქართველოსთვის. იყავი ჯანმრთელი, ბედნიერი, შენს დედიკოსთან და მამიკოსთან ერთად. ყველანი მალე დაბრუნებულიყავით სამშობლოში.

*შენი ნანა დეიდა ოჯახით*

## მადლობა

ამ წერილის ადრესატი შესანიშნავი სპეციალისტი, ახალგაზრდა ექიმი-ოფთალმოლოგი **კახა სილაგაძეა,** რომელმაც კარგად იცის, რომ თვალისჩინზე არანაკლები მნიშვნელობა პაციენტისთვის ექიმის მაღალ პროფესიონალიზმს, კეთილ სიტყვასა და სათუთ მოპყრობას აქვს.

კახა, თქვენი თავმდაბლობისა და შინაგანი სიმაღლიდან გამომდინარე, ვიცი, უხერხულობას იგრძნობთ, მაგრამ არ შემეძლო, ამ სახით მაინც არ გადამეხადა თქვენთვის მადლობა და არ გამომეხატა პატივისცემა.

ჩვენს ქალაქში თქვენი მადლიერი ბევრი ადამიანია. ისინი თქვენს მაღალ პროფესიონალიზმსა და ადამიანურ სიკეთეს ადასტურებენ. საოცარი გულისხმიერება გამოიჩინეთ ჩემი შვილის მიმართაც და სრულიად უანგაროდ უმკურნალეთ მას.

მადლობა თქვენს ოჯახს, თქვენს დედას, უკეთილშობილეს ქალბატონს, თქვენს აღმზრდელ 151-ე საშუალო სკოლას, პირველ მასწავლებელს ქეთევან ხამხაძეს, ყველას – ვისაც წვლილი მიუძღვის თქვენს პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

კახა, მინდა ბედნიერი იყოთ. გისურვებთ წარმატებებს ახალ კლინიკაში. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს თქვენისთანა ღირსეული ადამიანები.

*პატივისცემით, მედეა თუთბერიძე*

**ნათელა ბექაურს და გიორგი პაპუაშვილს!**

ჩემი შვილი, 8 წლის ანი გახოკიძე 4 წლის განმავლობაში უჩიოდა ტკივილებს ეპიგასტრიუმის არეში. როგორც ექიმს, არ მომწონდა მისი მდგომარეობა. მრავალგზის ჩავუტარე მედიკამენტოზური მკურნალობა, მაგრამ უშედეგოდ.

ბედმა ქალბატონ ნათელასთან მოგვახვედრა. მათ მიერ სამკურნალო მცენარეებით მომზადებულმა წამალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მთელი ოჯახი დიდ მადლობას ვუცხადებთ ქალბატონ ნათელა ბექაურს, ბატონ გიორგი პაპუაშვილს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს.

ღმერთმა დაგლოცოთ.

*დიდი პატივისცემით, გახოკიძეების ოჯახი*

უღრმესი მადლობა ქალბატონ **ლალი (ნათელა) ჯარიკაშვილს** ქ. რუსთავიდან, რომელიც ამჟამად იმყოფება აშშ-ში. მადლობა იმისთვის, რომ მან გულისხმიერება გამოიჩინა მრავალშვილიანი ქართველი დედის – *ათინა თორდიას* მიმართ. მადლობა მას და მის აღმზრდელებს.

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

„გაცნობის და დაოჯახების ცენტრი" სამუშაოდ იწვევს 18-დან 45 წლამდე მანდილოსნებს მენეჯერ-კონსულტანტის თანამდებობაზე, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან, მაღალი ანაზღაურებით. მის: თბილისი, კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59. დათო

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება! პრესტიჟულ უცხოურ კომპანიაში მიმდინარეობს კადრების შერჩევა. გვესაჭიროება თანამშრომლები საორგანიზაციო სამუშაოების შესასრულებლად. ანაზღაურება მაღალია. აუცილებელი პირობები: ასაკი – 25-55 წელი და უ/განათლება. ასევე გვაინტერესებს არატრადიციული მედიცინის მიმდევრები და ვიზიონში, დერმაჯეტიქსში, ნიუვეისში, დოვგანში, ორიფლეიმში მუშაობის გამოცდილების მქონე კადრები. ტელ: 30-09-49 (20 სთ-ის შემდეგ); 893 37-33-00

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს 50 ბიზნესპარტნიორი. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია აფართოებს სტრუქტურას. მას სათანამშრომლოდ ესაჭიროება სხვადასხვა სპეციალობის მქონე ახალგაზრდა კადრი. აგრეთვე სხვადასხვა ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები. შერჩევა – კონკურსის გზით. ტელ: 92-17-62. ნათია გელაშვილი

ქართული ფრანჩაიზინგული ორგანიზაცია აწარმოებს კადრების გადამზადებას შემდეგ სფეროებში: საზოგადოებრივი დიპლომატია, მენეჯერი, პრომოუტერი. საუკეთესონი ამავე ორგანიზაციაში გააგრძელებენ მოღვაწეობას. რეგისტრაციისათვის დარეკეთ: 92-17-62. ქეთევან პაპუაშვილი

ქართულ სამედიცინო ორგანიზაციას, უბნებზე ფილიალების გახსნასთან დაკავშირებით ესაჭიროება ლიცენზირებული ექიმები ექიმ-კონსულტანტის თანამდებობაზე, აგრეთვე სხვა სამედიცინო განათლების მქონე პირები ექიმის თანაშემწეებად. სამუშაო მკაცრად საოფისეა. ტელ. 92-17-62. თეა დევდარიანი

Внимание! Международная компания проводит отбор сотрудников, специалистов с с высшим образованием, на достойную работу. Тел: 72-31-40

## მომსახურება

გთავაზობთ კანის ნებისმიერი პრობლემის მოგვარებას, გამონაყარისა და ლაქების გაქრობას, ნაოჭების გასწორებას და სხეულის კორექცია-გახდომას. აგრეთვე სიმაღლეში ზრდას, თვეში 3-4 სმ, 25 წლამდე. მცენარეული პრეპარატებით მოგიგვარებთ ყველა პრობლემას. კონსულტანტი მედეა. ტელ: 34-02-38; 899 51-18-20

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

რბილი ავეჯის რესტავრაცია; სამეულებზე შალითების შეცვლა, დარბილება; მატრასების, ტახტების აღდგენა. ტელ: 76-01-33. გია

## მკურნალობა

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი ($t = 37{,}2^{0}C$), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 54-64-81

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს იაპონური აპარატით, უნებლიე შარდვას, ნევროზებს, რადიკულიტს, სექსუალურ დარღვევებს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, თმის ცვენას, ფსორიაზს, ქოლეცისტიტს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს. საერთო მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: დავით აღმაშენებლის №113. ტ: 95-74-29 (სამს.); 96-38-27

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა გერმანული უახლოესი აპარატურით, მაღალი შედეგებით. მის. ვაჟა-ფშაველას 16, მე-13 სართ. (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღვანელი ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-15 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

ალკოჰოლიზმთან ბრძოლა მოსკოვის აკადემიკოს ვ. ა. ლიხარიოვის მეთოდებით; პრეპარატები ექსკლუზიური, სერტიფიცირებულია. მკურნალობა ტარდება ალკოჰოლიზმის და ნარკომანიის შემდგომ გართულებებზე; ნევროზები, ჰეპატიტები, გაღიზიანებადობა. მკურნალობა შეიძლება პაციენტის სურვილის მიუხედავად (ოჯახის წევრის მიერ). ტელ: 899 22-63-90. ნინო

ანტიალკოჰოლი, ანტითამბაქო, ექსკლუზივის უფლებით Loobit პროგრამებით; აგრეთვე ნევროზები, შიშები, უძილობა, თავბრუსხვევები, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, კოლიტი, ზრდის პრობლემები ბავშვთა ასაკში, ქრ. ბრონქიტი, ქრ. პნევმონია. მიღება ყოველდღე, 12-დან 18 სთ-მდე. ტელ: 899 43-97-34; 32-39-46 (საღამოს). ნათია

უნებლიე შარდვა, სიმაღლეში ზრდა, გონებრივი ჩამორჩენილობა, ძილის მოწესრიგება, იმუნიტეტის გაძლიერება; აუცილებელი ამინომჟავების, ვიტამინებისა და მინერალების კომპლექსი. ტელ: 899 72-39-20; 99-75-90

სახსრები, ართრიტები, მარილების ჩალაგება, ორგანიზმის გაწმენდა წიდებისაგან; მოსკოვის კრემლის ყოფილი ლაბორატორიის პრეპარატებით მკურნალობა. ორგანიზმის გამოკვლევა ბიოენერგეტიკული აპარატით. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 899 22-63-90. ნინო

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდით ვმკურნალობ შემდეგ დაავადებებს: ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ნევროზები, უძილობა, ფსორიაზი. ტელ: 893 24-67-49; 777-122. ლელა

გთავაზობთ რადიკულიტის, იშიაზის, სხვა ნერვის ანთების მკურნალობას მალამო „რადიშით". რეცეპტი – მცენარეული ფარმაკოლოგიური შემადგენლობით, პროვიზორ კუკური ჭანტურიასი (პატენტი 585). დამზადებულია ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში. გაყიდვაშია PSP აფთიაქებში. ტელ: 893 93-53-21; 51-66-58; 25-22-33 (საინფორმაციო)

ალკოჰოლიზმით დაავადებულთათვის! ბახუსის სინდრომის მოხსნა, ფსიქოემოციური პრობლემები; ალკოჰოლიზმისაგან გათავისუფლება ხდება თანდათან (1-2 თვეში), პაციენტისგან შეუმჩნევლად. პრეპარატები მოსკოვში დამზადებული, სერტიფიცირებული, უსაფრთხოა – გვერდითი მოვლენების გარეშე. თამბაქოსაგან გათავისუფლება. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 893 36-87-62. ავთანდილი

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდით! ანტიალკოჰოლი, ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, კუჭის წყლული, სახსრების მარილოვანი დაავადებები, ალერგია, ასთმა. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

წარმატებით ვმკურნალობთ ეთერზეთოვანი სამკურნალო მცენარეებით ტუბერკულოზს ბავშვებსა და დიდებში, ენდოკრინოლოგიურ დაავადებებს, ასევე სანაღვლე გზების ანთებებს, თირკმელ-კენჭოვან და წყლულოვან დაავადებებს, ოსტეოქონდროზს, რადიკულიტს, რევმატიულ დაავადებებს; ვარჩენთ თმის ბუდობრივ ცვენას, რის შედეგადაც ამოდის თმა. ვარჩენთ ჰაიმორიტს, რინიტს; ვწმენდთ ორგანიზმს მავნე ნივთიერებებისაგან. ტელ: 52-95-32; 893 39-65-21. ნათელა, გიორგი

ყურადღება!!! ხერხემლისა და სახსრების დაავადების, ნევრალგიების, რადიკულიტების, პლექსიტების, მიოზიტების მკურნალობა. ეფექტი – პირველივე დღეებიდან!!! მეთოდი აპრობირებულია თბილისის ნევროლოგიის ინსტიტუტში. მიღება კლინიკაში – წინასწარი ჩაწერით. ტელ: 61-02-97; 69-91-92 (კაბ.); 899 57-16-99. ექიმი მ. ალექსიშვილი

## განათლება

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია „გრაცია" იწვევს 15-დან 50 წლამდე მსურველებს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ინსტრუქტორთა შემსწავლელ კურსებზე. დაგეხმარებით კლუბის გახსნით თქვენს რეგიონებში. მის: დ. უზნაძის №59, 23-ე სკოლა. ტელ: 56-61-63; 61-73-18; 93-13-45; 899 55-16-09

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail. საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-dizaini: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან", რესტორან „სამოთხის" უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მზიური". კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, თანამედროვე ტექნიკა, საუკეთესო მეთოდიკა, ქართულენოვანი ლიტერატურა, სათანადო სერტიფიკატი. მის: უზნაძის ქ. №70. ტელ: 29-48-61

ძვირფასო თბილისელებო! ორგანიზაცია აწარმოებს უფასო სასწავლო პროგრამას მმრათველებისა და იმ მოქალაქეებისათვის, ვისაც სურვილი აქვს, ამ სფეროში სათანადო ცოდნა მიიღოს. წარჩინებულებს ორგანიზაცია დაიტოვებს ადგილზე სამუშაოდ. ტელ: 92-17-62. ირმა ჯინაშვილი

## იყიდება

თბილისი-მარნეულის გზატკეცილზე, დასახლებულ პუნქტში, თელეთის საგუშაგოსთან ახლოს, ბენზინგასამართი სადგურის კომპლექსი. ტელ: 877 79-33-74 ილო; 899 55-31-18. აბო

მიწის ნაკვეთი 130კვმ, ვარკეთილში. გამოდგება ნებისმიერი საქმიანობისათვის შენობის ასაგებად. მის: ზემო პლატო, ხომლელის ქ. ტელ: 899 51-99-61; 899 97-16-01

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

Tare Teautiful-ის ეპილატორი. რამდენიმე გამოყენების შემდეგ აქრობს თმას, ნებისმიერ ადგილზე. მოჰყვება ორი თვის საგარანტიო ფურცელი. იყიდება ფასდაკლებით – 100 ლარად. ტელ: 68-39-73. ნინო

## სხვადასხვა

AU PAIR – ერთწლიანი კულტურული გაცვლის პრიგრამა – უნიკალური შანსი, მინიმალური ხარჯებით დაეუფლოთ უცხო ენას და გაეცნოთ ევროპულ კულტურას. LIBRA გიწვევთ გერმანიაში, ავსტრიასა და საფრანგეთში. მიიღებიან მხოლოდ გოგონები. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16. ოფისი 1216. ტელ: 37-60-35; 877 72-11-17




## ლევან შუშარიას გახსენება



მეორე ახვდებით შენი დაბადების დღეს უშენოდ, ლევან! სულო ჩაბუბულო სულო, გულს შეჰულე სითბოთი, სიყვარულის ალით. უშენოდ გვენატრები. შენ ხომ ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭი გქონდა.

ჩემო კეთილო, მუდამ მოღიმარო, სიცოცხლის ხალისით სავსე ლევან, 14 მაისს 18 წელი შეგისრულდებოდა. ვიყავით შენს საფლავზე, ყვავილებით მოვლოცეთ დაბადების დღე, დავანთეთ სანთელი და უფალს შევთხოვეთ, ნათელში ამყოფოს შენი სული.

*დიდი მონატრებით შენი ოჯახი*

## ტარიელ დევანოიძის მონატრება



გაიარა ცრემლიანმა და ტკივილით სავსე ერთმა წელმა. ერთი წელია, რაც აღარ გვესმის შენი ტკბილი ხმა. ერთი წელია, რაც გაჩერდა კეთილი გული, რომელიც ოჯახის, ნათესავებისა და მეგობრების სიყვარულს იტევდა. შენ დაკლდი შენს ოჯახს — რომელიც უშენოდ ძნელია, მეგობრებს — რომლებსაც ყოველდღე ენატრები... გზარეცლი ნათელი უფლისა და ჩაუქრობელი კელაპტრისა, რომელიც მარად ენთება შენი ოჯახისა და მეგობრების გულებში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი ოჯახი და მეგობრები*

## ზაურ ნადარაიას გახსენება



ზაურ, ერთი წელია, რაც აღარ გვესმის შენი ტკბილი ხმა. ერთი წელია ის დღიდან, რაც გაჩერდა შენი კეთილშობილი გული, გული, რომელიც ნათესავებისა და ახლობლების უსაზღვრო სიყვარულს იტევდა. შენთან ვამაყობდით და ვაი, რომ ვეღარ შევძლებთ უფრო მეტად შენით ამაყობას სიცოცხლის შენდა. როგორ გვაკლიხარ, ახლობლებს, ნათესავ-მეგობრებს.

გვჯერა, რომ შენი ამქვეყნიური კეთილი საქმეები განათებული გზა იქნება სასუფევლის დასამკვიდრებლად.

ღმერთმა ნათელი ეს მოგვლის შენს სპეტაკ სულს. ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა და დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

*ოჯახი, დები, დისშვილები, სიძეები*

## ნატო აბაშიძეს!



დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო სიცოცხლევ და მარადიულო სიყვარულო. აი, ისევ მოვიდა მაისი თავისი ათასი ფერით და შენი საყვარელი ყვავილებით მოფენა. უძლური ვარ ამ სიყვარულის ცეცხლის წინაშე, შენ რომ აანთე ჩემს გულში. ვერ გავიგე... ან კი როგორ შეიძლება, ვინმემ დატოვოს შენი ნაბათილი ოჯახი?! რაც დრო გადის, უფრო მძიმდება ტკივილი — უფრო კი მაშინ, როცა შენი შვილების თვალებში უძირო სევდასა და დიდ მონატრებას ვხედავ; ვგრძნობ, როგორ აკლია შენი მოსიყვარულე გული და სითბო. ვერავინ შეცვლის და ვერ კიდევ მეტად მაკლიხარ, ყოველ მარტოსულ და ცალად დარჩენილს. ვიცი ალბათ ღვთის ნება იყო.

წლის ცრემლებითა და ყვავილებით მოვდივარ შენს საფლავზე, ერთადერთი იმედი მაძლევს ძალას, რომ აქ დინების სიკეთეს უფალი მარადიულ სასუფეველში შეგიწყნარებს.

ნატო, ძალიან ძალიან მიყვარხარ. გკოცნი და გეფერები.

*ნუკრი*

## ბორის იასონის ძე ესაიას გახსენება



ათი წლის წინ მოსიყვარულე და მზრუნველი მეუღლე, მამა და ბაბუა დაკარგა ოჯახმა. ათი წელია, შენი სულის მარადისობაში დაიმკვიდრა ადგილი. ალალი, კეთილი და გულმართალი — ეს სიტყვები სრულად გამოხატავს შენს თვისებებს; თვით პატიოსნებისა და სიკეთის განსახიერება იყავი. ღმერთმა გიბოძა გაჭირვებულის დახმარების უნარი და მოწყალე გული.

გვჯერა, შენი კეთილი საქმეები გაგინათებენ უფლისკენ სავალ გზას; შენი შთამომავლები კი ილოცებენ შენი სულისთვის.

*ოჯახი*

## ნელი კალანდიას გახსენება



დრო ყველაფრის მკურნალია, ამბობენ. თუმცა ვერაფერი იქნება ისეთი, რომ ვერ განიცდა უშენობით გამოწვეული ტკივილი... მეხუთე წელია, რაც სიცოცხლეს დაემშვიდობე.

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო გამზრდელო, ჩემო მოამაგე ბებიკო. თვალზე ცრემლი არ შემშრობია, ჩემს გულში ყველაზე დიდი ადგილი შენ გიკავია, თავადაც ხომ ჩემი უილბლობა გტკიოდა ყველაზე მეტად.

მიყვარხარ, მაკლიხარ და აუტანლად მენატრები...

*ციცი*

## ანა ბიბილაშვილის მონატრება



ისევ მოვიდა მაისი, ვარდობისთვე, ჩვენთვის ცრემლისა და გლოვის თვე. ერთი წელი გავიდა, შვილო ანა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. დრო მიდის... დრო მკურნალიაო, ამბობენ. ჩვენს იარას დრო უფრო ამძიმებს. შენ ბიბილაშვილების დიდი ოჯახის დიდი სიხარული თან გაიყოლე. უფრო გვიყვარხარ და გვენატრები — ისე, როგორც არასდროს.

სიზმარად მაინც გამომეცხადე, შვილო ანუკი! ჩემო სიცოცხლევ, ჩემო მთიულო გოგო, ჩემი რეზოს და მაიას უდიდესო ტკივილო.

22 მაისს ცრემლნაპკურებ ვარდებს მოგიტან, შვილო. მარადჟამს ვილოცებ შენი სულისთვის.

*თაყვანისცემით ნათელა მამიდა*

## ჯიმშერ (ბოშყო) მჭედლიანის ხსოვნას!



13 აპრილს, შენმა მოულოდნელმა სიკვდილმა თავზარი დამცა. ვერასდროს ვიფიქრებდი, შენ თუ ვინმე ან რამე მოგერეოდა. სულით ძლიერო და გულით კეთილო ბოშყო, ძალიან მიმძიმს შენი წარსულში ხსენება, შენი უბედური დედის ყურება და შენი პატარა ანგელოზის მოფერება, რომელსაც სიტყვა „მამას" ვერავინ ასწავლის. რა უილბლო ყოფილხარ, ბიჭო (ჩემი დეიდაშვილი გიორგისავით, რომელიც გულით დაიტირე). ვილაც ნაძირალას ხელმა სახლის კართან გამოგასალმა სიცოცხლეს.

არასდროს დაგივიწყებთ, ბოშყო! შენს სურათს გიორგის სურათის გვერდით დავკიდებ და ჩემს ოჯახში მარადიულები იქნებით. შენ ჩემი მაზლი ხარ და ჩემი სალომეს ბიძა! სალომესი, რომელიც ყოველ დილით ლოცულობს, — ჩემი ბოშყო ბიძია ნათელში იყოსო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ვაჟკაცი სული. მსუბუქი იყოს ეგ უდროოდ დაყრილი მიწა.

*შენი საყვარელი რძალი*

## მერი მჭედლიშვილი-მაჭავარიანის გახსენება



ორმოცი დღე გადის ქრისტეს ამაღლების დღეს, რაც შენი გულისძგერა შეწყდა მოულოდნელად და მარადისობაში გადახვედი, სამი ვაჟკაცის აღმზრდელო, ყველასთვის ძვირფასო, ჩვენო მერიკო!

ყველაზე ძნელი და გულდასაწყვეტი ისაა, რომ სიცოცხლე გინდოდა, გსურდა შენს შვილებში, შვილიშვილებში, ახლობლებში, ნათესავებში, მეზობლებში კიდევ ცოტა ხანს მაინც ყოფილიყავი, ჭორვილის სუფთა ჰაერი გესუნთქა...

მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა მუხანათურად არ დაგინდო და ზუსტად ბრწყინვალე აღდგომის წინადღეს აღესრულე, ხოლო ბრწყინვალე ხუთშაბათს შენი ძვირფასი მეუღლის — ვახტანგ მაჭავარიანის გვერდით დაიდე ბინა.

მახსენდება ჩვენი დიდი პოეტის მუხრან მაჭავარიანის ორკუპლეტიანი ლექსი, რომლის მოსმენაც ასე ძალიან გიყვარდა:

*„ვიცი, წამერთვის მზისა ჭვრეტანი,*
*დღეს არა, ხვალე მოვკვდები, ვიცი,*
*ვიცი — იქ ჩავა ჩემი ცხედარიც,*
*სად უთვალავი ჩასულა სხვისი.*
*ვიცი, ჩემს მერე მოკვდება ბევრი,*
*ზოგი სიკვდილის იქნება ღირსი...*
*ვის რა ხელს მისცემს სიკვდილი ჩემი,*
*ვინ ამოავსო სამარე სხვისი!"*

ჩვენ კი, აქეთ დარჩენილებს, ერთი ჭეშმარიტი იმედი მაინც გვრჩება: მაღალი ღმერთის ნება-სურვილით, ჩვენც მოვალთ მანდ — მარადიულ საქართველოში თავის დროზე და ყველანი სამუდამოდ ერთად ვიქნებით!

დაე, შენი შვილების, შვილიშვილების, ახლობლების, მეზობლების ჭეშმარიტმა სიყვარულმა, მონატრებამ და შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ, უფლის შეწევნით გაგინათოს გზა და დაგიმკვიდროს ნათელი სამუდამო სასუფეველში...

მსუბუქი იყოს შენი ქართული, მშობლიური ჭორვილის მიწა, რომელიც შენ ასე გიყვარდა და ეთაყვანებოდი.

ამინ!

*შენი ბიძაშვილი — ჯანგული მჭედლიშვილი*

## ლევან ძიძიგურის გახსენება



ჩემო ლევან, 21 მაისი ახლოვდება — დღე, როდესაც განგებამ შენი თავი წამართვა. ერთი წელი მიილია, რაც შენი თვალები აღარსად შემომფეთებია, შენი სიცილი აღარ მსმენია.

რა ძნელი ყოფილა უშენობა. თვალცრემლიანი ვიხსენებ ერთად გატარებულ ბედნიერ წლებს და გული მწყდება, რომ ძალიან სწრაფად დამთავრდა ყველაფერი.

წახვედი და დამიტოვე უსაშველო სევდა, ამოუვსები სიცარიელე, გაუსაძლისი ტკივილი და სახელი — კაცური კაცის, ულალატო მეგობრის, მზრუნველი შვილისა და მოამაგე მამის.

ლევან, ჩვენი სიყვარული არ დამთავრდება და როცა ჩვენი სულები ერთმანეთს შეხვდება, მაშინ ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით. მანამდე კი უნდა მაპატიო უშენოდ ნაცხოვრები ყოველი დღე.

დარწმუნებული ვარ, უფალი სასუფეველს დაგიმკვიდრებს იმ ქვეყნად და ნათელს არ მოაკლებს შენს ლამაზ სულს. მე კი აქედან არაფერს დავიშურებ, შენთვის ვილოცებ და წმინდა სანთლებით გაგინათებ გზას.

გჯეროდეს ჩემი, ლამაზად დავზრდი ჩვენს შვილებს და შენს ვაჟკაცურ სახელს არ შევარცხვენ.

*შენი შორენა*

## გიორგი კიკნაძის გახსენება



გიო, დედი, ისევ მოვიდა შენი დაბადების დღე, რომელსაც 9 წლამდე სიხარულითა და ხალისით ვხვდებოდით ყველანი. მაგრამ ახლა უკვე მეოთხე წელია, გულისტკივილით, სევდითა და ცრემლებით ვხვდებით. 13 წლის შესრულება სასაფლაოზე უნდა აღგინიშნო 20 მაისს; შენს პატარა ძამიკოს, შენს თანატოლებს, ბიძაშვილებს, დეიდაშვილებს დავალოცვინო შენი ლამაზი სული, რომ ერთხელ კიდევ გაიხსენონ შენი მეგობრული და ვაჟკაცური ურთიერთობა, შენი ლამაზი ღიმილი, მოფერება ყველას მიმართ, რომელიც უბედურმა შემთხვევამ შეცვალა, ჩემო პირველო სიხარულო და შენი ლამაზი ღიმილი და შენი ლამაზი ხელებით მოფერება სამუდამოდ გააქრო.

მე ისღა დამრჩენია, მაღალ ღმერთს ვთხოვო, შენი პატარა, ლამაზი სული ნათელში მიმყოფოს.

*შენი საცოდავი მშობლები — რომან და ინეზა კიკნაძეები*

## ლია შანავას გახსენება



ჩემო ერთადერთო გოგო, ჩემო საოცნებო არსებავ, ჩემო საიმედო ლია! გილოცავ დაბადების დღეს თვალცრემლიანი, უშენოდ. ვინ იფიქრებდა, ასე მალე გამიფრინდებოდი ხელიდან, ან უშენოდ სიცოცხლე თუ შეიძლებოდა. მართალია, ხანმოკლე სიცოცხლე გქონია, მაგრამ ასი წლის ცხოვრების ტოლფასი. წელიწადზე მეტია, ზეციდან გადმოსცქერი შენს საყვარელ შვილებს — მედეასა და ვაკოს. რა ქნან მათ, უჭირთ უდედობა. შენ ხომ მაშინ მიგვატოვე, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდი შენს შვილებს. ვის რა უთხრან, ვის რა შესჩივლონ, ვინ დაუბრუნებს საყვარელ დედიკოს? მაგრამ გჯეროდეს, შენი სახელი მუდამ იცოცხლებს მათ გულებში. შენ ყოველდღიურად ჩვენთან ხარ, ჩვენს ფიქრებსა და სიყვარულში.

ძალიან, ძალიან გვენატრები. უსაზღვროა შენი მონატრება. რა მძიმეა ცხოვრება უშენოდ, ჩემო უსიტყვო, უპრეტენზიო გოგოვ. რა გულისტკივილი, რა მოუშუშებელი ჭრილობა, რა სევდა-ნაღველი, რა ცარიელი გული დამიტოვე, ჩემო სიცოცხლევ.

მშვიდობით, ლია! იძინე მშვიდად, ისევე როგორც თავად იყავი!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი მედიკო*

## ყაზიშვილი დათოს გახსენება



წელს პირველად მოვიდა შენი დაბადების დღე უშენოდ, დათო, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო! რა უცბად გავიდა ერთი წელი, შენი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი კი უწინდებურად აუტანელი და გაუსაძლისია. დღემდე ვერ ვეგუები უშენობას, ყველა ქერა მამაკაცში შენს სახეს ვეძებ, შენს მოსიყვარულე ღიმილს და იმედიან გამოხედვას, მაგრამ ამაოდ! უსაზღვროდ მენატრება შენი ხმის გაგონება, შენი სიცილი, ჩემო კეთილო, უსაზღვროდ ალალი გულის პატრონო ჩემო ძამიკო. როგორ ვიფიქრებდი, რომ უშენოდ სიცოცხლეს შევძლებდი. ასე რატომ გამიმეტე, შენ ხომ ჩემი ერთადერთი საფიცარი იყავი. როგორ დატოვე უშენოდ შენი სათაყვანებელი შვილები — თორნიკე და ვასიკო?! ნუთუ არ იფიქრე შენს გაუბედურებულ დედაზე, სიცოცხლე ტანჯვად რომ გადაჰქცევია?!

სამართალი ურმით დადისო, გამიგონია, ჩემო დატანჯულო ძამიკო! უფალი ყველას თავის წილს მიუზღავს. მე კი, გწამდეს, სანამ ვიცოცხლებ, სანთელ-საკმეველი არ მოაკლდება შენს ლამაზ სულს. ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი და ხათუნა*

## ომარ ტუკვაძის გახსენება



20 მაისი შენი დაბადების დღეა. ამ დღეს მეორედ ვხვდებით უშენოდ. კიდევ ერთხელ შევიკრიბებით შენს საფლავზე და იქ მოგილოცავთ დაბადების დღეს, ყველა შენი ახლობელი და მეგობარი.

*შენი მეგობრები: გენტი ყურაშვილი, ნოდარ ხონელიძე, ამირან გაბუნია, სულიკო გაბუნია, ჯონი ხუსკივაძე, როინ დვალიშვილი, ბიჭიკო ფარეშიშვილი*

## გივი (პანტე) სოლომონის ძე კუპრეიშვილის ხსოვნას!



22 მაისს 40 დღეა, ჩემო ძვირფასო და კეთილო ბიძია, რაც ჩვენთან აღარ ხარ. უშენოდ ვხვდებით გაზაფხულს. გვაკლიხარ და გვენატრები. წახვედი ამ ქვეყნიდან და წაიღე სიკეთით სავსე გული. დაგვიტოვე უზომო ტკივილი და სიცარიელე, რომელსაც დრო ვერ განკურნავს.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში გვიმყოფოს შენი სული. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ეწერის მიწა. არასოდეს დაგივიწყებთ.

*ნაზი და მირო მიმინოშვილები*

## ხვიჩა კოკაიას გახსენება



დაბადების 47-ე წელს გილოცავთ, ძმაო ხვიჩა! წახვედი და დაგვიტოვე ნაღველი და ტკივილი. გვაპატიე, რომ უკანასკნელ გზაზე ვერ გაგაცილეთ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ლალი ჯიჯიაშვილი, 1349-ე ჯგუფი*

## ზურაბ ლომოურის მონატრება



ჩემო ზურა! უკვე წელიწადი გახდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. შენ ხომ ყველას დააკლდი შენი სითბოთი და დიდი სიყვარულით, მაგრამ ყველაზე მეტად — შენს ოჯახს, შენს მეგობრებს.

ძალიან ძნელია ჩემთვის წარსულ დროში შენზე საუბარი. დამრჩა მხოლოდ ძალიან ტკბილი მოგონებები, ძლიერი მონატრება, ჩვენი დიდი სიყვარულის სანაცვლოდ შენი სულისთვის ტაძარში დანთებული სანთლები და სასუფევლის დასამკვიდრებელი ვედრება უფლისადმი.

*შენი მეუღლე*

## თინა ბადურაშვილი-ტატიშვილის მონატრება



დედა, მაისში წელიწადი სრულდება, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი და დაგვიტოვე უშენობით გამოწვეული ტკივილი. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ ვერავითარი დრო ვერ დაგვავიწყებს შენს შვილებს და ახლობლებს შენს თავს.

განისვენე მშვიდად.

*შვილები, ეთერი, თამარი, თამაზი*

## თინათინ, თათრახან ლორიებს!



გავიდა ტკივილიანი ცხრა წელი, რაც დაგვტოვეთ და გადაინაცვლეთ იმქვეყნიურ სამყაროში. დაგვრჩა თქვენი ფოტოები, სიყვარული და აუტანელი მონატრება. გვაკლიხართ ყველას. გვენატრებით — თქვენ, ძია მიშა, მანანა დეიდა, ბაბუა-ბებიები...

დაე, ლოცვამ და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა დაგიმკვიდროთ მარადიული ბინა ცათა სასუფეველში!

*შვილები — ნანა, ღუღუნი ოჯახით*

## ზურა ალადაშვილის მონატრება



ორი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ, ზურა. ულალატო ბიჭი იყავი, ნაღდი მეგობრობა შეგეძლო. შენი სახელი აღარც გვახსოვდა, ალადას გეძახდით. ისეთი კეთილი და მოსიყვარულე მეგობარი გვყავდა შენი სახით... მთასავით ბიჭს ვერაფრით წარმოგედგინა, თუ შეიძლებოდა ვინმეს ემუხთლა შენთვის. თავად რომ სიყვარულით სავსე იყავი, სხვაც ასეთი გეგონა... იმასაც ამბობდი, ამხელა კაცს ტყვია ვერ მომერევაო... ყველა ადამიანში სიკეთეს ეძებდი და თავადაც დიდ სიყვარულს გასცემდი. 25 წლისა საბედისწერო შემთხვევამ გადაგიყოლა... ძნელია უშენობა, ალადა, შენი მხიარული ხმა აკლია ჩვენს საძმაკაცოს...

მოვალთ შენს საფლავთან ბიჭები, ჭიქა ღვინოს წაგიქცევთ, ცოცხალივით გადღეგრძელებთ... ცოცხალივით, რადგან სანამ ჩვენი საძმაკაცო იქნება, შენც ჩვენ გვერდით იქნები...

ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა, ნათელო ბიჭო...

*შენი მეგობრები*

## ავთო ბუხრაშვილის ხსოვნას!



გარდაიცვალა ავთო ბუხრაშვილი — შესანიშნავი, კეთილშობილი ადამიანი, მშვენიერი მწერალი, კაცი, რომელსაც ლამაზი სიტყვისთვის შეეძლო, მთა და ბარი მოეარა. მოვლილი ჰქონდა საქართველო, ყოველ გოჯს, ყოველ ციხე-ტაძარს ესალმებოდა, ეფერებოდა. ენამოსწრებული იყო, მშვენიერი თამადა და დამფასებელი ქართული სუფრის, ქართული ლხინისა. კარგი მეოჯახე იყო, კარგი შვილი, მეუღლე, მამა, მეგობარი, თანამშრომელი...

წავიდა და თან წაიღო უდროოდ დაღუპული პირმშოს დარდი, რომელიც პირველი შეეგებება იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ნათელი დაადგეს მის სულს...

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის 1964 წლის კურსდამთავრებულები*

*დაკრძალვა:* 18 მაისს, 15 საათზე.
*მისამართი:* ალექსანდრე ყაზბეგის №25/ა.



მეუღლე თათუშა; შვილები: ზიტა, ირმა, გოჩა; დები: მზია, ზოია, იზო; ძმა ომარი; რძალი მადონა; სიძეები: ზაზა, ელგუჯა; შვილიშვილები: ნატო და ირაკლი; ნათესავები და ახლობლები იუწყებიან

**ილარიონ (ილუშა) ხელაიას**

გარდაცვალებას.
*გამოსვენება:* შაბათს, 15 მაისს.
*მისამართი:* მარტვილის რაიონი, სოფელი ინჩხური.

# ...ორი გიტარა, ანუ შეჩერებული წამი



ამ ფოტოზე შეჩერებული წამია აღბეჭდილი. ნახევარი საუკუნის წინ ორმა არაჩვეულებრივმა მომღერალმა **ვალერიან ძაგნიძემ** და **შალვა (ჟუტუ) ჩხიკვაძემ** გიტარებითა და ხალისიანი სიმღერებით დაიპყრეს ქართული ესტრადა — ყველას პირზე ეკერა ძაგნიძე-ჩხიკვაძის დუეტი. მათ შემოქმედებას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა და ბევრსაც სწორედ ამ შესანიშნავმა დუეტმა ააღებინა ხელში გიტარა.

ისინი ერთმანეთს მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში შეხვდნენ და მერე მთელი 25 წელი იმღერეს ერთად. ხშირად გამოდიოდნენ ისეთი სახელგანთქმული მსახიობების გვერდით, როგორებიც იყვნენ ვასო გოძიაშვილი, ემანუელ აფხაიძე, სტეფანე ჯაფარიძე, პიერ კობახიძე, ოლღა დოლიძე, ელენე ჩოხელი, აკაკი კვანტალიანი, ალექსანდრე გომელაური, სესილია თაყაიშვილი, სანდრო ჟორჟოლიანი... მათ ხელოვნებას თითქოს ავსებდა ძაგნიძე-ჩხიკვაძის გამოჩენა. მაყურებელმა ერთბაშად აიტაცა მათი რეპერტუარი. „მაგ შენი ბაღის ყაყაჩო", „მიყვარხარ", „თეთრი მტრედი", „ჩემო ჩიტუნია", „ოქროსვარსკვლავიანო" და მრავალი სხვა, ქართველი ხალხის საყვარელ სიმღერებად იქცა.

ძაგნიძესა და ჩხიკვაძეს არ სჭირდებოდათ რეკლამა. სცენაზე მათი გამოჩენა დღესასწაული იყო. დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა.

1955 წელს, ფილარმონიაში დაიდგა ორმოქმედებიანი საესტრადო წარმოდგენა „ასეც ხდება", რომელშიც მონაწილეობდნენ მსახიობები ჟანეტა ასლამაზიშვილი, მიხეილ ჯოჯუა (ყოფილი ფეხბურთელი), დავით ესებუა, ოთარ სანდომისაშვილი... და ძაგნიძე-ჩხიკვაძის დუეტი.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მაყურებელი დარბაზს არ ტოვებდა. მოითხოვდნენ სცენაზე გიტარებით გამოსულიყვნენ ვალერიან ძაგნიძე და შალვა ჩხიკვაძე. პოპულარული დუეტი ზედიზედ იმეორებდა მაყურებლის საყვარელ სიმღერებს. განსაკუთრებული წარმატება ირაკლი უჩანეიშვილის სიმღერას ხვდა — „ჩემო კარგო, გულის ვარდო"... სამწუხაროდ, ამ სიმღერის ჩანაწერს ძაგნიძე-ჩხიკვაძის შესრულებით ველარსად მივაკვლიე...

ესტრადის გარდა ვალერიან ძაგნიძე და შალვა ჩხიკვაძე ქართულ ფილმებშიც მონაწილეობდნენ („ბედნიერი შეხვედრა" და „საბუდარელი ჭაბუკი").

ვალერიან ძაგნიძეს წელს — 92, ხოლო შალვა ჩხიკვაძეს 90 წელი შეუსრულდებოდა.

კარგი იქნება, თუ ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი წარსულში საკმაოდ პოპულარულ დუეტსაც დაეთმობა და გაიმართება ძაგნიძე-ჩხიკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი.

*ოთარ კიკნაველიძე*

# კაცი, რომელსაც თავადვე უჭირს თავს გადახდენილის დაჯერება...




მეთქი და დასარტყმელად გავიწიე, რომ... ისევ გაიბრწყინა სინათლემ და... თვალსა და ხელს შუა გამიქრა თანამგზავრი, მართლა გაქრა!..

...არ ვიცი, როგორ მივაღწიე ნათესავებამდე.

**— იმ ბიჭის ნათქვამ მისამართზე არ შეიარეთ?!**

— არც მიფიქრია. ვისთვის მეთქვა, — მკვდარი დამხვდა გზაში და თქვენთან სიტყვა დამაბარა-მეთქი!.. ეს რამდენიმე დღის შემდეგ გავაკეთე, როცა უკან ვბრუნდებოდი. მოსვენება დავკარგე, ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს და ცნობისმოყვარეობა მაგიჟებდა. მივხვდი, უნდა გამეგო, საერთოდ არსებობდა თუ არა იმ სოფელში ისეთი ოჯახი და იმ გვარის და სახელის ახალგაზრდა.

ბატონი ვაჟა იმ ხნისაა, ვისზეც იტყვიან, ტყუილიც დაეჯერებაო. არც მე მიფიქრია მის მონათხრობში დაეჭვება, მაგრამ თავად მას უჭირს თავს გადახდენილის დაჯერება...

— 72 წლის კაცი ვარ და ჩემი თაობისთვის დამახასიათებელი წარმოდგენა მაქვს სიცოცხლეზეც და სიკვდილზეც. ღმერთი არ მწამსმეთქი, — არასოდეს მითქვამს, მაგრამ ეჭვი ბევრჯერ შემჩენია, იქნებ არც არსებობსმეთქი. მოკლედ, ჩემში ღმერთი თუ იყო, იმდენად ბუნდოვანი და განყენებული სახე ჰქონდა, წლიდან წლამდე, ეკლესიაშიც არ მახსენდებოდა მისვლა, რასაც ახლა, ბუნებრივია, ვნანობ და თუ რატომ, სწორედ ეს მინდა გითხრათ...

1997 წლის 14 ივლისი იყო, 7 წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ. შვილიშვილები მყავდა გაგზავნილი გურიაში, ნათესავებთან, საagarakod. მოსანახულებლად მივდიოდი, მოსაკითხი მიმქონდა. სამტრედიაში შევჩერდი, ბაზარში შევიარე და გზა განვაგრძე (საკუთარი მანქანით ვიყავი, მარტო). ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს ვიღაც იჯდა ჩემ გვერდით... ვერ დავძლიე მოუსვენრობა და თავის ტკივილიც დამეწყო. შემეშინდა — წნევა არ მქონდეს-მეთქი. ჰიპერტონიკი ვარ, აპარატს სულ თან ვატარებ. გავაჩერე მანქანა და გავიზომე წნევა — არ მქონდა. თავის ტკივილს კი უცნაურად ცივი შეგრძნება დაემატა, არადა $30^0$-ზე მეტი იყო სითბო... გავღიზიანდი, შევიკურთხე: — რა ჯანდაბაა, რა მჭირს-მეთქი და სანამ ჩემ გვერდით მჯდომ ადამიანს „დავინახავდი“, ხმა „გავიგონე“: — მიშველე, ბიძია, შენი ჭირიმე, დამეხმარეო!...

**— კაცი-უჩინმაჩინი იყო?!.**

— მე კი გამაგიჟა და... ლამის კივილი დავიწყე შიშით ამ ხნის კაცმა, მანქანა გავაჩერე და საშველად მინდოდა ვინმესთვის დამეძახა, რომ ერთბაშად გაბრწყინდა სალონი, მერე კი 25-ოდე წლის ახალგაზრდა კაცი დავინახე, შეწუხებული სახე ჰქონდა, მაგრამ რადგან ადამიანის შვილი იყო, შევჩერდი: — რას გადამეკიდე და „მეფოკუსები“, გაგხეთქავ ახლა ცემით-მეთქი, — ვუყვირე. ისეთი მუდარით შემომხედა, უცებ გამიარა ბრაზმა: — რა გინდა, რა გაგჭირვებიამეთქი — და, რაც გავიგონე საპასუხოდ, დავრწმუნდი, რომ ჭკუიდან შევიშალე: — ექვსი თვეა, ამაოდ ვცდილობ ადამიანებს დავუკავშირდე, ვერავინ მხედავს, მე კი მოსვენებას ვერ ვპოულობ და ვიტანჯები... ახლობლებს ჰგონიათ, შინიდან გავიქეცი და მივატოვე ახალშერთული ცოლი. მე კი... მომკლეს და ჩემი სხეული ამა და ამ ადგილზე დაფლესო. ისიც მითხრა, ვინ მოკლა და რისთვის. თავისი მისამართი და ვინაობა!..

ის იყო, ლაპარაკი დაასრულა და ისევ ვიფეთქე: — ჰაიტ, შე ტუტუცო მამაძაღლო, გიჟის რა შემატყვე, გადაეთრიე ჩემი მანქანიდან-

სოფლის ცენტრში კაცები იდგნენ და იქ ვიკითხე, — ამა და ამ კაცის ოჯახს ვეძებ-მეთქი. წამომიდგა ერთი, თან გაფითრდა: — ხომ მშვიდობაა ჩემს თავსო და გულზე წაივლო ხელი. სხვებმა უპასუხეს ჩემს გაოცებას, შვილი ჰყავს დაკარგული რამდენიმე თვეა და ყველა კაცი ცუდი ამბის მომტანი ჰგონიაო!..

ახლა მე გავხდი მოსაბრუნებელი და... მაინც ჩავებღაუჭე იმედს — იქნება თავად გარდაცვლილი კი არა, მკვლელობის შემსწრე გამომეცხადა და ვერ გაბედა თავისი ვინაობის გამხელამეთქი, მაგრამ, დაკარგულის სურათები რომ მაჩვენეს, ნამდვილად ის იყო, ვინც მანქანაში მეჯდა და აქეთ წამოსვლა მთხოვა... აკანკალებულმა მოვყევი ყველაფერი, როგორც იყო. არ მიჯერებდნენ, როგორც გიჟს, ისე მიყურებდნენ, მაგრამ... მაინც მაშინვე შეიარაღდნენ კაცები და მითითებული ადგილისაკენ წავიდნენ...

**— ნუთუ მართლა იპოვეს გვამი?!.**

— საქმეც ესაა, რომ ნახეს და მტრისას, რაც იქ ამბავი დატრიალდა იმ წუთშიც და მოგვიანებითაც, — ათას დაკითხვაზე მატარეს და კარგა ხანს არ მიჯერებდნენ, რომ დამნაშავეებთან არ ვიყავი შეკრული. ისევ გარდაცვლილის სულმა მიხსნა: დედას დასიზმრებია — ნუ აწვალებთ მაგ დალოცვილ კაცს, ეგ რომ არა, საფლავიც არ გექნებოდათ ჩემი, რამდენი ვიწვალე და მხოლოდ მან დამინახაო!..

ერთი სიტყვით, ბოლომდე შეიძლება არც დაღუპულის ნათესავებს სჯერათ ჩემი უდანაშაულობა, მაგრამ დედის მოთხოვნით, გამათავისუფლეს, მით უმეტეს, როცა მკვლელები დაიჭირეს და ვერც ერთმა მათგანმა ვერ ამომიცნო...

სხვებს რა მოვთხოვო, როცა თავადაც მიჭირს თავს გადახდენილის დაჯერება!.. ეკლესიაში ვპოვე შვება, მოძღვარმა ისეთი რამეები მითხრა, თითქოს დავმშვიდდი, მაგრამ მანქანის საჭეს მას შემდეგ ვერ ვეკარები და მარტო ველარ ვმგზავრობ... მე რომ შორს მეგონა, აქვე, ჩვენ გვერდით ყოფილა საიქიოც და სულებად ქცეული ახლობლებიც აქვე ტრიალებენ თურმე...

მეტს ვერაფერს გეტყვით, რასაც ვგრძნობ, იმას სიტყვებით ვერასოდეს გამოვხატავ... არ ვიცი, რისთვის გამომარჩია უფალმა და მიჩვენა სასწაული...

**— იქნებ იმისთვის, რომ რწმენაში გაძლიერებულიყავით?!.**

— ალბათ!..

...აი ასეთი უცნაური ამბავი მიამბო ბატონმა ვაჟამ...

***ინგა ჯაყელი***

ჩვენ გვწერენ

# ქოფაკების თავდასხმა

1967 წელი იყო. უნივერსიტეტის სტუდენტები ე.წ. ყამირზე, ანუ მესამე სემესტრში, რუსეთში გაგვგზავნეს სამუშაოდ. ერთ დაბაში საავადმყოფოს ვაშენებდით, ვცხოვრობდით სკოლაში. საღამოობით კლუბში ვერთობოდით. ერთხელ, დრო გაგვეპარა და კაი ნაშუაღამევი იყო, მე და გუგა კლუბიდან რომ წამოვედით. ბნელოდა, ალალბედზე მივაბიჯებდით. უცებ დავინახეთ, ჩვენკენ ორი უზარმაზარი ცხოველის აჩრდილი მოიწევდა. ჯერ ცხენები მეგონა, რომ დავაკვირდი, ძაღლები აღმოჩნდა. ბეწვი უბრწყინავდათ, თვალებიდან ლაზერის სხივივით წითელ სხივებს უშვებდნენ. გაქცევას აზრი არ ჰქონდა, არადა სიკვდილს პირდაპირ ხახაში ვუცვივდებოდით. გუგა ჩაჯდა და თავზე ხელები დაიფარა. მეც მივბაძე. გავიგონე მისი ყვირილი, — დიტო, ყელი მოარიდეო. გორგალივით მოვიკუნტე, თავი მუხლებში ჩავრგე. ვიგრძენი, როგორ ჩამასო მკლავში კბილები ქოფაკმა და გონი დავკარგე.



...ხმაური მომესმა, — ორიოდ ნაბიჯზე თავშეყრილი ხალხი ყაყანებდა და რაღაცას დასჩერებოდა. მსუბუქად წამოვდექი. ბრბო გავარღვიე. მიწაზე ორი კაცი იწვა, სახეზე გაზეთები ჰქონდათ დაფარებული. დავაკვირდი — ერთი მათგანი გუგა იყო, მეორე — მე! საზარელი სანახავი იყო საკუთარი ცხედრის ხილვა...

თვალი ძლივს გავახილე, მეგონა თენდებოდა. ძაღლების ჭაჭანება არსად იყო, არც გუგა ჩანდა სადმე. თავზარდაცემული ადგილს მოვწყდი და გავიქეცი. მდინარეში შევვარდი. ძაღლის ნაკბილარი მკლავი ისე ამეწვა, რომ სუნთქვა შემეკრა. ნაპირზე რომ გამოვედი, მაშინღა მივხვდი — შუაღამე იყო და ცაზე ბადრი მთვარე ანათებდა.

სკოლის შენობაში შევვარდი. ბიჭებს ეძინათ. ვიღაცის ქურთუკში გავეხვიე. ჩავთბი, თუ არა, დამეძინა.

დილით გამაღვიძეს — გუგა ძაღლებს დაუგლეჯიათო. წავედით საავადმყოფოში. გუგას სახე და ხელები დასისხლიანებული ჰქონდა. მკერდზე კი რატომღაც სწორედ გაზეთის ის ნომერი ეფარა, რომელიც ზმანებისას ვიხილე... გუგამ შემომხედა და თვალით მანიშნა, — კრინტი არ დაძრაო.

მას მერე თითქმის 40 წელი გავიდა. ჩვენ ახლაც გვატყვია ძაღლების ნაკბილარები. რაც გადაგვხდა თავს, არავისთვის გვითქვამს, ანდა რომ გვეთქვა, დაგვიჯერებდნენ კი?

P.S. შემდეგ გავიგეთ, თურმე ინგლისში ხშირად ჩნდებიან ძაღლების აჩრდილები. ზოგი გამვლელებს ეტანება, ზოგჯერ მთელი სიცოცხლე უკან დასდევს მავანს...

***დიტო ბ., თბილისი***



# შეხვედრა თეთრ ქალთან

შარშანწინ ზაფხულს მანგლისში ვისვენებდი. იქაურებმა საიდუმლოდ გამანდეს — ჩვენთან, ჭალაში, თეთრი ქალი ჩნდება ხოლმეო. თავიდან არ მჯეროდა, მაგრამ მას შემდეგ დავრწმუნდი, რაც ჩემი თვალით ვნახე.

საღამოს 10 საათი იქნებოდა. მეგობრები ჭალაში წავედით თეთრი ქალის სანახავად. ჯერ ტყის პირას ჩავუსაფრდით, მერე მინდორზე გამოვედით, სკამებზე ჩამოვსხედით და ლოდინი დავუწყეთ. უცებ მინდვრის შუაში მთვარის შუქი დაეშვა, რომელსაც ქალის სილუეტი ჩამოჰყვა. ეს იყო თეთრი ქალი. სახე არ უჩანდა, თითქოს შავად ჰქონდა შემურული. ქალი ჩვენკენ გამოქანდა. შეგვეშინდა და შინისკენ მოვკურცხლეთ. დავაპირეთ ეკლესიაში წასვლა, მაგრამ სიბნელეში გზა აგვებნა და თავი ამოვყავით მეზობელ სოფელში, რომელიც მანგლისიდან კარგა შორს იყო. გაგვიმართლა, ვიღაც კაცი შეგვხვდა და შინისკენ გზა მიგვასწავლა. მანგლისში მხოლოდ დღის ხუთი საათისთვის ჩავაღწიეთ...

***მარინა მკრტიჩიანი***

# ფირფიტის საიდუმლოება


ფრანსუაზა და კატრინი

კატრინ დენევის გზა კინოში თვით ბედმა განსაზღვრა: მისი მშობლები თეატრის მსახიობები იყვნენ. კატრინმა პარიზის პრესტიჟული ლიცეუმი დაამთავრა და დასთან ერთად კინემატოგრაფიული ოლიმპის დაპყრობა გადაწყვიტა.

დებმა სხვადასხვა გვარი აირჩიეს: ფრანსუაზამ — მამის — დორლეაკი, კატრინმა დედის — დენევი. მასაც უნდოდა მამის გვარის ტარება, მაგრამ დამ კატეგორიული უარი განუცხადა. კატრინს ვერაფრით აეხსნა დის სიჯიუტე.

ერთხელ, მსახიობი ნათესავის დაკრძალვას ესწრებოდა. ცერემონიის დამთავრების შემდეგ ნელი ნაბიჯით გაუყვა სასაფლაოს გზას. უეცრად ფეხებთან ბრინჯაოს ფირფიტა დაინახა — არც დაბადებისა და არც გარდაცვალების თარიღი მას არ ეტყობოდა, სამაგიეროდ, ნახევრად წაშლილი ასოებით მაინც ამოიკითხავდით გვარს — „დორლეაკი“. კატრინმა ფირფიტა იქვე, ხესთან დადო. შინ დაბრუნებულმა დას დაურეკა. სთხოვა, იქნებ მოხვიდეო... ფრანსუაზამ დას ბავშვობაში ნანახი სიზმარი უამბო — ვიღაც მოხუცი ცეცხლისმფრქვეველ სამჭედლოში რაღაცას ჭედავდა. ეს „რაღაც“ ფირფიტა აღმოჩნდა — წარწერით „დორლეაკი“. შეშინებულ კატრინს დის შინ გაშვება არ უნდოდა, მაგრამ ფრანსუაზამ თავისი გაიტანა. ორიოდ საათის შემდეგ პოლიციამ მსახიობს შეატყობინა, — თქვენი და ავტოკატასტროფაში დაიღუპაო. როცა კატრინი დის დაკრძალვაზე მივიდა, თავზარი დაეცა — ფრანსუაზა სწორედ იმ ხის ქვეშ დაასაფლავეს, სადაც მსახიობმა ნაპოვნი ფირფიტა დადო...

***ოკნა №13***

# შამანი დამეხმარა...



საბჭოთა კავშირის დროს რამდენიმე წლით კენიაში გამგზავნეს სამუშაოდ. ცოლ-შვილიც თან წავიყვანე. ამასობაში, საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველო დამოუკიდებელი გახდა. სანამ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდოდა, საქართველოშიც აირია მონასტერი და დავრჩი აფრიკაში. ბიზნესს მოვკიდე ხელი. ვფიქრობდი, ცოტა წელს მოვიდგამ და თბილისში მერე დავბრუნდები-მეთქი.

ერთ საღამოს, ცოლ-შვილი შინ არ დამხვდა. გამწარებულმა, პოლიციასთან ერთად ცა და ქვეყანა შევძარი, მაგრამ მათ კვალს ვერ მივაგენი. ბოლოს, კენიელმა მეგობარმა, ზაულმა მირჩია, — შამანს ვთხოვოთ დახმარებაო. ისეთ გუნებაზე ვიყავი, შამანთან კი არა, ჯოჯოხეთის მაშხალასთან წავიდოდი.

ზაულმა წამიყვანა სადღაც, მთის სოფელში, ცნობილ ჯადოქარ არპენასთან. შამანმა მოისმინა ჩემი საწუხარი, თავი დაგვიქნია, რაღაც მომწვანო, მღვრიე სითხე დალია და მაშინვე ტრანსში ჩავარდა. კარგა ხნის მერე გონს მოვიდა და მითხრა, — შენი ცოლ-შვილი ქალაქის გარეუბანში, ლურჯი სახლის სარდაფში ჰყავთ ჩამწყვდეული და შენგან გამოსასყიდს ელიანო.

რა მდიდარი მე ვიყავი, მაგრამ ტყავს გავიძრობდი ჩემი ოჯახის დასახსნელად. ზაულის ერთი ბიძაშვილი პოლიციის შეფი იყო, არპენას მითითებულ ადგილას დავიწყეთ ძენდა და ყველაფერი გამართლდა...

არპენამ გამტაცებელთა ვინაობაც გაგვიმხილა: ერთი კენიელი იყო, მეორე — კომუნისტების დროს საბჭოთა კავშირიდან გადმოხვეწილი რუსი, რომელსაც ჩემთან სამადლოდ ვამუშავებდი...

***ემზარ კ., თბილისი***

### „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I.** მაისი.

**II.** დომინოს ქვების თანამიმდევრობა ასეთია: 3,1,4,2,5,6.

**III.** 5 ღორი.

**IV. აბა, გამოიცანი:**

1) — დ); 2) — ბ); 3) — გ); 4) — ა); 5) — დ); 6) — გ); 7) — დ); 8) — გ).

# ალორძინების ხანის ბალეტი



შუა საუკუნეები ევროპაში ძალზე საინტერესო პერიოდია, მით უმეტეს, როდესაც იცი, რა იყო მისაღები და რა — მიუღებელი.

შუა საუკუნეებში ბანაობის პროცესი საჯარო საქმე იყო: აბანოებში, ტბორებსა და ტბებში ქალები და მამაკაცები ერთად ბანაობდნენ. ხშირად ბანაობა ალვირახსნილი ორგიებით სრულდებოდა და უზნეობად სრულიად არ ითვლებოდა. აბანოში იღებდნენ სტუმრებს და მათი თანდასწრებით ბანაობდნენ. პარიზში კი მე-19 საუკუნემდე მობანავე პუბლიკა სენის ნაპირას შიშველი დასეირნობდა. მეტიც, დიდად პოპულარული იყო (ბოდიშს გიხდით) კოლექტიური მოსაქმება. „გასართობად და მოწყენილობის გასაქარვებლად“ დიდებულები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ. ისტორიულ ქრონიკებში დეტალურად არის აღწერილი, როგორ დარბოდნენ ლაქიები ღამის ქოთნებით მეფეების სასახლეებში. ღამის ქოთანი ყველას არ ჰყოფნიდა, ამიტომ სადაც ხელი მიუწვდებოდათ, იქ ჩაცუცქდებოდნენ(!).

არც ის არის საიდუმლო, რა ხდებოდა საძინებლებში. აბანოებივით ისინიც საერთო იყო. ვაი მას, ვინც უარს იტყოდა მიპატიჟებაზე — მასპინძელი შეურაცხყოფილი დარჩებოდა. „ღია საწოლის დღეს“ რაც შეიძლება მეტ სტუმარს იწვევდნენ. სტუმრები მასპინძლის სასიყვარულო გმირობების მოწმენი უნდა ყოფილიყვნენ. ვენერიული დაავადებებიც სიამაყის საგანი იყო — მაგალითად, ათაშანგი სასიყვარულო ფრონტზე მოპოვებულ ღირსეულ ჯილდოდ ითვლებოდა.

სამაგიეროდ, დიდ სირცხვილად მიაჩნდათ ექიმთან მისვლა. ექიმის თანდასწრებით გაშიშვლება ცუდ ტონად იყო აღიარებული. გინეკოლოგიური შემოწმება და მშობიარობა ზეწრის ქვეშ ხდებოდა, რაიმეს დანახვა სიკვდილის ტოლფასი იყო. თუ მშობიარეს ბებიაქალი არ მოალოგინებდა, ექიმი მამაკაცის დახმარებას მელოგინე სიკვდილს ამჯობინებდა.

მე-17 საუკუნეში უეცრად სირცხვილად მიიჩნიეს უტრუსო ბალერინების ცეკვის ცქერა. ამიტომ ჰაეროვანი კაბების ქვემოთ მოცეკვავე ქალს ტრუსი უნდა სცმოდა, მამაკაცს კი პირისფერი ტრიკო, მანამდე კი მამაკაცი შიშველი ცეკვავდა.

***ოკნა №17***

# ბანიანი — ბუნების საოცრება

უნიკალური ათასწლოვანი ხე — ბანიანი ეკოლოგებმა აღმოაჩინეს ჩრდილოეთ ვიეტნამის პროვინციაში. მისი დიამეტრი 11 მეტრია, ხოლო ღეროებისა და ფესვების დათვლა მეცნიერებმა ჯერ ვერ მოახერხეს.

ბანიანი, იგივე ბენგალიური ფიკუსი, ბუნებაში ერთ-ერთი უჩვეულო მცენარეა. განვითარებას შემდეგნაირად იწყებს: თესლი ხვდება რომელიმე ხეზე და იკეთებს საჰაერო ფესვებს, რომლებიც მიწამდე რომ მიაღწევენ, მასში ჩაიზრდებიან და მსხვილდებიან. თანდათანობით ფესვი-ღერო ძლიერდება და გიგანტური ხდება. მიწასთან შეზრდის პროცესში ბანიანი სულ ახალ და ახალ ფესვებს ივითარებს და ეს უამრავი საყრდენი იჭერს უზარმაზარ ვარჯს, რომლის ქვეშაც მთელი სოფელი დაეტევა.

ვიეტნამელი ეკოლოგების მიერ აღმოჩენილი ხე ერთ-ერთია ორი უძველესი ბანიანიდან, რომელიც მსოფლიოშია შემორჩენილი. მეორე ამგვარი ხე აფრიკაშია.

***პრიროდა***

# „ამერიკელი“ ვიეტნამელების კილერი



ვიეტნამელი ლი ჰვონგი, რომელსაც ახლახან შეუსრულდა 71 წელი, მრავალი წლის მანძილზე ითვლებოდა დაღუპულად. ამერიკის აგრესიის წლებში იგი მეთაურობდა პატარა რაზმს, მეკონგის ჯუნგლში. ერთ-ერთი ბრძოლისას ლის მთელი რაზმი დაიღუპა, მხოლოდ მეთაური გადარჩა. მტრისაგან თავდასაღწევად ლი ჯუნგლის მიუვალ სიღრმეში შევიდა და იქ ღრმა ორმო ამოთხარა, ზევიდან გადახურა, მცირე შესასვლელი დატოვა და ამ სამალავში დაიმალა. სანგრიდან ლი მხოლოდ ღამით ამოდიოდა და საკვებად გამოსადეგ ფესვებს და კენკრას აგროვებდა — ერთხელ იგი იარაღის მიტოვებულ საწყობს წააწყდა, შეიარაღდა და ამის შემდეგ ამერიკელების პოზიციებს მოულოდნელად ესხმოდა თავს. მოუხელთებელ თავდამსხმელზე მალე გავრცელდა ხმები ამერიკელთა შორის. იანკები დიდხანს ეძებდნენ მას, მაგრამ უშედეგოდ.

ომი რომ დამთავრდა, ლიმ სულ ახლახან გაიგო. მთელი ამ წლების მანძილზე იგი განაგრძობდა ჩვეულ არსებობას, კვლავ ესხმოდა თავს „ამერიკელებს“, რომლებიც დიდი ხანია იქ აღარ იმყოფებოდნენ. ლის სამალავთან ახლოს ვიეტნამის სამხედრო საჰაერო ძალების პოლიგონი იყო განთავსებული, სადაც მფრინავები ვარჯიშებს ატარებდნენ. მუდმივი აფეთქებები ომის შთაბეჭდილებას უქმნიდა საბრალო ლის.

ლი აღმოაჩინა ვიეტნამის პოლიციამ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ნადირობდა მოუხელთებელ კილერზე, რომელმაც არაერთი მშვიდობიანი მოქალაქე გაისტუმრა იმ ქვეყნად. ამჟამად სპეცსამსახურები ფიქრობენ, რა უყონ ნახევრად ბრმა მოხუცს — ჩათვალონ იგი გმირად თუ დაუნდობელ კილერად!

***ნიუ ზუიქი***

# კონტაქტური ბრძოლა ქალებისთვის



ინდოელ ხულიგნებსა და მძარცველებს შავი დღე ელის — ამიერიდან ინდოელი ქალები თავდაცვის ტექნიკის სრულ კურსს გაივლიან.

ნიუ-დელის ერთ-ერთ სპორტულ დარბაზში კომპანია „ელექტროლუქსის“ სახსრებით მსურველთათვის უფასო ოთხკვირიანი კურსები გაიხსნა. ჯერჯერობით, იქ მხოლოდ 200 ქალი მეცადინეობს კონტაქტური ბრძოლის სისტემით.

ეს სისტემა პირველად ისრაელში დაინერგა. იგი ხელჩართული ბრძოლის ერთ-ერთი სახეობაა, მრავალწლიან ვარჯიშს მოითხოვს და თავდაცვის საკმაოდ იოლ ინსტინქტურ ილეთებს ემყარება. ისრაელის გარდა, ეს ეფექტური სისტემა გავრცელდა აშშ-ში, ბრაზილიაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ისეთ უზარმაზარ ქალაქში, როგორიც დელია, სუსტი სქესის წარმომადგენლებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს საღამოობით ქუჩაში სიარული. ამიტომ სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ინდოელი ქალები ხალისით გამოეხმაურებიან „ელექტროლუქსის“ საქველმოქმედო ინიციატივას.

***ვოკრუგ სვეტა***

# ტორსედორა, ანუ თამბაქოს გამხვევი

ჰავანური სასტუმროს, „სევილიას“ ფოიეში სიგარის გამხვევის, კრისტინა დომინგესის მაგიდასთან მუდამ ხალხმრავლობაა. ტურისტები ინტერესით უცქერენ ოსტატის მოქნილი თითების თითოეულ მოძრაობას. ქალი მუშაობს და თან დროდადრო იქვე მდგარი რადიომიმღებიდან მოსმენილ ახალ ამბებს კომენტარებს უკეთებს.

კრისტინა დომინგესი ადგილობრივ რადიოარხს, „რადიო-ენციკლოპედიას“ უსმენს. უამრავ საინტერესო და ახალ ამბავს იგებს და ხალისით უზიარებს გაგონილს ტურისტებს.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, გვიამბობს კრისტინა, კუბის მანუფაქტურებში ჩაისახა ტრადიცია თამბაქოს გახვევის დროს წიგნის ხმამაღლა კითხვისა. ეს ჩვეულება დღესაც ცოცხლობს. თუმცა წიგნები გაზეთებმა, ხშირად კი რადიომ შეცვალა. „წიგნის წამკითხავი ვერავინ ვნახე, ძველ ჩვეულებას კი ვერ ვღალატობ“, ჩივის დომინგესი.

ადრე თამბაქოს ფაბრიკებში თითქმის ვერ ნახავდით ქალებს. მიაჩნდათ, რომ მათ სუსტი თითები ჰქონდათ. ყველაფერი 1959 წელს შეიცვალა, როცა ფიდელ კასტროს მოწოდებით კუბელი ქალები, მათ შორის, დიდჩინოსანთა ცოლებიც, ძველი ხელობის შესასწავლად გააგზავნეს ფაბრიკებში. ამჟამად „ჰავანას“ გამხვევთა უმრავლესობა ქალია.

კუბურ სიგარებსაც აქვს რევოლუციური წარსული. მანამდე, სანამ ფიდელ კასტრო და ერნესტო ჩე გევარა საზოგადოების წინაშე პირში სიგარაგაჩრილები გამოჩნდებოდნენ, კუბის ეროვნული გმირი ხოსე მარტი თანამებრძოლებს საიდუმლო ინფორმაციას სიგარაში გახვეულს უგზავნიდა.

„სიგარის გამხვევს, ანუ „ტორსედორას“ რამდენიმე წუთი სჭირდება სიგარის გასახვევად“, — ჰყვება კრისტინა და თითებს მარჯვედ ამოძრავებს. აი, ხარისხიანი თამბაქოს ფურცლის მოსაყვანად კი თვეების განმავლობაში მუხლჩაუხრელი მუშაობაა საჭირო — თამბაქო უნდა დარგო, მოიყვანო, აიღო, გაახვიო და ა.შ. თითოეულ ამ პროცესს თავისი სირთულე ახლავს და ცალკე თხრობის საგანია. კრისტინა თამბაქოს ფურცელს ასწორებს, ფრთხილად აცილებს ძარღვებს, ზემოდან დებს „თოჯინას“ — თამბაქოს მომცრო ფურცლებს — და ახვევს. მერე სიგარას თავი უკეთდება — თამბაქოს ფურცლის პატარა ნაჭრით სიგარის ბოლო ისე მაგრდება, რომ მომრგვალო ფორმა მიიღოს. ამასთან, „ჰავანას“ ხინჯი არ უნდა ჰქონდეს, თორემ სიგარის კარგი მცოდნე არ იყიდის.

ნამდვილი სიგარა სპეციალურ ხის დაფაზე — ტაბლაზე იბადება. მასზე ითელება თამბაქოს ფოთოლი და ეჭრება ბოლოები მზა სიგარას.

დღეს ჰავანაში სიგარას წარმოებაშიც ამზა-



დებენ — მათ მანქანები ახვევენ, მაგრამ ხელით მოხვეულთან ნამდვილად ვერ მოვა.

„ასეთ სიგარას ნამდვილად ვერ იყიდით ჩვეულებრივ მაღაზიაში“, — ამბობს კრისტინა დომინგესი და „კულებრას“ (გველი) აკეთებს. თავდაპირველად, სამი ჩვეულებრივი სიგარა იხვევა, მაგრამ სხვადასხვა სიმაგრის, სამი სხვადასხვა ჯიშის თამბაქოს ფურცლისაგან. მერე ფრთხილად, ისე, რომ არ დაზიანდეს, წნავენ. „კულებრას“ ფასი სიგარის ნამდვილმა დამფასებლებმა იციან. გაშრობის შემდეგ წნულის თითოეული სიგარა ყავისფრის სხვადასხვა ელფერს და სუნს იღებს. ბევრი „კულებრას“ კოლექციაში ინახავს, მაგრამ ისეთებიც არიან, რომლებიც ერთდროულად სამივეს ეწევიან.

***ეხო პლანეტი №17***

# მეამბოხე ნოვატორი

37 წლის ბრიტანელი მარკ მაკგოვანი თავისუფალი მხატვარია. გარდა ამისა, პროტესტის არატრადიციული ფორმებით გამოხატვის დიდოსტატიცაა. გასულ წელს მან ლონდონში მოაწყო საპროტესტო აქცია — არაქისის კაკალი ცხვირით მიაგორა პრემიერ-მინისტრის რეზიდენციამდე, დაუნინგ-სტრიტზე. ამ გზით შეეცადა მარკი იძულებული გაეხადა მთავრობა, რომ მისთვის სწავლის საფასური შეემცირებინათ. კაკალი ერთადერთ და საუკეთესო საშუალებად მიიჩნია პროტესტის გამოსახატავად. უფრო ადრე მან 15 კილომეტრი გაიარა თავზე დაკლული ინდაურით — მისი თქმით, ამ აქციით მან ღორმუცელებს ზომიერებისაკენ მოუწოდა.

ახლახან კი ნოვატორმა მეამბოხემ მილანის ქუჩებში ყურზე მიბმული ტელევიზორი ათრია(!) — სტარტი ქალაქის ვაგზლიდან აიღო და კომპანია „მედიასეტის“ შტაბბინასთან დაასრულა მარათონი. მიზანი უბრალო იყო — იტალიის ტელემონოპოლისტთა ბიზნესმადის მოთოკვა.

***მირორი***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ტაბიძის სიტყვებს ამოიკითხავთ.**




**ა.** პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში; **რ.** დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც იბრძვიან მოკრივეები; **შ.** ხიბლი, მიმზიდველობა; **ე.** რაიმე საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **მ.** რაიონული ცენტრი სვანეთში; **ც.** ციტრუსების ზედა, შეფერილი ფენა; **დ.** სპარსეთის მეფე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა ჯერ ისოსის, შემდეგ კი გავგამელას ბრძოლაში დაამარცხა; **ა.** ღმერთი, რომლის შვილადაც გამოაცხადა თავი ალექსანდრე მაკედონელმა; **რ.** ქვეყანა, სადაც გამოიგონეს აირწინაღი; **ხ.** ხის მოგრძო, სინისმაგვარი თეფში; **ა.** სიყვარულის რომაული ღვთაება; **რ.** საოჯახო ხელსაწყო, რომელშიც მსხვილი, მოგრძო ქვით ნაყავენ მარილს, ნიგოზს და ა.შ.; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ა.** მარადონას მეორე სახელი; **რ.** გრაფი, რომელსაც მოსაკლავად დაეძებდა დ'არტანიანი; **ჩ.** საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრების ქართველი კაპიტანი; **ე.** სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **ვ.** თენგიზ აბულაძის ერთ-ერთი ფილმი; **ა.** გერმანული საავტომობილო ფირმა; **ნ.** ბიბლიური პერსონაჟი; **შ.** კვირის წმინდა დღე ებრაელთათვის; **ი.** სამაჩაბლოსთან მოსაზღვრე რაჭული სოფელი.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დიმიტრი; **ა.** ამური; **ი.** იაზონი; **ს.** სლალომი; **ვ.** ვივიენი; **ე.** ეგრისი; **ნ.** ნიაგარა; **ე.** ეშვი; **თ.** თხილი; **პ.** პოქტია; **ა.** აზნაური; **ლ.** ლიე; **ი.** იუბილე; **ტ.** ტროლი; **რ.** რადიო; **ი.** ისინდი; **ს.** სიმენსი; **ფ.** ფრესკა; **ე.** ერუდიტი; **რ.** როშფორი; **ე.** ელენე; **ბ.** ბუნგალო; **შ.** შნო; **ი.** იადონი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: მუზავ, რა ვიქნებოდი მე უშენოდ.**

## კვირის «მინიკალენდარი»

„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარი“ კი ასეთია:



**17 მაისი:**
**ფრიდონ ხალვაში**, პოეტი და პროზაიკოსი; **ჟან გაბენი**, მსახიობი; **დებრა უინგერი**, მსახიობი.
**18 მაისი:**
**ჯემალ ჭკუასელი**, მომღერალი, ლოტბარი; **იოანე-პავლე II**, კათოლიკური ეკლესიის მამამთავარი, რომის პაპი; **ნიკოლოზ II რომანოვი**, რუსეთის იმპერატორი.
**19 მაისი:**
**ნატალია ორეირო**, მსახიობი და მომღერალი; **მიკელე პლაჩიდო**, მსახიობი.
**20 მაისი:**
**ბორის აკუნინი** (მ. ჩხარტიშვილი), მწერალი; **ონორე დე ბალზაკი**, მწერალი; **ჯო კოკერი**, მომღერალი, კომპოზიტორი; **შერი**, მომღერალი, მსახიობი.
**21 მაისი:**
**შალვა დადიანი**, მწერალი; **სოფიკო ჭიაურელი**, თეატრისა და კინოს მსახიობი; **ალბერტ დიურერი**, ფერმწერი და გრაფიკოსი; **ანდრეი სახაროვი**, მეცნიერი.
**22 მაისი:**
**შარლ აზნავური**, მსახიობი, პოეტი, კომპოზიტორი, მომღერალი; **ჯორჯ ბესტი**, ფეხბურთელი; **რიჰარდ ვაგნერი**, კომპოზიტორი; **არტურ კონან დოილი**, მწერალი; **ნაომი კემპბელი**, მოდელი, მსახიობი.
**23 მაისი:**
**რევაზ ჯაფარიძე**, მწერალი; **ანატოლი კარპოვი**, მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონი; **ოტო ლილი ენტალი**, ავიაციის ინჟინერი.

## სიტყვათა კონა

**კარაბადინი** — 1. ძველებური წიგნი, შეიცავს სხვადასხვა ავადმყოფობათა აღწერილობას, ცნობებს მათი მკურნალობისა და სამკურნალო საშუალებათა შესახებ. 2. (ძვ.) ასტროლოგიური საწინასწარმეტყველო წიგნი.
**კარაპა** — პატარა გემი ერთგვარი.
**კარაპანი** — სახლის უკედლო დერეფანი.
**კარბა** — 1. ქვაბის ყური (საბა). 2. რკალი.
**კარდალა** — მომცრო ქვაბი.
**კარჩხი** — ლოლუებად ქცეული ჭირხლი ხეებზე.
**კარჩხა** — მოჭრილი ხე, რომელსაც შერჩენილი აქვს ტოტების ნაწილი, — კაპებიანი ხე.
**კარჭაპი** — მოზრდილი, განიერი ნავი ტვირთის გადასაზიდად.
**კატუნი** — ველური, გარეული კატა.
**კაური** — შუა სარმა ქართულ ჭიდაობაში.
**კაფია** — მოუმზადებლად, სახელდახელოდ თქმული ლექსი, ექსპრომტი.
**კაჩა** — მუხლის ძირის სადრეკი (საბა).
**კაჩხა** — კაპებიანი საკიდარი (ირმის რქის კაჩხა).
**კაწანი** — 1. (ძვ.) პატარა ეკლოვანი ღობე. 2. ქიზიყში — პატარა, დაბალი ღობე.
**კაწაპი** — იგივეა, რაც საშველი (ჩაზნექილი ფირფიტა ფეხსაცმლის ჩაცმისას ქუსლის გასამართავად).
**კაწარა** — ფიცრის კიდის გასწვრივ ხაზის გასავლები სადურგლო იარაღი.
**კაწაწი** — თმა საფეთქელთან.
**კაწახი** — უმწიფარი, მკვახე (ხილი).

## სოფლებში კვლავაც გაურკვეველია მიწის საკითხი

— დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ახალგორის საკრებულო მოგმართავთ თხოვნით, იქნებ დაგვიკონკრეტოთ და გაგვარკვიოთ, მიწის რომელი კატეგორიის და რა ფართობის მფლობელია გათავისუფლებული გადასახადისგან, ვინაიდან პრობლემები გვაქვს მოსახლეობასთან საიჯარო ფართობის გადასახადის თაობაზე.

*გიორგი გიორგობიანი*

კითხვაზე უპასუხებს **ანზორ მესხიშვილი**, მიწის მართვის დეპარტამენტის მიწის რეფორმისა და საადგილმამულო ურთიერთობის სამმართველოს უფროსი.

— მიწის გადასახადისგან გათავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პრივატიზებული (ანუ ფიზიკური პირების მიერ დაკანონებული და მხოლოდ კერძო საკუთრებაში არსებული მიწა და არა იჯარით აღებული) მიწის ფართობი 5 ჰექტრამდე. ამ კატეგორიაში გადის მხოლოდ კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მრავალწლიანი ნარგავი, სათიბი, სახნავი და საძოვარი მიწის ფართობები. მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელ რაიონში ცხოვრობს ესა თუ ის პიროვნება, კომლია თუ ოჯახი, მიწის ყველა მესაკუთრე, რომელსაც 5 ჰა-მდე მიწა აქვს კერძო საკუთრებაში, გათავისუფლებულია გადასახადისგან. თუ საკრებულოს მოსახლეობასთან ამ პასუხის შემდგომაც პრობლემები ექნება, უმჯობესია საკითხის გადასაწყვეტად მოგვმართოს ჩვენ.

## ამერიკის პრეზიდენტები

— მაინტერესებს, იყო თუ არა აქამდე ამერიკის ისტორიაში შემთხვევა, როდესაც სისხლით ნათესავები ხდებოდნენ პრეზიდენტები. ასევე, გთხოვთ ჩამოგვითვალოთ თანამიმდევრობით ამერიკის პრეზიდენტები.

*თამაზ ჯგერენაია*

გთავაზობთ აშშ-ის პრეზიდენტების სიის მეორე ნაწილს:



21. არტურ ჩესტერ ალენი (1881-1885);
22. სტივენ გროვერ კლივლენდი, ასევე აშშ-ის 24-ე პრეზიდენტი (1885-1889 და 1893-1897);
23. ბენჯამინ ჰარისონი (1889-1893);
25. უილიამ მაკკინლი (1897-1901);
26. თეოდორ რუზველტი (1901-1909);
27. უილიამ ჰოვარდ ტაფტი (1909-1913);
28. თომას ვუდრო ვილსონი (1913-1921);
29. უორენ ჰარდინგი (1921-1923);
30. კელვინ კულიჯი (1923-1929);
31. ჰერბერტ კლარკ ჰუვერი (1929-1933);
32. ფრანკლინ დელანო რუზველტი (1933-1945);
33. ჰარი ტრუმენი (1945-1953);
34. დუაიტ დევიდ ეიზენჰაუერი (1953-1961);
35. ჯონ ფიცჯერალდ კენედი (1961-1963);
36. ლინდონ ჯონსონი (1963-1969);
37. რიჩარდ ნიქსონი (1969-1974);
38. ჯერალდ რუდოლფ ფორდი (1974-1977);
39. ჯიმი კარტერი (1977-1981);
40. რონალდ უილსონ რეიგანი (1981-1989);
41 ჯორჯ ჰერბერტ უორენ ბუში (1989-1993);
42. ბილ ქლინთონი (1993-2001);
43. ჯორჯ ბუში (უმცროსი), 41-ე პრეზიდენტის ვაჟი (2001).

## ბაბუა თუ პაპა

— ბოლო ათწლეულების მანძილზე ლექსიკონიდან გაქრა ქართული სიტყვა პაპა. მოდაში შემოვიდა ბაბუა (ბაბუ). საქართველოს ისტორიულ წყაროებსა და ცნობილ მწერალთა ისტორიულ რომანებში კი ყველგან პაპაა მოხსენიებული. არსებობს მამაპაპისეული ადათწესები და არა მამაბაბუისეული. გთხოვთ, გვიპასუხოთ, რომელი უფრო სწორია, პაპა თუ ბაბუა?

*შოთა ყარალაშვილი*

კითხვაზე უპასუხებს **შუქია აფრიდონიძე**, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

— როგორც ცნობილია, პაპა და ბაბუა, ისევე როგორც დიდედა და ბებია, სინონიმური წყვილია და ტერიტორიულადაა განაწილებული: პაპასა და დიდედას აღმოსავლეთ საქართველოში ხმარობენ, ბებიასა და ბაბუას — დასავლეთში. დღეს ორივე სახელი თანაბრად განეკუთვნება სალიტერატურო ენას.

მაგრამ იმის გამო, რომ სალიტერატურო ქართული ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებს დაეფუძნა, საქართველოს ორივე დედაქალაქი კი აღმოსავლეთ საქართველოში იყო და არის, სალიტერატურო ენაში ტრადიციულად გავრცელებული იყო პაპა (ბაბუას უფრო პერიფერიული ელფერი დაჰკრავდა). შემთხვევითი არ არის, რომ წინაპრების აღსანიშნავად სწორედ მამა-პაპა იხმარება; აქედანაა მიღებული ზედსართავი მამაპაპური. არც არსებით სახელში და არც მისგან ნაწარმოებ ზედსართავ სახელში ბაბუა არ მონაწილეობს (იგი მხოლოდ ერთ-ერთი მცენარის ლოკალური სახელწოდების — ბაბუაწვერას კომპონენტია).

დღეს თბილისში დასავლეთ საქართველოდან ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილია დასახლებული. ამიტომ, დედაქალაქურ მეტყველებაში მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი დასავლურმა ფორმებმა — ჯერ ბებიამ, ხოლო შემდეგ — ბაბუამ. მეტიც, ამ უკანასკნელმა ბოლო ხანებში თითქმის სულ გამოდევნა პაპა. დღეს იშვითად გაიგონებთ ქართულ კლასიკურ მწერლობაში ესოდენ გავრცელებულ გამოთქმას — თოვლის პაპა, რომელსაც სასაუბრო მეტყველებაში და აქედან, თანამედროვე აფიშებსა თუ რეკლამებში თოვლის ბაბუა ჩაენაცვლა.

მაშასადამე, დღეს პაპაც და ბაბუაც — ორივე სალიტერატურო ენის კუთვნილებაა, თუმცა მათგან პაპა გაცილებით ასაკოვანია როგორც კლასიკურ მწერლობაში, ისე საერთო-სახალხო ხმარებაში (იგივე ტრადიციული მამა-პაპა და მამაპაპური რომ გავიხსენოთ). თანაბარი „სტატუსის“ პირობებში სრულიად შეუწყნარებელია ვებრძოლოთ რომელიმე მათგანს, რათა მხოლოდ ერთ-ერთი დარჩეს სალიტერატურო ენაში. უფრო მნიშვნელოვანია, წინ აღვუდგეთ ენის გაღარიბებასა და ერთფეროვნებას. ჩვენს შემთხვევაში, ორივე სინონიმი — პაპაც და პაბუაც უნდა ვიხმაროთ იმისდა მიხედვით, რომელი მათგანი უფრო გვემშობლიურება ან მოგვწონს; ოღონდ ტრადიციულ გამოთქმებში დამკვიდრებული პაპა, ცხადია, ხელუხლებელი დარჩება.

## სტრესული პროფესიები...

— ვარ პოლიციიის თანამშრომელი. მაინტერესებს, ყველაზე სტრესულ პროფესიათა შორის თუ ითვლება ჩვენი საქმიანობა. აღნიშნულის შესახებ არსად არაფერი წამიკითხავს. იქნებ თქვენ გვიპასუხოთ, არსებობს თუ არა სტრესულ პროფესიათა სტატისტიკა?

*მალხაზ სხულუხია*



— თუ ვიმსჯელებთ სხვა ქვეყნების (ვინაიდან ამ კუთხით კვლევა ჩვენთან არასოდეს ჩატარებულა) სოციოლოგებისა და ფსიქოლოგების კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებზე, შეგვიძლია გითხრათ, რომ პოლიციელის პროფესია სტრესულად საერთოდაც არ არის მიჩნეული. იგი ალბათ ყველაზე რისკიან პროფესიებში უნდა ეძიოთ. მეტიც, შესაძლოა სხვა ქვეყნების მაგალითი ქართველებს სასაცილოდაც კი მოგვეჩვენოს, რადგანაც ზოგიერთი პროფესია, მაგალითად, მეშახტის, რომელიც ამ რეიტინგში პირველ ადგილზეა, ჩვენში თითქმის აღარ არსებობს. მეორე ადგილზეა ჟურნალისტის პროფესია. მესამეზე — ექიმის. შემდეგ მოდიან: მსახიობები, პოლიტიკოსები, მძღოლები, დიპლომატები, ადვოკატები, მასწავლებლები. თუმცა რადიკალურად განსხვავებული აზრის არიან კანადელი სპეციალისტები. ისინი თვლიან, რომ ყველაზე სტრესული პროფესია მუსიკოსობაა. ამდენად, გამოდგება თუ არა ეს რეიტინგი საქართველოში რეალურად არსებულ პროფესიათა შესაფასებლად, რთული სათქმელია.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...



# „დინამო“ ლობანოვსკის მემორიალზე

კიევში გაიმართა დიდი უკრაინელი მწვრთნელის, ვალერი ლობანოვსკის სახელობის მეორე საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისისა და კიევის „დინამო“, ტირასპოლის „შერიფი“ და რიგის „სკონტო“. თბილისის „დინამო“ ჯერ ნახევარფინალში დამარცხდა მოლდავურ „შერიფთან“ 0:1, შემდეგ კი იმავე ანგარიშით მესამე ადგილისთვის გამართული მატჩიც დათმო „სკონტოსთან“. ოთხ გუნდში საქართველოს ჩემპიონმა ბოლო ადგილი დაიკავა, თანაც, ისე დაბრუნდა კიევიდან, ერთი გოლიც კი არ გაუტანია!

# იტალიურმა გამოძიებამ საფეხბურთო მაფიას ჩაავლო



...ამაზე ადრეც საუბრობდნენ. უბრალოდ, ფაქტები იშვიათი და ზოგადი ხასიათისა იყო. ამჯერად, საქმე გაცილებით სერიოზულადაა — მსოფლიო ფეხბურთში არსებულ მაფიაზე ალაპარაკდნენ. რაც მთავარია, კონკრეტული მაგალითები ხშირია და ეს ერთი მხრივ კარგიცაა. ტოტალიზატორში მოთამაშე უბრალო ადამიანთა დიდმა უმრავლესობამ უნდა გაიგოს, რომ ფეხბურთი, კარგა ხანია, მხოლოდ ორი საფეხბურთო გუნდის პაექრობის ფარგლებს გასცდა...

გასულ კვირაში ყველა საფეხბურთო სიახლე იტალიაში აგორებულმა სკანდალმა დაჩრდილა. მართალია, ეს სკანდალი მხოლოდ იტალიურ გუნდებს ეხება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ იტალიური სერიები (A, B, C) მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრად ითვლება, რომლის მიმართაც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაკლებად მაფიოზურ ამბებს არც სხვა ცენტრებიდან უნდა ველოდოთ. თუმცა, ეს მომავლის საქმეა, ახლა კი მსოფლიო სააგენტოების მიერ გავრცელებულ ფაქტებზე ვისაუბროთ.

ნეაპოლის პროკურატურის მიერ დაწყებულ გამოძიებას საფუძვლად რამდენიმე სატელეფონო ზარის მოსმენა დაედო. საქმე ტოტალიზატორებთან დაკავშირებულ მაქინაციებს, ანუ ჩაწყობილ მატჩებს უკავშირდებოდა და მასში 12 კლუბთან ერთად, 5 ფეხბურთელის გვარს მოიხსენიებენ. ყველაზე ხშირად მეკარე ჯენეროზო როსი სახელდება, რომელმაც მარტის ბოლოს სერია A-ში მოთამაშე „სიენასთან“ კონტრაქტი გაწყვიტა და მას შემდეგ უგუნდოდაა. როსის გარდა, ეჭვმიტანილები არიან: რობერტო დავერსა და ნიკოლა ვენტოლა (ორივე „სიენა“), სალვატორე ამბროზინი („გროსეტო“), ყოფილი ფეხბურთელი ვინჩენცო ონორატო და კიდევ 8 ნეაპოლელი, რომელთაც მაქინაციების ჩატარების მიზნით, დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნაში ედებათ ბრალი.

რაც შეეხება კლუბებს, მათ რიცხვში, ნაკლებად ცნობილებთან ერთად, საკმაოდ ცნობილებიც არიან: „სიენა“, „კიევო“, „ლეჩე“, „რეჯინა“ (სერია A), „ასკოლი“, პიაჩენცა“ (სერია B), „კატანძარო“, „კროტონე“, „ფერმანა“, „ლუმეცანე“, „ტარანტო“, „სასარი ტორესი“ (სერია C).

გასულ ორშაბათს, პროკურატურამ ზემოაღნიშნული 13 ეჭვმიტანილის სახლებში და 12-ივე კლუბის ოფისში ჩაატარა ჩხრეკა.

ამათგან ჩხრეკას მხოლოდ ორი ფეხბურთელი — ვენტოლა და დავერსა გადაურჩნენ, რადგან ისინი შინ არ იყვნენ, თუმცა, საეჭვოა, ეს მათთვის დიდი შეღავათი იყოს.

გამომძიებელთა მტკიცებით, დასახელებულ ფეხბურთელთა და კლუბების გარდა, საქმეში სხვებიც არიან გარეულნი. პროკურორ ჯუზეპე ნარდუჩის თქმით: „არსებობს ფარული ორგანიზაცია, რომელმაც გავლენა მოახდინა სერია A-ს და B-ს შედეგებზე, სახეზეა სერია C1-ისა და C2-ის შეხვედრათა სრული ფალსიფიკაცია, ხოლო ფეხბურთელი, რომელიც ყველაზე მეტადაა გარეული უკანონო ქმედებებში, არის ჯენეროზო როსი“.

თავის მხრივ, როსი, ყველა ბრალდებას უარყოფს და იტალიელი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში ირწმუნება, რომ ტოტალიზატორში ფსონი ერთხელაც არ დაუდვია, რაც ქვემოთ მოყვანილ სატელეფონო საუბრების გაცნობის შემდეგ, ცოტა არ იყოს, ძნელად დასაჯერებელია.

კერძოდ, მიმდინარე წლის 16 აპრილით დათარიღებულ სატელეფონო საუბარში როსი ყოფილ თანაგუნდელ დავერსას კარნახობს: „კიევო“ ფრე, „ასკოლი“ ფრე, „კროტონე 1, „კატანძარო“ 2, „ლუმეცანე“ ფრე. 17 და 18 აპრილს გამართული მატჩების შედეგებმა დაადასტურეს, როსის წინასწარმეტყველობის განსაკუთრებული უნარი: კიევო-რეჯინა 0:0, ასკოლი-პიაჩენცა 0:0, კროტონე-ფერმანა 3:0, ტარანტო-კატანძარო 0:1, ლუმეცანე-ტორესი 0:0.

როგორც როსიმ შემდგომში ჟურნალისტებთან განაცხადა, მხოლოდ პროკურატურას აუხსნის, თუ რატომ ეკითხება დავერსა მაინცდამაინც მას იმ შეხვედრათა შედეგებს, რომლებიც ზუსტად გამოიცნო. საინტერესოა, როგორ ახსნის როსი 21 მარტის კიევო-სიენას მატჩის დღეს, „გროსეტოს“ ნახევარმცველ სალვატორე ამბროზინისთან სატელეფონო საუბრის დროს ნათქვამ სიტყვებს: „დირექტორი უკვე ესაუბრა იმას... ყველა თანახმაა. კლუბებმაც კი ისაუბრეს, მაგრამ დელ ნერი ამბობს, რომ თამაში უნდა“. ან კიდევ რას იტყვის, 23 მარტის სიენა-უდინეზეს მატჩის წინ იმავე ამბროზინისთან დიდი მოგების შესაძლებლობაზე საუბრის შესახებ — „30-40 ათას ევროს ავიღებთ...“ — ამბობს როსი, რაზეც ამბროზინი ეკითხება: „კი მაგრამ, ვის იცნობთ იმათგან (ანუ „უდინეზესგან“. — რედ.), როსიმ კი უპასუხა: „არ ვიცი, სხვები უნდა ვნახო“.

ამ საუბრებთან დაკავშირებით გამომძიებლებმა, ორშაბათს, „კიევოს“ მთავარი მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერიც დაჰკითხეს. როგორც ამბობენ, მწვრთნელი გაოცებას ვერ მალავდა და აქეთ კითხულობდა, რომელ ჩაწყობილ თამაშებზე მელაპარაკებით, „რეჯინასთან“ ფრე უშეღევათო ბრძოლის შედეგი იყოო.

მოკლედ, გამოძიება და უწინარესად, სკანდალი ეტაპობრივად, ფართო მასშტაბებს იძენს და როგორც ჩანს, ერთი-ორი ფეხბურთელის კარიერის გარდა, რამდენიმე კლუბსაც შეიწირავს.

***ნიკა ლებანიძე***

# რას ერჩიან კოლინას „იუვენტუსის“ ფანები?



ტურინის „იუვენტუსის“ გულშემატკივრებმა საგანგებოდ შექმნეს საიტი, სადაც მსოფლიოში სახელგანთქმულ არბიტრის პიერ ლუიჯი კოლინას მისამართით უმწვავეს გამონათქვამებსაც კი არ მოერიდნენ. საქმე ისაა, რომ 2001 წლიდან მოყოლებული „იუვენტუსს“ არ მოუგია არც ერთი მატჩი, რომელიც პიერ-ლუიჯი კოლინამ იმსაჯა. უფრო მეტიც, მიმდინარე სეზონში კოლინას არბიტრობამ „ბებერ ქალბატონს“ ყველა მატჩი „დაათმობინა“. სწორედ ამ სავალალო სტატისტიკის გამო გადაწყვიტეს „იუვენტუსის“ ფანებმა „საპასუხო სვლის“ გაკეთება, რისი უშუალო შედეგიც ზემოხსენებული საიტია. „დაუჯერებელია, რომ მსაჯი, რომელიც ყველასგან გამოირჩევა იმით, რომ ხშირად იღებს საეჭვო გადაწყვეტილებებს, მსოფლიოს საუკეთესო არბიტრადაა აღიარებული!“ — აცხადებენ გულშემატკივრები. ისინი არ მალავენ სიხარულს იმასთან დაკავშირებით, რომ კოლინას სწორედ წელს უსრულდება 45 წელი — ანუ ის ზღვარი, რომლის შემდეგაც არბიტრები პენსიაზე გადიან. თავის მხრივ, იტალიის საფეხბურთო არბიტრთა ასოციაცია ფხიზლად ადევნებს თვალყურს გულშემატკივართა შეფასებებს და არ გამორიცხავს, რომ თუკი სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება, კოლინამ შეიძლება „იუვენტუსის“ ფანებს სასამართლოშიც უჩივლოს.

# ვაი შენს ოჯახს, თუ „დინამოს“ არ მოუგიაო!

## ვისი დაკვეთით დაემუქრნენ არბიტრ კახა მესხს?

ქართული ფეხბურთისთვის რომ თამაშის ჩაწყობა მომაკვდინებელი სენია, ყველამ იცის. ბევრი თქმულა და დაწერილა ამ თემაზე, მაგრამ არც არაფერი შეცვლილა და დასჯილიც არავის უნახავს. ამიტომაცაა, რომ ეს მოჯადოებული წრე უხილავ და დაუძლეველ ბარიერად იქცა, ბარიერად, რომელიც ცივილიზებული ურთიერთობისაკენ გზას ულობავს ქართულ ფეხბურთს. საქართველოს ჩემპიონატის მოგებით შექმნილი ილუზიები პირველივე საერთაშორისო გასვლისას იმსხვრევა. ასე რომ, თამაშის ჩაწყობა არა მარტო კრიმინალია, არამედ ჩვენი ფეხბურთის წინსვლის ერთ-ერთი უდიდესი წინაღობაც.

9 მაისს თბილისში ავლაბრის სპორტულ არენაზე პრინციპული მატჩი შედგა. საფეხბურთო კლუბმა „თბილისმა“ თბილისის „დინამოს“ უმასპინძლა. ჩემპიონატი ბოლო ხანს საკმაოდ დაიძაბა და თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. ის თამაში დამაჯერებლად მოიგო „დინამომ“, მატჩის შემდეგ ამას აღნიშნავდა ორივე გუნდის ხელმძღვანელობა, რომლებიც თავაზიანად დაშორდნენ ერთმანეთს. არც ერთი სიტყვა, არანაირი პრეტენზია არავის მიმართ არ თქმულა. რაც მთავარია, კმაყოფილი დარჩა მაყურებელიც. მატჩს ბოლო წლების ყველა გახმაურებული სკანდალური მატჩის უცვლელი არბიტრი კახაბერ მესხი მსაჯობდა. რა თქმა უნდა, იყო მცირე შეცდომები, მაგრამ მათ მატჩის მსვლელობაზე გავლენა არ მოუხდენია. არატრადიციული სურათი შეიქნა: მესხის მონაწილეობით ასეთი პრინციპული თამაში სკანდალის გარეშე სრულდებოდა, თუმცა.... დასრულდა მატჩი თუ არა, კახაბერ მესხმა შეხვედრის ინსპექტორს ოთარ გუნთაძეს გაუმხილა: თამაშის წინ დამირეკეს და დამემუქრნენ: ვაი შენი და შენი ოჯახის ბრალი, თბილისის „დინამოს“ თუ არ მოუგიაო... თუ დაგირეკეს და დაგაშინეს, აქამდე სად იყავიო, — ჰკითხეს. მესხის პასუხი ასეთი იყო: — დარწმუნებული ვიყავი, რომ ობიექტურად ვიმსაჯებდი და იმიტომ არაფერი ვთქვიო... ერთი სიტყვით, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მატჩის მშვიდად დასრულება ვიღაცებს ხელს არ აძლევდა. ისევ მესხს მიუბრუნდნენ — კი მაგრამ, ვინ დაგირეკაო.... დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ არბიტრმა სამეგრელოს რეგიონალური ფედერაციის თანამშრომელი ზუგდიდელი ცაცა შელია დაასახელა. საბუთად კი საკუთარ ტელეფონზე დაფიქსირებული ტელეფონის ზარი წარმოადგინა. საქმე ფეხბურთის აღმასკომამდე მივიდა. ორივე გუნდი საქმის ობიექტურ გამოძიებას ითხოვდა. საფეხბურთო კლუბ „თბილისის“ წარმომადგენლები აცხადებდნენ — არ გვინდა არც სამი ქულა და არც მატჩის გადათამაშება, მხოლოდ სიმართლის დამტკიცებისთვის ვიბრძვითო... ნირწამხდარი „დინამოს“ ხელმძღვანელობა კი კიევიდან გვითვლიდა, ჩამოვალთ და ყველაფერს ნათელს მოვფენთო. ჩამოვიდნენ და შაბათს აღმასკომის სხდომაც გაიმართა. ბუნებრივია, თავად ბატონი შელია უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი საინტერესო რესპონდენტი. რა არ იღონეს, რა ხერხს არ მიმართეს, მაგრამ შელია ზუგდიდიდან ვერ ჩამოიტყუეს. ასე რომ, ფედერაციის ხელმძღვანელობამ, სარწმუნო საბუთად არბიტრის მობილურზე შელიას რამდენიმე სატელეფონო ზარი მიიჩნია და ვერდიქტიც გამოიტანა: ცაცა შელია მოიკვეთოს ფეხბურთიდან. რაც შეეხება თავად კახა მესხს, მის მიმართ ჯერ სასჯელი არ გამოუტანიათ, სიტუაციას უფრო დეტალურად შევისწავლით და კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე მერე ვიმსჯელებთო, განაცხადეს აღმასკომის წევრებმა.

ვინ დაარეკვინა მსაჯთან შელიას, ამაზე არაფერი უთქვამთ. ვითომ ცაცა შელიას მოკვეთა უშველის ქართულ ფეხბურთს?

# რატომ გაუშვეს მიუნხენის „ბაიერნის“ თილისმა პენსიაზე



მიუნხენის „ბაიერნისთვის“ მიმდინარე სეზონი წარუმატებელი აღმოჩნდა. გულშემატკივრები ვარაუდობდნენ, რომ ფეხბურთელთა ერთმა ნაწილმა აქედანვე უნდა იზრუნოს სხვა კლუბში გადასვლაზე. მაგრამ ჩვენდა გასაოცრად, 2000-2001 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის ხელმძღვანელობა თვლის, რომ მოთამაშეები არაფერ შუაში არიან და გუნდის ცუდი თამაშის მთავარი „დამნაშავე“ გახლავთ... თილისმა „ბაცი“. გადაწყვეტილება შეუვალია და განაჩენიც გამოტანილია — „ბაცი“ პენსიაზე გაუშვეს! უკანასკნელად „ბაცმა“ გუნდს მფარველობა გაუწია „ვერდერთან“ მატჩში. მომავალი სეზონიდან „ბაიერნის“ თილისმა დათუნია „ბერნი“ გახდება. „ბერნიმ“ „ვერდერთან“ შეხვედრის წინ საგანგებოდ მიართვა „ბაცის“ ამ ფაქტის დამადასტურებელი სერტიფიკატი ყვავილებთან ერთად.

ამ მოვლენის აღსანიშნავად „ვერდერთან“ მატჩის წინ გუნდის ახალი თილისმა-დათუნიების სასაჩუქრო ეგზემპლარები უფასოდ დაურიგდა სტადიონზე მოსულ მაყურებელს.



# ვის დარჩება ლუსიო?

ლევერკუზენის „ბაიერის“ გენერალურმა მენეჯერმა რაიმონდ კალმუნდმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ასპირინელთა“ ბრაზილიელი მცველის, ლუსიოს შეძენით ერთბაშად 15-16 ევროპული გრანდია დაინტერესებული. მათ შორის ყველაზე აქტუალურად განიხილება „მილანის“, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ბაიერნის“ წინადადებები. „ბაიერი“ ლუსიოს სანაცვლოდ $23 მილიონს ითხოვს.

# უელსელთა საჩივარი არ დააკმაყოფილეს

სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც დამდეგ ზაფხულს პორტუგალიაში უნდა გაიმართოს რუსეთის ნაკრები ითამაშებს და არა უელსისა. შეგახსენებთ, რომ უელსის ფეხბურთის ფედერაციამ სასამართლოს მას შემდეგ მიმართა, რაც რუსეთისა და უელსის ნაკრებთა საპასუხო მატჩისას, რომელიც ჩვენმა მეზობლებმა „მილენიუმზე“ 1:0 მოიგეს, რუსებმა მოედანზე შეიყვანეს იგორ ტიტოვი, რომელსაც სისხლში აკრძალული პრეპარატი აღმოაჩნდა. ამის გამო ბრიტანელები მათთვის გამარჯვების მიკუთვნებას მოითხოვდნენ. თავდაპირველად უელსელებმა საჩივრით ფიფას მიმართეს, იქ რომ ვერაფერს გახდნენ, სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოსაც დაუკავშირდნენ, თუმცა უშედეგოდ.

# „ლივერპულის“ აქციები ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა იყიდა

ინგლისური „ლივერპულის“ აქციათა 30% ტაილანდის პრემიერმინისტრმა, მილიონერმა ტაკსინ შინავატრამ შეიძინა. აქციათა აღნიშნული პაკეტი ტაილანდელს ინგლისელმა დევიდ მურმა მიჰყიდა, რომელიც აქამდე კლუბის აქციათა 51%-ის მფლობელი გახლდათ. შინავატრამ მურს 100 მილიონი დოლარი გადაუხადა. ამ გარიგებამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია „ლივერპულის“ ფანებში, ინგლისელთა უმრავლესობა უკმაყოფილოა, რაც დიდად არ ადარდებს ტაილანდელ მილიონერს, რომელმაც ტაილანდში არჩევნები 2001 წელს მოიგო, მანამდე კი ტელეკომუნიკაციათა ბიზნესში მოღვაწეობდა.

***მოამზადა გიგა ხირსელმა***

შავი ყვითელი ლურჯი წითელი

## №19 (397) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 499 რესპონდენტი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 206-მა ქალმა და 286-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელ უწყებას ჰყავს ყველაზე კომპეტენტური და პროფესიონალი ლიდერი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველი მაქსიმალურ შეფასებას აძლევს გენერალური პროკურატურის თავკაცის — ირაკლი ოქრუაშვილის კომპეტენტურობასა და პროფესიონალიზმს. რესპონდენტთა 74,1%-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 9 ქულა, მინიმალური ქულით კი მხოლოდ ოთხმა მკითხველმა (0,8%) შეაფასა.

**8,49** საშუალო ქულით გენერალური პროკურატურა პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე გიორგი ბარამიძის უწყებაა, საშუალო ქულაა 7,52. რესპონდენტთა 14,7% თვლის მას ყველაზე კომპეტენტურ ლიდერად. გიორგი ბარამიძეც მინიმალურ ქულათა სიმცირით გამოირჩევა — მხოლოდ ექვსმა მკითხველმა (1,2%) დაუწერა შინაგან საქმეთა მინისტრის პროფესიონალიზმს მინიმალური — 1 ქულა.

მესამე ადგილზეა თავდაცვის სამინისტროს შეფი გელა ბეჟუაშვილი, საშუალო ქულაა 5,21.

მკითხველი შედარებით დაბალ შეფასებას აძლევს თბილისის მერის, უშიშროების საბჭოს მდივნისა და განათლების მინისტრის კომპეტენტურობასა და პროფესიონალიზმს. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა განათლების მინისტრმა დაიმსახურა, რაც უდავოდ წინა კვირის საგაზეთო სტატიის გამოძახილია, ალბათ მკითხველთა უმრავლესობამ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლებასთან დაკავშირებული მისი მოსაზრებები მიიჩნია არაკომპეტენტურად და სწორედ აღნიშნული სკანდალი გახდა მისი დაბალი რეიტინგის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

რაც შეეხება გენერალური პროკურორისა და შს მინისტრის მაღალ რეიტინგებს, ესეც მათი მკვეთრი ნაბიჯების (არა მარტო განცხადებების) შედეგია — კორუმპირებულებთან და კრიმინალებთან ბრძოლა, რასაც ტელეეკრანების საშუალებით თვალყურს მთელი საქართველო ადევნებს, გულს ფხანს უბრალო ადამიანებს, ისინი ხომ თავიანთი გასაჭირის მიზეზს სწორედ ამ „ახალი ყაიდის“ ბრალდებულებში ხედავენ.

ასევე აღსანიშნავია ზურაბ ნოღაიდელის უწყების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, რაც იოლად ახსნადია — პენსიონერებისთვის მართალია უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც პენსიების ზრდა და ძველი დავალიანებების გასტუმრება. ამ ნაბიჯების წყალობით, როგორც ვხედავთ, ნოღაიდელმა კომპეტენტურთა და პროფესიონალთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაიკავა.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი თბილისელი, 43 წლის **ალექსანდრე გოგოლაურია.** მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „ფინანსთა სამინისტროს“ 6-ის ნაცლად 7 ქულა (მესამე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო „თავდაცვის სამინისტროს“ — პირიქით — 7-ის ნაცვლად — 6 (მეოთხე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 19 მაისს, 17 საათზე.

## №20 (398) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და **«მკითხველის პრემიას».**

**№20 (398) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 19 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 20 მაისის 13 საათამდე.**

© თბილისი

**რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ყადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №20(398) — ოჯახური წყვილი

**რომელი პოპულარული ოჯახური წყვილის მიმართ ხართ კეთილგანწყობილი ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№20(398) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | წყვილი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | სალომე ზურაბიშვილი – ჯანრი კაშია | |
| 2 | თინა ხიდაშელი – ზურა უსუფაშვილი | |
| 3 | ია და ეროსი კიწმარიშვილები | |
| 4 | მანანა შევარდნაძე – გია ჯოხთაბერიძე | |
| 5 | მაია კერვალიშვილი – ვახტანგ რჩეულიშვილი | |
| 6 | თათია თოფურია – გიორგი თარგამაძე | |
| 7 | ნინო ბურჯანაძე – ბადრი ბიწაძე | |
| 8 | ლელა წურწუმია – კახა მამულაშვილი | |

**დამატებითი კითხვა**

**თქვენი აზრით, შეძლებს თუ არა საქართველოს ახალი ხელისუფლება აფხაზეთის დაბრუნებას?**

| დიახ | არა | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**თუ მიგაჩნიათ, რომ შეძლებს, რამდენ ხანში?** ____________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________

თქვენი სახელი, გვარი ____________

ქალაქი (რაიონი) ____________

ასაკი ____________ ტელეფონი ____________

**თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

**ყველაზე ენამწარე ქართველი პოლიტიკოსები**



| | | |
|---|---|---|
| 1. | შალვა ნათელაშვილი | 57,2% |
| 2. | კობა დავითაშვილი | 12,3% |
| 3. | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | 11,0% |
| 4. | მიხეილ სააკაშვილი | 7,5% |
| 5. | ზურამ შარაძე | 3,3% |
| 6. | მაია ნადირაძე | 1,8% |
| 7-9. | აკაკი ასათიანი | 1,0% |
| 7-9. | გიგა ბოკერია | 1,0% |
| 7-9. | ზურაბ ჟვანია | 1,0% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 0,5% |
| | ყველა | 0,3% |
| | სხვა პოლიტიკოსები | 3,1% |

*მკითხველის რეიტინგში 402 რესპონდენტი მონაწილეობდა*

## ·ფოტოპალიტრა· © ფოტოანტიკვარი

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

____________

____________

____________

თქვენი სახელი, გვარი ____________

ქალაქი (რაიონი) ____________



ვანო მერაბიშვილი, ნინო ბურჯანაძე

ვინ აღარ ამოიცნო მკითხველმა ამ პატარა სა კარნავალო სამოსელში გამოწყობილ ბიჭუნაში — კობა დავითაშვილი თუ აკაკი ასათიანი, ქართლოს ღარიბაშვილი თუ ასლან აბაშიძე, ზურაბ ჟვანია, მიხეილ სააკაშვილი და სხვანი. მაგრამ უმრავლესობამ კი, 51%-მა, ზუსტად დაასახელა იმ ბიჭუნას გვარი, რომლის გარეშეც დღეს „არც ერთი არჩევნები არ ჩაივლის“ — დიახ, ეს პატარა ზურაბ ჭიაბერაშვილი გახლავთ.





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



ზურაბ ჭიაბერაშვილი, 5 წლის

## ფოტო განწყობისთვის



— კომპიუტერი თუ არ მეცოდინება, მაგაში არ მიმიღებენ...



გურული ასდოლარიანს მამასისხლად ყიდის. კლიენტი გაოცებულია:

— ნამეტანი ძვირია, შე კაცო!

— აგი, ბიძიკო, ხელით ნამუშევარია და იმიზა, — პასუხობს გურული.

19/V ახალი მთვარე

მაგნიტური დღეებია:
17/V 12-დან 14 საათამდე
21/V 14-დან 16 საათამდე

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. კომედია; 4. კაბერნე; 6. ტემზა; 7. სირჩა; 8. აფსკი; 9. იარდი; 10. ალპები; 13. ვარლეი; 16. შრომა; 18. კალმარი; 19. ჯექსონი; 20. ობობა; 22. ფრიგია; 23. ბაგირა; 25. კათხა; 27. ლობიო; 28. ბიძია; 29. იოლკი; 30. იაპონია; 31. ამაზონი.

**შვეულად:** 1. კავალერია; 2. ატესტატი; 3. იმპრესარიო; 4. კარაბინი; 5. ექსპონატი; 11. პულსი; 12. ბრასი; 14. ალქმა; 15. ლიონი; 16. შიო; 17. აჯა; 21. „ორთაბრძოლა“; 22. ფაკულტეტი; 24. ადიუტანტი; 25. კალაბრია; 26. ალოპათია.






**თარაზულად:** 1. ღვინის ევროპული საცავი; 4. მაღალი ხარისხის სპირტიანი სასმელების მოყვარულთათვის ყველაზე ცნობილი ქალაქი საფრანგეთში; 6. წაკვეთილი კონუსის ფორმის მამაკაცის ქუდი მაღალი ხარისხის, უმთავრესად წითელი ფერის ქეჩისგან; 7. ლათინურამერიკული კარმიდამო; 8. ბულგარეთის დედაქალაქი; 9. ევროპაში გავრცელებულ ამერიკელთა მეტსახელი; 10. სანათლავი ჭურჭელი; 13. რამაზ ჩხიკვაძის პერსონაჟი ბრეხტის „კავკასიურ ცარცის წრეში“; 16. ინგლისის პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელის სახელი; 18. „თანამდებობა“ მეფის კარზე; 19. ჯონ როკფელერის სიმდიდრის წყარო; 20. ინგლისის სამეფო დინასტია; 22. მთვარის ორბიტის ნაწილი, ყველაზე მეტად დაშორებული დედამიწას; 23. მხატვარი, რომლის შედევრმა „ჩიბუხიანი ბიჭი“ მსოფლიო რეკორდი დაამყარა სოთბის აუქციონზე; 25. რასინის ტრაგედია; 27. ცხვირის გარეთა ხვრელი; 28. თანამედროვეობის განთქმული იტალიელი დირიჟორი; 29. ანტიკური ლექსთწყობა; 30. ძილისპირული სიმღერა; 31. სისხლძარღვი.

**შვეულად:** 1. რუსი დედოფალი; 2. ყალთაბანდი; 3. ბერძენი ისტორიკოსი, სწავლული და მხედართმთავარი, სოკრატეს მოწაფე; 4. ნაოსნობა ნაპირის სიახლოვეს; 5. გონებრივი განვითარების დონე; 11. ბათუმის კალათბურთელთა გუნდი; 12. ქართული მინერალური წყალი; 14. უზენაესი ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 15. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში; 16. ხალხი ინდოჩინეთის ქვეყნებში, დაახლოებით 70 მილიონი კაცი; 17. ძველი ჩინური ნატურფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი ცნება; 21. გერმანული ღვინის დედაქალაქი; 22. პატარა პლანეტა; 24. სათბური; 25. თავისუფალი ფორმის მუსიკალური პიესა; 26. ვინმეს ან რაიმეს დაცვა, გამართლება და შექება.

შეადგინა რამაზ ალანიამ

## აბა, ვინ იფიქრებდა...

თუ კვენტინ ტარანტინოს ორი უსაყვარლესი მსახიობი ქალი — უმა თურმანი და დერილ ჰანა ერთმანეთის მტრები იქნებოდნენ. ფილმის, „მოკალი ბილი-2“-ის პრემიერაზე ლონდონში ჩასულმა ქალებმა



სასტუმრო DORCHESTER-ის ადმინისტრაციას სთხოვეს, რომ ერთმანეთისგან რაც შეიძლება შორი-შორს დაებინავებინათ. ღონისძიების ორგანიზატორები იძულებულნი შეიქნენ აეხსნათ სასტუმროს გაოცებული თანამშრომლებისთვის, რომ აუცილებელი იყო ამ მანდილოსნების დაშორება, ვინაიდან ისინი განუწყვეტლივ ჩხუბობენ და ილანძღებიან ნებისმიერი მიზეზის გამო. რაც შეეხება პრემიერას, ორივე ისე ეხვეოდა ერთმანეთს ფოტოკამერების წინ, თითქოს საუკეთესო მეგობრები იყვნენ. ტყუილად ხომ არ არიან ჰოლივუდის ბრწყინვალე მსახიობები!..

## ლუსი ლუმ გაანაწყენა პაპარაცები



ჰოლივუდის საკმაოდ ეგზოტიკური მსახიობი ლუსი ლუ („ჩარლის ანგელოზები“) ცოლად მიჰყვება თავის მეგობარს, დრამატურგ ზაკ ჰელმს. კომუნიკაბელურობით ცნობილი ლუსის განცხადებამ — ქორწილში ჰოლივუდის ცნობილ ადამიანებს არ ვეპატიჟებიო, ძალიან გააკვირვა საზოგადოება, — საქორწინო ცერემონია მეტად ინტიმურია და არა — გადასაღები მოედანი, ამიტომ ეს უმნიშვნელოვანესი დღე ახლობლებთან ერთად უნდა აღინიშნოს. როცა ჰოლივუდთან ხარ დაკავშირებული, შენგან ყველა ექსტრავაგანტურსა და განსაცვიფრებელ საქციელს ელის, მაგრამ ეს სულაც არ მეხატება გულზე, — ამბობს ლუსი.

რაც შეეხება პაპარაცებს, ისინი ძალიან ნაწყენნი არიან მსახიობზე...

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 20 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______

______

______

______

______

______

______

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№20 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 20 მაისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში:* მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

შავი ყვითელი ლურჯი წითელი